


# გორაკი



ოქტ. თაო, 2018 წ.  
ფოტო მ. ჩოხრაძისა

2

2020



აჭარის მხარეთმცოდნეობის საზოგადოება

ISSN 0134-3459

20002



9 770134 345001

# ჭოროხი

გამოცემის 62-ე წელი

მარტი-აპრილი

№2

2020 წელი

სალიტერატურო-სამხატვრო და საზოგადოებრივი ჟურნალი

მთავარი რედაქტორი  
**სანდრო გერიძე**

სარედაქციო კოლეგია  
**როინ აბუსელიძე**  
**ცისანა ანთაძე**  
**გენრი დოლიძე**  
**შოთა ზოიძე**  
**დავით თაღორაძე**  
**ლალი კონცელიძე**  
**გურანდა ნიჭარაძე**  
**რამაზ სურმანიძე**  
**ჯემალ სურმანიძე**  
**ბელა ქიზური**  
**ვახტანგ ლლონტი**  
**თინა შიოშვილი**  
**მაია ჯაფარიძე**

ტექნიკური რედაქტორი და  
კომპიუტერული უზრუნველყოფა  
**მალხაზ ფაღვა**

ოპერატორი  
**მარიკა ლაშხია**

დაარსებულია 1958 წელს  
გამოდის ორ თვეში ერთხელ

ISSN 0134-3459

© „ჭოროხი“, 2020

რედაქციის მისამართი:  
6009, ბათუმი, მელიქიშვილის ქ. №21  
ტელ.: (422) 27-15-30

გამომცემელი  
ა(ა)იპ აჭარის მწერალთა სახლი



აჭარის მწერალთა სახლი

ჟურნალი დაიბეჭდა  
შპს „ხომლი ენ“-ის სტამბაში.  
ქუთაისი, ჭავჭავაძის ქ. 33



9 770134 345001

## ავტორთა საყურადღებოდ:

რედაქციაში ელექტრონული სახით შემოსული ნაწარმოებები აწყობილი უნდა იყოს შრიფტით Sylfaen, 12 pt. (კოდირება: უნიკოდი (UTF-8)); რედაქციაში შემოსული მასალა ავტორს არ უბრუნდება.

## შინაარსი

### ჯგერა, ჟგერა

ღალი კონცელიქა – ანდალუსიური დღიური .....	3
მანანა ჩიტიშვილი – ლექსები .....	18
მზია სალვარიქა – ნენიკულაჲ (მოთხრობა) .....	30
ბექა ახალია – ლექსები .....	35
როლანდ გიორგაქა – უცნაური კაცი (მოთხრობა) .....	49

### თარგმანი

პირ და რონსარი, ჟარარ და ნერვალი, შარლ გოდლერი  
პოლ ვერლენი, არტურ რემპო, სტეფან მალარმა – ლექსები

(ფრანგულიდან თარგმნა ბადრი თიშვასაძემ) ..... 58

### ქართული, ჟულისიქი

როსტომ ჩხიქა – ციკლიდან „ცეცხლისპირული ჩაფიქრებანი“ .....	66
მალხაზ როსარაქა – „...ტირილი იყო გამოღმა და ტიროდნენ გაღმაც“ .....	78
მარინე ჩხიკვაქა – დედაბუნება სახლს ალაგებს (სტივენ კინგის „ნისლი“) .....	84

### ისტორია

აკაკი ბერიქა – შამილი – კავკასიის გმირი .....	87
ემზარ მაკარაქა, ოთარ გოგოლიშვილი – ლაო ჯინ ჯაოს მოღვაწეობა საქართველოში .....	96
ალექსანდრა ჩხიქა – სახალხო-განმათავისუფლებელი მოძრაობა აჭარაში XIX ს. 50-იან წლებსა და 60-იანი წლების დასაწყისში .....	102

### წერილი

რამაზ სურმანიქა – ლევილის ბინადარი სამოლეთიდან .....	110
ავთანდილ დიასამიქა – „ცოდვამ მოგვიცვა, ნათელსა გარს მოეხვია ბნელია“ .....	115





## დადი კონსვიდირა

### ანდალუსიური დღიური

სამხრეთ ესპანეთში, ანდალუსიის მხარეში მდებარე პატარა საკურორტო ქალაქ მარბელაში, ყოველწლიურად, შემოდგომის მიწურულს, იმართება საერთაშორისო ლიტერატურული ფორუმი, რომლის ინიციატორი და მასპინძელია ცნობილი მწერალი ალექსანდრე პოტიომკინი. ბატონ პოტიომკინს საკმაოდ საინტერესო რეგალიები აქვს: არაერთი რომანის ავტორი, მეცნიერი, ბიზნესმენი, მეცენატი. ის აქტიურად მუშაობს საზოგადოების ბედისა და მდგომარეობის შესახებ ინტელექტუალურ და ფილოსოფიურ საკითხებზე. 2019 წელს, ჟურნალ „ჭოროხის“ მე-3 ნომერში დაიბეჭდა ალექსანდრე პოტიომკინის პუბლიკაცია – „ეკო-საპიენსის ახალი ცივილიზაციური სტანდარტების კოდექსი“, რომელშიც უაღრესად საინტერესოდაა ნაჩვენები ის საფრთხეები, რასაც პლანეტას უქმნის ჩვენი ზედმეტად მომხმარებლური ცხოვრების წესი, რაც, სამწუხაროდ, დღეს მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებმაც დაადასტურა.

სასიამოვნო ამბავი გავიგე გასული წლის ნოემბრის დასაწყისში – მარბელას საერთაშორისო ლიტერატურულ ფორუმში მიწვეულთა შორის მეც აღმოვჩნდი. არანაკლებ სასიამოვნო იყო იმ წარმომადგენლობითი დელეგაციის წევრობა, რომელშიც შედიოდნენ: ქალბატონი მაყვალა გონაშვილი – საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის თავმჯდომარე, ბატონი დავით თედორაძე – საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის ორგანიზაციის ხელმძღვანელი, ქალბატონი მარია ფილინა – თსუ-ს პროფესორი, პოლონურ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობების მკვლევარი, ბატონი გაბრიელ ნამთალაშვილი – საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი, პროფესორი გიორგი

ბეჟიტაშვილი, ბატონი მერაბ კეზუა და ახალგაზრდა მხატვარი ივანე კეზუა.

მინდა გითხრათ, რომ ჩემი მოგზაურობა ესპანეთის სამხრეთით, ანდალუსიის მხარეში იმ დღიდან დაიწყო, რა დღესაც მიწვევა მივიღე, და თუმცა ცოტა რამ ზოგადი მანამდეც ვიცოდი, საჭირო იყო, აუცილებელი ცოდნა მიმელო იმის შესახებ, რომ ესპანელები მშობლიურ ნახევარკუნძულს იბერიკას უწოდებენ და არა პირენეის, და საერთოდ, იბერების შთამომავლებად თვლიან თავს; რომ ქვეყანა შედგება 17 ავტონომიური რეგიონისგან, რომელთაგან ერთ-ერთია ანდალუსია – 87 ათასი კვ. კმ ფართობითა და 8 მლნ მოსახლეობით; რომ მალაგა ანდალუსიის 8 პროვინციათაგან ერთ-ერთია, ხოლო მარბელა –



მაღაგის „მზიანი სანაპიროს“ – კოსტა დელ სოლის მარგალიტი... არ ვიცოდი და გავიგე, რომ ანდალუსიური მარბელა და ჩვენი ბათუმი 2010 წლიდან დაძმობილებული ქალაქებია, და რომ ამ დროიდან მათი თანამშრომლობის სფეროებია ეკონომიკა, ჯანდაცვა, ტურიზმი, განათლება, კულტურა, სპორტი...

თუმცა საოცრება, სახელად ანდალუსია – წინ მელიოდა და იდუმალი სიამოვნების მოლოდინით მავსებდა მთელი ამ დროის მანძილზე.

ჩვენი მოგზაურობა კი 3 ნოემბერს, გამთენიისას დაიწყო – თბილისის აეროპორტიდან ჯერ სტამბოლის, შემდეგ – მაღაგის აეროპორტისკენ.

რამდენიმესაათიანი ფრენის შემდეგ, როგორც იქნა, ჩავფრინდით ანდალუსიის ტურისტულ დედაქალაქად წოდებულ უმშვენიერეს ქალაქ მაღაგაში, სადაც მასპინძლები დაგვხვდნენ, მანქანაში ჩავგვსვეს და მარბელაში გავემშურეთ.

გზა მარბელასკენ მთლიანად მიუყვება კოსტა დელ სოლის მართლაც მზიან სანაპიროს – მაღაგიდან გიბრალტარის სრუტემდე გადაჭიმულ ხმელთაშუაზღვისპირეთს, სადაც ერთი დასახლება მეორეს ისე ენაცვლება, ზღვარის გავლება ჭირს. ჩავუარეთ პატარ-პატარა საკურორტო ქალაქებს – ტორემალინოსს, ბენალმადენას, მიხასს, ფუენხიროლას, ესტეპონას... ეს ზღვისპირა დასახლებები ერთნაირად მშვენიერია: ბევრი მზე, საუცხოო პლაჟები და გოლფის მოედნები, მდიდრული ოტელები და კაფეები, ვილები და აგარაკები, თეთრად მოქათქათე იახტები... როგორც ჩვენი პრაგმატული მასპინძლისგან გავიგეთ, მათ თუ რაიმე განასხვავებს, ესაა ტურისტთა რაოდენობა ერთ კვადრულ მეტრზე.

მამ ასე, დაგვაბინავეს მარბელას ყველაზე პრესტიჟული ნაწილის – პუერტო ბანუს მშვენიერ სასტუმროში, სადაც უკვე გველოდნენ ფორუმის სხვა მონაწილეები. იყვნენ მწერლები, მეცნიერები და ლიტერატორები ესპანეთიდან, გერმანიიდან, პოლონეთიდან, ბულგარეთიდან, უკრაინიდან, ისრაელიდან, რუსეთიდან, ყაზახეთიდან, ყირგიზეთიდან. გავიცანით ერთმანეთი, ძველი მეგობრებით მოვიკითხეთ, გული გავხსენით და გავცვალეთ საგანგებოდ ჩატანილი

ნიგნები და სამახსოვროები. ბატონი პოტიომკინისთვის სასიამოვნო სიურპრიზი აღმოჩნდა ჟურნალ „ჭოროხის“ ეგზემპლარები და გულწრფელი სიამაყით აღნიშნა, რომ რამდენიმე ენაზე თარგმნილ მის სტატიას ქართველი მკითხველიც შეემატა. აქვე გადმოგვეცა ფორუმის პროგრამა, რომლითაც, როგორც მასპინძლებმა აღნიშნეს, „მკაცრად იყო განსაზღვრული“, რომ ამიერიდან, მთელი კვირის მანძილზე, დღის პირველ ნახევარში ტურისტები უნდა ვყოფილიყავით, მეორე ნახევარში კი – ფორუმის მონაწილეები.


საღამოს მასპინძლებთან ერთად პუერტო ბანუს სანაპიროზე გავიარეთ – ესაა ესპანეთის ოფიციალურად აღიარებული „მარგალიტი“, ულამაზესი ყურე მდიდრული ვილებითა და იახტებით, რესტორნებით და ათასგვარი გასართობით. საღამო ზღვის პროდუქტებითა და კარგი მუსიკის თანხლებით გაგრძელდა კაფე „პიკასოში“, რომლის კედლები დიდი ესპანელი მხატვრის რეპროდუქციებით არის დაფარული.

გაგვაოცა ყურეში თევზების სიმრავლემ – იმდენი იყო, ზღვაშიც კი გასაქანს ვერ პოულობდნენ. მათი დაჭერა აზრადაც არავის მოსდის ერთი მარტივი მიზეზის გამო – ეს თევზი საკვებად უვარგისია.

პუერტო ბანუს სანაპიროზე დგას ზეცისკენ ხელაპყრობილი ადამიანის უზარმაზარი ქანდაკება, რომელმაც ჩვენი ყურადღება განსაკუთრებით მას შემდეგ მიიქცია, როცა გავიგეთ, რომ მისი ავტორი ცნობილი მოქანდაკე – ზურაბ ნერეთელი ყოფილა.

ესპანურ-მაროკოული სტილის არქიტექტურა, ხმელთაშუა ზღვის სანაპირო და საოცარი სიმწვანე გარშემო – ულამაზეს სანახაობას ქმნის. ძირითადი მცენარეული საფარი, როგორც გავიგეთ, არაავთენტურია, მათი უმრავლესობა ოდესღაც აფრიკიდან შემოუტანიათ და დღეს პალმები და ზეთისხილის ბალები ესპანეთის ლანდშაფტის ორგანული ნაწილია.

სასტუმროები, რომლებიც მარბელაში მდებარეობს, არქიტექტურული თვალსაზრისით ისე ორგანულად ერწყმის ერთმანეთს, ერთი კომპლექსი გეგონებათ – ესაა გარემოს მორ-



ჰუერტო ბანუ – მარბელა

გებული, მწვანეში ჩაძირული თეთრი შენობები კომფორტული ნომრებით, კაფეებით, სამკითხველო და საგამოფენო სივრცეებით, ეზოებითა და გოლფის მოედნებით.

თამილა ჯანაშვილმა, დიასახლისის დამ, ჩვენი მეგზურობა იკისრა. 4 ნომბერს მთელი ჯგუფი გავემგზავრეთ მარბელას გასაცნობად. ეს საკურორტო დასახლება მე-20 საუკუნის შუა წლებიდან იქცა ქალაქად, მანამდე ის კოსტა დელ სოლის სანაპიროზე მდებარე პატარა დასახლება იყო. ამბობენ, როცა დედოფალმა იზაბელამ ეს ადგილი და მისი ზღვა ნახა, აღტაცებით წარმოთქვა: „que mar bella“ – „რა მშვენიერი ზღვაა!“ აქედან წარმოდგა დასახლების სახელწოდება. 1950-იანი წლებიდან მარბელას ბუმი გაჩაღდა: თანდათანობით შემოდინება დაიწყო ჯერ ბრიტანულმა, შემდეგ – რუსი ოლიგარქებისა და არაბი ნავთობის მეფეების კაპიტალმა. დღეს მარბელა საკმაოდ მოზრდილი ქალაქია, 140 000 მცხოვრებით და უამრავი ტურისტით მთელი წლის მანძილზე. ის ესპანეთის ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული და ექსკლუზიური კურორტია. უძრავ ქონებაზე ფასები აქ ყველა რეკორდს ხსნის. მარბელაში არათუ ცხოვრება, დასვენებაც კი ძალიან ძვირია. როგორც გავიგეთ, აქ აგარაკის შეძენა პრესტიჟულ საქმედ მიაჩნიათ პოლიტიკოსებსა და ბიზნესმენებს, მსახიობებსა და შოუმენებს, მილიარდერებსა და სამეფო პერსონებს. აქ ცხოვრება ყველასთვის სასიამოვნოა, თუმცა ნაკლებად ხელმისაწვდომი, ზღაპრულად მაღალი ფასების გამო. ზოგადად, მარბელაში ძირითადად გამორჩეულად მდიდარი ადამიანები ცხოვრობენ. მდიდრული ვილები, იახტები და მანქანები აქაურობის შემადგენელი ნაწილია.



ჯგუფი საქართველოდან

მზე, ოქროსფერი ქვიშა და საუკეთესო ტურისტული ინფრასტრუქტურა აქცევს ამ ქალაქს და მთლიანად კოსტა დელ სოლის სანაპიროს მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო დასასვენებელ ადგილად. ხმელთაშუა ზღვის რბილი ჰავა აქ გამორჩევით კომფორტულ ბუნებრივ პირობებს ქმნის, სასიამოვნო ზაფხულითა და თბილი ზამთრით; აქ ნაკლებად წვიმს, საშუალო წლიური ტემპერატურა კი 18-20 გრადუსია.

მარბელას ძველ ნაწილში ნაგებობები ევროპული, აზიური და აფრიკული სტილის საუკეთესო ნაზავია, რომელმაც საუკუნეებს გაუძლო და დღესაც მყარად დგას.

ქალაქის მთავარი ღირსშესანიშნაობაა ზღვისპირა პარკი – ავენიდა დელ მარი, რომელიც ესპანურ-მაროკოული სტილითაა მოწყობილი. პარკს ამშვენებს სალვადორ დალის ქანდაკებების ხეივანი, რომელიც პირდაპირ ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე გადის. შეუძლებელია, მნახველი გულგრილი დატოვოს აქაურობამ. თამილამ, სასიამოვნო მასპინძლობასთან ერთად, შესანიშნავი გიდობაც გასწია: მან ბევრი რამ საინტერესო გვიამბო სალვადორ დალიზე, მის შემოქმედებაზე, მარბელასადმი დამოკიდებულებაზე. გავიგეთ, რომ მხატვარმა პირველი სერიოზული ნახატი შექმნა 10 წლის ასაკში, 15 წლისა სკოლიდან გარიცხეს უნესო საქციელისთვის, 16 წლისამ დაწერა პირველი ლიტერატურული ნაწარმოები; რომ დალის მუზა და მთელი ცხოვრების სიყვარული იყო რუსი ელენა დიაკონოვა,



სალვადორ დალის ქანდაკებების სეივანი მარბელაში



დალის ქანდაკებების სეივანში

უფრო ცნობილი გალას სახელით, და რომ სიურეალისტ დალისთან შეხვედრამდე, გალა ასევე სიურეალისტი პოეტის – პოლ ელუარის ცოლი იყო; ისიც გავიგეთ, რომ ამერიკაში ვიზიტის დროს, რომლის ფულიც დალიმ პიკასოსგან „ჩაუსესხებლად ისესხა“, მხატვარმა დარბაზში გამოფინა სურათი, სადაც გამოსახული იყო მუზა – გალა, მხრებზე ცხვრის დაბეგვილი ხორციით. როცა ჰკითხეს, რა შუაში იყო ხორცი, მან უპასუხა: „მე მიყვარს გალა, და მე მიყვარს ცხვრის დაბეგვილი ხორცი. აქ ისინი ერთად არიან. შესანიშნავი ჰარმონიაა!“ კიდევ ერთი საინტერესო ფაქტი: მთელი თავისი ქონება და ნამუშევრები სალვადორ დალიმ ესპანეთს უანდერძა.

დავიარეთ მარბელას ძველი უბნები. ყველაფერს აჩნია მზრუნველი ხელი: სისუფთავე, კომფორტი, მონესრიგებული ქუჩები, ყვავილებით მორთული აივნები და მთლიანად შენობები. ქალაქს ამშვენებს მარმარილოთი მოფენილი 7-კილომეტრიანი სანაპირო ბილიკი, რომლის ფილებს ყოველ დილით სპეციალური ხსნარით რეცხავენ...

მშვიდად, კეთილდღეობით მიედინება აქაური ცხოვრება.

5 ნოემბერს, დილით, სასტუმროს მოადგა ავტობუსი, საიდანაც ხალისიანი რუსულენოვანი გიდი გადმოვიდა და გაგვეცნო. მარინა – ასე ერქვა მშვენიერ მოლდოველ ქალბატონს, რომელიც ოცი წელია ესპანეთის მოქალაქეა. როგორც გავიგეთ, შესანიშნავად იცნობს ამ

ქვეყნის ისტორიას, კულტურას, არქიტექტურას. ჩვენი არაჩვეულებრივი მასპინძლების გადწყვეტილებით, სწორედ მას უნდა გავეცნო ჩვენთვის მალაგა – ესპანეთის ერთ-ერთი უმშვენიერესი ქალაქი და ხმელთაშუა ზღვის სანაპიროს მშვენება, რომელსაც ესპანურ ლიტერატურაში უამრავი მეტაფორა უკავშირდება: სამხრეთის დედოფალი, ანდალუსიის კარიბჭე, ზღვასა და ზეცას შორის მოლივლივე სამოთხე და ბევრი სხვა.

მალაგა ევროპის ერთ-ერთი უძველესი ქალაქია – ის ფინიკიელებმა დააარსეს 2800 წლის წინ. თავისი ისტორიის მანძილზე მან ნახა თითქმის ყველა ცივილიზაცია, რაც განიცადა ევროპამ. დღეს მალაგა ცნობილია უდიდესი პორტით, თანამედროვე შენობებითა და ინფრასტრუქტურით. ქალაქის ძველი ნაწილი ახლისგან საოცრად განსხვავებულია და გამოირჩევა ლამაზი, ვიწრო საფეხმავლო ქუჩებით, უცნაური სახლებითა და კიდევ უფრო უცნაური სარკმლებით. მჭიდროდ და გვერდიგვერდ აგებული შენობები ერთმანეთის ჩრდილს ქმნიან. ყველგან ნახავთ ყვავილებით მორთულ აივნებს, კაფეებსა და მაღაზიებს.

ძველი ქალაქის ნებისმიერ ქუჩას ლამანკიტასთან მიჰყავხარ – ასე უწოდებენ აქ მთავარ საკათედრო ტაძარს. „ლამანკიტა“ „ცალხელას“ ნიშნავს, უფრო სწორად, ერთკოშკიანს, რადგან, აი, უკვე სამასი წელია, ტაძარს ორის ნაცვლად ერთი სამრეკლო ამშვენებს. იმხანად და მოგვი-






მალაგის საკათედრო ტაძარი



მალაგის საკათედრო ტაძრის სამრეკლო კოშკი

ანო პერიოდშიც, მეორე სამრეკლოს აღმართვა ვერ მოხერხდა, ჯერ უფულობის გამო, შემდეგ – სახელის გასამართლებლად და მუდმივად მშენებარე სტატუსის შესანარჩუნებლად. ტაძრის შიგა ინტერიერი იმდენად გრანდიოზულია, რომ სრულ აღფრთოვანებაში მოჰყავს მნახველი. კოშკს აქვს სათვალთვალო მოედანი, საიდანაც მთელი ქალაქის ხედი იშლება.

შეიძლება დიდხანს იკამათო, რამდენად რელიგიურები არიან დღევანდელი ესპანელები, და მაინც ვერ გაცე ამ კითხვას კონკრეტული პასუხი. ბევრისთვის ქრისტიანობა ტრადიციის პატივისცემა უფროა, ვიდრე რწმენა, და მაინც,



რომაული ამფითეატრი და ალკაზაბას ციხესიმაგრე

ანდალუსიაში მორწმუნეობის ტემპერატურა გაცილებით მაღალია, ვიდრე სხვაგან. გაზაფხულზე მთელი მალაგა მონაწილეობს პასქალურ ცერემონიაში. როგორც გვითხრეს, ეს ძალიან შთამბეჭდავი სანახაობაა. მრავალსაათიან მსვლელობაში სიამოვნებით მონაწილეობს დიდი და პატარა.

მალაგის მრავალრიცხოვან ისტორიულ ძეგლთაგან უძველესი და უმნიშვნელოვანესია ჩვენ. I საუკუნეში აგებული ანტიკური ხანის რომაული ამფითეატრი, სადაც მოგვიანებით, არაბთა ბატონობის დროს, მავრებმა თავისი ციხე – ალკაზაბა ააშენეს. სხვათა შორის, ამფითეატრის ნანგრევებიდანვე წაღებული ქვებით.

ცენტრალური პარკი ქალაქის ისტორიულ ცენტრს წარმოადგენს. პარკში უამრავი პალმაა, რომლებზეც თუთიყუშებს ბუდეები მოუწყვიათ და აქ ისინი ხმაურიან და ფერად გუნდებად ცხოვრობენ.

პარკის მოპირდაპირედ ქალაქის მერიის უძველესი შენობა დგას. აქვეა მალაგის უნივერსიტეტი, რომელიც, მართალია, მხოლოდ ნახევარ საუკუნეს ითვლის, მაგრამ ის დღეს ესპანეთის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სასწავლო დაწესებულებაა, მალაგის უნივერსიტეტში 40 ათასი სტუდენტი სწავლობს მსოფლიოს ბევრი ქვეყნიდან, მათ შორის, საქართველოდანაც.

უცნაურია რამ არის სტატისტიკა: როგორც აღმოჩნდა, მალაგაში პროცენტულად ყველაზე მაღალი კონცენტრაციაა მუზეუმების, და არა მხოლოდ ესპანეთის მასშტაბით. ქალაქს, რომლის მოსახლეობა 700 ათასია, აქვს 50-მდე მუ-



მალაგის უნივერსიტეტი

ზეუმი. მალაგა ატარებს ძალიან დინამიურად განვითარებადი ქალაქის სტატუსს სწორედ კულტურის სფეროში; ის ფლობს ინფრასტრუქტურას, რომელიც მიმართულია იქით, რომ როგორმე დააახლოვოს საზოგადოება კულტურულ ფასეულობებთან. აქ არის რამდენიმე თეატრი, რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვანია სერვანტესის თეატრი.

ქალაქის მთავარი ქუჩები, ცენტრალური პარკი, ტროტუარები, სანაპირო – მარმარილოთა მოპირკეთებული. შთაბეჭდილება იქმნება მარმარილოში ჩასმული ქალაქის. როგორც გიდმა აგვიხსნა, ეს აქ საკმაოდ იაფი და ხელმისაწვდომი მასალაა.

საინტერესო ისტორია აქვს მალაგის ცენტრალური ბაზრის შენობას, რომელიც ოდესღაც ეკლესია იყო, შემდეგ – საბრძოლო მასალების საწყობი, ჰოსპიტალი, უნივერსიტეტი... მე-19 ს-ში აქ ბაზარი განთავსდა. შეიძლება თამამად ითქვას, რომ ეს არის სამოთხე გურმანებისთვის. ზღვის პროდუქტები, ჰამონი, ყველის ნაირსახეობა, ზეთისხილი – ამ ყველაფრისთვის აქ აუცილებლად უნდა შეხვიდეთ. ბაზარი დილით ადრე იღება და შუადღით იკეტება. შენობა შესრულებულია კლასიკურ მავრიტანულ სტილში და მისი მთავარი მახასიათებელია თხელი კოლონები და ნალისებრი თალები.

ქალაქის სტუმართა და მასპინძელთა საყვარელი ადგილია პრომენადა – სასაირო ზღვის



პიკასოს ძეგლთან

სანაპიროს გაყოლებაზე. აქ შეიძლება მიირთვათ მალაგელების უსაყვარლესი კერძი – შამფურზე შემწვარი სარდინები, ან დააგემოვნოთ მალაგის სიმბოლოდ სამართლიანად აღიარებული „ჰელადო მალაგა“ – მალაგური ღვინის ნაყინი, ყურძნის შემეჭნარი მარცვლებით. სხვათა შორის, ბევრი მზიანი დღის დამსახურებით, აქაური ყურძენი ძალიან ტკბილია და ღვინოებიც, ძირითადად, სადესერტოა.

და მაინც, მალაგის მთავარი ღირსება და სიმდიდრე ადამიანები არიან – გახსნილი, კეთილგანწყობილი მალაგელები. აქაურთა ანდალუსიურ ხასიათში არაფერია მოჩვენებითი. ისინი ბედნიერები არიან იმით, რომ სწორედ აქ დაიბადნენ და ცხოვრობენ. როგორც ყველა სამხრეთელმა, სიამოვნების ფასი კარგად იციან; ლაპარაკობენ სწრაფად, ხმაურით, ემოციურად, არ ლეზულობენ არავითარ შენიშვნას ამასთან დაკავშირებით. სიმშვიდე შენს სახლში ეძებე, ქუჩა კი ყველასია! – და პოზიტიური ენერჯია ისე ხმაურით და ხელშესახებად მოედინება მალაგის ქუჩებში, როგორც ტალღები მის ქარიან სანაპიროზე. ასეთები არიან მალაგელები – აფასებენ სიამოვნებას და ძალიან უყვართ. ალბათ, ამან ათქმევინა ყველაზე ჩრდილოელ მეზობარეს, ჰანს ქრისტიან ანდერსენს: არსად ვყოფილვარ ისეთი ბედნიერი, როგორც მალაგაშიო.

მალაგაში დაიბადა დიდი პაბლო პიკასო, და მალაგელები ამით უზომოდ ამაყობენ. ქალაქში არის მისი მუზეუმიც და სახლმუზეუმიც. მათში დაცულია დიდი ხელოვანის შემოქმედების ნა-

წილი. როგორც გვითხრეს, პიკასოს შთამომავლები საკმაოდ ფრთხილად ეპყრობიან დიდი წინაპრის საგანძურს და პრაქტიკულად კრძალავენ გალერეაში ყველანაირ გადაღებას. მუზეუმში დაცული ნიმუშებით კარგად ჩანს, როგორ იცვლებოდა მხატვრის მსოფლხედვა დროთა განმავლობაში, ადრეული – ძალიან რეალისტური სურათებიდან, ცისფერი და ვარდისფერი პერიოდების გავლით, ბოლო წლების რუხ, კუბიზმში გადმოცემულ შემოქმედებამდე. ვნახეთ სახლი მერსედის მოედანზე, სადაც დაიბადა გენიოსი მხატვარი. აქ რელიკვიადაა მიჩნეული ყველაფერი, რაც მის სახელთანაა დაკავშირებული: ბავშვობის ნათლობის პერანგი, ბალიში, რომელზე ჩვილ პაბლოს ეძინა, და ბევრი სხვა ყოფილი ნივთი. კიდევ ერთი ცხოვრებისეული ფაქტი პიკასოს ცხოვრებიდან: ბავშვი როცა დაიბადა, არ სუნთქავდა. ახალშობილი მკვდრად ჩათვალეს და ნათესავებმა აღარ იცოდნენ, როგორ ეთქვათ ეს დედისთვის. ამ დრამატულ მომენტში ახალშობილთან ბიძა მივიდა, განუყრელი სიგარით პირში, და ჩვილს უნებურად თამბაქოს კვამლი შეაბოლა. მოხდა საოცრება – ბავშვმა დააცემინა და სუნთქვა დაიწყო! თავისი ცხოვრების ბოლო პერიოდში, როცა პიკასოს სურათებში თავი იჩინა დანანევრებულ სიმბოლოთა რთულმა ნწყებამ, მას უყვარდა თავისი უჩვეულო დაბადების გახსენება და ამბობდა: ადამიანის შემეცნება ისეა მოწყობილი, რომ ხშირად ვერ ვამჩნევთ იმას, რაც ნამდვილად არსებობს, და ვხედავთ იმას, რაც არ არის. ანუ, როგორც ეკზიუპერის ერთი გმირი ამბობდა, რეალობაში ყველაფერი უფრო სხვაგვარადაა, ვიდრე სინამდვილეში. პიკასოც და ეკზიუპერიც იმიტომ არიან დიდები, რომ სამყაროს სხვანაირად ხედავენ, და ცდილობენ, ეს განსხვავებულობა ჩვენამდე მოიტანონ. ამიტომ უნდა ვუყუროთ სამყაროს ფართოდ გახელილი თვალებით, უნდა გვაოცებდეს და გვახარებდეს მისი სილამაზე, და ბევრ ახალს და მოულოდნელს დავინახავთ, ალბათ. ბანალურად ჟღერს, მაგრამ ეს ასეა.

პიკასოსთან ერთად, მალაგელები ამაყოფენ ანტონიო ბანდერასის თანაქალაქელობი-

თაც. მით უფრო, რომ დღეს ის საკმაოდ ბევრს აკეთებს ესპანური კინოს განვითარებისა და ახალგაზრდა მსახიობთა წარმოჩენისათვის. ბანდერასი მალაგის დიდი პატრიოტია და ხშირად ჩამოდის მშობლიურ ქალაქში. ყოველი წლის მარტში აქ იმართება ესპანური კინოს ფესტივალი, რომელშიც ანტონიო ბანდერასი მსოფლიო კინოს ვარსკვლავებთან ერთად ღებულობს მონაწილეობას. ეს კი, მოგეხსენებათ, ამავდროულად კარგი შემოსავალიცაა ქალაქისთვის.

მალაგიდან დაბრუნებულები, ბატონმა პოტიომკინმა თავის რეზიდენციაში მიგვიწვია. ძალიან საინტერესო პიროვნებაა, განათლებული, ზედმინევნით კარგად იცის საქართველოს ისტორია. განსაკუთრებით სამეგრელო უყვარს – ხშირად უსვამს ხაზს, რომ სოხუმში გაიზარდა, მეგრელებს შორის, და ეს დამოკიდებულებაც ბავშვობიდან მოდის. ბატონი ალექსანდრეს მეუღლე ქართველია, მანანა ჯანიაშვილი – ულამაზესი ქალბატონი, რომელიც, გარდა იმისა, რომ არაჩვეულებრივი დედა და მეუღლეა, საკმაოდ წარმატებით ხელმძღვანელობს ოჯახის არაერთ ბიზნესს. ის პროფესიონალი მოცეკვავეა, მინიჭებული აქვს აჭარის დამსახურებული არტისტის წოდება.

სახლი მარბელაში, სადაც ალექსანდრე პოტიომკინის ოჯახი ცხოვრობს, ესპანურ-მაროკოული სტილის ულამაზეს ნაგებობათა ანსამბლია, ფართო ეზოთი, საუცხოო ქანდაკებებითა და შადრევნებით. მფლობელების ნატიფ გემო-



ალექსანდრე პოტიომკინის რეზიდენცია მარბელაში



ვნებაზე მიუთითებს შენობის ინტერიერის თითოეული დეტალი. ცალკე დარბაზი ეთმობა ხელოვნების გალერეას – ალექსანდრე პოტიომკინის პირად კოლექციაში ხელოვნების არაერთი იშვიათი ნიმუში ინახება. სასახლე შემადღებულ გორაკზე მდებარეობს და ხელისგულივით დასცქერის კოსტა დელ სოლის მზიან სანაპიროს, გიბრალტარის სრუტეს, უფრო შორს – აფრიკის სანაპიროსაც... აქაურობა ნამდვილად წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს.

მარბელას რეზიდენცია – ალექსანდრე პოტიომკინის პერსონალური სამოთხეა. აქ ყველაფერს ეტყობა მასპინძლის დიდი სიყვარული, შრომა და ფული.

6 ნოემბერი – თავისუფალი დღე – ურთიერთობისთვის, დასვენებისთვის, ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე სეირნობისთვის, სადაც, შემოდგომის მინურულის მიუხედავად, გარუჯვას ცდილობდნენ მზეს და ზღვას დახარბებული ტურისტები. საღამოს „დავეხმარეთ“ მასპინძლის ქალიშვილს, ანასტასიას, ანდალუსიური კერძის – უზარმაზარი პაელიას მომზადებაში, რომლის დაუფინყარ გემოს ქმნის ოთხი მთავარი ინგრედიენტი – ბრინჯი, ბოსტნეული, ზღვის პროდუქტები და ღვინო. ფრაზა: **que aproveche!** (შეგერგოთ!)

7 ნოემბერს პოტიომკინების ოჯახის საგარეუბნო მამულში გავემგზავრეთ, რომელიც მარბელას შორიახლოს, ესტეპონაში მდებარეობს. სასახლე შემადღებულ გორაკზეა, ხელისგულივით მოჩანს კოსტა დელ სოლის სანაპირო და გიბრალტარის სრუტე. აქაურობას აფრიკის სანაპირომდე 15 კილომეტრი აშორებს მხოლოდ. როგორც მასპინძლებისგან გავიგეთ, სასახლის წინა მფლობელი კუვეიტის პრინცი ყოფილა. მართლაც სამეფო ადგილია – უზარმაზარ ტერიტორიაზე გაშლილი ავოკადოსა და მანგოს პლანტაციებით, ციტრუსის და ზეთისხილის ბაღებით, გოლფისა და ჩოგბურთის მოედნებით, იშვიათი ეგზოტიკური მცენარეების ხეივნებით, შადრევნებით, ქანდაკებებით, რეტრო და ვინტაჟური ავტომობილების პარკით, ხმელთაშუა

ზღვის სანაპიროზე გასასვლელი გვირავით... ეს არის მაროკოული არქიტექტურის, აზიური თვალისმომჭრელი ფუფუნებისა და ევროპული კომფორტის საოცარი ნაზავი. მოსავალი ჯერ არ იყო აღებული და ავოკადოს და მანგოს ნაყოფით დახუნძლული ხეები ისევე ელოდა მომვლელს, როგორც ჩვენში – ციტრუსის ბაღები.



ესტეპონას მამულში

ესტეპონას მამულიდან მასპინძლებმა მარბელას სასახლეში წაგვიყვანეს, სადაც დაუფინყარი სანახაობა გველოდა – ფლამენკოს შემსრულებელთა კონცერტი. აი, სად ფეთქდება ანდალუსიური მზით გაჯერებული ტემპერამენტი! მგზნებარე და გულწრფელი გრძნობების ამოფრქვევა, სიხარულისა და მწუხარების, სიყვარულის და სიძულვილის, სიამაყისა და სასოწარკვეთის მძაფრი გამოხატვა!

...როცა ბოლო გამოსვლა დაასრულეს, ერთ-ერთი მოცეკვავე წინ გამოვიდა და აგვიხსნა, რომ ფლამენკო სულაც არ მოითხოვს განსაკუთრებული მოძრაობების ცოდნას, და რომ ნებისმიერ ჩვენგანს შეუძლია მისი შესრულება ისე, როგორც თვითონ გრძნობს. და როცა რამდენიმე ჩვენგანი საგანგებოდ მონყობილ სცენაზე აიყვანა, ფლამენკოს მელოდიამ და რიტმებმა დაგვარწმუნა, რომ არსებობს ქართული ფლამენკოც, რომლის ერთ-ერთი (მერე რა, რომ არც ისე კარგი) შემსრულებელი მეც გავხდი.

ეს განცდა ნამდვილად აბედნიერებს.

ანდალუსიაში ემოციითა და შთაბეჭდილებებით სავსე ხუთი დღის შემდეგ, 8 ნოემბერს,



ქრისტეფორე კოლუმბის უკანასკნელი სავანე

სევილია გველოდა. თითქოს შევეჩვიეთ ახალი ემოციებისა და განცდების ამ უსასრულო ქარიშხალს, მაგრამ არა. თუ თქვენ სევილია არ გინახავთ, თქვენ არ გინახავთ ანდალუსია. შესაბამისად, არც ესპანეთი.

სევილია, ანდალუსიის დედაქალაქი, ესპანეთის სიდიდით მეოთხე ქალაქია. ქვეყნის მსხვილი სამრეწველო, სავაჭრო და ტურისტული ცენტრი. მილიონზე ცოტა ნაკლები მოსახლეობით, და უამრავი დღესასწაულით. აღმოჩნდა, რომ ანდალუსიურ კალენდარში 3000-მდე დღესასწაულია, და თუ აპრილიდან ნოემბრამდე პერიოდში ამ მხარეში მოხვდებით, დარწმუნებული იყავით, გართობას დასასრული არ ექნება.

ქალაქი ყოველთვის განებივრებული იყო თავყვანისცემით. რეალობა, მითი, მხატვრული გამონაგონი – აქ ყველაფერი ერთად იყრის თავს და ქმნის სურათს, რომელსაც აღფრთოვანებით უნდა შეხედოთ. მთავარი აკორდი აქ, რა თქმა უნდა, საკათედრო ტაძარია – სანტა მარია დელა სედე. „ჩვენ ავაგებთ ისეთ უზარმაზარ და დიდებულ ტაძარს, რომ ისინი, ვინც ჩვენს შემდეგ მოვლენ, ჩვენზე იტყვიან, გიჟები იყვნენო“ – ასე ამბობდნენ მისი აღმშენებლები, ლეგენდის თანახმად. ტაძარი საკმაოდ დიდხანს შენდებოდა, როგორც სევილიის სიმდიდრის დადასტურება და სიმბოლო. ქალაქის ძლევა მოსილება კი, თავის მხრივ, ოქროზე შენდებოდა, რომელიც უხვად მოედინებოდა კოლუმბის მიერ სწორედ ამ მიზნით აღმოჩენილი ოკენისგალმა კოლონიებიდან. გიდისგან გავიგეთ, რომ ტაძარი სიდიდით



სანტა მარია დელა სედე – სევილიის საკათედრო ტაძარი



მაყვალა გონაშვილი და დავით თედორაძე სევილიის საკათედრო ტაძარში

მესამეა მსოფლიოში, ვატიკანის წმინდა პეტრეს და ლონდონის წმინდა პავლეს ტაძრების შემდეგ, და რომ მისი არქიტექტურული სტილია პლატერესკო – მე-16 საუკუნის ესპანური რენესანსის მიმართულება, რომელშიც ექსტრავაგანტურადაა შერწყმული გოთიკური, მავრიტანული და რენესანსული დეკორატიული მოტივები. ტაძრის ინტერიერი შემკულია გოიას, ველასკესის, მურილიოს, დე სურბარანის ნახატებით. სევილიის საკათედრო ტაძრის საკურთხეველი უმდიდრესია მთელ ქრისტიანულ სამყაროში და აქ ქორწინების უფლება მხოლოდ ესპანეთის სამეფო ოჯახის წევრებს აქვთ. ტაძარშია ქრისტეფორე კოლუმბის საძვალე და ბიბლიოთეკა – კოლომბინო, სადაც ინახება კოლუმბის ყველა გადარჩენილი ჩანაწერი. აქვეა ძეგლი – ესპანეთის ოთხი მეფის ქანდაკება, რომლებსაც



სევილიის ალკასარის ციხესიმაგრე

მხრებით უჭირავთ კოლუმბის განსასვენებელი. ტაძარში დაცულია უდიდესი სიმდიდრე და რელიკვიები, მათი მატერიალური და მხატვრული ფასეულობა განუზომელია.

და მაინც, არა უზარმაზარი ტაძარი, არამედ მისი სამრეკლო – ხირალდა იქცა სევილიის სიმბოლოდ. თავისი ხანგრძლივი არსებობის მანძილზე მას რწმენის შეცვლაც კი მოუხდა: თავდაპირველად ის მავრების მიერ აგებული გრანდიოზული მეჩეთის მინარეთი იყო, რომელსაც, როგორც წესი, ნახევარმთვარე ამკობდა. დახვეწილ არაბულ ძეგლს, რა თქმა უნდა, საბედისწეროდ შეეხებოდა რეკონკისტას ხელი, რომ არა მისი მეორე დანიშნულება – მინარეთში ობსერვატორიაც იყო განთავსებული. და რადგან ესპანეთის იმდროინდელი მეფე ასტრონომიით იყო გატაცებული, მინარეთის სიცოცხლე ახალ სხეულში განახლდა: ის არათუ დაანგრის, ქრისტიანულ სამრეკლოდ გადააკეთეს და ახლა მას ამშვენებს ქარში მბრუნავი ფლუგერი – ქალის დახვეწილი ფიგურა, რომელიც რწმენას განასახიერებს.

ზუსტად ასევე, ესპანეთის მეფეებმა ხელი არ ახლეს თავისი წინამორბედი არაბი მმართველების სასახლე ალკასარსაც. ის იმდენად დიდებული აღმოჩნდა, რომ არაბი მმართველების განდევნის შემდეგ, ესპანეთის მეფე პედრო 1-მა არათუ დაანგრია, დააშენა კიდევაც და ამით უფრო გაზარდა და გაამდიდრა ალკასარი და მისი შემოგარენი. სასახლე მავრიტანული არქიტექტურისა და ევროპული გოთიკის შერწყმის ბრწყინვალე ნიმუშია. სხვათა შორის, ანდალუსი-



ესპანეთის მოედანი

ისთვის დამახასიათებელ ამ სიმბიოზს მუდუჰარის სტილს უწოდებენ. სევილიის ალკასარის ციხესიმაგრე იუნესკოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს წარმოადგენს. დღეს ის ესპანეთის სამეფო ოჯახის ოფიციალური რეზიდენციაა.

ქალაქის სავიზიტო ბარათია ესპანეთის მოედანი – 1929 წელს აგებული ნეომავრიტანული სტილის უდიდესი საქალაქო ანსამბლი, ცენტრში დიდი შადრევნით, რომლის არხებზე ულამაზესი პატარა ხიდებია გადებული. აქ შეიძლება ფეხით, ნავით, ველოკარეგით გასეირნება, ქუჩის მუსიკოსების შესრულებით ესპანური ფლამენკოს მოსმენა, ათასგვარი ანდალუსიური სუვენირის შეძენა. მოედანს გარს ერტყმის მავრიტანულ ელემენტებთან შერწყმული არტ-დეკოს არქიტექტურული სტილის ულამაზესი ნაგებობები; თითოეული ნიშა ეძღვნება ესპანეთის პროვინციებს. დღეს ამ ნაგებობებში განთავსებულია მუზეუმები და სევილიის მერია.

სევილიის სილამაზე და მაგია რომ შეიგრძნოთ, მისი ვიწრო ქუჩების ლაბირინთებში უნდა იაროთ, სადაც აივნები ერთი ხელის განვდენაზეა და ამიტომაც დაარქვეს ქალაქის ამ ნაწილს „კოცნების ქუჩა“; უნდა ნახოთ ულამაზესი ესპანური პატიო – შადრევნებით, მარმარილოს ფილებით, ყვავილებით შემკული ეზოები, რომლებიც ღია ცის ქვეშ მუზეუმს უფრო ჰგავს, ვიდრე თავმომწონე ესპანელების საცხოვრებლის შესასვლელს.



სევილია ცეცხლოვანი და ვნებიანი ესპანური ფლამენკოს სამშობლოა და სისხლში აქვს გამჯდარი მისი რიტმი. ფლამენკო – ეს არის მელოდიის, ხმის, რიტმისა და პლასტიკის აღმაფრთოვანებელი სიმბიოზი, რომელსაც კანტე და ბაილე – ტრადიციული ანდალუსიური სიმღერა და ცეკვა უდევს საფუძვლად. ზოგადად, ანდალუსიაში თვლიან, რომ ნებისმიერი აღნაგობის და ასაკის ადამიანი, რომელიც ფლამენკოს ცეკვავს, ერთნაირად მშვენიერია, რადგან ის გახსნილია და სხეულით საუბრობს თავის გრძნობებზე. ფლამენკოს მუსიკა და ცეკვა სტიქიურად იქმნება, აქ და ახლა, ამიტომაც, ეს ხელოვნება თავიდან ბოლომდე იმპროვიზაციაა.

აქაურები იმასაც ამბობენ, რომ ფლამენკოს სწავლა შეუძლებელია. ფლამენკოსთან ერთად ადამიანი იზადება, ცხოვრობს და კვდება. მისი შესრულებისთვის საჭიროა „დუენდე“ – შინაგანი ხმა, შინაგანი ძალმოსილება, რომელიც, როგორც გარსია ლორკა წერდა, ყელში კი არ ბუდობს, არამედ ტერფებიდან აღმოსწრაფვის. „ყველა ესპანელმა იცის, რომ კორიდას და ფლამენკოს აერთიანებს „დუენდეს“ მაგია: ეს არის სიცოცხლისა და სიკვდილის, სულისა და სულისკვეთების უდიდესი, ყოვლისწამლევანი დემონი. ესპანურ ცეკვაში და ხარების ბრძოლაში გასართობს არ ეძებენ. თავად ცხოვრება თამაშობს დუენდეს მიერ სამყაროდან გაქცევის საფეხურებზე დადგმულ ტრაგედიას, და შიგ გულში გვჭრის... არც ერთ ესპანელს არ სჭირდება ახსნა, თუ რა არის დუენდე. თქვენ კი გეტყვით: დუენდე ფლამენკოში – ეს არის მომღერლების სახეებზე აუტანელი დაძაბულობისგან დაბერილი ძარღვები, ეს არის მოცეკვავეთა ძლიერი ფეხების შეშლილი ბაკუნი მტვრიან იატაკზე, ეს არის დამუნჯებული ხელისგულების სულ უფრო აჩქარებული რიტმი... ეს განუმეორებელი მოვლენა ესპანელებს მიაჩნიათ ეროვნული სულისკვეთების მთავარი არსის გამოხატულებად. ფლამენკო ხომ სულის აღმასვლაა, აღზევება, ეს საჯარო და უკიდურესად გულწრფელი მონანიებაა, გამოხატული განსაცვიფრებლად პლასტიკური ფორმით... ფლამენკოს

თავანყვეტილი ვნება და ძალა რომ შეიგრძნო, უნდა ნახო ნამდვილი ფლამენკო – ის, რასაც ესპანელები საკუთარი სიამოვნებისთვის ასრულებენ და მაშინ იმათაც კი, ვისაც სიტყვაც არ ესმის ამ სიმღერებში, და წარმოდგენაც არ აქვთ ამ მოძრაობების, სუნთქვა ეკვრით და გული ძგერას იწყებს ფლამენკოს შემსრულებლის ქუსლების მიერ გამოცემული შეშლილი რიტმით. არც ერთ ანდალუსიელს არ შეუძლია ამ გამოძახილის მოსმენა მშვიდად, არც ერთ ესპანურ ლექსს არ გააჩნია ისეთი პოეტური ძალმოსილება, და იშვიათად ქმნის ადამიანის სული ასე სტიქიურად...“ – ლორკაზე უფრო ხატოვნად და პოეტურად ამას ვერასდროს ვერავინ იტყვის.

სევილია – სიყვარულის და თავისუფლების, უმნიკვლოებისა და ცდუნების, ლეგენდარული კონტრასტების ქალაქია. ეს ერთადერთი ადგილია მთელ ესპანეთში, სადაც შეიძლებოდა წარმოქმნილიყო ესოდენ ჭრელი და ერთი შეხედვით შეუთავსებელი ნაზავი. არსად ანდალუსიაში და, ალბათ, მთელ ესპანეთშიც, მომხიბვლელობა და თვითმყოფადობა ისე თეატრალიზებული და ხაზგასმულად არ არის წარმოდგენილი, როგორც სევილიაში. ტყუილად როდია, რომ სასიყვარულო თავგადასავლები, ცდუნებები და ლალატი – ოთხი უდიდესი ოპერის მთავარი სიუჟეტი – წარიმართება სწორედ სევილიაში. როგორც ამბობენ, „ფიგაროს ქორწინების“, „სევილიელი დალაქის“, „დონჟუანისა“ და „კარმენის“ გენიალური ავტორები თავად არასოდეს ყოფილან სევილიაში, თუმცა კარგად ხვდებოდნენ, რომ ვნებების ქარიშხალი სწორედ აქ უნდა ეძებნათ. სევილია სცენაა, ხოლო კარმენი და დონჟუანი, რომლებმაც სახელი გაუთქვეს თავისუფლებასა და სიყვარულს, – ამ სცენის ორი ყველაზე დაუვინყარი გმირი. და თუ თამბაქოს ქარხანაში მომუშავე ვნებიანი ბოშა ქალი, ასე თუ ისე, მაინც გამოგონილი პერსონაჟია, მშვენიერი სქესის გულთამბყრობელი, მაცდური დონჟუანი სრულიად რეალური პიროვნებაა, რომელსაც ესპანელებმა ძეგლი დაუდგეს და თან ისე გააკეთილშობილეს, რომ მის რეალურ პროტოტიპად, ბოროტი დონ ხუან ტენორიოს (რომლის სახელ-

საც, სასიყვარულო ინტრიგებთან ერთად, ბევრი დანაშაული და სი-სასტიკე უკავშირდება) ნაცვლად, ასევე რეალური და არანაკლებ სკანდალური პიროვნება – დონ მიგელ დე მანარა მიიჩნის, რომელსაც მექალთანე ბუნებამ ხელი არ შეუშალა, ბევრი სიკეთე ეკეთებინა მშობლიური სევილიისთვის, თუნდაც სიბერეში... მიკერძობული ისტორიაა, მაგრამ როცა ერი გმირს ქმნის, ალბათ, ესეც დასაშვებია.

კეკლუცი კურტიზანი ქალები, მოლაღატე ცოლი, საბედისწერო, ვნებიანი სატრფო, ეჭვიანი საყვარელი, პროფესიონალი მაცდური – სევილიის პორტრეტის ერთი მხარეა. მეორე მხრივ, ქალაქის სახეა მორწმუნეთა უსაზღვრო თავდავინყება რელიგიური დღესასწაულების დროს გამართულ მსვლელობებში, ლოცვისა და მონანიების ფანატიკური მზადყოფნა, სევილიის ეპარქიის მონასტრებისა და ტაძრების წარმოუდგენელი რაოდენობა... აი, ეს ნაზავი მძაფრი ღვთისმოსაობისა და ასევე მძაფრი თავაშვებულობისა ქმნის მითს სევილიის შესახებ, რომელსაც დღესაც წარმატებით ასაზრდოებს ანდალუსიური მზითა და ფლამენკოთი გაჯერებული სამხრეთული ტემპერამენტი.

წარსულის საინტერესო ფაქტი. სევილიის ბოშურ რაიონში – ტრიანაში პირველად გახსნილ ოფიციალურ საროსკიპოში გოგონებს „სამუშაოდ“ ღებულობდნენ რამდენიმე პირობით: უნდა ყოფილიყო 12 წელზე მეტი ასაკის, არ უნდა ყოფილიყო გათხოვილი, და არ უნდა რქმეოდა მარია (!). ასეთი იყო იმ დროის მორალის, ზნეობრიობისა და რელიგიურობის, ჰედონიზმისა და ასკეტიზმის სევილიური მაგალითი.

ულამაზესი ანდალუსია! მის სახეში შერწყმულია ყველაფერი: არაბული აღმოსავლეთის განცხრომა და გადაჭარბებული დეკორატიულობა, აფრიკული ელვარება, გოთიკური ფორმე-



ფორუმის მონაწილეები

ბის დამთრგუნველი დიდებულება; მის ხასიათში კი გაერთიანდა ზღვარგადასული ესპანური ქრისტიანული რწმენა და მოუთოკავი ვნება – სამხრეთული ფეთქებადი ტემპერამენტი, მისივე ყოვლისშთანთქმელი უზრუნველობით. მკვეთრი და თეატრალიზებული ღვთისმოსაობის ფონზე, განსაკუთრებით თვალმისაცემია ისლამური ესთეტიკა. ის აქ ყველაფერში იგრძნობა – არქიტექტურაში, კულტურაში, ყოფიერებაში. სწორედ ესაა ანდალუსიის დამახასიათებელი ნიშანი.

ფორუმის მონაწილე ესპანელი ქალბატონი, რომელიც ამ ქვეყნის კულტურას ასწავლის ახალგაზრდებს, გვიყვება სხვა, ჩვენთვის უცნობი ესპანეთის შესახებ, სადაც ჩაისახა ერთ-ერთი ყველაზე გასაოცარი და ორიგინალური ხელოვნება, რაც ოდესმე არსებულა მსოფლიოში. ხელოვნება, რომელიც უსამართლოდ მოექცა დანარჩენი ევროპის კულტურის ჩრდილში, ხელოვნება, რომლის შესახებაც ძალიან ცოტა რამ ვიცით, მაგრამ ეს ის ხელოვნებაა, რომელსაც უნდა ვიცნობდეთ, რადგან სწორედ მასში დევს ევროპული კულტურის საიდუმლოს გასაღები.

დავინცოთ სამხრეთიდან. ბევრი ტურისტისთვის, უმთავრესად, ესაა ესპანეთი – ზღვა, მზე და ოქროსფერი ქვიშა, მაგრამ, პლაჟებისგან მო-

შორებით, განსაცვიფრებელი ღირსშესანიშნაობებია: დიდებული სასახლეები, ციხესიმაგრეები, ტაძრები, მეჩეთები. ეს უკანასკნელი – შეხსენებაა გარდასული საუკუნეების კულტურისა, როცა ესპანეთის უდიდესი ნაწილი იწოდებოდა ალ-ანდალუსად – 700 წელზე მეტი ხნის განმავლობაში მას მავრები მართავდნენ. სამხრეთი ესპანეთი აღმოსავლური და დასავლური სამყაროს შეხვედრის უნიკალური ადგილი იყო, და ამ შეხვედრის შედეგად მოხდა აფეთქება. ეს არის ისტორია იმისა, თუ როგორ გახდა მავრიტანიული ესპანეთი მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი ცივილიზაცია, რომელმაც შექმნა ესპანეთის და დანარჩენი ევროპის სახე.

სამხრეთ ესპანეთის უკიდურეს სამხრეთით, ხმელთაშუა ზღვაში, ამოზიდულია გიბრალტარის კარიბჭედ წოდებული უზარმაზარი კლდე. 711 წლის 30 აპრილს ბერბერმა მხედართმთავარმა, ტარიქ იბნ ზეიადმა, ჩრდილოაფრიკული არაბული ტომებისგან შემდგარი არმიით, გადმოცურა სრუტე და აფრიკის კონტინენტიდან გადმოვიდა გიბრალტარზე (ღიბრ ალ ტარიქ – ტარიქის კლდე), საიდანაც მთელ იბერიის (პირენეი) ნახევარკუნძულს მოედო. გზადაგზა აგებდნენ თავდაცვით-გასამაგრებელ ნაგებობებს. დაპყრობითი ომი სამ წელიწადს გაგრძელდა. მხოლოდ უკიდურესი ჩრდილოეთის მიუვალი მთებით დაცულმა ესპანეთმა შეძლო მომხდური მტრისთვის წინააღმდეგობის გაწევა. დანარჩენი ესპანეთი გახდა ნაწილი უზარმაზარი ისლამური იმპერიისა, რომლის საზღვრები ინდოეთამდე იყო გადაჭიმული. შეიცვალა სახელწოდებაც – ჰისპანია ალ-ანდალუსად გადაიქცა. მისი ახალი მმართველები იყვნენ არაბები, ჩრდილოაფრიკელები, ეგვიპტელები, სირიელები, და მათ ჰქონდათ საერთო სახელი – მავრები.

ამ დროისათვის მომხდურთა შემოსევები თითქმის ჩვეული მოვლენა იყო ესპანეთის მოსახლეობისთვის. მის დაპყრობას მუდმივად ცდილობდნენ უცხოტომელები – რომაელები, კელტები, ვესტგოთები, არაბები... მაგრამ თუ თქვენ

ფიქრობთ, რომ ესპანურ მინაზე მუსულმანი და ქრისტიანი ხალხების შეჯახება აფეთქებას გამოიწვევდა, თქვენ მართალი ხართ – აფეთქება მოხდა. მაგრამ არა ის, რაც მოსალოდნელი იყო. ეს გახლდათ ხელოვნებისა და კულტურის აფეთქება. სწორედ ამ აფეთქებაშია ესპანური კულტურის უნიკალურობის გასაღები.

არაბთა ბატონობის საწყის პერიოდში – მე-8-10 საუკუნეებში ალ-ანდალუსში სრულიად ტოლერანტული რელიგიური ვითარება სუფევდა. აქ ჰარმონიულად თანაცხოვრობდა მუსლიმური, ქრისტიანული და ებრაული სარწმუნოება. გამარჯვებული მავრები არ ცდილობდნენ ქრისტიანებისა და იუდეველების თავის რწმენაზე მოქცევას. მათ რწმენის თავისუფლებაც კი მისცეს. ალ-ანდალუსის ქრისტიანებიც სიამოვნებით ითვისებდნენ არაბულ კულტურას. მავრების ბატონობის სამი საუკუნის შემდეგ ესპანეთის მოსახლეობის 70 პროცენტი მუსლიმი გახდა, როგორც ისტორია გვაუწყებს, განსაკუთრებული ძალდატანების გარეშე.

არაბული კულტურა დიდ გავლენას ახდენდა მოსახლეობის იმ ნაწილზეც, ვინც ქრისტიანობა შეინარჩუნა. მათ „მასარაბებს“, ანუ „გაარაბებულებს“ უწოდებდნენ. დროთა განმავლობაში, მათაც გადაიღეს ახალი მმართველების სამოსი, ენა და ჩვეულებები.

უცნაურად იზიდავდა არაბული ცივილიზაცია შუა საუკუნეების ესპანეთს. საქმე ისაა, რომ იმ დროისათვის ესპანეთი ერთგვარ კულტურულ უდაბნოს წარმოადგენდა, რომლის მცხოვრებლები რთულ, პირქუშ ცხოვრებას ეწეოდნენ. და უცებ ჩნდება ეს ცოცხალი, ფერადოვანი, დახვეწილი, უპირველესად – გრძობადი კულტურა, ულამაზესი არაბული არქიტექტურით, ხელოვნებით. მავრებმა აქ შემოიტანეს აბანოების კულტურა, რომელიც ერთგვარი განცხრომის სიმბოლოდ იქცა, მასთან ერთად მოიტანეს ვარცხნილობის და ნელსურნელების კულტურა; მათი წყალობით, დასავლეთმა პირველად გაიგო სხეულის სანმენდი საშუალებების შესახებ. ყოფიერების ყველა მხარეს მავრები ეპყრობოდ-



ნენ, როგორც ხელოვნების ნიმუშს, იქნებოდა ეს სამოსი, მოსართავი თუ საკვები. მათ აზიარეს ესპანეთი კულინარიული ხელოვნების განსხვავებულ სამყაროს, შემოიტანეს უამრავი ახალი ინგრედიენტი, რომლებმაც შეცვალა ესპანური და, ზოგადად, დასავლეთევროპული სამზარეულო: ბრინჯი, ყავა, შაქარი, ციტრუსოვნები, შაფრანი, წინაკა, კორიანდრი, ბაზილიკი... უდაბნოდან მოსული ადამიანებისთვის ალ-ანდალუსის მინა იძლეოდა დიდ შესაძლებლობებს სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის. მათ თან მოიტანეს უამრავი საშუალება გვალვიანი მიწების დამუშავებისთვის, ააგეს სარწყავი სისტემები, არხები, გააშენეს ზეთისხილის და ციტრუსის ბაღები, ვენახები... ესპანეთს მანამდე არასდროს ჰქონია ასეთი კეთილდღეობა. ასე იქცა ის სამოთხის ბაღად. ეს იყო მცდელობა – შექმნილიყო სამოთხე დედამიწაზე.

მავრების ტრაპეზის ნაწილი მხოლოდ საჭმელი არ ყოფილა. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ისინი ალკოჰოლური სასმელებითაც ინებივრებდნენ თავს. ყურანი კრძალავდა ალკოჰოლის მიღებას, მაგრამ მუსულმანურ ესპანეთში მას მაინც დიდი რაოდენობით ამზადებდნენ და მოიხმარდნენ. თავად სიტყვა „ალკოჰოლი“ არაბული წარმომავლობისაა, არაბები მას იყენებდნენ კოსმეტიკასა და მედიცინაში, ასევე, სასმელად.

მავრები ზრუნავდნენ არა მხოლოდ გრძნობების სიტკბოებაზე, არამედ გონების სრულყოფაზეც. წერა-კითხვა იმდენად დაფასდა, რომ მათ კალიგრაფია უცნაური ხვეულების გამოსახვის განსაკუთრებულ ხელოვნებად გადააქციეს. მავრები ამ საქმეს და, ზოგადად, წიგნიერებას ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. მავრიტანიული ესპანეთის დედაქალაქ კორდოვაში უამრავი ბიბლიოთეკა იყო. ერთ-ერთ მათგანში 400 000-ზე მეტი წიგნი იყო დაცული, რაც ათჯერ მეტია, ვიდრე იმდროინდელი ევროპის ყველა ბიბლიოთეკაში ერთად.

მავრებმა დიდ წარმატებას მიაღწიეს ფილოსოფიაში, ლიტერატურაში, მედიცინაში, მათემატიკასა და სხვა მეცნიერებებში. არაბთა წვლილი

ევროპული აზროვნების განვითარებაში მართლაც უდავოა. სხვებთან ერთად, უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ალ-ანდალუსის წყალობით დასავლეთმა ხელახლა აღმოაჩინა ძველბერძნული ფილოსოფია და გადმოიღო ციფრების ინდოარაბული სისტემა, რომლითაც დღეს ვსარგებლობთ.

...სამი საუკუნე გაგრძელდა მავრიტანიული ესპანეთის აყვავების ხანა. მერე დაიწყო არაბულ დინასტიათა შინაომები და „ოქროს საუკუნე“ დასრულდა. ამის მიზეზად ზოგი მიიჩნევს ესპანეთის მუსლიმურ ტომებს შორის გაჩაღებულ სასტიკ კონკურენციას, ზოგი – მეტისმეტ სიმდიდრესა და ფუფუნებას, რასაც მმართველობის დეგრადაცია მოჰყვა. შესაძლოა, აქაურ არაბებს მათივე წარმატებამ მოულო ბოლო.

მე-11 საუკუნიდან ალ-ანდალუსი დაიყო ათობით დამოუკიდებელ ქალაქ-სახელმწიფოდ, რომლებიც ტერიტორიებისა და ძალაუფლებისთვის ებრძოდნენ ერთმანეთს. სიტუაცია მოსახლეობისთვის ჯერ გაუარესდა, მერე დამძიმდა.

მომდევნო 2 საუკუნის მანძილზე ქვეყანა უმძიმეს ისლამურ რეჟიმში მოექცა. არაბები სისასტიკეს იჩენდნენ აქაური ქრისტიანებისა და იუდეველების მიმართ, და პერიოდულად ჯიჰადს უცხადებდნენ ქრისტიანულ ჩრდილოეთს. რეჟიმის აგრესიულობამ მძლავრი კონფორტაცია გამოიწვია, რომელიც ჯერ სევილიის ქუჩებში გამოვიდა, შემდეგ მთელ ალ-ანდალუსს მოედო. ესპანეთის ჩრდილოეთის დამოუკიდებელი სამეფოები ანდალუსიისთვის ბრძოლისთვის იკრებდნენ ძალას. მავრთა მკაცრმა მმართველობამ მტრობა გააძლიერა და შედეგად გაძლიერდა რეკონკისტა – 4-საუკუნოვანი ჯვაროსნული ლაშქრობა მუსლიმთა წინააღმდეგ. ესპანელმა მეფეებმა ნაბიჯ-ნაბიჯ წაიწიეს სამხრეთით, ანდალუსიისკენ, შედეგად, ერთიმეორეს მიყოლებით ეცემოდა მავრიტანიული ესპანეთის მუსლიმური ქალაქები. 1248 წელს ესპანეთის მეფეებმა სევილია აიღეს. მათ დაანგრეს დიდი მეჩეთი ქალაქის ცენტრში და ააგეს უზარმაზარი გოთიკური საკათედრო ტაძარი, სამრეკლოს, იგივე მინარეთის შენარჩუნებით. ტაძრის

ინტერიერში მავრიტანიული ესთეტიკა მაინც მკვეთრად შეიგრძნობა. შეიძლება ითქვას, რომ ის ერთდროულად ღრმად ესპანურიცაა, ღრმად მავრიტანიულიც და თვალსაჩინოდ კათოლიკურიც. საყოველთაო აღიარებით, მსგავსი არაფერია მსოფლიოში.

კათედრალური ტაძარი ერთადერთი ძეგლი როდია სველიაში, რომელსაც მავრიტანიული კვალი ღრმად ეტყობა. ასეთივეა ალკასარი – მავრიტანიული ემირების ღირსი სასახლე. და რადგან ალკასარი აიგო, როგორც სასახლე და არა როგორც მეჩეთი, ესპანელი მონარქები მასში არ ხედავდნენ მავრიტანულ სანყისს. ამიტომ ყოველი მომდევნო მონარქი დიდი მონდომებით იცავდა და ამდიდრებდა მას, როგორც სამეფო სამყოფელს. ალკასარი – ეს არის არაბული კულტურისა და არქიტექტურის ნიმუში, რომელსაც დღემდე ყველა ესპანელი მონარქი თვალისჩინოვით უფრთხილდება – მათ ვერ შეძლეს მათსავე კულტურაში ამ სტილის განადგურება, ისევე, როგორც ვერ შეძლეს მისი გადაყვარება.

...1492 წელს უკანასკნელი მავრიტანიული სამუდამოდ დაემშვიდობა ალ-ანდალუსს. ამით დასრულდა მავრიტანიული ესპანეთის ისტორია.

და მაინც, დღესაც, სამხრეთ ესპანეთში მოგზაურობისას, სრულად შეიგრძნობ მის მავრიტანულ წარსულს. ალ-ანდალუსი თანამედროვე ესპანეთის ძარღვებში ჩქეფს. სწორედ ესაა ერთი იმ თავისებურებათაგანი, რაც ესპანელებს ესპანელებად აქცევს.

ანდალუსიური დღეები დასასრულს მიუახლოვდა.

ფორუმის დასკვნითმა საღამომ ყველაფერი დაიტია – ლიტერატურა და ეკოლოგია, აზროვნების საკითხები და ეკო-ადამიანის ცნობიერების თავისებურება, თითოეული ჩვენგანის ემოცია და დაუსრულებელი შთაბეჭდილებები.



ფორუმის დასკვნითი საღამო



მასპინძელთან ერთად

...იქ, სადაც ევროპა ხვდება აფრიკას, ჩვენ დავემშვიდობეთ ანდალუსიას – ყველაზე სამხრეთ, ყველაზე ცხელ და ყველაზე ესპანურ ესპანეთს.

დავემშვიდობეთ მშვენიერსა და მგზნებარეს, მისტიკურსა და იდუმალს, ვნებიანსა და მრავალსახოვანს, მეოცნებესა და დრამატიზმით აღსავსეს...

აქაურობის მომაჯადოებელი რიტმი დიდხანს გაგვყვება და შეგვახსენებს უმშვენიერეს ქალაქებს, რომელთაც მხოლოდ ღიმილი ემეტებათ სტუმრისთვის.

ადიოს!



# პანანა რიტიშვილი

სტუდენტობის მეზობარს,  
დავით თედორაძეს,  
მისი რჩეულის წაპითხვის შემდეგ

თუ სიყვარულზე მოვიდა  
ლექსი, ვაჟღერეთ ქნარი,  
რას გეუბნება ცოლი და  
ჩემი რას ფიქრობს ქმარი.

დაფრინავს ციციანათელა,  
ნათობს კარიდან კარად,  
იციან, ლექსის საწერად  
ხან რომ ოცნებაც კმარა.

იციან, ალბათ, ჩქარობენ,  
ლიმით ხვდებიან სტუმარს,  
ლექსზე თუმც ეჭვიანობენ,  
მაინც ამაყად სდუმან.

ბევრჯერ ამაოდ ვილოცეთ,  
სიმნი გამწყდარნიც ჟღერენ...  
იმდენ სიყვარულს ვინ მოგვცემს,  
ჩვენ რომ ლექსებში ვწერეთ.

რალა ცრემლებმა გაგვწუნონ,  
ვიდრე ჩვენი მზეც ჩავა,  
ვწერთ, ვილამაზებთ სანუთროს,  
ვითომ ვუყვარდით მავანს.

ვიცხოვრეთ სხვაზე მეტობით,  
ვეყმეთ კახეთს და მუცოს,  
უფრო შორეულს ვეტრფოდით,  
მიუწვდომელს და უცხოს.

თავს არც იოლად ვუყადრით  
 დრო-ჟამს, მივყვებით კიბეს...  
 იქნება კიდეც ვუყვარდით,  
 იქნებ გვიყვარდა კიდეც.

წარსული ჯერაც აქვეა,  
 ლექსით ვაბრუნებთ ხურდას...  
 ანდა ვისი რა საქმეა,  
 ვინ გვიყვარდა და გვძულდა.

მზე აფრინდება გორიდან,  
 გულივით გვიძგერს ქნარი,  
 რას გეუბნება ცოლი და...  
 ჩემი რას ფიქრობს ქმარი.

## ელემბი

### მხატვარ ზურაბ ხაბაძეს

ჩამოდის წვიმა  
 და თვალები სველი აქვთ ფანჯრებს,  
 ეს გზაც შორს მიდის,  
 როგორც ყველა გზები მიდიან,  
 ვინ დაგვიამებს  
 მტკივნეულად გადაღლილ მაჯებს,  
 ან ერთგულებას, ან სიყვარულს  
 სადა ჰყიდიან.

ვის ენაღვლება,  
 მარტოობა შენი ვინ იცის,  
 სული სავსეა  
 ამაო და უტყვი ვედრებით...  
 ცხელ ტალღასავით გადაივლის  
 გულზე ივლისი,  
 თივის ურემზე  
 ყაყაჩოთა თბილი ცხედრებით.

შენც კარგად იცი,  
 აქ ტირილი ვერას გიშველის,  
 ყრუა სოფელი,  
 შენს გოდებას ვის გააგონებ...  
 ქუჩაბანდებში ჩამოივლის

წვიმა შიშველი,  
შენ რომ ყოველთვის  
ანგელოზის ცრემლებს გაგონებს.

სხვათა უჩუმრად  
თვალზე ცრემლი მაინც მიცოცავს,  
თითქოს სმენასაც აღარ ატკობს  
შაშვის გალობა,  
უფალმა როცა  
ღვთაებრივი ნიჭი გიბოძა,  
ეგ უსაშველო მარტოობაც  
მან გინყალობა.

ცრუა სანუთრო,  
დრომ შენთვისაც ბინდი დაფინა,  
ჩამოგიჯდება პალიტრაზე  
მთვარე ინახად,  
ერთად ხომ მხოლოდ  
ყვავ-ყორნების გუნდი დაფრინავს,  
არწივთა გუნდი ვის სმენია  
ან სად გინახავს.

ჩამოდის წვიმა  
და თვალეები სველი აქვთ ფანჯრებს,  
ეს გზაც შორს მიდის,  
ისე როგორც სხვები მიდიან...  
ვინ დაგიაშებს  
მტკივნეულად გადაღლილ მაჯებს,  
არც ერთგულებას, არც სიყვარულს  
არსად ჰყიდინ.

### რანაირი ბაზაფხული მოვა...

ქარი ეხლა საალერსოდ მიწვევს,  
იამინდა, გადაიღო თოვამ...  
ნეტავ, მე რომ არ ვიქნები იმ წელს  
რანაირი გაზაფხული მოვა?

კვლავ ის ფერი თუ ექნება ნისლებს?  
ამ ცის თალებს, ცისფრად შემოგარსულთ?  
ან ტყემალი ემსგავსება ისევ?  
ქორწილიდან გამოპარულ ასულს?



მთებსა ვძრავდი სასურველის პოვნად,  
 ვგავდი ჟინით მყვირალობის ირემს.  
 ან იმ ქვეყნად მომდევს ვინმეს ხსოვნა,  
 ან ამ ქვეყნად ვეხსომები ვინმეს?!

ქარი ახლა საალერსოდ მიწვევს.  
 სულს მოსწყურდი... გადაილო თოვამ,  
 ნეტავ, მე რომ არ ვიქნები, იმ წელს,  
 რანაირი გაზაფხული მოვა?

### სვფრინდეთ ცაში

ნურაფერს იტყვი,  
 თუ გკითხავენ ჩემზე – „ვინ იყო?“  
 ნუხელის თოვდა,  
 ამ დილით კი ქარი ავშავობს,  
 რაცა ვარ, ეს ვარ,  
 ან ასეთი უნდა მიმილო,  
 ანდა ხსოვნაში  
 ჩემი ყველა კვალი ნაშალო.

ცრემლები დამდის,  
 თუ დამდნარი თოვლის წვეთები  
 ბრწყინავენ ლანვზე,  
 გული ჩემი ისევ ზვარაკობს...  
 ნუ შემომხედავ,  
 თუ უეცრად შეგეფეთები,  
 ჩვენს სიყვარულზეც  
 სხვას არავის ელაპარაკო.

არც ყალბად ვმორცხვობ,  
 არც ზედმეტად რაიმეს ვჩემობ,  
 თაფლის ერთ წვეთთან  
 შხამის ათი თასი დავცალე,  
 ვინ შეგიფასებს  
 იმ წარსულის შნოსა და გემოს,  
 მხოლოდ ქილიკით გაგქირდავენ,  
 შენ გენაცვალე.

მალე ამ ატმებს  
 გაზაფხული ვარდისფრად გაშლის,  
 ჩაივლის ზამთრის სიცივე და

დავიდარაბა,  
ჩამკიდე ხელი,  
ერთხელ მაინც ავფრინდეთ ცაში,  
ავფრინდეთ ცაში,  
მერე რა, რომ ფრთები არა გვაქვს.

### რა უცხო ფერის ყოფილა

რა უცხო ფერის ყოფილა,  
რომ თქვეს –  
„სანუთრო ბინდია“,  
ასე მგონია, მზის სხივი  
სულ ჩემს ერდო-ბანს ჰკიდია.  
შენს გზაზე ვარდი მღუარი,  
წყალზედაც ოქროს ხიდია,  
წამია ჟამი შეყრისა,  
გაყრისა ბევრად დიდია,  
შენსკენ მოვილტვი  
იმგვარად,  
სამოთხეში რომ  
მიდიან.

### ბახსოვს, მიყვარდი

გადავიღალე  
სიყვარულის ამდენ დათმენით,  
ვარ დადაღული  
მარტოობის საშინელ დამლით,  
იქნება ჯობდა,  
რომ არასდროს მეთქვა სათქმელი,  
ან იქნებ სულაც  
სიყვარულის გამხელა არ ღირს.

კიდევ კარგა ხანს  
ეს ტკივილი ალბათ მეყოფა,  
დარჩენილი ვარ  
ამ შფოთიან ქარის ამარი...  
მე სიყვარულში  
არც არავინ გამადელოფლა,  
არც საოცნებო  
არ ამიგეს კომპი ყამარის.

გახსოვს მუსიკა? –  
 უნაზესი შრიალი ხეთა,  
 გადაუარა ჩვენს ნაკვალევს  
 შემდეგ ბალახმა...  
 ჩემი იყავი,  
 არ ყოფილხარ თუმც მამინ ჩემთან,  
 ახლა ჩემთან ხარ,  
 მაგრამ მაინც ჩემი არა ხარ.

გადავიწყა  
 სულმა უკვე სუყველა ლოცვა,  
 ამოუცნობი სურვილები  
 გაკრთნენ ბაგეზე,  
 გახსოვს, მიყვარდი,  
 არ იყავი ჩემს გვერდით როცა,  
 ახლა ჩემთან ხარ  
 და სიყვარულს სხვაგან დავეძებ.

### ვერ ბაბუმხილე

არც ბალი მქონდა ვარდისა,  
 არც ყანა – ნადით სამკალი,  
 რა მრჯიდა, ასე უღმერთოდ  
 რა თავი შემოგაკალი.

როდიღა მახსოვს ედემი,  
 სურნელი შროშნის მინდორთა,  
 მე არც ის გველი მინახავს,  
 არც რადმე ვაშლი მინდოდა.

და თუმც არასდროს გაჩვენე  
 სახე ცრემლებით ნალტობი,  
 იცი, რა ხნიდან მიყვარდი,  
 იცი, რა დროდან გნატრობდი.

სურვილით ჩამოვკიოდი  
 ქარით გაპობილ ნაპრალებს,  
 ვერ გაგემხილე, ყოველი  
 გველს და ვაშლს გადავაბრალე.

ნეტავ რა ბედი დამწერეს,  
 გამთალეს ვისი ნეკნიდან,

ჩემი დაშლილი დაღალი  
ვის მკლავზე გადმოეკიდა.

მერე კი ზეცას შევტირე  
ცრემლით დაღორთხილ სახეთი,  
მსურდა და... ვერ დაგარჩინე,  
არ გინდოდა და... ნახვედი.

არც ბალი მქონდა ვარდისა,  
არც ყანა – ნადით სამკალი,  
რა მრჯიდა, ასე უღმერთოდ  
თავი რად შემოგაკალი.

### ბზობა ქსანში

წელსაც ვერ მოგივალ ბზობას,  
გული გახელდება ძგერით,  
როგორ მოვიხდინეთ ყმობა,  
როგორ გავილაღეთ მტერი.

წყალო, პაპიჩემის ცრემლო,  
ნისლო, ნაფთილარო დედის...  
ჩექმით ჩათელილი მდელო,  
უღვთოდ ნაჭერილი ღვედი.

ცაო, თუ ველარას გვშველი,  
დროც თუ უკუღმართად მიგვდის,  
მინაჩაბლუჯული ხელით  
თვითონ შემოვიკლავ სიკვდილს.

### ხვალ ბაბინსენებს

ონავრობს მარტი,  
ბუჩქის ძირას ენძელებს ნაბავს,  
დროის ქარებმა  
კვლავ უღმობლად მოგითარეშეს,  
პოეტი იყავ,  
ტანთ ფოთლების  
გემოსა კაბა,  
ვერ წერდი ლექსებს  
უსისხლოდ და გულის გარეშე.  
გიყვარდა, გძაგდა,

მინიერი იყავი რახან  
და მუხლს უყრიდი  
უძვირფასეს წლებს და სახელებს,  
და ეს მამული,  
გულგრილობის ნისლში რომ გმარხავს,  
ხვალ გაგიხსენებს  
და ცრემლებით წამოგაყენებს.

### მამის ბახსენება

ყველას გვაქვს ამ ცის ვალი და ვახში,  
სვლა მთვარის გზებით ცუდად ამიხდა...  
დავბრუნდი ერთხელ ჩემს ბებერ სახლში  
და მამაჩემი შინ არ დამიხვდა.

ჩამოენგრია უცხო ხელს ღობე,  
თითქოს ჭინჭარმა მკერდზე დამსუსხა,  
ბევრი ვეძახე შორს წასულ მშობელს,  
მაგრამ არავინ არ მიპასუხა.

არ შემრჩენოდა ტირილის ძალა,  
ვუმზერდი ჩუმი ვაებით მდნარი, –  
ღობეზე მამის გაცრეცილ ხალათს  
ქვითინით როგორ ფლეთავდა ქარი.

### ეპოს მონოლოგი

ტყისპირს, გათიბულ ღიღილოებში ვწევარ,  
მთვარე უცნაურ და უცხო ჩრდილებს ლანდავს...  
ცხელი ჩურჩული: „მოხვალ, ძვირფასო ევა?“  
და უფრო ცხელი: „უკვე შენთან ვარ, ადამ!“

ბაგეა სველი და სურვილისგან ბრწყინავს,  
ეს სარეცელი მინდვრის ბალახით ვკერე...  
ოლონდ ნუ მეტყვი, რომ არ გიყვარდი წინათ, –  
არც შეხვედრამდე და არც შეხვედრის მერე.

მკვდარ გვირილებზე გასრიალდება გველი  
და თივის ზვინზე ქრელი ლენტვივით ცოცავს, –  
შენ არ მიბოძე ეს ნეტარება მწველი?!  
შენ არ მასწავლე ასე მხურვალე კოცნა?!



თმები ჩაშლილი, როგორც შრიალა ლელი,  
 მახვილი ბაგე და მკერდი მარმარით თლილი...  
 ღამე – იმ პირველ ცოდვისნაირად ბნელი,  
 ღამე – იმ პირველ ცოდვისნაირად ტკბილი.

რა დამავინყებს მრისხანე ქუხილს –  
 „ევა!“  
 ზეციურ ბალებს, იმათ ხიბლსა და ჯადოს...  
 ახლა ქალი ვარ...  
 ახლა დედა ვარ...  
 „მე“ ვარ  
 და ამ მშვენიერ სიყვარულისთვის გმადლობთ!

### ვისაც ვუყვარდი

ვინ აკაკუნებს ჩემს სარკმელზე  
 ამ დილას სისხამს?  
 ქარია, ალბათ,  
 გზა აებნა იქნებ მათხოვარს...  
 მშვიდობა ყველას,  
 შორ წარსულში ვუყვარდით ვისაც,  
 ვისაც ვუყვარდით,  
 მაგრამ ახლა აღარ ვახსოვართ.

ამ სასტიკ ქარში  
 სული ჩემი მარტოდ ვალალებს,  
 არ ჩანს მშველელი,  
 საიმედო თუნდაც დროებით  
 და ჩემს მშვენიერ,  
 სინათლისგან დახლეჩილ თვალებს  
 კვლავ ენატრებათ  
 მყუდროება საღამოების.

ჩამოდის თქეშად  
 უგუნურთა ცოფი და რისხვა,  
 განმსჯელი არ ჩანს,  
 მივავინყდით იქნებ მაცხოვარს...  
 მშვიდობა ყველას,  
 შორ წარსულში ვუყვარდით ვისაც,  
 ვისაც ვუყვარდით,  
 მაგრამ ახლა აღარ ვახსოვართ!

### ბადამბირალები

ისურვე, ბედმაც ასე ინება, –  
ნახვედი, მეც სხვის კერას მიმგვარეს...  
ოღონდ შენ გული ნუ გეტკინება,  
სუყველაფერს მე გადავიბრალებ.

არ აგადევნებ ავ თვალთა მზერას  
და რომ ღვარცოფი აგცდეს ჭორების,  
ვიტყვი, რომ თითქოს მიზეზი მე ვარ,  
ჩვენი განდგომის და განშორების.

რა ხნიდან ვუძლებ დროის გრიგალებს,  
რა ხნიდან ვმაღავ ყველა ჭრილობას,  
სწორედ ამიტომ მე დავიბრალებ  
შენს ღალატსა და შენს გულგრილობას.

გახსოვს, თვალეში რა სევდა მქონდა,  
შენ მაინც შენს გზას გაჰყევ ნელიად...  
მე დავიბრალებ სუყველა ცოდვას,  
რაც არასოდეს ჩამიდენია.

ისურვე, ბედმაც ასე ინება, –  
ნახვედი, მეც სხვის კერას მიმგვარეს...  
შენ ოღონდ გული ნუ გეტკინება,  
სუყველაფერს მე გადავიბრალებ.

### მადლობელი ვარ

შემოეძარცვა ფერი ბუნებას,  
ქარნი მწვერვალებს ნისლში მარხავენ,  
მე იმ ასაკთან მსურს დაბრუნება,  
სიყვარულს რომ ვერ დამიძრახავენ.

ზოგჯერ უჟამო ბინდი ვიყავ და  
ხან მზის სხივებად ცას გავუხარდი...  
მადლობელი ვარ, რომ არ მიყვარდა,  
არ მიყვარდა და მაინც ვუყვარდი.

ვინც გაუვალი გზები გაიგნო  
და გამოუცნობ სევდით ისევდა,

ვისაც ვუთხარი და ვერ გამიგო,  
ან ვინც უთქმელად მიხვდა ისედაც.

ვინც ოცნებებშიც ვერ დავატიე,  
ზღაპრის მოვასხი ჭრელი მანტია,  
ვისაც შევუნდე და ვაპატიე  
და პატიება ვერ მაპატია.

ჩემს გზას სულ მუდამ დელგმა ეძებდა  
და მაინც დარი მქონდა იმედად,  
ვინც უნებურად გავიმეტე და  
ვინც ვერასოდეს ვერ გამიმეტა.

შემოიძარცვა უკვე ბუნება,  
ქარნი მწვერვალებს ნისლში მარხავენ,  
მე იმ ასაკთან მსურს დაბრუნება,  
სიყვარულს რომ ვერ დამიძრახავენ.

## ისეთი ლამაზი არი

ხანდისხან ამიფრინდება  
ჭალისპირს უცხო ციცარი,  
სხვანაირ სითამამით და  
ჭრელ საყელოთი ვიცანი.

მიდის და ქარში მიღელავს,  
ხან ჩქერებს მისდევს მდინარის,  
მოზიდული მაქვს ისარი,  
მივდევ ოფლგადამდინარი.

არ ვიცი, ჩემი ბედია,  
თუ ზეცისაა ზიარი,  
ღმერთო, არ მომაკვლევინო,  
ისეთი ლამაზი არი.

## შაშვი

იფანზე სურო აკრული,  
ტყისპირს ეშალა ია და  
შაშვი მეგონა, ბუდიდან  
სიმღერა გადმოფრთხილდა.

გადმოფრთხილდა სიმღერა,  
მალლა წავიდა, გამჩენთან,  
ცრემლი, გულიდან დაძრული,  
სადღაც ყელს ზემოთ გაჩერდა.  
შავო, შავჩოხა მორბედო,  
ერთგულო ამ ცის, ამ მინის,  
ეს რანაირად მატირე,  
როგორ უცეცხლოდ დავიწვი.  
სად იბადება ეგ ხმები,  
ღვთიური ცეცხლით მკვესავი,  
სხვას არას ვნატრობ, გამჩენმა  
ერთხელ მამღეროს შენსავით.  
მამღეროს ერთხელ შენსავით,  
სუნთქვა შევუკრა ამ ვარდებს,  
ქსნის პირას ჩემი სიმღერა  
ცაში, ვარსკვლავთან ავარდეს.  
იფანზე სურო კრთებოდა,  
ტყისპირს ეშალა ია და  
შაშვი მეგონა, ბუდიდან  
სიმღერა გადმოფრთხილდა.



# პუნი სადვარიძე

## ნენიკულად

ნენიკულამ სიბერის მაღლი მეფსხა და თანდა-  
თან ყველაფერი გუდუუქართულდა, ყველაფე-  
რი – ქართულის გარდა...

სიკრიკაკლებივით მიმოხვევლ ბადიშებიდან,  
მარტვად სახლისებმა ვიცოდით გურჯუჯული.  
კიდევ კაა, რომ ზემო მაჭახელში, ანაას ენა-  
ზე, ბევრი ლაპარიკობს, ბევრიც – მღერის და  
სამობს, მარა, მერმენ რანდა იქნას, ვინმემ არ  
იცის...

ინანმინდის ღელიდან აყოლებული, ჩხუტუ-  
ნეთის სინორებამდე მოზომილ ალაგებში, მის-  
დღემში საბელზე გამობმულ ხარივით ბლაოდა  
ხალხი... უხსარი დერდების მიერ ხელში ახუპ-  
ვილებს, სულობაში და იქავრობის სინატრულში  
შპებოდენ სული. სულუხსარია კაცის გული თვა-  
რა, რაფერდა დევეერო, რომ ერთი და სამუდა-  
მოდ, აქაც არდა გამობანდეს?

სხვის ჯინაზე, ერთმანეთის ჯინქვა-ჯინქვით  
და კბილებით გატანილ ყოფაში, ყურძნის ლე-  
რნებივით დასხრიკულები ებლაუჭებიან მინას  
და ცოცხალი თავით არ იძვრიან ადგილის დე-  
დიდან.

ჩემი ნენიკულააქ აქავრია, აქავრობაზე შეყ-  
ვარებული და შესახსრებული, აქიდან ნუუსლე-  
ლი და აგზე დაბერებული, აგზევე დასასვენებე-  
ლიც, რა თქმა უნდა...

\* \* \*

მე დაუთი მქვია. სტამბოლელი ქართველები  
მაჭახლელს მიძახიან – მათი ჭკვით მაჯალინე-

ბენ. იმათ რა იციან, რაფერ სხვანაირად მიყ-  
ვარს, რაფერ სხვანაირათ მტკივა მაჭახელი.

დედაენის ცენტრში ბევრი დევსნავლე, ბევ-  
რიც ნევეკითხე და ვისდა ვუხსნა, მარა, მე ხომ  
ვიცი, რომ მაჭახელი ჩემი წილი გურჯისტანია,  
აჭარაა, და კიდევ ბათუმი, რომელსაც კარქ ამი-  
ნდებში, ქვაბითავის სერებზე ესული, ზედდან  
ვუციციქირებ და ვესიყვარულები...

მართალია, ჩემიანებს ირგვლივ ბევრი უჭიმ-  
ჭიმებს თვალებს და სულშიც ხშირად უფათუ-  
ნებს ხელებს, მარა, რადგანაც უწინდელღმა  
უშუუშინარი ვყოფილვართ მაჭახლელები, ამი-  
ტომაც უხსენებელივით გუურბოდით უკითხა-  
ვად მოსულებს და ჰაცხან წავასწრებდით, იქვე  
ვუჭიჭყავდით თავებს...

ლაზებივით, არც მაჭახლელებს გვეყვარობ-  
დნენ სხვები, უფრო სწორად, ემინოდენ ჩვენი  
და სათოფეზე არ გვეკარებოდნენ. ალბათ, ამი-  
ტომაც დავრჩით იმფერებად, რაფერებიც თავი-  
დან ვიყავით.

\* \* \*

სიტყვა გიმიგრძელდა ქათიბივით და დუნის  
დერდებს გადავწვდი, მარა, ეს რომ არ მეთქვა,  
ვერც ჩემს ნენიკულაზე მოვეყვებოდი.

კაცმა არდა იტიროსო, ყოველთვის გვებნ-  
ეოდა ნენეა და გვაშინებდა, დიგინახვენ და  
დაგცინებენო. მარა ახლა ამაზე არ ვწუხვარ,  
ლაპა-ლუპით მცვივა ცრემლები და ბალანასა-  
ვით ვზლუქუნებ, სული ყიაში მაქ მობჯენილი



და ბუჯალში მიმწყდელი თაგვივით ვეხეთქები ლინგებს. ვერაფრით გიმიგია, ქალი, რომელიც ამდენ ბადიშს გვივლიდა და გვცვიდა, ჩვენ ერთ ჭვიდან არეკილ და გაფანტულს, რაფერ ვერ მუჟვარეთ.

უკვე ორი დღე და ღამეა ვეძებთ ეზოდან გესულს და ჰადმენ ვერ მივამკლიეთ. ამ ორ დღეში, დიდი ხნის მუუსლელი ჩვენთანებიც კი დაბრუნდნენ სოფელში. გეგვსო ეზო-კარი ოღლუშაღით, ველარც ჟანდარმი გვშველის და ვერც – ხოჯის ლოცვა. დავწყდით და გავთავდით ცალკე ნენულაზე დერდით და ცალკე – სირცხვილზე.

დედეზე აღარაფერს ვამბობ, ციციელდაცემულივით დგას ჭიშკართან და გუუჩერებლად იფშენეტს ხელებს. ნვერი ჩევდევეთ პირშიო იძახის და უჩუმარაა მჯილით ინმენდს ცრემლებს. არ მეცოდება მეთქი ვერ ვიტყვი მარა, ნენიკულაა უმფოო გვიყვარდა ბადიშებს. დედე პანაზე ჯმუხი კაცი იყო, მაჭახლური ცხვირით და უხეში ხასიათით. ნენეა კი, სულ სხვა იყო. იმფერი სხვა, რომ რაფერ წაყვიო, ვეკითხებოდით მუდამ... ამაზე კი ნამეტარი ბრაზობდა ნენეა, ნამეტარი და მახსოვს, მარტვაა ამ დროს გვიჯავრდებოდა გულით.

თელი ბაღნობა მიკვირდა, რომ ქალი, რომელიც ყველას ხაფიფობდა, არასდროს ელაპარაკებოდა და ეხიზმეთებოდა დედეს. ისიც, ამფერი ქობული და მუდამდღე ჯმუხი, ებბედი ყველას ეჩხუბებოდა – ნენულაას გარდა... ახლა კი, დგას ასე ქეთავათი, ილაჯგაცლილი, ჯანშენუხებული და ბოლოს მაინც გემეპარაო, ბურდლუნებს მისთინ უჩუმარაა.

უკვე ისე ვართ ყველაა აღერლილი, რომ ცინცქზეა ყველაფერი. ყველგან იმფერი ჩუქურთულობაა, რომ სანამ ვინმეს შევსკდომივარ და ხაპრიდან ავრეკილვარ, ჯობია ნავმშრალდე აქიდან და ჩვენი ნახტენილი საქმე გამოვაკეთო... იქნებ, ნენეას კვალი მივამკლიო ჰადმე...

ამფერი ხელგამუუსლელი და ტვინაფუნგული ჯერეთ არ ვყოფილვარ. ყველაფერთან ერთად, ეს თროშო წვიმაც ხელ-ფეხს გვიბორკავს და ყიამეთში გვაგდებს...

ახლა ფეფენიკში ვდგავარ და ორგანივით ძირთულზე მიყუდებული, გასაქცევს ვეძებ. მოცდას აზრი არ აქ, ისევე ჩვენდა ვივარგოთ. სანამ ყველა ნისლივით გაცრიცულა და ჯიგარგამოჯანდრილები დავჩენილვართ სასირცხვით, რაცხადა ვიზამო...

\* \* \*

წინაგზობაა, როცხა სოფელში ამოვეა, ჩემი ნენეა კარქა იყო. კერიძირში ფეშხუმი მოახობა, ხიბორკალიც მოადგა და მისი ხელით გამომცხვარი წირიხტა დიმიდვა თეფშზე.

არ ვიცი რატომ, მარა სხვებზე მეტად ვუყვარდი. ჩემი ჭიჭიპარკი ხარო, მებნეოდა მუდამ და უხაროდა, ბევრს რომ ვსწავლობდი. სანამ სოფელში ვხცოვრობდით, დედაჩემს ჩემი აკვნობის მერე, ჩემს სიახლოვეს ჭიტი არ აქნევიო. სულ მის უბეში და კალთაში გამეგზარდე, სულ მას ვუციცინებდი თვალეში და ისიც მუდამ წიმიკაკიებდა...

სიკტილზე არასდროს მიფიქრია, სიმართლე გითხრათ, არც შემშინებია, მარა, ახლა ძალვან მეშინია. თუ ჩემი ნენეა მოკტება, ვიცი, წინდაქალაზნით შევა ჯენნეთში, მარა მის ამბავს ვერ მევენელებ, ვერ გუუმკლავდები, ასე მგონია...

არ ვიცი ვინ რას აპირებს, მარა, მე ქენჩხომოხურვილმა, წანწალაკი მარტვამ გევიარე და ნაცნობ ბილიკებს ტყისკენ ევედევენე. თუ ჰადმენ მაინც არის გამჩენის ნება, ნენეას უნახველი არ დავბრუნდები მეთქი დევბარე და ისემც იგიხდეთ ყველაფერი...

\* \* \*

კონჭობთან მისულმა, წყაროზე დევყუყვე და პანაზე სული მევთქვი. მთებში გაფანტული ხალხი რაცხაეფს უძახდნენ ერთმანეთს და ჯელგა-ჯელგად იკრიფებოდნენ. დეიფიქრეს და თქვეს, რომ ცოცხალი აღარაა გვეძებნა და დათვების და მგლების ბუნაგებს მიაშურეს. მე ვერ წავყვე, გულმა არ მიზამა. არ ვიცი ჰადმენ და რაზე, მარა ჩემთათვინაა ვიბრძნე, რომ ნენიკულას ილლექი ვნახვიდი და სალ-სალამათს

თუ არა, ნადირისგან პირნუჟკარებელს მაინც დავაბრუნებდი სახში. ყველამ პირი ტყისკენ ქნა, მე გზისკენ წევვე. გაღმაში ერთი სახლი დგას, ქვედან ქვით და ზედან ხით ნაშენი. ბუხრის ყელემიდან ფუტი ამოდიოდა. მივხტი, სახში იქნებოდნ და ფეხს უუჩქარე. რატომ ვქენი აქითობას პირი რომ მკითხოთ, მაინც ვერ გეტყვით, მარა ვიცოდი, რომ ნორ გზაზე ვიდექ. შორიდან ახლო ჩანდა მარა, იმდონეთი დრო დამჭირდა იმ სახლამდე, რომ პანა შევმინდი. კარი რომ არ გეღენ, უკან რაფერდა წამოვსულიყავ? მაინც მივლოდი, მარა, ფეხები უკან მრჩებოდა. დანაბლოს მივალნიე. აჩელხილ ლობესთან სარივით დევესე და დაძახების შემეშინდა. აჲ გზა და აჲ სახლი დედეს ნამეტურ არ უყვარდა. ნადირობისხანაც არ ამოვდოთით აგზე. არც ნადში მივსულვართ ერთმანეთთან და არც – ქორნილ-ტირილებში. არადა, ესენიც ჩვენებური გურჯი მაჭახლელები იყვენ. გასუნგული ვიცდიდი, მარა ჰაცხან იყო აქ, ისე დაღამდებოდა, რომ ფანჯრებშიც ჩაბნელდებოდა და მორიდებულად დევძახე. იმნამალაჲ გამეხედა ვინცხამ ფანჯრიდან და აღრენილ ძალს მუუხმო. ძალლი გაჩერდა. კარში ჩემი ტოლა ბიჭი გამოვდა. ჭიშკარი გიმიხსნა და სახლისკენ გიმიძღვა. ბოლო ორი დღეა, ამ ტყე-ღრეში, იმდენი იაბანჯი დეიარება, რომ ვინმეს არ გაკვირებია ჩემი მისლა. ტაბლაზე დასუფრილთან მიმინვიეს და ცოტა დალაპარაკების მერე დევძინეთ.

\* \* \*

იალუმზე სახლის დედეს ფაფხუნმა გამალვიდა. კედლიდან მაჭახლის თოფი გადმოელო უსულით წმენდდა. წინალამინდელზე უფრო ბევრი რამე მკითხა, ჩემ პასუხეფ გულისყურით უსმენდა, ასე მეგონა, კაკლებს აგროვებს მეთქი. თავიდან, ქომოების რომელიმე ოჯახიდან გამოგზავნილი ვეგონე, მარა როცხა გეიგნა, რომ უსუფ აღაჲს ბადიში ვიყავ, კოპები შეკრა. არ გიმიკვირდა, დედეჲც ხომ გვიშლიდა ამ ალაგებში ამოსვლას? მარა, ისტიბარი არ გევტეხე. – ჩვენკენ დავძებნეთ, გადავქექეთ და ავფუნგეთ

ყველაფერი, მარა ჰადმენ ვერ მივაგენით ნენეს – ვუთხარი მორიდებით. სახლის დედეჲ პანაზე შეფუცხუნდა, აწრიალდა, ბუხართან მიჯდა და წალდით კვარის დაქუცმაცება დედნყო. უსიტყვოთ დაანთო ბუხარი და მომიბრუნდა – დიდი ხანია, რაც ეირეკა ნენემენი ჭკვიდანო? წასლიხან ვინმეს არ დუუნახია, ვინმესთნ არ დუუბარებია, ჰა მივალო? – დეებარა, დედეჲ, დეებარა, მარა გურჯუჯულად. თურქული კარქა ხანია გადაქართულდა და ვერც ქალაქელი გელინი მიხტა რამეს და ვერც მისი ბაღნები... – შენ რომლის ბიჭი ხარო, მკითხა ბერმა და თვალეხი მომაშუქა. – პანაჲს, – ვუპასუხე ხმადაბლა და გათენების მომლოდინემ ფანჯრებს მივაცქერდი. – კაჲ ხანია ლობე-ყორეს არ გავცილებივარ, – ჩეებუტუტა მოხუცმა, – გათენდეს და მეცნა მოგაძებნიო, ამ ალაგებში ჩემსავით გზას ვინმე ვერ გემკლევს და ვერც მოფარებულ ადგილებს მიაგნებსო. მაშინვე ვიზრუგე და პანაზე დამშვიდებულმა ლუკმა გავტეხე.

\* \* \*

უსიტყვოდ წამომყვა ნენიკულაჲს საძებრად. ამ კაცის რამე ვერ მიხტი, თან უნდოდა ჩემთან ლაპარაკი, თანაც ენაზე კბილებ აჭერდა. ბილიკი რომ გევეაკეთ, უცბათ მომიბრუნდა – რანა გკითხო იცი, გელინმა თუ არა, დედემენმა ხომ იცის გურჯუჯული, იმას რაფერ გამეჲპარა ქალი სახლიდანო. – არ ვიცი დედეჲ, მარა რომც ვიცოდე, რას შეცლის ახლა მაგი? ნენეჲ პანაზე სხვანაჲრი იყო დედესთან, ნაკლებ ელაპარაკებოდა, ნაკლებ ეხიზმეთებოდა, სხვეფ არ გავდენ მაგენი – დერდებმონოლილმა წამეგბლაყუნე და მერე ენაზე ვიკბინე – უცხო კაცთან სახლის ამბავი რომ გამოვამზევრე უჭკვომ. დედემ ერთი შემომხედა, ხომ არ მატყვილებსო, ჟანდარმივით დამაკვირდა და ფიქრებში წევდა... პანახან აღარ გვილაპარაკია. სწორ გზაზე მივლოდით ნელ-ნელა. აქით-იქით ვიბუცვოდით და ყველა მოფარებულ ალაგს ვამონმებდით. ბერს რომ დაღლა დეტყო, დიდი ურთხმელის ძირში დასვენება შევთავაზე. ისიც ჩამოჯდა და გარგნით მინაზე რა-

ცხაების ფხაჭვნა დედნყო. მერე თავი ანია სახელი მკითხა – დაუთი მქვია დედევ, ბოდიშ გიხდი, სახში მოვედ და კარქა ვერ გეგეცანით. მოხუცმა გარგნით ფხაჭვნა გააჩერა, თავი ნელ-ნელა მალა ანია და მოჭუტული თვალით შემომხედა. გარგნიანი ხელი უკანკალებდა და ყბაც, მარა სიბერეს დავაბრალე და ტვინი აღარ დიმიყოლებია... – ჭიპის სახელიც დაუთი გქონდა? – ისე მკითხა, თვალკაკლებში მიყურებდა და სულუხსარივით უცდიდა, რანა მეთქვა. – არა დედევ, ისე გევზარდე, ნენულა სულ დევს მიძახდა. თანაც იმდენ ზღაპრებ მიყვებოდა გურჯუჯულად დევებზე, რომ ახლაც რომ მკითხო, სიტყვა-სიტყვით ჩამოგიკარკლავ ყველას. მეტი რამე აღარ უთქვამს ბერიკაცს. უსიტყვოდ წამოდგა მძიმედ დადგა ფეხზე. ცოტაზე შევშინდი, მარა იმფერ შემართულად გასწორდა წელში, რომ პანაზე გიმიკვირდა კიდეც. უკან მოვბრუნდით, გეგონება, რაცხა გაასხენდაო და სულ სხვა გზისკენ ქნა პირი. ღელიპირს გავყევით და ქომო მინდვრისკენ გუყუყვით. ქვედან მაყვლიბურქები იყო, ზომო მხარეს – ზღმარტლის. ზღმარტლებისკენ წიმიძღვა. გეგონებოდა, დაბარებულთან მიდისო, ისე სულუხსარობდა დედევ. რაფერც რომ გვერდიდან მუყვარეთ ზღმარტლებს, მაშინვე დევნახეთ გამოკოჭილი თავშალი. – ნენეს თავშალი, ვიყვირე სერსემივით და ტოტებ ვეცი. ბერიკაც გეგონებოდა მუხლები მეეკვეთა და გარგანს ორი ხელით დეყრდო. მიყურა რაფერ ვხსნიდი და ვიხუტვიდი თავშალს. ვერაფრი მივმხტარიყავ, ამ სიშორეზე რაფერნა გამოსულიყო დედაბერი? ანაც, აგზე რატომდა გამეეკოჭა თავშალი? ჰადა მეძებნა, რაფერ და მიმეგნო, აღარ ვიცოდი და დედესავით ხელეფ ვიშნეტი მარტვად. ისევ ბერი მოვდა ჭკვაზე. თავშალი ამართვა, გარგანს მოაკოჭა და წამომყვიო, მომაძახა წინ წესულმა. ერთი გაფიქრება ისიც კი გვერუნიე გულში, რომ იცის, ნენე ჰადა ვეძებოთ მეთქი, მარა ჰადა-ნდა ცოდნოდა ამ უცხო კაცს, არ ვიცოდი. ბერმა ნაბიჯებ უუჩქარა, მის ენას სიტყვა არ დაცდენია, სანამ ბზიბილიკზე არ დავდექით. აქამდე ზოვლი დიდი ნაბიჯებით მოდიოდა, იფიქრებდი, ჰაცხან

რაცხასდა მუყსწრას და დავგიანების ეშინიაო, მარა, ახლა ფეხს ძალვან უნელავა. შევატყე, რომ კარქა აქანჯალებდა და შევშინდი, ერთ ბელაში შესწრობილს, მეორეც არ დამმატვოდა ზეიდან. ხელი წავაშველე. პანაზე მოკეთდა. ერთ ალაგზე ფეხმუყცლელმა ცოტა იგუნგრუცა და გზა გააგრძელა. მეც ბეცივით ევედევენე – კვალში ჩუყდექი. პირის გალების მეშინოდა და ბალანასავით ტუჩებ ვიკნეტი. რაცხა რომ ხტებოდა ვიცოდი, მარა რა, ვერაფრით მივხტარიყავ. ბზების ბოლოში დიიდი, ნათელი ხუჩო ჩანდა. არა, ჯინების სადგომს არ გავდა, უმფო შესაყუდრებელი ალაგი იყო. თანდათან ვუახლოვდებოდი და ბერიკაციც უმფო და უმფო ცქმუტავდა. – აგზე დიმიცაჟო, – მითხრა და ხელით გამაჩერა. მანაც გაჩერდა. გეგონებოდა, სული მედთქვაო და მერე ნელ-ნელა გუყყვა ხუჩოხსკენ. დიდხანს იდგა შესასლელში, მერე დეყყყვა და თავზე ხელები შემოირტყა, დაჭრილ ხარივით ბლორინი ამუშუვა და ხელი დიმიქნია, აგზე მოდიო. ბერივით გეექეცი და ხუჩოში შესულმა, კუნძზე მიწოლილი ნენეი დევნახე. თავშლიზედან ბგანივით მისი ხელით მოწნული ყვავილების გვირგვინი ჩამეეფხატა, გულზე კი მინდვრი ყვავილები მიეხუტებია და იმფერი ბედნიერი, გაღიმებული პირისახით მიცემულიყო გამჩენს, რომ ტირილი აღარ მოგინდებოდა...

\*\*\*

რამე აღარ მიკითხავს ნენესთან მომყვანელისთვის. ჩემთათვინა მივხტი ყველაფერს და გული მომენურა. თვალნაჭირავის წართმევის სუნი ადიოდა ამ ამბავს და მეც დამნაშავესავით გევიყუსე... ჩემი წილი ბრალიც ევკიდე და განზე გავდექი. გარში გამოვედ. ბერიკაცი მარტვად დავტიე ნენულასთან. ბერი ექნებოდა მოსაყოლ-საყვედრებელი... ბზებიდან ვაკეში ჩევედ. ჯალალინი მიმოვაცრიე, ლობეს ფიცრები და მავთულები ამოვაცალე და ხუჩოში დავბრუნდი. უცხო დედევ ჩემი ნენიკულაჟს წინ იყო დაყუყვილი და ცივ პირზე უყურებდა. შესული რომ დიმიწახა, წამოდგა, წელში გასწორდა და მარტვად

ის მითხრა, რომ დედემენმა ჩემი თვალნაჭირავი ისე წიმიგველა, რომ იცოდა, ჩემი ხელდასმული იყო... დიდი გაჭირვებით გადმოვანვინეთ ნენულად ფიცრებზე, კარქა მოვაკოჭეთ მისივე თავშლით და ხოხვა-ხოხვით წველეთ სახლისკენ. გზაში ხალხი მოგვეგება, ხელი წამოგვიკრეს. ამბავიც მიიტანეს დედესთან, დედაბერს მიაკვლიეს და მოაქვენ კდარიო. ახლოში მისულმა, კტარს ხელი გუშუვი, ეზოს ზედან მოვექეცი, რომ ჩემი თვალთ დემენახა და მეყურებია, რაფერნა მიეყვანა გალმელ დედეს ჩემი ნენიკულად ბერისთვის... ეზოში ხალხი ფუსფუსებდა. უსუფ ალაჲ ისევ ჭიშკარში იდგა ჯალაბთან ერთად და ფეხქვეშ ბალახ-ბულახს ჯლაგნიდა ნერვებზე აყოლილი. ვიჯექი ეზოს ზედან და თვალე

არ ვაცილებდი დედეს. მინდოდა ჩემი თვალკაკლებით დემენახა, რაფერ მუყყვანდა გალმელი ქალს და რაფერ ჩახედვიდა თვალეში... – დაუთას მოყავსო, – აჩუქურთულდა ხალხი – დაუთამ ჰადან მიაგნო, ბრაზობდნენ გალმელ მაჭახლელზე ინანმინდელი მაჭახლელეები. ახლებს უკვირდენ, ძველებმა კი სუნგალი გედეს... ეზოსთან მოსულმა, უკანასკნელი ღონე მეკრიბა და სხვებთან ერთად, მხრიდან ჩამედლო კტარი. წელში გასწორდა და გამყინავი მზერა ესროლა დედეს. მთელი საუკუნის ნაგროვები ჯავრი დუუხვავა ფეხებთან და სიტყვა უთქმელი, ბერზე და გვარზე რამის დუყყედრებელი, ღამის საუკუნის მერე ძლივადსულჩაბრუნებული და გამარჯვებული გაბრუნდა უკან...



# ბიძა ახადარი

## დედოფლის თითი

მამა ადრე წვება,  
მაგრამ ვერ იძინებს, დილამდე წრიალებს.  
ლოგინი იმისია, რომ უნდა დაიძინო,  
ნერვიულობის დროს ბოლთას სცემენ, თუთუნს ეწვეიან,  
სანერვიულოდ ლოგინში ვინ წვება?! – მხოლოდ მამაჩემი.

ადგება შუალამით, ნეკის სიგრძე გათლილ თხილის რტოს  
სიგარეტივით ტუჩებში მოიქცევს, გადავა ალაგეზე,  
გაჰყვება შუკას ფრთხილი ნაბიჯებით,  
რომ ამოშვერილ ქვებს ფეხი არ წამოჰკრას.  
ეს ქვები, თავის დროზე, ბაბუამ რიყიდან ურმით ამოზიდა,  
მას შემდეგ შუკა წვიმის დროს აღარ ტალახდება.

მამა მიდის, უთქმელი მამა, გამხდარი მამა,  
თითებში თხილის რტო გაუჩრია, ურტყამს ყალბ ნაფაზებს,  
ნამდვილ სიგარეტს მხოლოდ სიმთვრალეში ეწვევა,  
მაგრამ ნლებია წვეთიც არ დაუღვია.

მხარზე გაისწორებს თორმეტკალიბრიანს,  
ცარიელია, შესაშინებლად გამოდგება,  
თორემ კაცს კი არა, ნადირსაც ვერ ესვრის.

მოხდა ერთხელ:  
გალმა სოფლელი კაცი თავის თხილს დარაჯობდა,  
ქურდები მოსაკრეფად გადმოიპარნენ,  
გამწარებულმა კაცმა იფიქრა, ფეხებში ვესვრიო,  
და იმ სიბნელეში თვალმოკრულ ლანდს დაბლა ესროლა...  
სხვები გაიქცნენ, ის ერთი კი, თურმე, ქალი იყო,  
შეშინებული, როგორც ჩანს, ჩაცუცქდა, და მოხვდა სახეში...  
მას შემდეგ მამას მასრები უჯრაში ულაგია.

მიაღწევს თხილის მოზრდილ პლანტაციამდე,  
ყველა მწკრივს ფანრით გახედავს, შუქი ბოლომდე წვდება,



არავინაა, მაგრამ მაინც გაივლის, გამოივლის,  
და ბიძაჩემის თოფს ისევ მხარზე გადაიკიდებს.

მამა სულელი კი არ არის, იცის ძალიან კარგად,  
რომ აზიურმა ფაროსანამ მოსპო წლევანდელი მოსავალიც,  
ათი თხილიდან ცხრას გული არა აქვს,  
და, აბა, ვინ მოვა ასეთი თხილის მოსაპარად?!  
უბრალოდ, ხანდახან, როცა ლოგინში ნერვიულობს,  
გული ვერ უთმენს, დგება და აქეთ მოიჩქარის.

გზაში რაღაც სასწაულს ელოდება,  
ზოგჯერ წარმოიდგენს, რომ ისევ ძველი დროა,  
და თავის სახელგანთქმულ თხილს იცავს კბილებით.  
ზოგჯერ კი იმას ნატრობს, რაც არასოდეს უნატრია:  
ოღონდ მოსავალი ვარგოდეს და თუნდაც ქურდი დახვდეს,  
და ჩემს თავს იფიცებს ხმამაღლა, ვილაცის გასაგონად,  
რომ არაფერს ეტყვის, ტომრების ავსებაშიც დაეხმარება.

შვილის კუბოსავით საშინელი სანახავია  
ძირს ჩამოყრილი, გარედან საღი და შიგნით ფუტურო  
ნაყოფი, ყალბი მარგალიტებით მოფენილ მინდორს ჰგავს.  
ის მაინც აკრიფოს ვინმემ და რამეში გამოიყენოს...

ადრე ამერიკულ პეპელას ებრძოდა,  
მაშინ ჩვენც იქ ვიყავით და ვეხმარებოდით,  
ვარჯებს ფოთლებდაღრღნილ ტოტებს ვაშორებდით ყოველდღე,  
ყვითლად სკდებოდნენ ქუსლით გასრესილი მუხლუხები,  
და მათი შემხედვარე, საჭმელს ველარ ვჭამდი...

მამა კიბეზე ზის, გამხდარი მამა,  
და ურტყამს ყალბ ნაფაზებს, უთქმელი მამა,  
ნერვიულობას ინახავს ლოგინისთვის,  
ახლა კი მხოლოდ მდინარეს აყურადებს:  
შხუილი ქვემო წელიდან ისმის, რაც იმას ნიშნავს, რომ  
ხვალ კარგი ამინდი იქნება, მაგრამ რა თავში იხლის?!  
ნერვიულობას ინახავს, ახლა კი უბრალოდ ეფიქრება:  
რა ჯანდაბა უნდათ მის პლანტაციას აზიას და ამერიკას?!

მამამ გააშენა მთელ რაიონში პირველი პლანტაცია,  
როცა საფართოზე ყანა ეკლიანი მავთულით შემოღობა  
და თხრილიც შემოავლო, ზურგსუკან დასცინოდნენ:  
ნეტავ რამ გააგიჟა, რა თხილი, რის თხილიო.  
და წლების შემდეგ, როცა მამა მართალი აღმოჩნდა,  
თავში ხელს იშენდნენ, ჩაის ბუჩქები ამოძირკვეს,

და სასიმიინდე ყანებშიც (ეგ კი არა, ბოსტნებშიც კი)  
თხილის ნერგები ჩაყარეს და შედეგს დაელოდნენ.

ამ დროს ჩვენი თხილი უკვე მოსავალს იძლეოდა,  
ეს კი მათთვის არც ისე კარგი სანახავი იყო –  
შემოდგომის პირზე ვილაცამ გამხმარ ბალახს ცეცხლი წაუკიდა...  
წყლით სავსე სათლებით როცა დავრბოდით, დამხმარე მეზობლებში  
აღბათ ის ვილაცაც ერია და გულში იცინოდა,  
მერე უფრო გაიცინებდა, რადგან ვერ ჩავაქრეთ,  
და პლანტაცია მთლიანად გადაიწვა.  
წლები დასჭირდა ძირში მოჭრილი ბუჩქების განახლებას.

მამა უგემურად ილუკმება, უჭმელი მამა,  
ანუხებს ჩემი გაურკვეველი მომავალი,  
ყველა ლოგიკით მე ახლა ჰალსტუხი უნდა მეკეთოს  
და უნდა მქონდეს შემოსავლიანი სამსახური.  
რისთვის დაიხარჯა იმდენი ფული და ენერგია,  
და იმედებს საყრდენი როდის გამოეცალათ?!

„– მას რომ შეეძლოს... ეს თხილი ჭირსაც წაუღია!“ –  
ფიქრობს თავისთვის, ხმამაღლა არ ამბობს, უთქმელი მამა.  
მაგრამ ამაყია, თავის ნათლიას,  
ჩემი პოეტობა რომ გააქილიკა,  
სამუდამოდ დაემდურა, და როცა მოკვდა, არც დაუტირია,  
წარმოგიდგენიათ?! მას შემდეგ აღარ ვიცი  
წერას შევეშვა და სხვა საქმე ვიპოვო, თუ გავაგრძელო.

მამა ადრე წვება,  
მაგრამ ვერ იძინებს, დილამდე წრიალებს.  
კომოდზე ალაგია: წნევის აპარატი, სათვალე, წამლები, მობილური  
და ჭიის გამოხრული ერთი მოგრძო თხილი,  
რომელსაც «დედოფლის თითი» ჰქვია.

## მისხური ზერი

გიო გიორგაძეს

სადმე პარკში ვსხედვართ, ლუდს ვსვამთ და ვლაპარაკობთ;  
შენს ეზოში ვსხედვართ, მწვადს ვწვავთ და ღვინო გვიდგას;  
სახინკლეში ვსხედვართ, ხინკალს ვჭამთ, არაყი გვაქვს;  
თოვლში და წვიმაში ვდგავართ, ვენევით, უბრალოდ ვენევით;

მოკლედ და კონკრეტულად, სადაც არ უნდა ვიყოთ,  
და ვინც არ უნდა გვახლდეს, მხოლოდ მე და შენ ვხედავთ,

მხოლოდ მე და შენ ვიცით, მხოლოდ მე და შენ ვგრძნობთ, რომ ჩვენს ზევით ყოველთვის საოცარი მესხური ჭერია.

ჰაერში უცებ დაეკიდება მფრინავი თევზით,  
თოვლისგან და თავსხმა წვიმისგან გვიცავს და გვიფარავს,  
სხვებს კი, გალუმბულებს, უკვირთ ჩვენი სიმშრალე,  
ჩვენ გვიხარია, ჩუმად ვილიმებით. თუნდაც შუალამე იყოს –  
ნკვარამი შუალამე, ერდოდან ჩამოდის ისეთი სიკაშკაშე,  
მთელი გალაქტიკის მზეები ერთ მზედ რომ გარდაქმნა.

უბანში უფროსები ჩვენ ასე გვზრდიდნენ: თუ ვინმე, შემთხვევით,  
მხარს გაგკრავს, პასუხი მკაცრად აგებინე, მისხალი არ დაუთმო,  
მუშტს გიქნევს?! საპასუხოდ დანა მოუქნიე!  
წიხლს გირტყამს?! საპასუხოდ ტყვია დააჭედე!  
უკან არ დაიხიო, თავი არ შეირცხვინო, ეს არის მთავარი!  
და გვალვრევეინეს საკუთარი და სხვების სისხლი.  
ჩვენ კი უმცროსებს ასე ვარიგებთ: თუ ვინმე, შემთხვევით,  
მხარს გაგკრავს, ბოდიში პირველმა მოუხადე, და ისიც მოგიხდის,  
სისულელეა მთელი ეგ სისულელე უკან არდახევაზე...  
ერდოდან ჩამოგვხედა მთავარანგელოზმა ურიელმა.

ძალიან მარტივად (თუ გნებავს, ბანალურად): რამდენი ვინმეა,  
თავს იმად რომ ასალებს, სინამდვილეში ვინც არ არის,  
აქედან რამდენს უნდა, იყოს ის, ვინც არის, მაგრამ სხვების თვალში  
საკუთარ იმიჯს უფროთხილდება. კიდევ რამდენს უნდა,  
არ იყოს ის, ვინც არის, მაგრამ არაფრის შეცვლა არ შეუძლია.  
ჩვენ კი ვიცნობდით ხალხს, ვინც ის იყო, ვინც იყო და  
არაფრის შეცვლა, მითუმეტეს – დამალვა არ უცდია.  
იცოდნენ, რაზეც მიდიოდნენ და მაინც მიდიოდნენ,  
მიუხედავად იმ შედეგისა, რომელიც მოჰყვებოდა  
მათ ნაბიჯს სიცოცხლეში, ან თუნდაც სიკვდილის შემდეგ...  
ერდოდან ჩამოგვხედა მთავარანგელოზმა მიქაელმა.

იხსენებ, სულ ახლახან, ლაშქრობის დროს, როგორ დაგაღამდათ,  
სიბნელეში გზას ვერ იგნებდით და მაინც აგრძელებდით,  
სადღაც, ახლოს, ტურების კვილი და მგლების ყმუილი ისმოდა,  
მზუფტავი სანთებელით ცდილობდით კარვამდე მიგეღწიათ,  
არ გითქვამს, მაგრამ მე ხომ ვიცი, როგორ მინატრებდი,  
ერთად თუ ვიქნებოდით, ჩვენს ზემოთ მესხური ჭერი გაჩნდებოდა,  
თავისი კაშკაშა სინათლის სვეტით, მაგრამ არ ვიყავი,  
და გათენებას შუაგულ ტყეში დაელოდეთ...  
მთავარანგელოზმა ეგუდიელმა ერდოდან ჩამოგვხედა.

გავუყვეთ ვაჟა-ფშაველას პროსპექტს პირველი კვარტლიდან  
 თუნდაც მეოთხემდე: რამდენი ხელგანვდილი ბავშვი და მოხუცია,  
 რამდენი ახალგაზრდა, რომელიც, ვითომ, სწავლის ფულს აგროვებს,  
 რამდენი მუსიკოსი, რომელსაც მუშაობა ეზარება,  
 და ეს გამონვდილი ხელები, ქუდები იმას გვთხოვენ,  
 რაც მე – ლარიბ პოეტს, და შენ – ლარიბი პოეტის მეგობარს  
 ცოტა გვაქვს, კარგი ბიჭები ვართ, მაგრამ არა იმდენად, რომ  
 გავცეთ ყველაფერი, და სიგარეტის ფულიც არ დავიტოვოთ...  
 მთავარანგელოზმა ვარახიელმა ერდოდან ჩამოგვხედა.

ვიხსენებთ პატარა გოგონას, რომელიც ერთი თვის წინ  
 გარდაიცვალა, გული სჭირდებოდა, დონორი ვერ იპოვეს.  
 როცა ექიმები მის ციციქნა სხეულში სეფსისს და სისხლდენას  
 ებრძოდნენ, დედამისმა ყველას სთხოვა, რომ მისთვის ელოცათ.  
 არ გაგიმხილე, მაგრამ მეც ვილოცე ისე მხურვალედ,  
 როგორც ცხოვრებაში ცოტაჯერ მილოცია, ცრემლით და ამბებით.  
 არც შენ გითქვამს, მაგრამ ვიცი, შენც ილოცე ზუსტად ჩემნაირად,  
 თუმცა ყველას და, მათ შორის, ჩვენი ლოცვაც ამაო გამოდგა...  
 ორი დღის შემდეგ კი ერთი ჩვენი საერთო ნაცნობი,  
 რომელზეც სხვა კი არა, მისი შვილიც არ ილოცებდა,  
 თითქმის მკვდარი, ისე გამოძვრა, ვითომც არაფერი...  
 ერდოდან ჩამოგვხედა მთავარანგელოზმა რაფაელმა.

ზოგჯერ ასეც ხდება: ხუთი წლის ვიყავი, როცა ერთ საღამოს,  
 ეპილეფსიური კრუნჩხვა პირველად დამემართა.  
 „ავი ზნე ჭირსო!“ – ჩურჩულებდნენ ზურგსუკან უფროსები,  
 მათ შვილებს კი ჩემთან თამაშის საშინლად ეშინოდათ.  
 გამოგიცდია, როგორია ახლო მეგობრები რომ არ გიკარებენ,  
 და მათ თამაშს, ქვაზე მჯდარი, შორიდან უყურებ?!  
 მერე შემეჩვივნენ, და როცა კრუნჩხვებში ვვარდებოდი,  
 თვალზე მაფარებდნენ შავ ნაჭერს, რომელიც სულ ჯიბით დამქონდა.  
 თანდათან, წლებთან ერთად, განვიკურნე, ასეც ხდება-მეთქი...  
 მთავარანგელოზმა სელაფიელმა ერდოდან ჩამოგვხედა.

მე ვარ ის ჩემი კოლხი წინაპარი, სავსემთვარობისას  
 ეზოში რომ გავა და სავსე მთვარეს ხანჯალს მიუშვერს,  
 ხო, სწორედ მე ვარ... ახალმთვარობისას ცას რომ ახედავს და იტყვის:

– თუთა ახალი (მთვარე ახალი)...

ლორონთი, გუმახარი (ღმერთო, გამახარე)!

შენ ხარ ის შენი მესხი წინაპარი, ყველასგან მალულად  
 მიწის სიღრმეში მფრინავ თეფშს რომ აგებს, ნელა და მოთმინებით,  
 ხო, სწორედ შენ ხარ... ახალმთვარობისას ცას რომ ახედავს და იტყვის:

– მთვარე ახალი (თუთა ახალი)...  
 ღმერთო, გამახარე (ღორონთი, გუმახარი)!

მთავარანგელოზმა იერომიელმა ერდოდან ჩამოგვხედა.  
 მთავარანგელოზ გაბრიელს კი არასოდეს ჩამოუხედავს,  
 რადგან ჯერ დრო არ არის, რადგან ჯერ ძალიან ადრეა,  
 მაგრამ ოდესმე აუცილებლად მოგვაკითხავს,  
 და სამივენი მფრინავი თეფშით გავფრინდებით.

## რბ კბრბი ქენი

შენს წინაშე თავს ვგრძნობ მუდმივად დამნაშავედ:  
 როცა ვზივარ, როცა ვწევარ, როცა დავდივარ,  
 როცა ვწერ და როცა ვკითხულობ, მაშინაც, როცა  
 ფილმს ვუყურებ, ან, როცა საყვარელ ქალს ვეფერები,  
 და ის ქალი კარგა ხანია აღარაა დედაშენი,  
 დედაშენსაც ცალკე ბუდე აქვს, თავისთვისაა.  
 შენ კი არ იცი სად არის შენი ადგილი,  
 შენ არ იცი საით წახვიდე, ვის შეეკედლო,  
 მაშინ, როცა შენს ყველა მეგობარს აქვს ერთი სახლი,  
 და ყოველთვის იმ ერთ სახლში მიეჩქარებათ.

როგორც მამა, დამნაშავე ვარ, რომ ასე ადრე,  
 ასე ერთბაშად, იგემე ცხოვრების სიმწარე, რომელიც  
 ნელ-ნელა და დოზირებულად უნდა გეგემა.  
 ვალიარებ: დამნაშავე ვარ და დანაშაულს  
 ველარასდროს გამოვისყიდი, თუნდაც ას წლამდე  
 ვიცოცხლო და ვინანო უნებლიე დანაშაული,  
 გინერო ლექსები და იმ ლექსებში ძველებურად  
 დაგიძახო „ცარცის გოგონა“, და მოგეწონოს,  
 როგორც მოგწონს... მიუხედავად ყველაფრისა:  
 რა კარგი ქენი, რომ გაიზარდე, ჩემო გოგო!

იყო ბავშვი, უფრო სწორედ, ჯერ კიდევ ნაყოფი,  
 მუცელშივე რომ გასრისეს, მზეც ვერ იხილა.  
 დედამისის საშვილოსნოდან გულმოდგინედ გამონმინდეს  
 მისი თოთო ნარჩენები და, საბოლოოდ,  
 სისხლით მოთხვრილ ბინტებთან ერთად,  
 სანიტარმა ნაგვის ურნაში გადაუძახა.  
 სქესი არ ჰქონდა. არც სახელი რქმევია და არც უძებნიათ,  
 რადგან ჩასახვის წამიდანვე, უბრალოდ, განირეს.  
 აბორტის შემდეგ დედას სიცხემ აუწია. ასე დამთავრდა...  
 რა კარგი ქენი, რომ გაიზარდე, ჩემო გოგო!

კიდევ იყო უნლო ბავშვი, ორიოდე დღის,  
 სახელი მარჯვენა ხელზე მიბმულ ქალაღდის ნაგლეჯზე  
 ნაენერათ, მერე, რატომღაც, წაეშალათ და  
 არაფერი გაირჩეოდა. ნოემბრის ღრუბლიან  
 დილით მგზავრმა გაყინული იპოვა გაჩერებასთან.  
 ბიჭი გამოდგა – სახელიანი უსახელო. მზე კი იხილა,  
 თუმცა – სულ ცოტა ხნით. დამტოვებლის იმედი, რომ ბავშვს  
 იპოვნიდნენ, გამართლდა, მაგრამ – დაგვიანებით.  
 ცოტა ადრე გამოსულიყო მგზავრი სახლიდან...  
 რა კარგი ქენი, რომ გაიზარდე, ჩემო გოგო!

თაკოც ნახე: ერთი წლის იყო. გარეუბანში,  
 მუყაოსგან და თუნუქის ფურცლებისგან შეკრულ ქოხში,  
 ლოგინად ჩავარდნილ ბებიასთან ერთად ცხოვრობდა.  
 ზოგჯერ ვინმე, გზის გაღმა მდგარი კორპუსიდან,  
 რამე საჭმელს თუ მიანვდიდა ბებია-შვილიშვილს,  
 თან, ჭუჭყიან ჩერებში გახვეულ და ატირებულ  
 ბავშვს უგულოდ მიეფერებოდა. ეს, მხოლოდ, ზოგჯერ.  
 სანამ მათთვის სახელმწიფომ მოიცალა,  
 შიმშილით მოკვდა ბავშვი, მოკვდა შიმშილით...  
 რა კარგი ქენი, რომ გაიზარდე, ჩემო გოგო!

ოთოც ნახე: ორი წლის იყო. ჯამბულის ქუჩაზე,  
 შენს ბაღში დადიოდა, იქნებ ერთადაც გითამაშიათ,  
 ან, იქნებ, როცა მიმყავდი ან გამომყავდი,  
 ჭიშკარში ერთად შევსულვართ და გამოვსულვართ.  
 ის და მისი უფროსი და ზებრაზე გადადიოდნენ,  
 როცა ვიღაც უგონოდ მთვრალი და უნამუსო  
 დაეჯახა, არც გაჩერდა, გზა გააგრძელა,  
 თითქოს ბავშვებს კი არა, კუნელის ბურქს დაჯახებოდა.  
 და გადარჩა, ძმას კი სასწრაფომ ვერ მიუსწრო...  
 რა კარგი ქენი, რომ გაიზარდე, ჩემო გოგო!

ლილიც ნახე: სამი წლის იყო. მისაღებ ოთახში  
 თოჯინებით თამაშობდა ხოლმე. ჩუმი და წყნარი,  
 უფროსებს არასდროს ანუხებდა, დივანს და კედელს  
 შორის თავისთვის შეყუჟული. უფროსებიც  
 დიდ ყურადღებას არ აქცევდნენ, ეგონათ, რომ  
 ისეთ რამეს არასოდეს გააკეთებდა,  
 რასაც შეეძლო მათი გულისწყრომა გამოენვია,  
 მაგრამ შეცდნენ, ზედმეტი ნდობა გამოუცხადეს –  
 ღია ფანჯრის რაფაზე აძვრა და სხეულმა გადასძლია...  
 რა კარგი ქენი, რომ გაიზარდე, ჩემო გოგო!

ნიკაც ნახე: ოთხი წლის იყო. დაუსვეს ექიმებმა  
 მწვავე მიელოლეიკოზის დიაგნოზი.  
 ფულიანმა მშობლებმა სად არ წაიყვანეს, რა არ იღონეს –  
 მსოფლიოს ცნობილი კლინიკები. საუკეთესო  
 სპეციალისტები. ქვეყნიდან ქვეყანაში მოგზაურობები.  
 იმედები და იმედების გაცრუებები. ისევ იმედები.  
 ტკივილის მატების პროპორციულად კარგა ხნის წინ  
 მივიწყებული ღმერთის გახსენება. თუმცა, ყველაფერი  
 ამოა გამოდგა. კერძო თვითმფრინავით ჩამოასვენეს...  
 რა კარგი ქენი, რომ გაიზარდე, ჩემო გოგო!

წინროც ნახე: ხუთი წლის იყო. საოცრად ხატავდა,  
 ხელები ყოველთვის საღებავით ჰქონდა მოთხვრილი,  
 სახლის ყველა კედელზე მისი ნახატები გამოეფინათ,  
 მის ნახატებს სხვაგანაც ჰფენდნენ. საქმის მცოდნენი  
 მასში მომავალ დიდ მხატვარს ხედავდნენ. თუმცა, ერთხელ,  
 სალამოხანს, როცა ცოლი სახლიდან გასული დაიგულა,  
 ფსიქიკური პრობლემების მქონე მამამ დანა ალესა,  
 და ქალიშვილს, ხატების კუთხესთან, ყელი გამოჭრა.  
 მერე თქვა, რომ ამის გაკეთება ღმერთმა უბრძანა...  
 შენ ექვსის ხარ, რა კარგი ქენი, რომ გაიზარდე.

რა კარგს იზამ, კიდევ უფრო რომ გაიზრდები.

## ფიჭვებმაც ბაიბონ

ირინას

არც ვიცოდი, რომ ყველაფერი ამ გზით წავიდოდა,  
 რაც უნდა მითხრა, უკვე ვიცი, ისე დანვრილებით,  
 როგორც წარსული, რომლიდანაც ვცდილობ საბოლოოდ  
 გამოვძვრე, ვცდილობ. როგორ არა, როგორ არ მინდოდა  
 შენი თითები ჩემს ხელებში, თვალს არ გაცილებდი  
 შორიდან, მაგრამ რალაც ძალა თითქოს მაბრკოლებდა.  
 ბილიკზე ვდგავართ, ვემზადებით ტყეში შესასვლელად,  
 და ახლა ვამბობ, ახლა ვყვირი:  
 ყველას, ყველას, ყველას:  
 ჩვენ გვიყვარს ერთმანეთი!

წყვეტილად ისმის საიდანღაც ძველი მელოდია –  
 „Miss Your Kiss“. მომცრო გირჩების ქვეშ შემძვრალ ჭიანჭველებს  
 ვაშინებთ, დილის ჰაერია ისე გამჭვირვალე...  
 და სანამ შევალთ, ეს ხეები ჩვენში შემოდინ,  
 გადიან. წინ დგას ხმელი ფიჭვი, უხმოდ მიაჩერდი,

ქვევიდან ზევით, უთვალავჯერ. ვერ წყვეტ ნამძინარე  
 თვალებს. ვდგავართ და ვემზადებით ტყეში შესასვლელად,  
 და ახლა ვამბობ, ახლა ვყვირი:  
 ყველას, ყველას, ყველას:  
 გვაცალეთ ერთმანეთი!

ნეტავ ვინ იცის, როგორ სწრაფად, როგორ უცნაურად  
 მოხვედი, დარჩი. ჩვენი ღამე. თეთრად გათენება  
 და დაღამება. ყველაფერი. თითქოს მეათასედ,  
 განა პირველად. და ეს იყო მთელი სასწაული.  
 იმ დილით ცრიდა და წვეთები დენის სადენიდან  
 წყდებოდნენ, ვილაც იჯდა თავის მოზრდილ ვერანდაზე.  
 და ახლა აქ ვართ, ვემზადებით ტყეში შესასვლელად,  
 და ახლა ვამბობ, ახლა ვყვირი:  
 ყველას, ყველას, ყველას:  
 ჩვენ გვინდა ერთმანეთი!

ცარიელ პროსპექტს მივყვებოდით, და შენ იხსენებდი  
 ბავშვობას, სოფელს. ღია იყო ღამის საკონდიტრო.  
 მოხუცმა წყვილმა ჩაგვიარა, მზერა გააყოლე:  
 „– თუ შეგძლებდით, რომ ერთმანეთი ასე, სიბერემდე,  
 გყვარებოდა და საბოლოო ზარის ჩამოკვრის დროს  
 შეგვძლებოდა და ყოფილიყო ირგვლივ გაზაფხული?!“  
 ახლა კი აქ ვართ, ვემზადებით ტყეში შესასვლელად,  
 და ახლა ვამბობ, ახლა ვყვირი:  
 ყველას, ყველას, ყველას:  
 ვიპოვნეთ ერთმანეთი!

თუმცა, ოდესმე, დამთავრდება, მაინც დამთავრდება,  
 მაგრამ მთავარი ის არის, რომ დარჩეს მოსაყოლად  
 ზღაპარი, დავრჩეთ ამ ზღაპარში, დავრჩეთ სამუდამოდ.  
 ყველა სიყვარულს, მეტნაკლებად, თუ აქვს გამართლება,  
 ჩვენ გავამართლეთ სიყვარული ჩვენი სიყვარულით,  
 მე ეს ვიცოდი, შენც იცოდი, ანუ თავიდანვე  
 ვიცოდით. ახლა დილაა და ტყეში შესასვლელად...  
 და ახლა ვამბობ, ახლა ვყვირი:  
 ყველას, ყველას, ყველას:  
 ვგიჟდებით ერთმანეთზე!

წუხელ ჰამაკი დარჩენიათ, წიგნი (აპდაიკი) –  
 ჰამაკში. იქვე, მოშორებით, ვხედავთ სხვა ჰამაკსაც.  
 მარტო ჩვენ ვართ და ჩამონოლილ თითქმის სიჩუმეში  
 ვიძახი: „მა სი მაოროფენ!“ მინდა, რომ გაიგონ  
 ფიჭვებმა. ვივლით დაღლამდე და ვივლით საღამომდე,



თანაც, გზადაგზა, ბადმინტონი უნდა ვითამაშოთ.  
 ჯერ კი აქ ვდგავართ, ვემზადებით ტყეში შესასვლელად,  
 ამასაც ვამბობ, ამას ვყვირი:  
 ყველას, ყველას, ყველას:  
 ჩვენია ერთმანეთი!

ხშირად განვიცდი განუცდელს და ხშირად წარმოვიდგენ,  
 რომ მე ვილვიძებ სამყაროში, სადაც შენ არ მხვდები,  
 ან მხვდები, მაგრამ სხვასთან ხარ და ჩემთან არც ყოფილხარ,  
 ღია ფანჯრიდან ნიავს გააქვს ყავის არომატი,  
 და მასთან ერთად - სასიცოცხლო მთელი შემართება,  
 და თან შემოაქვს ქაოსი და მძიმე განწყობისთვის  
 საჭირო ხმები. ვემზადებით ტყეში შესასვლელად,  
 და ახლა ვამბობ, ახლა ვყვირი:  
 ყველას, ყველას, ყველას:  
 ჩვენ ვაფრენთ ერთმანეთზე!

დროდადრო, როცა ერთმანეთი ისე გვენატრება,  
 რომ გავძლოთ, უკვე საბოლოოდ გამორიცხულია,  
 შენ ჩამოდიხარ, და მომხდარი უფრო გამძაფრებით  
 მეორდება და ჩვენს ფანჯარას სუსტი მზე ადგება,  
 გადახრილი და ჩამავალი, ბოლოს, სამერცხულსაც  
 ჩაცდება, ფარებს აანთებენ მწკრივში მანქანები.  
 ახლა აქ ვდგავართ, ვემზადებით ტყეში შესასვლელად,  
 და ახლა ვამბობ, ახლა ვყვირი:  
 ყველას, ყველას, ყველას:  
 გვჭირდება ერთმანეთი!

შენი დარგული ალუბალი ვინრო ტროტუარის  
 კვადრატში. ქარი, და მას მოაქვს ფეროშენადნობთა  
 ქარხნიდან კვამლი, მძაფრი სუნი. და ამ ინდუსტრიულ  
 ჭაობში შენ და ალუბალი, ისე მოუარე,  
 როგორც სიყვარულს, სხვებს რომ ჰქონდათ, მაგრამ ჩვენც ვნატრობდით  
 და მოვიპოვეთ, ჩვენია და რა არ შეუძლია.  
 ახლა კი აქ ვართ, ვემზადებით ტყეში შესასვლელად,  
 და ახლა ვამბობ, ახლა ვყვირი:  
 ყველას, ყველას, ყველას:  
 ჩვენ გვიყვარს ერთმანეთი!

ბილიკთან ახლოს, წინა ღამით, ვითომ მილაგებულ  
 პიკნიკს, ნარჩენებს, მზე აშრობს და თეთრი ძალი ყნოსავს,  
 და შენ ნელ-ნელა ეპარები, ჩუმად ფოტოს უღებ,  
 იქვე წყაროა, გაივლის და უცებ იკარგება  
 მიწაში, უღებ. ისევ ნაგავს ყნოსავს ალბინოსი

ძალი, შენ ისევ ფოტოს უღებ, ის კი საპასუხოდ  
 გიყვებს. აქ ვართ და ვემზადებით ტყეში შესასვლელად,  
 და ახლა ვამბობ, ახლა ვყვირი:  
 ყველას, ყველას, ყველას:  
 გვაცალეთ ერთმანეთი!

როგორი დღე და, შეკუმშული, და ჭადრის ნვერამდე  
 ჩამონეული ღრუბლები და ჩქარი ნაბიჯები –  
 ჰა და ჰა წვიმა – და ზეცაში ცქერა, დაკეცილი  
 ქოლგები, სწორედ ასეთი დღე, თანაც ის ფერადი  
 ბუშტები კედრის გამხმარ ტოტზე, და თუ დამიჯერებ  
 ასეთი, არა – სხვანაირი, და თუ დაგვაცლიან  
 ასეთი იყოს. მაგრამ ახლა ტყეში შესასვლელად  
 ვემზადებით და ახლა ვყვირი:  
 ყველას, ყველას, ყველას:  
 ჩვენ გვინდა ერთმანეთი!

როცა მიდიხარ, მარტო ვრჩები და ცარიელდება  
 პემზამოყრილი პარკები და ზოგან დამულჩული  
 სკვერები, გრძელი პროსპექტები, მოკლე ქუჩები და  
 ჩიხები. მე კი დავდივარ და უკან იარდები,  
 მეტრები მრჩება, ვეუბნები მუდამ დამუნჯებულ  
 ძეგლებს: „– ყოველი იმ წამიდან და იმ წუთებიდან,  
 მკაფიოდ მახსოვს ყველაფერი!“ ტყეში შესასვლელად  
 ვემზადებით და ახლა ვყვირი:  
 ყველას, ყველას, ყველას:  
 ვიპოვეთ ერთმანეთი!

შენი ოთახი. თაროები. თარო. ო. ჭილაძის  
 პორტრეტის გვერდით ჩემი წიგნი. ლურჯი გარეკანი.  
 მოგრძო სანათი. შენ ზიხარ და ჩამოგიცურდება  
 მკლავზე ზონარი, გაისწორებ. იცი, რომ დილამდე  
 თვალს ვერ მოხუჭავ, ეს ნევროზი! ჩემთან დარეკავდი,  
 რომ არ მეძინოს. იყვირებდი, მაგრამ მეზობლები...  
 ახლა აქ ვდგავართ, ვემზადებით ტყეში შესასვლელად,  
 და ახლა ვამბობ, ახლა ვყვირი:  
 ყველას, ყველას, ყველას:  
 ვგიჟდებით ერთმანეთზე!

ჩემი ოთახი. თაროები. თარო. უ. ფოლკნერის  
 პორტრეტის გვერდით ჩემი წიგნი. ლურჯი გარეკანი.  
 შუალამეა და ტურები ვერეს ხეობაში  
 მოთქმით ტირიან. გორაკიდან ჩადის უმოკლესი  
 ბილიკი, მაგრამ იქ რა მინდა. შენთან დავრეკავდი,

რომ არ გეძინოს. ჭრაჭუნა პარკს ისე შემოვაცლი  
სიგარეტს, თითქოს ვენეოდე. ტყეში შესასვლელად  
ვემზადებით და ახლა ვყვირი:

ყველას, ყველას, ყველას:  
ჩვენია ერთმანეთი!

შენ გიყვარს, როცა მელოდები, და მე კიბიდან გწერ  
ერთადერთ სიტყვას: „გააღე!“, და კარი ღია მხვდება,  
შევდივარ, შენ კი კარის უკან დგახარ, იმალები,  
როცა მივხურავ, მეხუტები, მეკვრი ტირილამდე  
მისული, მიყვარს ის კედლები, ჭერი, იატაკი,  
რადგან შენია, უმთავრესი და სხვა წვრილმანები  
სწორედ იქაა. ვემზადებით ტყეში შესასვლელად,  
და ახლა ვამბობ, ახლა ვყვირი:

ყველას, ყველას, ყველას:  
ჩვენ ვაფრენთ ერთმანეთზე!

ვცდილობ დაგხატო წარმოსახვით, ვზივარ და გიყურებ  
(გისხენებ), იყო სევდიანი თუ სჯობს გაგაღიმო?!

ერთიც გიხდება და მეორეც, უნდა ავირჩიო.

ამოვალაგე სახატავი მთელი ფურნიტურა:

საღებავები, ფუნჯები და მოგრძო მასტიხინი...

უკვე წლებია აღარ ვხატავ, დიდი ნაბიჯია

ამოლაგებაც. ახლა აქ ვართ, ტყეში შესასვლელად

ვემზადებით და ახლა ვყვირი:

ყველას, ყველას, ყველას:

გვჭირდება ერთმანეთი!

მინდა გავსრისო სათითაოდ ყველა ის ყვავილი,  
რომელიც შენთვის უჩუქნიათ, თუმცა ყვავილებმა

რა დააშავეს, მაგრამ მინდა თავი მოვუყარო,

წიხლებით შევდგე, მიყურო და ცუდი სიზმარივით

ონკანს მოუყვე, რადგან მეტჯერ არა, არ იქნება,

მეტჯერ არ ვიზამ, დაგპირდე და ამით საუბარი

მორჩეს. აქ ვართ და ვემზადებით ტყეში შესასვლელად,

და ახლა ვამბობ, ახლა ვყვირი:

ყველას, ყველას, ყველას:

ჩვენ გვიყვარს ერთმანეთი!

რამდენს გეძებდი! ბოლოს მივხვდი, რომ იქ არ გეძებდი

სადაც იყავი და ორივე თვალი, ბუდნებივით,

დამეთხარა და ჩაგთესე და ახლა სხვას ვერავის

და სხვას ვერაფერს ვხედავ, მხოლოდ თქვენ: შენ & (ამპერსენდი)

შენ. თანაც ისე, თითქოს რა და, იყოს ბუნებრივი

ის, რომ თვალეში მყავდეს შენი ორი ნახევარი.  
და ახლა აქ ვართ, ვემზადებით ტყეში შესასვლელად,  
და ახლა ვამბობ, ახლა ვყვირი:  
ყველას, ყველას, ყველას:  
გვაცალეთ ერთმანეთი!

მე შენკენ ვუშვებ პირველ პეპლებს, უნდა გაიარონ  
ქალაქი, მერე ხიდი, ტრასა, ავტომაგისტრალი,  
მომცრო გვირაბი, მერე – დიდი. ცოტაც, სულ ცოტაც და  
შენთან არიან, მოაღნიეს უკვე, კარგია, რომ  
არ გაუწვიმდათ, მაგრამ ფრენით როგორ დაიღალნენ...  
ჩამოასვენე თითებზე და, ღამით, შენს ოთახში  
დააბინავე. ვემზადებით ტყეში შესასვლელად,  
და ახლა ვამბობ, ახლა ვყვირი:  
ყველას, ყველას, ყველას:  
ჩვენ გვინდა ერთმანეთი!

ქრის რი გაჩუმდა, აღარ ისმის ძველი მელოდია –  
„Miss Your Kiss“. წყარო, ნარჩენები, იქვე – ალბინოსი  
ძალი, ჰამაკში – აბდაიკი, ხელში – ბადმინტონის  
წყვილი ჩოგანი, მოჭრილია უკან დასახვევი  
ყველა გზა, და ჯერ ეს ფიჭვები ჩვენში შემოდიან,  
და მე ვიხრები წყაროს თვალზე, წყაროს წყალი მოვსვი.  
რაც ირგვლივაა, ყოველივეს, უკან მოვიტოვებთ,  
და მოვიტოვებთ მთელ ამ ქაოსს, ხმაურს, მთელ საგიჟეთს,  
ამოვიღე და გადავაგდე სახლის გასაღები,  
მერე კი ხელი ჩაგკიდე და ტყეში შევაბიჯეთ!

*სურამი (ბაიანთხევი)-თბილისი. 2019*

## CO

აი რა: ღამაზო ბელურა,  
მამალო ბელურა (დედალთან საქმე არ მაქვს),  
მე მხოლოდ შენ მოგმართავ, რადგან ეს კაცების საქმეა:  
გახსოვს ის უჩვეულოდ ცივი და სუსხიანი ზამთარი?!  
შეიძლება არც გახსოვს, და ისე დაგავინყდა,  
როგორც შარშანდელი მორიგი შემოდგომა,  
ან იქნებ გახსოვს კიდევ, მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ  
ძალიან ციოდა და შენს ხანმოკლე ცხოვრებაში  
ეგეთი ყინვიანი ზამთარი არც ყოფილა.

მე კი სრულიად სხვა რამის გამო მახსოვს,  
მახსოვს იმის გამო, რის გამოც შეიძლება არც კი მხსომებოდა,  
პარადოქსია, მაგრამ სიმართლეა, მწარე სიმართლე.

აი რა: ლამაზო ბელურა, მამალო ბელურა,  
ჩვენი წყლის გამათბობლის გამწოვ მილში  
ბუდე რამ აგაგებინა?! ნუთუ, სხვა ადგილი ვერ იპოვე,  
შენთვისაც და სხვებისთვისაც ნაკლებად სახიფათო?!

ხომ იცოდი, რომ მერვე სართულის იმ ბინაში  
ვცხოვრობდით მე და ჩემი ცოლი, ექვსი თვის ორსული?!  
ხომ იცოდი, ჩვენთან სტუმრად ხშირად რომ დადიოდნენ  
ჩემი და და ბიძაშვილი?! ერთ-ერთი ჩვენგანი  
საბანაოდ დიდი ხნით შევიდოდა?! ისიც ხომ იცოდი,  
ბუდით დაცობილი მილი მხუთავ აირს ვერ გაატარებდა?!

აი რა, ლამაზო ბელურა, მამალო ბელურა:  
შენ დაგავინწყდა, რომ მე სიკვდილი ვერ მერევა,  
რომ მე სიკვდილი მანამდე ორჯერ დავამარცხე,  
და, რა თქმა უნდა, ვერც მაშინ დამაკლო ვერაფერი –  
თავბრუდახვეული კართან მივფორთხდი და, როგორღაც, გავადე,  
მერე – მეორეც... ორპირით განვდეგენე მხუთავი აირი...


აი რა, ლამაზო ბელურა, მამალო ბელურა:  
როგორც ადგილზე მოსულმა სასწრაფოს ექიმმა თქვა,  
სულ რამდენიმე წამით გაჯობეთ შენ და სიკვდილს,  
უფრო სწორად, შენ და ხუთ სიკვდილს –  
ოთხ დიდს და ერთ პატარას!

აი რა, ლამაზო ბელურა, მამალო ბელურა:  
შენ, მგონი, გინდოდა, შური გეძია იმ თანამოძმეების  
გამო, რომლებსაც, ბავშვობაში, კაკანათს ვუგებდი,  
მაგრამ არაფერი გამოგივიდა!

\*

მაღალი კორპუსიდან მხუთავი აირით გაგუდული  
მთელი ოჯახი (მშობლები & სამი შვილი) გამოასვენეს,  
და სასაფლაოს აღმართს აუყვა პროცესია,  
იმდენად გრძელი და ხალხმრავალი,  
რომ წინ მიმავალ ჭირისუფალთა მოთქმა ვერ აღწევდა ჩვენამდე.

გზისპირას დავინახე ფრთამოტეხილი ბელურა,  
და სანამ ვორჭოფობდი, იმ მომენტისთვის შეუფერებელი  
ნაბიჯი გადამედგა (ხელში ამეყვანა) თუ არა,  
ბურჩიდან გამომძვრალმა რუხმა კატამ პირი დასტაცა,  
და ისევ იმ ბურჩში გაუჩინარდა.



# როდუნდ ბიორბაძე

## უცნაური კაცი

მიუხედავად იმისა, რომ შუახანს კარგა ხნის გადაცილებული იყო, ვერცხლისფერი აქა-იქ თუ გაიელვებდა თმაში. უკვირდათ მისი ახალგაზრდული იერი: – შენზე, კაცო, წლები არ მოქმედებს, თუ გვერდზე ჩაგიარესო, შენს ტოლებს ან სარკესავით უპრიალებთ თავი ან თმაშეთხელებული, ერთიანად გათეთრებულნი არიანო.

ბევრს არაფერს იტყოდა, ერთი ჩაიცინებდა და მოკლედ პასუხობდა: – ჯიში, ძამია, ჯიშიო. რა დასამალია, მარტო ჯიშსაც არ ენდობოდა, ხანდახან ექიმსაც მიაკითხავდა ხოლმე. ბოლო მიკითხვისას ექიმმა უთხრა: ისეთი არაფერი, მაგრამ დილდილაობით ცოტას თუ ნაივარჯიშებ, ურიგო არ იქნებაო, ოღონდ თავი არ გადაიტვირთო, ნელი ნაბიჯები და ძუნძული ნაადგება საქმესო.

მას შემდეგ სისხამზე, ყოველ დილით ჩამოდიოდა ეზოში და პატარა სპორტულ მოედანს მიაკითხავდა. სანამ ექიმის მითითების შესრულებას შეუდგებოდა, მცირეხანს ჩამოჯდებოდა და მზის ამოსვლას ელოდებოდა. ანცვიფრებდა იდუმალებით მოცული ზეციური სამყარო, საგონებელში აგდებდა მისი უსასრულობა, შეუმეცნებლობა და მისტიკურობა. ბავშვობიდანვე უყვარდა მზის პირველ სხივებთან შეგებება. ბაბუას სიტყვები აგონდებოდა – მზემ ვერ უნდა დაგასწროს ამოსვლაო და ყოველთვის ფეხზე ამდგარი უნდა შეეგებოო. არც ახსოვს, ბაბუას ამ წესიდან ოდესმე გადაეხვიოს. ისიც ცდილობდა ბაბუასათვის მიებაძა, სისხამზე გვერდოზე გადავიდოდა და ელოდებოდა ცარგვალის გაბრწყინებას.

ნუსხავდა მზე, მისი მაცოცხლებელი სხივები და დიდებულება. გაღმა სერიდან იწყებდა ამოსვლას, ჯერ პატარა ნაწილი გაიბლანდებოდა მთის წვერზე ხეთა ტოტებში, მერე ნახევრად ამოცურდებოდა, ბოლოს კი მთელი სიდიადით ამობრწყინდებოდა და სოფელიც ცოცხლდებოდა. აცრემლებამდე შესცქეროდა გავარვარებულ დისკოს და მერე მისთვისაც გასაკვირი ძალით აღვსილი და გახალისებული, ფრთაშესხმულივით მოკურცხლავდა სახლისკენ.

ასეთი შეგრძნება მას შემდეგ მხოლოდ ახლახან განიცადა მლეთაში, ერთ საოცარ ბერთან სტუმრობის შემდეგ. გამოვიდა თითქოს უსხეულო, მარტო სული, ერთი ხელის აქნევა იყო საჭირო, რომ აფრენილიყო...

ის-ის იყო, მზე კორპუსებს ასცდა, ფეხზე რომ წამოიმართა. კიდევ ერთხელ თვალმოჭუტულმა შეავლო თვალი მის ბრწყინვალეობას და ძუნძულს შეუდგა – ერთი ორი, სამი... რვამდე რომ მივიდოდა, ისევ თავიდან იწყებდა – ითვლიდა გუნებაში და თვითონაც არ იცოდა, რისთვის ითვლიდა.

ბათუმი, ისევ ბათუმი, რომ აღარ დაადგა საშველი ამ პროცესის დასრულებას! მძინარე ვულკანივითაა, ხან ჩაიფერფლება, ხან ისევ ამოიფრქვევა. უკვე რამდენი წელი გრძელდება და დასასრული არ უჩანს.

როგორც დაარიგეს, დინჯად მიძუნძულებდა, გონებაში კი ვიღაც უხილავი სარეკელასავით რეკდა – ერთი, ორი, სამი... ნამძინარევი ქალაქიც იღვიძებდა. მანქანებმაც უმატეს სრბოლას და ქროლვას.

აღბათ, პენსიაში გასვლამდე გამყვება ეს მომაბეზრებელი სასამართლო პროცესი. ესეც მეოთხე წრე. კი არ ძუნძულე, დარბიხარ, დარბიხარ. გაგაფრთხილეს, ძუნძულიო, რა უცნაური სიტყვაა – ძუნძული. ცოტა ტემპს მოუკელი, ტემპს.

ეზარებოდა წასვლა, არც მოგების დიდი იმედი ჰქონდა, მაგრამ დაუსწრებელი გადაწყვეტილება კიდევ ერთი ხათაბალა იქნებოდა და წასვლა ამჯობინა. – წადი, წადი, კაცი ხომ ვერსოდეს გაიგებს, თუ რას უქადის ხვალინდელი დღე. ესეც ექვსი წრე, დღეს მეყოფა. ისე, ათამდე უნდა გავზარდო.

მეორე დღეს, დილით, დანიშნულ დროს, ტაქსმა მოაკითხა. რვა საათზე გადიოდა მატარებელი. ყველა აქებდა მატარებლის ამ შემადგენლობას უცხოეთიდან ჩამოყვანათ, ორსართულიანი არისო და ძალიან კომფორტულიო. აინტერესებდა, არასოდეს ენახა ორსართულიანი მატარებელი. ისე, ბევრი ავისმოსურნეც გამოუჩნდა – ქილიკობდნენ, წყალში გადაყრილი ფულიაო, წიფის გვირაბში არ გაეტევაო. ყველაფერმა მშვიდობიანად ჩაიარა, მგზავრებიც კმაყოფილი იყვნენ. ხშირად არ ჩერდებოდა და დროულად ჩადიოდა დანიშნულების ადგილზე.

რამდენი ავყია ამ ნუთისოფელში ცდილობს თავისი ავყიობით გამოჩნდეს ავანსცენაზე. არც არაფრის რცხვენიათ და არც იმაზე ფიქრობენ, თუ რა ზიანს აყენებენ ქვეყნის ავტორიტეტს. ფიქრებიდან მძლოლმა გამოიყვანა: – მოვედით, მეგობარო, ბედნიერ მგზავრობას გისურვებო. მაღლობა გადაუხანდა მძლოლს, წარმატებული დღე უსურვა და მანქანიდან გადმოვიდა.

მომხიბვლელი ახალგაზრდა გამცილებელი გოგონა შეეგება, მიესალმა, მეორე სართულზე აიყვანა და თავის ადგილზე მიანიშნა. ფანჯარასთან მოკალათდა, წინასწარ ჰქონდა შეკვეთილი ადგილი ფანჯარასთან. ფიქრობდა, კიდევ ერთხელ დავტკბები მშობლიური პეიზაჟებით, რომლის ცქერა არასოდეს მოსწყინდება ქვეყანაზე შეყვარებულ კაცსო.

ვაგონი შეათვალიერა. ყველაფერი სადად და კოხტად გამოიყურებოდა. გასაშლელი სავარძელი და პატარა გადმოსანევი მაგიდა სამუშაოდ და აღბათ წასახემსებლადაც. ვაგონი თანდათან ივსებოდა მგზავრებით. ისმოდა უცხო ენებზე საუბარი. მეტი წილი ჩრდილოელი მეზობლები იყვნენ, მცირეწლოვნებიც და ხანდაზმულებიც. ფუსფუსებდნენ, ბარგს ალაგებდნენ, ადი-ჩამოდიოდნენ კიბეზე, გაზიანი სასმელებით და სხვადასხვაგვარი ნუგბარით მარაგდებოდნენ.

ვერც შენიშნა, ისე უხმაუროდ დაიძრა მატარებელი, თითქოს შენობებმაც აიდგეს ფეხი, მერე ხეებიც აჰყვნენ და მოუმატეს სრბოლას. გასცდა დიდუბეს. მხოლოდ ლიანდაგების გადაბმის ადგილას თუ გაიტკაცუნებდა შემადგენლობა. კი არ მიდიოდა, თითქოს მისრიალებდა. ავჭალასაც მიუახლოვდნენ. ავჭალა რალაც ავისმომასწავებელი სახელია, შიშის მომგვრელი, მტკივნეული წარსულის გამოძახილია აღბათ. მატარებელი შეკვივლებით მიიწევდა წინ. უხმაუროდ რომ მიდის, საფრთხის ასაცილებლად კივის ხოლმე აღბათ ასე ხშირად. მთის ძირში მიიკლაკნებოდა დინჯად. გაღმა მხრიდან ჯვარი და სვეტიცხოველი იმზირებოდა. გამოღმა მხარეს – წარმართული ღვთაებების, გაცის და გაიმის ყოფილი ადგილსამყოფელი, რომლებიც ქართლში ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ განადგურდა. საინტერესოა ისტორიის წიაღსვლებში ჭვრეტა. ბიზანტიის კეისარი, ბასილი, თუ ერთი ხელით სამხრეთ საქართველოს მიწებს იტაცებდა, მეორე ხელით სვეტიცხოვლის ტაძრის აშენებას აფინანსებდა. პარადოქსებითაა სავსე კაცობრიობის ისტორია.

ყველამ ზედმინევნით კარგად უნდა იცოდეს თავისი ქვეყნის ისტორია, მისი აღმასვლის, თუ დაღმასვლის, დიდების, თუ დაცემის მიზეზები, რომ ერმა დასკვნები გამოიტანოს. მაგრამ ისიც ნათქვამია, ისტორიის გაკვეთილები ის არის, რომ გაკვეთილები არ გამოაქვთ ისტორიიდანო, – ჩვენზეა ნათქვამი.

ფიქრში ხელს არავინ უშლიდა და გადაეშვა უნაპირო ოკეანეში. სულ უკვირდა, თუ რა ძალამ შეანარჩუნებინა მის მოდგმას თვითმყოფადობა და თავისთავადობა გარეშემორტყმულ დაუნდობელ მტრების გარემოცვაში. ყველაზე დიდი განძი, საფიცარი მათთვის ღმერთი და სამშობლო იყო. რა

სულისკვეთებით ზრდიდნენ!.. რა ჰარიჰარად ეკიდებოდნენ სიკვდილის ფენომენს! რამხელა რწმენა ჰქონდათ და რა სიყვარული!

ცნობილი ჭეშმარიტებაა, ვისაც უყვარს, მისთვის არანაირი – არც მინიერი, არც ზეციური დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობსო. ბარაქალა, თქვენ, მიღმიეთში გარდასულნო დედანო... ასეთი მამულიშვილების აღზრდისათვის! ჰოი, დედანო, მარად ნეტარნო! – სვე-ბედ გამნარებული ბარათაშვილი...

მატარებელმა გორს მიაკივლა. თვალი შეავლო მის გოდოლებს. „ქართლში ვინ ჰპოვა პატარა ციხე, ვინ მოიგონა სიმცირე მისი?“ – მზერადაშრეტილი ჩიქოვანი. ციხეებითაა მოფენილი ჩვენი ქვეყნის ყოველი კუთხე, თითქოს ერთი მთლიანი ციხესიმაგრეა. დროის მსახვრალი ხელის გამო, ბევრგან მხოლოდ ნაშთებია შემორჩენილი. ზოგს მტერი ანგრევდა, ზოგს მოყვარე – მტერი რომ არ გაბატონებულიყო მასში. მერე ისევ შენდებოდა და ასე დაუსრულებლად. ბევრი დღესაც გოროზად გასცქერის სივრცეს, რომლებშიც სუსხიანი ისტორიის მწარე ფურცლები ირეკლება. მგონი ნიკო კეცხოველს უთქვამს – ბრძენკაცის ნათქვამია, თუ რომელიმე ქვეყანას არ აქვს ისტორია, მიეცით გარეჯი და ექნება ისტორიაო. ბევრი გვაქვს საამაყო, ბევრი! დიდი მოთმინება, სიბრძნე და გამძლეობაა საჭირო, დღევანდელი ქართველები რომ გადავიტანოთ და მხოლოდ ისტორიას არ შემორჩეს ჩვენი სახსენებელი. უყურებდა ქონგურებმოშლილ ციხეს და სადღაც მის თავზე სტალინიც ამოისვეტა. ერთ დროს გორი და სტალინი ხომ თითქმის სინონიმები იყვნენ. ძნელია დაასახელო სხვა ისტორიული პიროვნება, ჭორ-მართალის ბურუსში ასე რომ იყოს გახვეული.

სოფელი გაახსენდა, წყაროსთვალი. იმ კუთხეში მხოლოდ ერთი წყარო იყო, ღარტაფებს შორის შემადლებულ ადგილას უზარმაზარი ცაცხვის ქვეშ წყალუხვი და ცივზე ცივი. მხოლოდ ერთი ცაცხვის ხე იდგა. სხვა არანაირი ნარგავი. მედიდურად გაჰყურებდა სივრცეს და მზრუნველად დაჰფოფინებდა წყალუხვ, ანკარა, ცივ წყაროს. ისეთი ცივი იყო, ყმანვილები გამძლეობის საზომად იყენებდნენ, ვინ უფრო დიდხანს დააყოვნებდა ხელს ყინულივით ცივ წყალში. სოფლის ჭებში ზაფხულობით წყარო რომ დაშრებოდა, გლეხები იქ იკრიბებოდნენ. მიუდგამდნენ ღარს ჩაფებს მონაცვლეობით და მსჯელობდნენ წუთისოფლის ავკარგიანობაზე. რა საკითხიც არ უნდა ყოფილიყო განხილული, სტალინზე აუცილებლად ისაუბრებდნენ. აქებდნენ და იყვნენ ერთ ამბავში. იშვიათად ვინმეს საწინააღმდეგო აზრი გამოეთქვა. იმასაც უმაღვე მოაკეტივნებდნენ ხოლმე. თითქმის სულ ერთ და იგივე ამბავს ყვებოდნენ. თუ ვინმე რამე ახალ ამბავს მოიტანდა, ყურადღებით უსმენდნენ. განსაკუთრებით ერთი ომგამოვლილი გამოირჩეოდა – ახოვანი, მხრებგაშლილი, ლამაზპირსახიანი, ერთიანად გაჭაღარავებული, დინჯად და მოხდენილად მოსაუბრე ლევანა. არა თუ დიდები, მოზარდებიც კი გულისყურით ვუსმენდით. იტყოდა ხოლმე – ილიას რამე შეეშლებოდაო? მისი ლექსის, „ვარდს გაეფურჩქნა კოკორის“ ნაკითხვის შემდეგ უთქვამს: – ეს ახალგაზრდა ან დიდი პოეტი ან დიდი სახელმწიფო მოღვაწე გამოვავო. ახლა იაკობ გოგებაშვილს არ იკითხავ? ლექსი თავის უკვდავ „დედა ენაში“ შეიტანაო. დიდმა კაცებმა იციან ერთმანეთის დაფასება. ერთხელ სტალინს ვინრო წრეში, ქართველებთან სუფრისას უკითხავს, ყველაზე დიდი ქართველი ვინ არისო. რა თქმა უნდა, უთხრეს – თქვენო. არაო, ყველაზე დიდი ქართველი ილია იყოო, მას მსოფლიოს ხელმძღვანელობა შეეძლოო. აი, თავმდაბლობა! თუ არა, თვითონ არ ხელმძღვანელობდა მსოფლიოს! მისი სიდიადის და სიბრძნის შესახებ მისმა მტრებმაც კარგად იცოდნენ. ჩერჩილი ამბობდა, მტერი მტრის ხელით გაანადგურაო. აბა, ახლა გვყავს ხელმძღვანელი? ამოდენა ქვეყანა დაამშიაო და შავი პურიც კი სანატრელი გახდაო. ხრუშოვი მეფობდა მაშინ და პურს უცხოეთში ყიდულობდნენ. ამის შემხედვარე ჩერჩილს ჩაუქირქილებია, – მეგონა, სიბერით მოვკვდებოდი, არადა, მგონი სიცილით ვკვდებო. ასეა, ქვეყანას თავი სჭირდება, თავი, ახლა კი ხედავთ, უჭკუო თავის ხელში რა მდგომარეობაშია ქვეყანაო. ვუსმენდით ჩვენ და გვეამაყებოდა, ასეთი დიდი პიროვნება ქართველი რომ იყო. ეჭვიც კი არ გვეპარებოდა მის ნათქვამში.



ფიქრებიდან სამიოდე წლის პატარა ჩალისფერკულულებიანმა, ცისფერთვალემა გოგონამ გამოიყვანა. შესცქეროდა უძირო, კამკამა, ცნობისმოყვარე თვალებით, ალაღად და გულწრფელად უღიმოდა უცხოტომელის შვილი.

– რაო, პატარავ!

გოგონა ერთი ხელით მკლავზე წაეტანა, მეორე ხელით კი ფუნთუშა გაუნოდა. დაყოვნება რომ შეამჩნია, თვითონ ჩაკბირა და ისევ გაუნოდა. მისმა ბავშვურმა უშუალოდამ ღიმილი მოჰგვარა. ხელით წაეტანა, იქვე, სკამზე რომ დაესვა, მაგრამ დედამ აღარ დააცადა, ბოდიში მოუხადა და თავის ადგილზე დასვა. პატარამ შვილიშვილები გაახსენა. ყველა ბავშვი ერთნაირი ბუნებისაა, ალაღი და გულწრფელი, მისი მოდგმისა და წარმომავლობის მიუხედავად. ბავშვის თვალებიდან ხომ ანგელოზი იცქირება.

მატარებელი ხაშურს გასცდა და წიფის გვირაბში გაუჩინარდა.

წიფიდან თავქვე იწყება. დამრეცზე მატარებელმაც სვლას უკლო – ისე ტაატიტ მიდიოდა, წინა ვაგონიდან ჩამოსული მწვეელი, სანამ ბოლო ვაგონი გაუსწორდებოდა, სიგარეტის გაბოლებასაც მოასწრებდა. ყველაზე მეტი დრო მგზავრობისას აქ იხარჯებოდა. ბუნების მოყვარულნი ფანჯარას აკრობოდნენ. ათვალეირებდნენ ხეებს, ღრანტეებს, მოჩუხჩუხე პატარა ნაკადულებს, რომლებიც წვიმიანობისას ცოფიანივით მოჰქუხს და წალეკვით ემუქრება ყველაფერს. გაცელებული გაჰყურებდნენ კორტოხზე წამოსკუპულ ორსართულიან სახლებს და უკვირდათ, რა ძალამ ააშენებინათ იქ სახლიო. გზის პირას კანტი-კუნტად რკინიგზის მუშები საქმიანობდნენ. მატარებლის ჩავლისას თავს მალლა ასწევდნენ და თვალებით მიაცილებდნენ შემადგენლობას, რომელიც წივილ-კივილით მიიკვლევდა გზას.

ისევ სტალინს გადასწვდა ფიქრით. მისი გარდაცვალების შემდეგ, ვისაც არ ეზარებოდა, ყველამ ააბურთავა. ობიექტურად და კრიტიკულად შემსწავლელი კი არ ჩანდა. ერთი სტალინელის ნაამბობი გაახსენდა, რომელიც ახლობლის წვეულებაზე იყო მიპატიჟებული – მან კაცობრიობის ისტორიაში ისეთი სოლი ჩაარჭო, რომლის ამოგდებას სამყაროს დასასრულამდე ვერავინ შეძლებსო. შეეპასუხნენ – არა მარტო კაცობრიობის ისტორიაში, არამედ ქართველთა გულში ჩაასო ეგ სოლიო, მისი დამსახურებით დაკარგა საქართველომ ძლივს მოპოვებული, ნანატრი თავისუფლება და დამოუკიდებლობაო, მისი დამსახურებით დანანევრდა საქართველო ავტონომიებად, რომლის მწარე ნაყოფს ახლა ვიმკითო; გააჩუქა ქართველთა სისხლით მორწყული ჩვენი მიწებიო. საკუთარი სამშობლოს საზიანოდ სხვა ქვეყნისთვის ერთი ბიჯიც კი არ უნდა გადადგაო, მან კი უცხო ქვეყნის კეთილდღეობას და სიძლიერეს შეაღია მთელი სიცოხლე, ქვეყანას, რომელიც ახლა უპირველეს მტრად გვექცაო. დიდხანს არ უპასუხია იმ სტალინელს, ბოლოს კი თქვა: – ერთხელ თუ მაინც დაგისვამთ კითხვა, რატომ უყვარდა ასეთი თავგამოდებით უბრალო ხალხს, მისი გულისთვის ტანკსაც კი უვარდებოდნენ მუხლუხებში? ვიცი, ვერაფერს არგუმენტირებულს ვერ მიპასუხებთ. მე გეტყვით: – იმიტომ, რომ ეს ხალხი არარაობიდან რაობად აქცია, საუკუნეების განმავლობაში თავდახრილი, დამონებული და დაგლახაკავებული მდგომარეობიდან ამოიყვანა, თავი მალლა აანეგინა, მისი მჩაგვრელის ტოლ-სწორი გახადა და ღირსება დაუბრუნა, ცოტაა?! და კიდევ, თქვენ რაც გინდათ, ის თქვით, მაგრამ მსოფლიომ საქართველო მისი სახელით გაიცნოო.

როგორც იქნა, მატარებელი ხეობიდან გამოძვრა, ზესტაფონს გასცდა და სვლას უმატა. ბევრი აღარ იყო დარჩენილი ბათუმამდე. შე დალოცვილო, იმის მაგივრად, მოახლოებულ პროცესზე ფიქრობდე, სად დახეტილობს შენი გონება. – გული მიგრძნობს, ეს პროცესი კიდევ გადაიდება, სალაპარაკოც ბევრი არაფერი მაქვს, ჩემ მაგივრად მტკიცებულებები ისაუბრებენო – შეეპაექრა თავის თავს. მგზავრობა მშვიდ ვითარებაში გრძელდებოდა, ბავშვებიც კი უშფოთველად, მოხერხებულად მოკალათებულიყვნენ მშობლების მუხლებზე – არც ნიოკობდნენ, არც ჭირვეულობდნენ და არც დარბოდნენ სავარძლებს შორის.

მატარებელი ფრთებშესხმულივით მიაპობდა სივრცეს. მონაცვლეობით თვალს შეავლებდა ხოლმე გზის პირას ჩამწკრივებულ სოფლებს, საიდანაც ნაღვლიანად, თალხით შემოსილი ქალებივით იცქირებოდნენ დაობლებული სახლები, ბალახითა და ჯაგით გადავლილი ეზოები, ჟანგისგან შეჭმული, დაბრეცილი ჭიშკრები. გული მოეწვა და გაიფიქრა – სულ განსაცდელში როგორ უნდა იყოს ჩემი ქვეყანაო.

მატარებელმა ქობულეთს მიაკივლა და გაჩერდა. მგზავრები აიშალნენ, ზოგი აქ ჩადიოდა, ზოგმაც მუხლის გასაშლელად ბაქანს მიაშურა. სადღაც ახლოს ზღვა იყო. თითქოს მლაშე წყლის გემოც შეიგრძნო, სასიამოვნოდ გრილოდა. ხუთი წუთის შემდეგ მატარებელი დაიძრა. ერთი თვალის დახამხამება და ბათუმში ამოყოფდა თავს.

სასამართლო პროცესი ისევ გადაიდო. წინასწარ მომზადებული წერილობითი საპაექრო სიტყვა კანცელარიას ჩააბარა და სასამართლოს შენობიდან გამოვიდა. თან გაიფიქრა – აქ მეტი მომსვლელი აღარ ვარო. ჩქარობდა, მატარებლისთვის უნდა მიესწრო. ტაქსი გააჩერა და ათიოდე წუთში ვაგზალს მიადგა. ბილეთი შეიძინა, გამოვიდა ბაქანზე და წინ და უკან დაინყო სიარული. მატარებლის გასვლამდე ერთი საათი იყო დარჩენილი.

რკინიგზის ხაზს იქით, აღმოსავლეთის მხარეს, ფერდობებს სოკოსავით შესეოდნენ წითელ კრამიტის სახლები. მათ მიღმა კი შორეთიდან მედიდურად იმზირებოდა უნაგირა მთები, რომელთა თავზე საავდრო ღრუბლებს დაევანათ. ირეოდნენ ერთმანეთში, ხან შეერთდებოდნენ, ხანაც დანაწევრდებოდნენ, მუქდებოდნენ და შესაფერის დროს ელოდნენ, რათა მძიმე ტვირთისაგან დაცლილიყვნენ. დასავლეთის მხარეს კი უკიდევანო ზღვა განოლილიყო.

ზღვა ყოველთვის იზიდავდა, უყვარდა, ამასთან ჟრჟოლასა და შიშსაც ჰგვრიდა. ბევრი აღარ უფიქრია, დრო საკმაოდ ჰქონდა. ქუჩა გადაჭრა და ზღვის პირს მიაშურა. ნაპირი ალაგ სილიანი, ალაგ გაპრიალებული, სხვადასხვა ზომის ქვებითა და კენჭებით იყო მოფენილი. გაუყვა ნაპირს, გასცქეროდა ზღვას და სილაზე ნაკვალევს ტოვებდა. უკან მობრუნებისას ყველა ნაკვალევი ნაშლილი დახვდა. გაიფიქრა, ასე გაქრება ჩვენი ნაკვალევიც მარადისობის უკიდევანო სივრცეშიო. მოზრდილ ქვაზე ჩამოჯდა და ზღვას გახედა, შორს გემი მოჩანდა. ოდნავ ქროდა ქარი, ზღვა ტორტმანობდა და მცირე ზომის ტალღები ნაპირს ეთამაშებოდა. ძალზე ხიბლავდა ზღვის სუნთქვის მოსმენა, რომლის აქოჩრილი, ათას კილომეტრ გამოვლილი ტალღა ნაპირთან მიახლოებისას, დამაშვრალი კაცვივით, ერთი ღრმად ამოისუნთქავდა, თითქოს ამოიოხრაო, ცოტას შეყოვნდებოდა და გულდანყვეტილი ისევ უკან გაუყვებოდა უსასრულო გზას.

საათს დახედა, დრო თითქმის აღარ რჩებოდა. წამოდგა და აჩქარებული ნაბიჯით გაემართა სადგურისკენ, მოიძია თავისი ვაგონი, შევიდა და მის კუთვნილ ადგილზე დაჯდა, ისევ ფანჯარასთან, ოღონდ ამჯერად უკუღმა. არ ესიამოვნა, მაგრამ რას იზამდა. არ უყვარდა უკუღმა სიარული. ისე, ფანჯარასთან ჯდომასაც აღარ ჰქონდა დიდი მნიშვნელობა, ბინდდებოდა, ღამეში ვერაფერს დაინახავდა. ბაქანიდან ხმამალალი და აღგზნებული საუბარი ისმოდა, მერე სიმღერაც წამოიწყეს, მაგრამ ბევრი არაფერი გამოსდიოდათ. ურევდნენ, ერთი მეორის ხმაში გადადიოდნენ. გოგო-ბიჭები იყვნენ, მხიარულობდნენ და გამუდმებით იცინოდნენ. ერთმა მიიქცია განსაკუთრებით მისი ყურადღება, ტანთხელმა, მაღალმა და მოკლედ თმაშეჭრილმა ახალგაზრდამ. მოცეკვავესავით ჩამოუქროლებდა მომღერლებს, ხან ერთს წაეტანებოდა და ხან მეორეს. – გეყოფა, ბიჭო, რა წრი-ალი და მოუსვენრობა აგიტყდა, დამშვიდდი, მოდი და ერთი ხმა წაგვაშველეო. ის კი თავისას არ იშლიდა, ხელში ანთებული სიგარეტი ეჭირა, ხან ერთს უჯიკებდა და ხან მეორეს. თანამეინახეებს სახეში აბოლებდა და ამბობდა: – თქვენი ნამღერი არ გაიშვაო. მოკეტეთ, თქვენი ყროყინით ხალხს გულს ნუ უწუხებთო. – ელაპარაკე ახლა ამას, არა, არა, ჩვენ მივქარეთ, ღვინო რომ დაგალევინეთ, შენთვის ღვინო კიარა, ნაქია ზედგამოჭრილიო. ის კი თავისას არ იშლიდა. მატარებელი დაიძრა

და გოგო-ბიჭები ფაცხაფუცხით შემოცვივდნენ ვაგონში. ბოლოს ის ხმელ-ხმელი ბიჭიც შემოვიდა, ძლივს გააგდებინეს ხელიდან ანთებული სიგარეტი.

გამცილებელმა გამოაცხადა – ვაგონში სიგარეტის მოწევა სასტიკად აკრძალულიაო. მის ბოლზე კომპიუტერული სისტემა ირევა, მატარებელი ჩერდება და მის გამართვას სამი საათი სჭირდებაო. ხმელ-ხმელმა ბიჭმა გამცილებელს ჩანთიდან გამოსული თვალელები შეანათა და უთხრა:

– გვაბოლებ, არა?! – მერე გამცილებელი გოგონა თავიდან ფეხებამდე შეათვალა: – ღმერთო, რა ლამაზი თვალელები გაქვთ, რა მაცდურად და მომხიბვლელად ილიმებით, ყველას ასე უღიმით, თუ მარტო მე? რა თქმა უნდა, მე! ჩემს შეხედვაზე ქვებიცი კი დნებიან, მაგრამ არ ამყლავნებენ. თქვენც მაგ დღეში ხართ ახლა, მაგრამ ქალური კდემამოსილება არ გაძლევთ მისი გამოსატვის საშუალებას. დედა, დედა, როგორ გიხდებათ უნიფორმა! საპატარძლო კაბასაც კი დაჩრდილავს...

– ახალგაზრდავ, გთხოვთ დაბრძანდეთ თქვენს ადგილას.

– მოიცათ, მოიცათ, რატომ მიშლით მშვენიერებით ტკობას? გგონიათ, რომ ეგ სილამაზე მარტო თქვენ გეკუთვნით? გინდათ ლექსს გეტყვი, თქვენნაირმა თვალელებმა ათქმევინეს ალბად დიდ კონსტანტინეს – „ზღვისფერი გაქვს თვალელები და თავად ჰგავხარ ზღვას“... არა, არა, ეს ლექსი მუხლზე დგომით უნდა წაგიკითხოთ.

ბევრის მნახველ გამცილებელს არ აკვირვებდა ახალგაზრდას საქციელი, იქნებ კიდევაც სიამოვნებდა გულში.

– აბრძანდით, ახალგაზრდავ, ნუ გადაკეცით გასასვლელი.

– ხომ ვამბობდი, ამის ღვინის დაღვევა არ შეილება-მეთქი. – თანამეინახეებმა ახალგაზრდას ხელმკლავი გამოსდეს და თავის ადგილისაკენ წააჩანჩალეს. ის კი კისერმოზრეცილი უკან-უკან იხედებოდა და ამბობდა, – უნდა გავიგო, ამ გოგონას შეყვარებული თუ ჰყავსო.

მგზავრების ნაწილი ცნობისმოყვარედ შესცქეროდა ქალის მოხიბვლის რიტუალს, ნაწილი კი ბუზღუნებდა, ამას რა გაუძლებს თბილისამდეო.

ყველანი თავის ადგილას დასხდნენ, მატარებელმაც სვლას უმატა. გრაფიკით ათი საათისთვის თბილისში უნდა ყოფილიყვნენ. მის წინ ახალგაზრდა ცოლ-ქმარი იჯდა, სპორტულად შემოსილი სპორტული აღნაგობის მამაკაცი და ნაბლისფერთმიანი, ფერმკრთალი გოგონა. გოგონას უკვე დატყობოდა მუცელი. ახალი სიცოცხლის ყოველ გატოკებაზე შეხტებოდა ხოლმე.

– ნახე, ნახე, როგორი მოუსვენარია, ვერ ისვენებს... – და ქმრის ხელს მუცელზე მიიდებდა ხოლმე. მამაკაცი თავს დაჰფოფინებდა სიფრიფანა მეუღლეს – ხან ხილს მიანვდიდა, ხან წყალს, ხან კიდევ რას.

მგზავრობა ისეთი რამ არის, დიდხანს უზრად ვერ იქნები, მითუმეტეს, როცა წინ ხუთსაათიანი მგზავრობა გელის. ახალგაზრდა კაცი პირველი გამოელაპარაკა, – წყალს ხომ არ მიირთმევთო. მაღლობა გადაუხადა. ამის შემდეგ საუბარიც გაიბა.

– პატარა ვიყავი, აფხაზეთის ომმა რომ მომისწრო, მშობლებთან ერთად თავი ბათუმს შევაფარეთ. ძალიან გვიჭირდა. მშობლები ვერსად დასაქმდნენ. უსაშველობის გამო გადაწყვიტეს, რუსეთში გადახვენილიყვნენ. საოცარიც არის და მტკივნეულიც, რუსეთმა გამოგვყარა ჩვენი კუთხიდან და ჩვენ მაინც რუსეთს შევეკედლეთ. წამოვიზარდე, იქაური უნივერსიტეტი დავამთავრე და ბიზნესს მოვკიდე ხელი. გაამართლა ბიზნესმა, გარკვეულ კაპიტალს მოვუყარე თავი და ისევ ბათუმში ჩამოვედი. შევიძინეთ სახლი. მშობლები ახლა აქ ცხოვრობენ. მე კიდევ რაღაც საქმეები მაქვს გასაკეთებელი, მეუღლესთან ერთად ისევ რუსეთში უნდა დავბრუნდე. შვილის გაჩენის დრო რომ მოაღწევს, აქ დავბრუნდები. მერე ცოტა ხანს შეყოვნდა, გაილიმა და განაგრძო:

– აქ მივინდა, ქართულ მიწაზე რომ დაიბადოს და ქართულად აღიზარდოს. ქართულ ტრადიციულ ოჯახში, ბებია-ბაბუასთან ერთად. იქ დაბადებული ბავშვი გაორებულია. მოგეხსენებათ, თუ როგორ აყალიბებს გარემო პიროვნებას. კი ბატონო, გენეტიკით იქნება ქართველი, მაგრამ სამწუხაროდ,

მენტალობით სხვა ტომის. გარემო არათუ ყრმაზე, ზრდასრულ ადამიანებზეც ახდენს გავლენას. სხვა კულტურას ითვისებ, სხვა კულტურას ეზიარები, რომელიც შენს კულტურასთან ვერ მოდის თანხვედრაში, უცხოა. და თუ დიდხანს დაყოვნდები, გადაჯიშდები. გადახვენა დიდი უბედურებაა, როგორც პიროვნებისათვის, ასევე ქვეყნისთვის. მითუმეტეს, იქ გაჩენილი ბავშვისთვის. გადმოქართველება თითქმის შეუძლებელია. ამიტომ ჩამოვდივარ ჩემს ქვეყანაში. ქვეყანამ ყველა საქმე უნდა გადადოს და, რაც არ უნდა დაუჯდეს, გადახვენილი შვილები უკან, სამშობლოში დააბრუნოს. ჩემზე კარგად მოგეხსენებათ, რომ ბუნება ცარიელ ადგილს დიდხანს ვერ ჰგუობს და ის აუცილებლად შეივსება. შეივსება და საბოლოოდ დაგვლუპავს. ისტორიიდან ცნობილია, რომ ხმალში ყოველთვის მხნენი ვიყავით. დღეს კი – ფულში მოვიკოჭლებთ. ფული გვჯაბნის, იმიტომ, რომ მიწიერს მივეჯაჭვებთ და ღმერთი დავივიწყებთ. ჩვენი წინარე ქართველები სხვაგვარად ირჯებოდნენ, სიძნელებებს არ უშინდებოდნენ და არც არსად გარბოდნენ. გადახვენილი კაცის გულში თუ სამშობლოს სიყვარულმა სხვა რამის სიყვარულს არ აჯობა, გაუჭირდება სამშობლოში დაბრუნება.

გულწრფელი ახალგაზრდა და საინტერესოდ მსჯელობს. ნეტავ, ასე ბევრი აზროვნებდეს, ბევრი ჰყავდეს ქვეყანას. – გაიფიქრა თავისთვის და ფანჯარაში გაიხედა. გარეთკი წყვდიადს მოეცვა ყოველივე.

ჩოჩქოლმა და ხმამალმა საუბარმა გამოიყვანა გარინდებიდან. ისევ იმ ხმელ-ხმელის ჭირვეული ხმა ისმოდა: – რა უფლებით მიკრძალავთ სიგარეტის მოწევისასო.

გოგო-ბიჭები ეძიძგილავებოდნენ და ცდილობდნენ სიგარეტი წაერთმიათ მისთვის. ის კი დარბოდა სავარძლებს შორის. ხან ერთ მგზავრს დაეჯახებოდა, ხან მეორეს, ხანაც წონასწორობა დაკარგული თავზე გადაემხოდა.

მოთმინებადაკარგული მგზავრი ფეხზე წამოვარდა და გაბრაზებულმა ხმამალმა, უცხო ენაზე გამოხატა გულისწყრომა.

– პარდონ, მუსიე. – ჩაუფრანგულა და თავი დაუღუნა ახალგაზრდამ უცხოელს.

უცხოელს მისი ადგილობრივი თანმხლებიც გამოექომაგა:

– როგორ არ გრცხვენია, ახალგაზრდავ! უცხოეთის საელჩოს წარმომადგენელია, დიპლომატი. რას იფიქრებს ჩვენზე?

ხმელ-ხმელი მოუბრუნდა თანმხლებ პირს და ირონიული გრიმასით მიუგო:

– დიდი ამბავი, თუ უცხოელია! გოუნექით, გოუნექით ფეხქვეშ, ეგ უცხოელები იქნება ცოტა ხანში თავზე რომ გადაგივლიან. რას მიკეთებენ ერთი, რა გაუკეთებია ჩვენთვის. ერთი მაგენის გაკეთებული საქმე მანახეთ. ევროპელებიდან აიღეთ მაგალითიო. რა უნდა ვისწავლოთ ევროპელებისგან? მშიშრები არიან, მხოლოდ თავიანთ კეთილდღეობაზე ზრუნავენ. შეგვატოვეს პირდაფრენილ რუსეთს. მაგათი დამსახურებაცაა, ასეთ დღეში რომ ჩავცვივდით. სიტყვით ვითომ აკრიტიკებენ ჩრდილოელ ქართველთყლაპიას, საქმით კი მათზე არიან ჩამოკიდებულნი. ვერასოდეს ვიქნებით ჩვენ ევროპისთვის რუსეთის საპირწონე. ჩვენ რა შეგვიძლია შევთავაზოთ? ის, რაც ჩვენ შეგვიძლია შევთავაზოთ – ჩვენი ზნეობა, კულტურა, ტრადიციები, მათ როგორც ახლა ამბობენ, ჰკიდიათ. სამაგიეროდ, ჩრდილოეთიდან ღებულობენ სითბოს, სინათლეს და სხვა მატერიალურ სიკეთეებს. გაბერნდნენ, მათმა უსაშველო ლიბერალიზმმა წარყვნა, წაბიღნა და გაათახსირა ყოველივე სულიერი. ჩვენც რაღაც გროშებისთვის იგივეს გვიპირებენ. ეს არის დღევანდელი ევროპა, ყოველგვარი სულიერებისაგან დაცლილი. ასეა ეს და დიდი ამბავი, თუ ცოტათი შეშფოთდა. შეშფოთების გარდა სხვა რა შეუძლიათ?! გამოხატვის თავისუფლებას მიზღუდავს ეგ ევროპელი – ასე არ გვასწავლიან?! და მადლობა მითხრას, ამ თეზისიდან გამომდინარე, მკვდარსა და ცოცხალს რომ არ ვაგინებ.

თანამეინახებმა რის ვაივაგლახით წაართვეს სიგარეტი გაჯიუტებულს და ისევ თავის ადგილისაკენ წაიყვანეს.

– ეს რა შარში გავეხვეი, კაცი! ამასთან ერთად ანი არსად წამსვლელი არ ვარ, მგონი მთლად გარეკა. – ამბობდა აჭარხლებული, ნაადრევად თმაშეთხელებული თანამეინახე.

უცხოელის ქომაგი კი ხმამაღლა აცხადებდა:

– კიდევ ერთი ასეთი შემთხვევა და პოლიციას გამოვუძახებო.

მცირე ხანს სიჩუმე ჩამოვარდა, ყველა თავის საფიქრალმა წაიღო. მგზავრობისას რას არ მოისმენ და გაიგებ კაცი. მის წინ მსხდომი ახალგაზრდა ცოლი და ქმარი კი სიყვარულით ეჭუქუჭუქებოდნენ ერთმანეთს, სხვა სამყაროში იყვნენ. მხოლოდ ხანდახან ხმამაღლა შედახილზე თუ წამოწევდა თავს ფერმკრთალი გოგონა, სახე შეეფაკლებოდა და შიში გაუკრთებოდა თვალებში. ქმარი კი სიყვარულით თავზე ხელს უსვამდა, გულში იხუტებდა, ამშვიდებდა, – არაფერია საშიში, სამყარო სავსეა უცნაური ადამიანებით და ამიტომ არის ასე ლამაზიო. შენთან ვარ და ხომ იცი, მარადყამს შენთან ვიქნებიო, ნუ შეშფოთდები, ექიმმა ხომ გითხრა, არაფერზე ინერვიულოო. ბევრი აღარ დაგვრჩა, მალე დედაქალაქს ვენვევითო. ისე კი ყველაზე კარგი იქნება, თუ ცოტას წაუძინებ, დროც შეუმჩნევლად გაირბენსო.

უცეცხლო რკინის რაში ლაგამშიშვებულივით მიაპობდა სივრცეს. ალაგ-ალაგ კი ისე გადაიგრიხინებდა და შეჭკივლებდა, გული შეგიფრთხილდებოდა. მატარებელი წიფის აღმართს შეუყვავა და სვლას უკლო. ისევ ჩოჩქოლი ატყდა.

– სადისტები ხომ არა ხართ, მწველი კაცისთვის ხუთსაათიანი თავშეკავება ჯოჯოხეთია, შეიძლება ჭკუიდან გადახვიდე. მეტის მოთმენა მე აღარ შემიძლია, მომეცით სიგარეტი, თორემ რალაც საშინელებას ჩავიდენ!

ჭირვეული ახალგაზრდის გამობტომებს მგზავრები უკვე შეეჩვივნენ და ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ. ხმელ-ხმელი კი არ ისვენებდა და ყვიროდა:

– ასეთი უსულგულოები როგორ ხართ? კაცი არ ვიყო, თუ არ გამოგაფხიზლოთ! – წამოვარდა ფეხზე და კიბისაკენ გაექანა.

თანამეინახენი უკან დაედევნენ. დიდი ხნის ჩოჩქოლის და დავიდარაბის შემდეგ ისევ უკან მოაბრუნეს.

– მგონი ვერ აქვს ამ ბიჭს თავში მთლად კარგად საქმე. – აბუზღუნდა ისევ თმაშეთხელებული.

ხმელ-ხმელი კი ვაგონის შუაში გაჩერდა, თავი მალლა ასწია, მზერით ჩამოუარა მგზავრებს და რალაც გაბზარული, სევდანარევი ხმით ხმადაბლა, თითქოს თავის თავს ელაპარაკებო, დაინყო:

– რა გაძინებთ, თქვე უბედურებო, რა გაძინებთ, თქვე მშიშრებო, მხდალებო და მცონარებო?! თქვენს ხელში გაბრწყინდება საქართველო?! მოსემ ორმოცი წელი ახეთილა ებრაელები უდაბნოში, რომ მონური ფსიქოლოგიიდან გაეთავისუფლებინა, მაგრამ ვერ შეძლო და ჩაინთენენ უდაბნოში. მხოლოდ თავისუფლებაში გაზრდილნი ეღირსნენ აღთქმულ მიწას. თქვენ კი, სანამ კეთილდღეობის მონობისგან არ გათავისუფლდებით, სანამ საქვეყნო საქმეს პირადულზე მალლა არ დააყენებთ, სიზმარშიც ვერ იხილავთ გაბრწყინებულ ქვეყანას. დარბიხართ, დაეხეტებით, მიგიტოვებით საკუთარი დედა და დედინაცვალს ებლაუჭებით. შეებრძოლეთ კეთილდღეობის მონობას, თუ არა, ამ მონობაში აღმოგხდებით ცოდვებით დამძიმებული სული. ეჰ! – ამოიოხრა, თავი გადაიქნია და უაზროდ მოავლო თვალი მგზავრებს. დადუმდა, ჩაფიქრდა, მერე თითქოს რალაც გაახსენდაო, ჯიბეები მოიქექა. წამიერად გაირინდა და ღიმილი გადაეფინა სახეზე. მისკენ შემობრუნებულ პატარა ბავშვს, რომელიც ცნობისმოყვარეობით შესცქეროდა, თვალი ჩაუკრა, ჩაიფრუტუნა და გულიანად გადაიხარხარა, – რას გეხვეწებოდით აქამდე, თქვე უგულოებო. აგერ არ მქონია, კაცი, გადანახული ერთი ღერი. – ჯიბიდან სიგარეტი ამოაძვრინა, თითებს შორის მოიქცია და მოსრისა. – ო, რა ნეტარებით გავაბოლებ! ერთი ვნახოთ, მართლა გაჩერდება თუ არა სამი საათი.

– ეს კი უკვე მეტისმეტია! – როგორმე უნდა დავაშოშმინოთ წამოვინიე და ფეხზე წამოვდექი – მივალ ორიოდ სიტყვას ვეტყვი.

– თქვენ, არა ბატონო, თქვენ, თქვენ დაბრძანდით, ვფიქრობ ამაოდ დაშვრებით, მე მივხედავ ამ საქმეს, შეგონებების დროც აღარაა, როდესაც სიტყვები უძლური ხდება მოქმედებაა საჭირო. ძალიან გთხოვთ, მეუღლეს მიმიქციეთ ყურადღება, მე ახლავე დავბრუნდები.

ახალგაზრდა მამაკაცი ხმელ-ხმელს მიუახლოვდა, გულისპირში ხელი წაავლო და ისეთ სილა გაანა, ძირს დასცა. ერთნამობას ყველა გაისუსა, მერე კი აქა-იქ წამოიძახეს:

– დაგელოცა მარჯვენა, გაიხაროს შენმა გამზრდელმა!

ერთმა მიძინებულმა, რომლის ხვრინვაზე ვაგონი ზანზარებდა, ხმაურზე თავი წამოყო:

– რა მოხდა, ჩავედით უკვე? – მერე, რომ გაერკვა, რაშიც იყო საქმე, ხელი ჩაიქნია, – მოგცლიათ თქვენცო და ისევ ძილს მისცა თავი.

ძირს დავარდნილი წამოიმართა, მუხლებზე დადგა, თავი დახარა და სილის გამწნავს ფეხზე ეამბორა. მერე ცრემლმორეულმა თავი ასწია და თქვა:

– როგორც იქნა! როგორც იქნა! ძლივს არ გამოვალვიძე კაცი, რომელსაც გული ჰქონია და უმსგავსობას არ შეეგუა. თქვენ კი, – მგზავრებისკენ მიაბრუნა თავი – ყველაფრის შემგუებლებო, ქვეყანას ნაწილ-ნაწილ ხელიდან გტაცებენ, მზაკვრულად გგლეჯენ „მოყვარე მტრები“ მომღიმარი სახეებით. გაყურსულხართ, ხმას არ იღებთ. იძინეთ, იძინეთ, ხვალ რომ საზღვარს თქვენს ეზოზე გამოატარებენ და უცხო ქვეყანაში გამოილვიძებთ, წკავნკავი და ხელების ქნევა მერე ველარ გიშველით. გამოილვიძეთ, ასე რამ დაგაბეჩავთ, რამ დაგჯაბნათ, რამ გადაგაჯიშათ?! თავზე გადაგიარეთ და ხმას არ იღებთ. სამწუხაროდ, თუ სავაიოდ, თქვენ ხართ დღევანდელი სახე ჩემი ქვეყნისა, ლეთარგიულ ძილს მიცემულნი. მე კი, მიუხედავად ყველაფრისა, მაინც ჯიუტად მწამს, რომ ასეთი ახალგაზრდები... – ხელი გაიშვირა ახალგაზრდისაკენ, – მრავლად გამოჩნდებიან, არ შეეგუებიან ქვეყნის დღევანდელ მდგომარეობას, რომელსაც საკუთარი განვითარების გზა ჯერ კიდევ ვერ უპოვია და გამოგაფხიზლებენ. მეგობარო, ხელი გამომიწოდეთ! – მიმართა სილის გამწვანელს, – დიდი პატივი იქნება ჩემთვის თქვენთან მეგობრობა. – გამონვდილ ხელს თავისი შეაშველა, წამოიმართა, წელში გასწორდა, მგზავრებს მოავლო ცრემლნარევი თვალი და ათრთოლებული ხმით განაგრძო: – თქვენს გამოსაფხიზლებლად გამომგზავნეს მე, ჩემით კი არ მოვსულვარ. იცოდეთ, გამოსავალი ახლოსაა, მხოლოდ პატარა ძალისხმევაა საჭირო. შეიყვარეთ ღმერთი და დაუბრუნდით სოფელს. საქართველოს ხსნა სოფლის სიძლიერეშია. ასე იყო ოდითგანვე და ასე იქნება მარადჟამს. თუ სოფელი არ შეივსო, გაქრება ჩვენი სახსენებელი. ხომ ხედავთ, დაიცალა ქვეყანა და აღარც ვმრავლდებით. ნურავის იმედი ნუ გექნებათ, არავინ აიტკივებს თავს ჩვენი გულისთვის, დიდი-დიდი შეშფოთდნენ. – ხმელ-ხმელმა თავი მაღლა ასწია, მხრებში გაიმართა, თვალი მოავლო მგზავრებს და დადუმდა.

მტკივნეულად დიდხანს გაგრძელდა დუმილი, მთელი ვაგონი გასუსულიყო. როდის, როდის, ჟღერილა, ჩახრინწული ხმით წარმოთქვა:

– უნდა წავიდე ახლა მე, ჩემი გაჩერება აქ აღარ შეიძლება, მელოდებიან. გამოსაფხიზლებლად ხანდახან ჩხვლეტაც საჭიროა. მებრალებით და მიყვარხართ და თუ ერთი ძარღვი მაინც შევატოკე თქვენში, თუ თვალი პატარაზე მაინც აგხილეთ, მიმიღწევია სანადელისთვის. უკულმა გადაგდებულ თესლიც კი ღვივდება, თუ მას ნოყიერი ნიადაგი დახვდება.

მიღმიურში გადასულმა კიდევ ერთხელ მოავლო თვალი მგზავრებს, საჩვენებელი თითით ცრემლი მოიწმინდა, შებრუნდა და კიბეზე დაეშვა.

– მგონი, საბოლოოდ გაგიჟდა ეს უბედური! – წამოიძახა აკანკალებული ხმით თმაშეთხელებულმა და გამოედევნა.

ხმელ-ხმელმა კი რის ვაივაგლახით გამოალო ვაგონის კარი, თვალი შეავლო ზეცას და სიბნელეში გადაეშვა.

# თარგმანი

## ფრანგული პოეზია

### პიერ დე რონსარი

(1524-1585)

#### მარის აშურაბი

მარი, ადექით, ჩემო ნორჩო, ზარმაცო მარი,  
ანცმა ტოროლამ ზეცას უკვე მიუძღვნა ჰანგი,  
ხოლო ბულბული, შეპყრობილი ამურის ბანგით,  
ტკბილი ხმით გალობს თვის სანუხარს ეკალზე მჯდარი.

ადექით, ვნახოთ, მოჩურჩულე მინდორი გველის  
და ვარდის ბუჩქი, დაკოკრილი, ხილვად საამო  
და მიხაკები, მშვენიერი, გუმინ სალამოს  
რომ დაარწყულეთ თქვენი ნაზი, მზრუნველი ხელით.

ნუხელ ხომ გახსოვთ, უმტკიცესი რომ დადეთ ფიცი,  
გაიღვიძებდით ჩემზე ადრე თქვენ დილა-სისხამს.  
თქვენს ღია თვალებს ბურანი ფლობს, ნამდვილად ვიცი,

დილის ძილია, ასეა დაგვრჩენია ისლა,  
გკოცნო თვალნი და ძუძუსთავი, ნაზი და ტკბილი,  
რათა მოფხიზლდეთ და ყოჩაღად ნამოდგეთ დილით.

### შერარ დე ნერვალე

(1808-1855)

#### არტამიზია

აჰა, ბრუნდება კვლავ მეცამეტე და იგი ჯერაც არის პირველი,  
მარტოა მუდამ თუ რამ შემთხვევით მარტო მოვიდა ამ წუთას მხოლოდ,  
ხარ დედოფალი, ჰო, დედოფალი, ხარ პირველი თუ უკანასკნელი  
ან თუ ხარ მეფე კენტი მიჯნური ან თუ უბრალოდ მიჯნური ბოლო?

ის შეიყვარეთ, ჩვილის აკენიდან კუბოს კარამდე ვისაც უყვარდით,  
 ო, იმ ერთადერთს, ვინც შევიყვარე, ვუყვარვარ ნაზად, როგორც ზმანებას,  
 ეს სიკვდილია თუ გარდაცვლილი... ო, ნეტარებავ, ჰოი, ნამებავ,  
 ხელში უჭირავს ყვავილი იგი, ულამაზესი წითელი ვარდი.

მოგაქვს შენ, წმინდა ნეაპოლელო, ხელებით ცეცხლი, ისე ვით კვარი,  
 ვარდო ლამაზო ცისფერი გულით, წმინდა გუდულას ყვავილო ნაზო,  
 ცათა მდუმარე უდაბნოეთში იპოვე ნეტა შენ შენი ჯვარი?

თეთრო ვარდებო, თქვენ შეურაცხყოფთ ჩვენთვის ძვირფასი ღმერთების არეს,  
 თეთრო ლანდებო, დაცვივდეთ უნდა ციდან, რომელიც ბრიალებს ასე.  
 უფსკრულთ წმინდანი ჩემს თვალში მუდამ ყველა წმინდანზე წმინდანი არის.

## შბრლ ბოდლერი

(1821-1867)

### სიყვარული და თავის ქალა

ვით სამეფო ტახტზე მჯდარი,  
 კაცთა მოდგმის თავის ქალას,  
 აზის ტრფობა უტიფარი  
 და სიცილით ურცხვით ბლალავს

და ბუმტულებს, როგორც ბავშვი,  
 სუნთქვით მაღლა ერეკება,  
 თითქოს უნდა მოხდეს ცაში  
 სამყაროთა შეერთება.

ეს ნათელი მყიფე სფერო  
 აღმაფრენით არს მოცული  
 და – ზმანება ოქროსფერი,  
 – თვით დაფლითა თვისი სული.

მოცახცახე ქალა ცდილობს  
 შეარბილოს თხოვნით ვნება:  
 „ავთამაში სასაცილო  
 ნეტა როდის დამთავრდება?“

ო, ურჩხულო, მკვლელი პირით  
 ჰაერში რომ შხეფად ისვრი,  
 არის მხოლოდ ჩემი ტვინი,  
 ჩემი ხორცი, ჩემი სისხლი!“



## პოლ ვერლენი

(1844-1896)

## პოეტური ხელოვნება

შარლ მორისს

ჯერ მუსიკა და მერე ყოველი!  
მეფობდეს ჰანგი იგი რჩეული,  
ჰაერში ვნებით მიმოზნეული,  
აურწყავი და დაუნყობელი.

უცილობელი არ არის შენთვის  
ძებნა სიტყვათა ცოდვის და ბრალის,  
დიდებულია სიმღერა მთვრალი,  
სად ბუნდოვანი სიცხადეს ერწყმის.

ეს რიდეს მიღმა ციალი თვალთა,  
ეს დღე მკრთომარე შუადღის ხვატში  
და შემოდგომის სიგრილე ცაში,  
ლურჯი ქაოსი ნათელ ვარსკვლავთა!

და ნიუანსიც გვჭირდება მაშინ  
და ყველანაირ ფერსა სჯობს ალბათ.  
ის მინიშნებით გვაჩვენებს ლანდად  
სიზმარს სიზმარში და საკრავს – რქაში.

მაშ, უარყავი ისარი მკვლელი,  
გონი მკაცრი და ხარხარი მრევლის,  
ციურ თვალებს რომ ავსებენ ცრემლით!  
ეს ხომ სამზადის სუნია ძველი.

მჭერმეტყველებას მოგრეხა კისრის  
სჭირდება ზოგჯერ, ნუ გეცოდება  
და დაუბრუნე რითმას გონება,  
თორემ, ვინ იცის, სანამდე ივლის?

ამ ცოდვილ რითმას თუ ქმნიდა ალბათ  
უნდილი ბავშვი ან შლეგი ზანგი,  
გროშიდან ჭედდა სიგიჟის ბანგით  
სამკაულს, რომ ჟღერს ესოდენ ყალბად.

მარად მუსიკა, ისევ და ისევ,  
რომ შენი ლექსი ლაჟვარდში ქროდეს  
და გრძნობა ერთი სულიდან რბოდეს  
სხვათა სულისკენ და სხვათა ცისკენ!

რომ ლექსი იყოს ლტოლვის გამჩენი,  
გაავლე დილის მკრთომარე ქარში,  
პიტნის და ქონდრის სურნელებაში!  
მნიგნობრობაა სხვა დანარჩენი.

## არტურ რემბო

(1854-1891)

### მთვრალი სომალდი

როცა დავყევ დინებას მდორე მდინარეების,  
მეკარჭაპეთ ძალებით აღარ ვიყავ მართული,  
ნითელკანიანების უნუგემო ტყვეები  
იყვნენ ფერად ბოძებზე სამსჭვალეობით გაკრული.

მე, მზიდავი ხორბლის და ინგლისური მაუდის,  
უკვე არ დაგიდევდით ეკიპაჟის ვნებასა,  
როცა მორჩა ხმაური და მომხდურმაც აუდო,  
დავყევ მდორე დინებას და მივყევი ნებასა.

უფრო შეუსმენელი, ვიდრე ჩვილის გონება,  
გავქანდი, ხმამ მოქცევის გული ვერ შემიშინა,  
იმ ნახევარკუნძულებს დიდხანს მოეგონებათ  
მანამ გაუგონარი გამარჯვების ყიჟინა.

ზღვაში გამოფხიზლება ქარიშხალმა დალოცა,  
იმ ტალღებს ვეთამაშე მსუბუქ ცეკვით გართული,  
ზოგჯერ რომ ადარებენ თვით სიკვდილის კალოსაც.  
უზრუნველად ათ ღამეს ლიცლიცებდა სანთური.

მწვანემ, სასიამოვნომ, ტკბილმა მნიფე ვაშლივით,  
ამ ჩემს ნაძვის სხეულში წყალმა შემოაღწია,  
ღვინის ლურჯი ნარწყევი ტანიდან გადამშალა,  
მერე საჭე მომგლიჯა და ნებაზე მარნია.

და შევცურე თამამად მე ზღვის პოეზიაში,  
ზღვა იყო ვარსკვლავებით და რძით გაჯერებული,

ნთქავდა მწვანე ლაყვარდებს, გაუმადლარ წიაღში  
გაკრთებოდა დამხრჩვალის გვამი ჩაფიქრებული.

სილურჯეებს ამღვრევდნენ შმაგად, დაუცხრომელად,  
ტრფობის მწარე მენამულს აღვივებდნენ ღველფებად,  
ჩვენს ქნარებზე მძლავრი და ღვინოზე მათრობელა  
ზანტი რიტმი თაკარის და გიჟური ცხელება.

ვნახე, როგორ არღვევდა ზეცას ელვა გრძნეული,  
ვჭვრეტდი ტალღებს ქაფიანს და ქარიშხალს ვნებიანს,  
მწუხრიც, დილაც მტრედების გუნდივით აღგზნებული,  
ყველაფერი ვნახე, რაც მოკვდავს მოლანდებია.

მზე დაბალი, საშიში, იდუმალი ლაქებით,  
ასხივებდა იისფერ, შესქელებულ ნათებით,  
როგორც მონაწილეებს ანტიკური დრამების,  
ისე უფრიალებდათ ზვირთებს მოსასხამები.

მწვანე ღამე მეზმანა თოვლით თვალისმომჭრელით  
და ზღვის კოცნა ნელ-ნელა თვალებამდე ასული,  
მიმოქცევა წველების უცხო, დაუცხრომელი  
და ლურჯ-ყვითელ ფოსფორთა სიმღერები ზღაპრული.

მივყვებოდი თვეობით, ზღვა ჭექდა, ვით ბოსელი.  
ხმიანებდა რიფებთან ტალღები მოვარდნილი  
და თვით წმინდა ღვთისმშობლის ტერფი ნათელმოსილი  
ვერ შეძლებდა დაეცხრო ოკეანის ბლავილი.

გამაოგნა ფლორიდის საარაკო მშვენებამ,  
ყვავილები ბზინავდა, ვით თვალები ავაზის.  
ზღვაზე, ზეცის კიდესთან ზვირთებს სადავეებად  
ჰქონდათ ამოდებული ცისარტყელა ათასი.

ვნახე უვრცეს ჭაობთა ავბედითი დულილი,  
სად ლეში ლელქაშებში ღებება ლევიათანის,  
ვჭვრეტდი დარს და დარს შორის ზვირთებს მომსკდარს ქუხილით  
და შორეთებს, უძირო უფსკრულეში ჩატანილს.

ცა გიზგიზა, მყინვარნი, მზეთა ვერცხლი გრძნეული...  
გასარიყად მითრევდნენ წყალმღვრიე ყურეები.  
ვით ვეება გველები ბალღინჯოდასეული,  
ჰყარდნენ შავი სურნელით დაგრეხილი ხეები.

აჰ, ნეტავი! ხალისით ვაჩვენებდი პატარებს  
ზვირთზე ცეკვა-სიმღერას ოქროსფერი თევზების  
და ბოლომდე მივანდე თავი ტალღებს და ქარებს,  
თითქოს ზღაპრულ ბედაურს შემოვკარი დეზები.

ზოგჯერ ზღვა, თუ პოლუსი ან განედი დალიდა,  
რწევას მისათუთებდა ტკბილხმიანი ალივით,  
ჩრდილის ყვითელ ყვავილებს კოტოშებად მაყრიდა  
და ვხვდებოდი მორჩილად დაჩოქილი ქალივით.

ვიყავ თითქმის კუნძული და მკერდზე მაცვიოდა  
სკორე და ყრიაშული ოქროსთვალა ჩიტების,  
მაინც წინ მივცურავდი და ნელა მცილდებოდა  
ჩემგან ზურგშექცეული დამხრჩვალთა აჩრდილები.

სად არ ვეხეთქებოდი მორკინალი ქარებთან  
ყურეთა უთავბოლო ბადეში გახლართული,  
ჩემს ჩონჩხს, ზღვის წყლით გაღეშილს, ველარ ამოათრევდა  
ალბათ იალქნიანი ჰანზის ფლოტი განთქმული.

თავს ვაღწევდი ლაბირინთს იისფერი ნისლების  
და კვამლით მივარღვევდი წითელ კედელს ზეცისას,  
მზის ხავსით და ლაჟვარდის დუჟით უბეს რომ ივსებს  
და ნუგბარი ლუკმაა ლალი პოეტებისა.

მდევდა მთვარე ნამგალა ელექტრული ციალით,  
მდევდა გაფიცხებული ცხენთევზების კრებული  
და ივლისის კომბალთა დაუნდობელ ტრიალით  
იმსხვრეოდა მხურვალე ზეცა ძაბრისებური.

ვთრთოდი, ვგრძნობდი მალშტრემებს, ორმოცდაათ ლიედან  
ხმა მესმა შეწყვილებულ ბეჭემოტთა ღრეობის  
და მე, მომვლელს დაუღლელს ზღვის ულურჯეს კიდეთა,  
მომენატრა ჯებირი უძველესი ევროპის.

ვნახე ვარსკვლავთ კრებულთა უცხო სამეფოები  
ცა კუნძულთა, მშფოთვარე საბუდარი მითების,  
ნუთუ ამ ბნელ ღამეში გძინავს განმარტოებით  
ძალავ შორი მერმისის შენი ოქროს ჩიტებით?!

თუმცა, მაშინ დამეწყო მეტისმეტი წამება,  
აისები მზარავენ, მზეც და მთვარეც წყეული,

სიყვარულის მაცდური სურვილი მეძალეა,  
დე, ზღვამ ჩანმთქას წიაღში ხერხემალდამსხვრეული!

თუ რამე მსურს ევროპის, ცივი და ჭუჭყიანი  
გუბე, სადაც სურნელი დგას ბინდბუნდში დასავლის,  
სადაც ჩაცუცქულია ბიჭუნა სევდიანი  
და გემს უშვებს გუბეში, მსუბუქს პეპელასავით.

ან, ზვირთებო, განზანილს თქვენი შმაგი ვნებებით,  
რაც ვიგემე სიცოცხლე ეული და თავნება,  
ალარ ძალმიძს, ვემონო ნებას მეზამბეების  
და ვიგუო დროშების ცივი ამპარტავნება.

## სტიფან მალარმე

(1842-1898)

### ლაჟვარდი

ზანტი ნათება მარადიულ სილაჟვარდისა  
ძალ-ლონეს აცლის დამცინავი თვისი ციალით  
უმნეო პოეტს, ვინც გენიას წყევლის თავისას  
ტკივილების ბერწ უდაბნოში მოხეტიალე.

ლტოლვილი, თვალედახუჭულიც ვგრძნობ სიცხოველით  
დაძაბულ მზერას, რომ მითელავს მწარედ მქენჯნავი  
ამ სულს ცარიელს, სად გავიქცე, ღამე რომელი  
შეძლებს დათრგუნოს ზიზლი ასე გულგამგმირავი?!

ჰეი, ნისლებო, ამოდით და თავანი ცისა  
აავსეთ თქვენი ფერფლითა და დაფარეთ არე.  
დაე, ჩაძიროს ცა ჭაობმა შემოდგომისამ  
და თავს დამხურეთ მე ახალი ჭერი მდუმარე

და შენც დატოვე გუბეები ლეთასეული  
და ლელიანში შეაგროვე სევდა ძვირფასი,  
რომ მით ჩაჩურთო, ამოავსო პირდაღებული  
ხვრელები, ავი ჩიტები რომ აჩენენ ასე.

დაე, ბოლავდნენ ეს ბუხრები მწუხარ იერით,  
მოხეტიალე შავმა მჭვარტლმა წუხილით ავით  
დაე, ჩააქროს, ჩააბნელოს თვალსანიერზე  
მზე მოყვითალო, ავადმყოფი და სულთმობრძავი.

ცა მოკვდა! შენკენ, მატერიავ, ვილტვი და ვცდილობ  
საბედისწერო იდეალით ასე ვნებული,  
გადავივინყო ყოველი და გავინანილო  
საგები, სადაც პირუტყვია მოსვენებული.

იქ მინდა, რადგან დალილია დღეს ჩემი ტვინი  
და ვით მიგდებულ, დაცლილ კოლოფს ფერუმარილის,  
არ შეუძლია პენი მისცეს აზრს მოქვითინეს  
და ელტვის სიკვდილს მონყენილი და გადალილი.

ამაოებავ, ცა იმარჯვებს და მღერის ვნებით,  
ზართა გუგუნით, სულო ჩემო, ჰანგით ძლიერით,  
რათა უფრორე შეგვაშინოს ამ გამარჯვებით  
და ცოცხალ ლითონს გამოსცდება ლოცვა ცისფერი.

ის გრგვინავს ნისლში, ძველთაძველი და ვით მახვილი,  
კვეთს ამ კაემანს და არ ვიცი, საით შთავვარდე,  
საით გავიქცე ამ ამოო ჯანყით დალილი.  
ჰოი, ლაჟვარდი, ლაჟვარდი და ისევ ლაჟვარდი!

ფრანგულიდან თარგმნა  
**ბადრი თევზაძე**



## როსტომ ჩხეიძე

### სიკლიდან „ცხვლისკირული ჩაუქრებანი“

#### „ოღისეა“ და „ღონ ჟუანი“ და „უღისეა“

თუ ვინმე აფასებდა კლასიკურ ლიტერატურას, თუ ვინმე მიაგებდა შესაფერის პატივს წინამორბედებს, თუ ვინმე ესწრაფოდა, ყველას წვლილი თუ ღვაწლი საკადრისად დაფასებულყო, თუ ვინმე ვერ ეგუებოდა დამსახურებათა მიჩქმალვასა და მითვისებას, ერთი უპირველესი ტომას სტერნზ ელიოტი.

და მით უფრო გასაკვირია, აქეთ ედგარ პოს რომ მოუნდომებდა განიორწყლებას და იქით ლორდ ბაირონს, ის კი არა, სულაც დამნაშავეებად მიიჩნევდა მწერლობის წინაშე, სწორი გზიდან რომ გადაეხვიათ და ესეც არ ეკმარათ – არაერთი თანამედროვე თუ შთამომავალიც გაეყოლიებინათ იმ მცდარი გზით, რომელიც ჩიხსა და უგზობაში თუ შევიდოდა, თორემ უკეთესი არა იყო რა მოსალოდნელი.

არა სწამდა რომანტიკოსებისა არაფერი.

და ლორდ ბაირონი ხომ ამოელო და ამოელო მიზანში და მისგან მოყენებულ ზარალს ანგარიშობდა და ველარც ეანგარიშა, იმდენი დაგროვებულყო.

მოდერნისტებს საერთოდაც რომ არ ეხატებოდათ გულზე რომანტიკოსები, აგერ ოლდოს ჰაქსლი პერსი ბიშ შელის გაქიაქებას რომანში „კონტრაპუნქტი“ პერსონაჟებს მიანდობდა, გმობაში თავის აზრებს რომ შეურევდა.

ტომას ელიოტი პირდაპირაც დაესხმოდა თავს ლორდ ბაირონს, პერსონაჟთა გასაქიაქებელს არ გახდიდა, და არაფერს დაუტოვებდა სასიკეთოსა თუ სახეიროს, სხვა წინამორბედთა ნაღვანს ისე რომ დასათათანებდა, წვრილმანიც რომ არა გამოპარვოდა რა.

ჯეიმზ ჯოისის „უღისეა“ რომ გამოქვეყნდებოდა და პირველი სწორედ ტომას ელიოტი შეეგებებოდა ქება-დიდებათ, საგანგებოდ მიაქცევივინებდა მკითხველს ყურადღებას, რომ ის ახალი მეთოდი – შორეული პარალელის მონაცვლეობა ანტიკურ ჟამსა და თანამედროვეობას შორის – ჯოისს ასე მარჯვედ რომ გამოეყენებინა, სათავეს უილიამ ბატლერ იეიტსის შემოქმედებაში იღებდა, იმ დრამებში, რომელთაც ირლანდიური ალორძინების წინამძღოლი უპირველესად სცენაზე დასადგმელად წერდა და არა საკითხავად.

იმასაც კი არ მოითმენდა, იეიტსს ქედმაღლობას რომ სწამებდნენ და მისადმი მიძღვნილ ესეი-ში საგანგებოდ აღნიშნავდა ამ დიდებული პოეტის თავმდაბლობას, დამწყებ შემოქმედთ თანაბარ ურთიერთობას რომ სთავაზობდა, თავს უყადრებდათ და ერთი ხელობის თანასწორუფლებიან წარმომადგენლებივით ექცეოდათ. და ამითაც განსხვავდებოდა სხვა თანამოკალმეთაგან.

ამგვარ საქციელს იმით ხსნიდა ელიოტი, რომ:

იეიტსი პოეზიაზე უფრო ზრუნავდა, ვიდრე თავის პოეტურ რეპუტაციაზე, ანდა თავის პოეტურ ხატზე. ხელოვნება უფრო მეტს ნიშნავდა მისთვის, ვიდრე ხელოვანი, და ამ გრძნობებს სხვებსაც უზიარებდა. და სწორედ ამიტომაც იყო, ახალბედები არავითარ უხერხულობას რომ არა გრძნობდნენ მის საზოგადოებაში.

იეიტსთან ჭიდილში უნდა გაზრდილიყო ჯეიმზ ჯოისი, მერე და მერე მის გავლენაში რომ უნდა მოქცეულიყო, და „ულისეში“ უკვე გამოჩნდებოდა ეს გავლენა, თორემ „ფინეგანის ქელეხი“ ხომ მთლად იეიტსური ანუ ეროვნული მრწამსითა და განწყობილებებით შეიმოსებოდა.

და „ულისეზე“ მისი ზეგავლენა არ გამოჩნდებოდა ელიოტს, თორემ ჰომეროსთან ხიდის გადება თვითონ ჯოისსაც აღენიშნა სათაურითვე, ოდისევსის ლათინურ სახელს რომ გამოიყენებდა რომანის სახელწოდებად, ის კი არა, მთლად ნაბიჯ-ნაბიჯაც აპირებდა გაჰყოლოდა „ოდისეას“ სიუჟეტს და ყოველი სიმღერისათვის შესაფერისი თავი შეეტოლებინა, წერის პროცესში ხელს რომ აიღებდა ამ განზრახვაზე ანუ დეტალთა პარალელურ მონაცვლეობაზე, რათა თავი დაეღწია წინასწარ შემუშავებული სქემისათვის და თავისუფლად გაეშალა ფრთები.

დაუფასდებოდა სულიერი ხიდის გადებაც ჰომეროსთან.

თუმცა ჰომეროსთან სულიერი ხიდი უკვე გაედოთ და საუკუნით ადრეც, შორეული პარალელის მონაცვლეობის გარეშე, მაგრამ ხიდი მაინც ხიდია და... ეს განზრახვა ლორდ ბაირონს უნდა გასჩენოდა, „დონ ჟუანს“ ისევე რომ ააგებდა 24-სიმღერიან კომპოზიციურ ქარგაზე, როგორც ჰომეროსს აეგო „ილიადაც“ და „ოდისეაც“. და თუმცა ვერ მიიყვანდა ბოლომდე განზრახვას და მე-17 სიმღერაზე შეუწყდებოდა თხრობა, თვითონ ჩანაფიქრიც რაოდენ მნიშვნელოვანია, საუკუნით რომ უნდა დაესწრო კიდეც მასთან შეტოქებული მოდერნისტებისათვის.

ნურც ის გამოგვრჩება:

რომანტიკულ გმირად წარმოსახავს დონ ჟუანს ბაირონი, მაგრამ შესამჩნევია მის სახეში პაროდიული შტრიხებიც, ამის გამო პიკარესკულ პოემადაც რომ ჩაუთვლიდნენ ამ ქმნილებას.

ვითომ სხვა მხრივაც არ უსწრებს ჯოისს?

ვითომ „ჩაილდ ჰაროლდის მოგზაურობაც“ არ არის წინამორბედი „ულისესი“?

„დონ ჟუანში“ თუ სიუჟეტის კლასიკურ აღნაგობას გამოიყენებდა ბაირონი, ჩაილდ ჰაროლდის თავგადასავლის წარმოსახვისას სრულიად მოშლიდა კლასიკურ სტრუქტურას და მოქმედებას მთლიანად გმირის სულში გადაიტანდა – განახორციელებდა სწორედ იმას, რასაც უფასებდნენ და ემაღლიერებოდნენ თანამოკალმენი ჯეიმზ ჯოისს, ვირჯინია ვულფი სულაც დროშად რომ აზიდებდა:

უპირატესობა სულს მიანიჭა და ცდილობდა რადაც უნდა დაჯდომოდა გამოეჩინა ციმციმი დაფარული ალისა, რომლის ნაპერწკლებსაც ირეკლავდა გონება, და რათა ეს სინათლე შეენარჩუნებინა, თამამად უკუაგდებდა ყველაფერს, რაც კი შემთხვევითი ეჩვენებოდა, თუნდაც რომ სინამდვილეს მგვანებოდა, ანდა შესატყვისი ყოფილიყო რომელიმე იმ ნიშნისა, თაობების მანძილზე რითაც იკვებებოდა მკითხველთა წარმოსახვაო.

თურმე არც ასე იყო საქმე და ეს ციმციმი დაფარული ალისა, რომლის ნაპერწკლებსაც ირეკლავდა გონება, უკვე გამოყენებულიყო და წარმატებითაც გამოყენებულიყო „ჩაილდ ჰაროლდის მოგზაურობაში“, სულიერი ძიებანი, იდუმალი კუთხე-კუნჭულების მოჩხრეკა რომ ამოდიოდა მზის სინათლეზე, და სიუჟეტიც იმიტომ მოშლილიყო და გარეგნული ამბებიც იმიტომ მოჰკლებოდა თხრობას, უნებ-



ლიეთ იქით არ წარეტაცა მკითხველის ცნობისნადილი და არ გამოჩინოდა ის მთავარი, რისთვისაც შექმნილიყო ბაირონის ეს უჩვეულო პოემა, რომელიც დღემდე უთარგმნელია ქართულად.

კონსტანტინე ჭიჭინაძე მონიდომებდა მის გადმოღებას, ვახტანგ ჭელიძე რომ გაუმზადებდა პნკარედს, მაგრამ ფრაგმენტებს ვერ გასცილდებოდა და იქაც სრულიად დაჰკარგავდა ბაირონს, ისევე როგორც დრამატული პოემებიც – „მანფრედი“ და „კაენი“ – არ გამოუვიდოდა ჩინებულ პოეტსა და გამოცდილ მთარგმნელს, დანტე ალიგიერის „ღვთაებრივი კომედია“ რომ ეთარგმნა კონსტანტინე გამსახურდიასთან ერთად და არცთუ ურიგოდ, თავის მხრივ ძველგერმანულ ეპოსსაც – „ნიბელუნგების სიმღერა“ – რომ შემატებდა ჩვენს ლიტერატურას, მაგრამ... მაგრამ ამჯერად მარცხისათვის განწირულიყო.

და თვით თამარ ერისთავსაც ხელი უნდა მოსცარვოდა, პოემას – „შილიონის პატიმარი“ იმ ხელოვნებით რომ გადმოიღებდა, რა წარმატებისთვისაც რობერტ ბერნსისა და ლორდ ბაირონის ლირიკის თარგმნისას მიეღნია, მაგრამ ამჯერად, ბევრგვარი მცდელობის მიუხედავად, სინანულით უნდა გამოთხოვებოდა წლების ნაოცნებარს.

იქ კი, დასავლეთში მოდერნიზტები მზერას რომ არიდებდნენ ლორდ ბაირონს, თუ რაიმეს გაიმეტებდნენ მისადმი, მხოლოდ დამამცირებელ ეპითეტებს... და ინავლებოდა და იკარგებოდა მისი ღვანლი „ულისეს“ შექმნისას, XX საუკუნის პროზის ერთ-ერთ მწვერვალად აღიარებულის, თვითონ ჯოისს რომ ერჩივნა წინამორბედად დაესახელებინა მეორე თუ სულაც მესამეხარისხოვანი ფრანგი მწერალი დიუჟარდენი, ცნობიერების ნაკადის ტექნიკის ასე თუ ისე მომსინჯავი...

თუმც ცნობიერების ნაკადი „ჩაილდ ჰაროლდის მოგზაურობაში“ მოისინჯებოდა და ამ გაბედულ ექსპერიმენტს – თურმე მეოცე საუკუნის პროზის სტილური თავისებურების განმსაზღვრავს – შეეწინებოდა კლასიკური კომპოზიციური აგებულება, ლორდ ბაირონი ამ შემთხვევაშიც რომ უსწრებდა დროს.

და თავის ზეგავლენის ქვეშ რომ მოიქცევედა თანამედროვეთაც და ახალ თაობებსაც, აგერ საუკუნის შემდგომდროინდელ მხატვრულ ძიებებსაც გადმონვდებოდა, მერე რა, რომ ამის აღიარება არც ჯეიმზ ჯოისს ენდომებოდა და არც ტომას ელიოტს...

უილიამ ბატლერ იეიტსს მიეგებოდა სათანადო პატივი.

ლორდ ბაირონს არა, არ მიეგებოდა.

თუმც ეს მაშინ, თორემ ადრე თუ გვიან მასაც უნდა დაფასებოდა საუკუნის შემდგომი ზეგავლენაც, თანაც პროზაზე, თუმც „დონ ჟუანი“ – ჰომეროსის პოემებისა არ იყოს – რომანად უფრო ითქმის, რომანად ლექსის ფორმით; და „ოდისეასი“ არ იყოს, თარგმნისას ამიტომაცაა გამართლებული მისი გადმოღება პროზად, თანამედროვე რომანად თავისთავადვე რომ წარმოდგება.

და პაატა ჩხეიძესა და თქვენს მონა-მორჩილსაც ამიტომ უბიძგებდნენ თვითონვე ლორდ ბაირონიც და „დონ ჟუანიც“, მისი ქართული ორეული ბელეტრისტული ქმნილება ყოფილიყო და არა პოეტური, მითუმეტეს წინ გვედებოდა „ოდისეასი“ ქართული ვერსიაც პროზად, შესავალში მთარგმნელები – ზურაბ კიკნაძე და თამაზ ჩხენკელი – მკითხველს რომ შეახსენებდნენ, ლექონტ დე ლილიც და სალვადორე კვაზიმოდოც პროზად რომ გადაიტანდნენ თავთავიანთ ენებზე – ფრანგულად და იტალიურად – „ოდისეასი“, ეს ორი განთქმული პოეტი.

„დონ ჟუანი“ თუ რომანია ლექსად, „ულისე“ პოემაა პროზად, ცნობიერების ნაკადი თავის რიტმიკასაც რომ მოიყოლებდა და თავის მუსიკასაც, თორემ უამისოდ ძნელზე ძნელი შეიქნებოდა „ულისეს“ წაკითხვა, სიძნელე რომ არც ახლა აკლია, მაგრამ მომაჯადოებელი რიტმიკა და მუსიკალურობა თანდათან გვითრევეს და გვიადვილებს მის წიაღში შეღწევას.

...არ უშინდებოდა შეხედულებათა გადაფასებას ტომას ელიოტი, მისი დინამიური გონების პატრონს ეს არც უნდა გაძნელებოდა, სიმართლის ძიებისათვის ხომ გადაედო და გადაედო თავი, მა-

გრამ ვერადავერ მოიბრუნებდა გულს ლორდ ბაირონზე, ვერ ინამებდა ვერც მის პოეტურ ძალმოსილებას და ვერც რაიმე სასიკეთო ზეგავლენას ლიტერატურაზე, დაშავებით თუ დაეშავებინა, თორემ სახიერო განა რა შეიძლება მოემოქმედა და დაემკვიდრებინა...

თავისას მიჰკვალავდა მაინც „დონ ჟუანი“.

„ჩაილდ ჰაროლდის მოგზაურობაც“ თავისას მიჰკვალავდა.

### სევდა ალუბლის ხისა – განუქარველი

ზურაბ კიკნაძისა და თამაზ ჩხენკელის შემოქმედებითი თანამშრომლობა ქართულ ლიტერატურას, საერთოდაც კულტურას შესძენდა „ოდისეას“, ან უკვე ჩვენი მთარგმნელობითი კლასიკის განუყოფელ ნაწილად აღიარებულს, რაკილა მთარგმნელები შეძლებდნენ ცხადი გაეხადათ მკითხველისათვის არამარტო სიტყვისა და ფრაზის შინაარსი, არამედ მათში დამარხული მფეთქავი განცდა -- ჰომეროსული, და სინამდვილის გაშეშებული სურათების ნაცვლად კიდევ შეაგრძნობინებდნენ დინამიკურსა და ცხოველ მოქმედებას.

თუმც ამ ეპიკური ქმნილების გადმოტანას თანადროულ რომანად სხვა ჩაფიქრებისას დავუბრუნდეთ, ამჯერად ერთ დეტალს მივაქციოთ ყურადღება.

არა ჰომეროსულს.

მაშ... „ოდისეა“ რაღა შუაში იყო?

უბრალოდ ამ ორი სასიქადულო სახელის ერთად ხსენებისას თავისთავად შემომეხვევიან ხოლმე ჰომეროსული ლანდები და ის უჩვეულო შეგრძნებაც ჩამითრევს, ის გამაოგნებელი შთაბეჭდილება, ჩემს ყმანვილკაცობაში პირველად რომ ვეზიარებოდი – სწორედაც რომ ვეზიარებოდი – ქართულ სინამდვილედ გადაქცეულ იმ მღელვარე, ფათერაკებიან თავგადასავალს, იმ ცხოველ და დინამიკურ მოქმედებას, სიტყვასა და ფრაზაში დამარხულ იმ მფეთქავ განცდას.

ხოლო ის დეტალი...

აკუტაგავას ნოველებითაც უნდა დაინტერესებულიყო ზურაბ კიკნაძე, იმ ნიმუშებით, საქართველოს აღმოსავლეთ მთიანეთის ზეპირსიტყვიერების ქმნილებებს რომ მოაგონებდა, მის მიერ ანდრე-ზეზად დამკვიდრებულს სამეცნიერო ლიტერატურაში: „ოისი კურანოსკეს ერთი დღე“, „ამბავი ერთი შურისგებისა“, „როკუნომიელი ქალი“ და „სანემონის დანაშაული“.

და აი ერთ-ერთ ნოველაში – „როკუნომიელი ქალი“ – ჩართული აღმოჩნდებოდა ტანკა, რომელსაც თვითონვე მოსინჯავდა და... რაღაც ვერ აანყობდა.

განა რა უნდა გაძნელებოდა შუამდინარული პოეზიის მთარგმნელს – შუმერული და აქადური ლირიკისაც და ეპოსისაც გილგამეშზე, მაგრამ...

გული ეთანაღრებოდა – შესაფერისი ექსპრესიით არ ჩაერთვის თხრობაშიო.

მონაზონი გვერდით უნდა ჯდომოდა მწოლიარე ქალს და დაგლეჯილი ფარდაგი დაეკერებინა. ამ ბინდშიც კი ძალზე ღონემიხდილი უნდა სჩვენებოდა მწოლიარე ქალის სახე კავალერს. ერთი შეხედვაც კმაროდა, იმ ქალში როკუნომიელი ქალი შეეცნო. ის იყო უნდა გამოლაპარაკებოდა, რომ ხმა ჩაუნყდებოდა, იმდენად სანყალობელი სახე უნდა ჰქონოდა ქალს, რომელიც ვერა ხედავდა იქვე მდგარ კავალერს, მხოლოდ მხარი უნდა ეცვალა და დიდი გაჭირვებით აღმოეთქვა ეს ტანკა.

ეს ნაგლეჯიც კი, ერთიან კონტექსტს მონყვეტილი, მიგახვედრებთ, რაოდენ მნიშვნელოვანი უნდა იყოს ეს ლექსი თხრობის დინამიზმისთვისაც და ნოველის მხატვრული მრწამსის ამოსახსნელადაც...

რაღაც განსაკუთრებული უნდა იყოს ის სტრიქონები.

და ზურაბ კიკნაძე აღარ გააგრძელებდა მის მიერ გადმოღებული სტრიქონების დამუშავება-დახვეწას, გადადებდა გვერდით, მოძებნიდა თამაზ ჩხენკელის მიერ თარგმნილ X- XII საუკუნეების ტანკის ნიმუშებს, შეარჩევდა გიასონის ლექსს და ჩაურთავდა აკუტაგავას თხრობას, როგორც იმ განწყობილებებისათვის ყველაზე შესაფერისს, დინამიზმსაც რომ აძლიერებდა და ზუსტად ესადაგებოდა მხატვრულ მრწამსსაც:

ჩემო კეთილო ალუბალო, მარტო რომ ხარობ  
ამ აყვავებულ მთის კალთაზე – ყრუ და ოხერი..

მეცა ვარ შენებრ:

უმეგობრო და უმოყვარო

და მე ჭირთაგან მოყვრიანი ვზი მარტოხელი.

რამხელა სევდა მოჩქევს ამ ერთიბენო ლექსიდან, უძირო, განუქარვებელი სევდა მარტოსულობისა.

რალა გიასონის ალუბლის ხე და რალა გიორგი ლეონიძის ოლე!..

მით უმეტეს – იაპონელი პოეტი ისევე უიგივებდა თავს ალუბლის ხეს, როგორც ქართველი პოეტი – ლიახვის კლდეზე გადმომდგარ მარტოხეს, მის ხატში რომ გაასიმბოლოვებდა თავის სულიერ დრამატიზმს, სულაც ტრაგიზმს.

ზურაბ კიკნაძე კი მაშინვე დაურეკავდა თამაზ ჩხენკელს; ასეა და ასე საქმე, შენი თარგმანი მოუხდა აკუტაგავას ნოველას და რას იტყვი, იქ ჩართული ტანკა შენი თარგმანით რომ ჩავანაცვლო?..

თამაზი რას მიუგებდა და:

– შენ უკეთ იცი.

და თუ ვინმე შემთხვევით შეადარებთ „როკუნომიელი ქალის“ ქართულ ვერსიას ან იაპონურ ორიგინალსა და ან რუსულ თარგმანს, ნულა გაგაკვირვებთ, აკუტაგავას მიერ მოხმობილ ლექსსა და ზურაბ კიკნაძის მიერ მოშველიებულ ტანკას შორის შინაარსობრივ მსგავსებას თუ ვერ იპოვით...

სამაგიეროდ, თამაზ ჩხენკელისეული თარგმანი ისე ბუნებრივად, ისე ექსპრესიულად ერწყმის იაპონური ნოველის ქართულ მონაყოლს, ისე მყარად ჯდება ერთიან ქარგაში, გგონია, რომ გიასონმა ეს სტრიქონები იმ როკუნომიელი ქალისათვის შეთხზა.

გაქართველებული როკუნომიელი ქალისათვის – ნამდვილად!..

ხოლო ქართულად ამეტყველებული ჰომეროსი...

## „გიტანჯალური“ საგალოპელი

ერთხელ ინდოელი მწერლები ეწვეოდნენ საქართველოს და გრიგოლ აბაშიძე ოთარ ჩხეიძეს სთხოვდა მათ მეგზურობას: შენ კარგი ინგლისური იციო!..

და ქართველი მწერალი გაცნობისთანავე თავს გამოიდებდა ინდოელ თანამოკალმეებთან:

– ჩვენ „გიტანჯალის“ თარგმანი მოგვეპოვება.

– რა დონისაა?

– რა დონისაა და: რაბინდრანათ თაგორი დარჩებოდა მოხიბლული, ქართული რომ სცოდნოდა.

ჰოი რარიგ გაიხარებდნენ, და ერთ-ერთი მათგანი ზეპირადაც დაიმონმებდა უილიამ ბატლერ იეიტსის სიტყვებს „გიტანჯალის“ ინგლისური გამოცემისათვის ნამძღვარებული ესეიდან, ერთი რჩეული პოეტი ქებას რომ არ იშურებდა მეორე რჩეული პოეტის მიმართ, რადგანაც ეს საგალოპელნი დაეგულებინა უფლისადმი სიყვარულის იმ სავანედ, იმ ჯადოსნურ ყურედ, სადაც მიწიერი სიყვარული უნდა განმენდილიყო და განახლებულიყო.

ცალკეულ სტრიქონებს ხომ წარმოთქვამდნენ და წარმოთქვამდნენ, ოთარ ჩხეიძე ქართულადაც რომ მოასმენინებდათ რაბინდრანათ თავორის ამ შედეგრული მონაპოვარის მელოდიურობას, კიდევ და კიდევ რომ სთხოვდნენ წარმოთქმას, და ოთარ ჩხეიძის იშვიათი მეხსიერება ძალდაუტანებლად აღადგენდა ვრცელ მონაკვეთებს და ზოგიერთ საგალობელს თავიდან ბოლომდეც.

– ეს რა პოეზიის საღამო გამიმართეთ! – ხელებს იფშენეტდა სიხარულით გრიგოლ აბაშიძე.

ისე მოხდებოდა, რომ:

წლების წინათ ოთარ ჩხეიძეს შეარჩევდა გამომცემლობა რედაქტორად „გიტანჯალისათვის“, ჩვეული კეთილსინდისიერებით რომ მოეკიდებოდა ამ დავალებასაც და გულმოდგინედ გაჩხრეკდა თარგმანსაც და ორიგინალსაც შეუდარებდა.

ასეთ გულმოდგინებას არ ელოდა თამაზ ჩხენკელი, მიჩვეული მინვეულ რედაქტორთა ზერელეობას, თვალის გადავლებით (ესეც: უკეთეს შემთხვევაში) რომ კმაყოფილდებოდნენ და ისე აწერდნენ ხელს, დაიმედებულნი, გამომცემლობის რედაქტორები მიხედავენ მისახედსო.

და აი ოთარ ჩხეიძე წინ დაუდებდა ფურცელს, რომელზედაც 30 შენიშვნა ჩამოენერა.

ტექსტისათვის თითიც არ დაეკარებინა – არაფერი აღენიშნა. თვითონ თითის მიკარებასაც ვერ იტანდა, თუნდ მძიმეც რომ ჩაემატებინა მის ნაწერებში რედაქტორს, და სხვების დედნებსაც ამიტომ უფრთხილდებოდა.

არაერთ შენიშვნას გაიზიარებდა მთარგმნელი, და რასაც არ იყაბულებდა, რედაქტორი თავისას არ დაიჟინებდა.

სამ ლექსზე კი იტყოდა:

– ესენი ინგლისურ ორიგინალში არ არის და საიდან მოიტანეთ?

გამოუტყდებოდა სტუმარი:

– ორი თავორის სხვა კრებულიდან ჩავამატე, ეს ერთი კი... ეს ჩემი ლექსია.

დაკვირვებით შეხედავდა ოთარ ჩხეიძე, არას ეტყოდა, თუმც დატოვებით დაუტოვებდა იმ ლექსს.

და ისევე ეამაყებოდა თამაზ ჩხენკელს, „გიტანჯალის“ რედაქტორი მისთვის საყვარელი ეს მწერალი რომ გახლდათ (ამიტომაც ნაუნერდა „ოდისეას“ თარგმანის ნაჩუქარ ეგზემპლარზე 1976 წლის მარტში: თქვენდამი განსაკუთრებული პატივისცემით განმსჭვალულიო), როგორც ვიკტორ ნოზაძის საქებარ სიტყვებს უნდა აღეფრთოვანებინა თავორის საგალობელთა ქართულ ორეულზე, „ვეფხისტყაოსნის ღვთისმეტყველებაში“ რომ აღმოაჩინდა.

დიდხანს ამოდ ცდილობდა თამაზ ჩხენკელი თავისი ლექსების გამოქვეყნებას – სახელი მოეხვეჭა როგორც მთარგმნელს, მის ღვანლს ამ მხრივ თავისებურ ნიშანსვეტადაც რომ აღიარებდნენ, ესეებითაც მოხიბლულიყვნენ, „ტრაგიკული ნიღბების“ გამოქვეყნებასაც, პიროვნების გარდაქმნის მითოსური საფუძვლებისა ვაჟა-ფშაველას პოემებში, სასიამოვნო აჟიოტაჟი მოჰყვებოდა, მაგრამ ლექსები კვლავდაკვლავ დაუბეჭდავი რჩებოდა, ვიდრე – 70-იანი წლების მიწურულს – „ცისკრისა“ და „პირველი სხივის“ ფურცლებზე ეღირსებოდა გამომზეურება და 1980 წელს კრებულადაც გამოიცემოდა: „მზებუდობა“.

და ამ წიგნში უნდა აღმოეჩინა მკითხველს, რომ უსათაურო ლექსი – „დღეს რა მჭმუნვარე საღამოა, ცათა მეუფევე...“ – რომელიც არჩილ სულაკაურს ეძღვნებოდა, „გიტანჯალის“ ჰიმნთა ციკლში უკვე ნაეკითხა რაბინდრანათ თავორის სახელით.

და მაშინ ვერც ვერავინ მიხვდებოდა, თუკი „გიტანჯალის“ ორიგინალსაც არ იცნობდა, ეს ერთი საგალობელი თავორისა თუ არ იყო, ისე აეგო თამაზ ჩხენკელს იმავე განწყობილებებზე, ისე აღევსო იმავე სულსკვეთებითა და ექსპრესიით, ისე მოერგო ის მეტაფორისტიკა, როგორ გინდოდა გამოგერჩია ინდურ ფსალმუნთა ერთიანი მდინარებიდან.

დღეს რა მჭმუნვარე სალამოა, ცათა მეუფევ,  
 როგორი ჩუმი.  
 და ფოთლოვანში დასავლეთის ცა გამოსჭვივის,  
 მშვიდი და ჩუმი  
 და ფრინველებიც არ გალობენ...  
 მოყვასო ჩემო,  
 ხედავ, ღამდება, ჯერ მჭმუნვარე სალამო თუა,  
 ხედავ, ღამდება ყრუდ, უსასოდ და შემზარავად!  
 ვზივარ და გელი და მლიმარი მოხვიდე ნეტავ  
 და მე შემოგხვდე შენ, ძმაო და მოყვასო ჩემო.  
 მოდი, დღეს დიდი მჭმუნვარების სალამო თუა,  
 მოდი, ვუჭვრიტოთ და ჩუმი ხმით ვთქვათ ნუგეშინი.  
 ცათა მეუფევ, დღეს რა ჩუმი ფიქრი მიბოძე,  
 და ფოთლოვანში დაფიონის ღრუბლით შემკული  
 სალამოც ჩაქრა, მჭმუნვარე და ჩუმი სალამო,  
 და ფრინველებიც არ გალობენ...  
 მოყვასო ჩემო,  
 ხედავ, ღამდება, შენ, ძმაო და მოყვასო ჩემო,  
 ხედავ, ღამდება ყრუდ, უსასოდ და შემზარავად!

და რჩებოდა ეს ლირიკული ნიმუში თამაზ ჩხენკელის ორიგინალური პოეზიის ერთადერთ პუბლიკაციად – თავორის სახელს შეფარებული.

მაგრამ... უკვე ავტორის სახელიც რომ დაერქმეოდა?

უკვე „მზებუდობაშიც“ რომ დაიმკვიდრებდა თავის კუთვნილ ადგილს და ასევე გადავიდოდა თამაზ ჩხენკელის ლექსების სხვა კრებულებშიც?

თითქოს უნდა ამოეკლო მთარგმნელს ეს ნიმუში „გიტანჯალიდან“, მაგრამ...

მაგრამ ისე შესისხლხორცებოდა თავორის საგალობელთა ქართულ ვერსიას, მთარგმნელი ვერც იქ შეეღეოდა, ერთიანობის დარღვევად მიიჩნევდა და... კვლავაც ჩატოვებდა.

ბოლოს და ბოლოს ოთარ ჩხეიძის ნებართვითა და „ბეჭდით“ დადასტურებულიყო მისი განუყოფლობა „გიტანჯალისაგან“.

და ასევეც უნდა გაგრძელდეს 1949 წელს შექმნილი ამ ლირიკული ნიმუშის ორმაგი სიცოცხლე – თამაზ ჩხენკელის პოეტურ კრებულებშიც დარჩეს და „გიტანჯალის“ ფურცლებზეც, ოღონდ უსათუოდ სათანადო შენიშვნით, გნებავთ – ექსკურსის დართვითაც, საამისოდ კი ეგებ ეს ჩანაწერიც გამოდგეს.

...ვზივარ და გელი და მლიმარი მოხვიდე ნეტავ და მე შემოგხვდე შენ, ძმაო და მოყვასო ჩემოო.

### ჰაიავათა: საიდან მოდის ეს სიმღერები

„სიმღერა ჰაიავათაზე“ ინდიელთა ედააო, – განაცხადებდა ჰენრი ლონგფელო, რომელიც მანამდე ჯოვანი ბოკაჩოსა და ჯეფრი ჩოსერის კვალს თუ მიჰყვებოდა და ერთის „დეკამერონისა“ და მეორის „კენტერბერიული მოთხრობების“ თარგზე ააგებდა პოეტურ კრებულს „გზისპირა სასტუმროს ამბები“, უკვე საბოლოოდ გადაწყვეტდა გამოსცლოდა ევროპულ და ინგლისურ გავლენებს და ეპიკური ქმნილება ამოეზარდა ჩრდილო ამერიკის ინდიელთა შორის გავრცელებულ თქმულებათა

საფუძველზე, თქმულებებისა, რომელნიც ჰყვებოდნენ ჯადოსნური წარმოშობის კაცზე, მოვლინებულზე ადამიანებთან მდინარეთა, ტყეებისა და სათევზაო ადგილების გასანმენდად, ხალხისათვის წერა-კითხვის სასწავლებლად...

და ამ სიუჟეტურ ქარგაში ჩაერთო ლონგფელოს სხვა წარმტაცი თქმულებებიც, სამოქმედო არეკი გაეშალა ზემო ტბის სამხრეთ ნაპირზე, ფერწერულ კლდეებსა და ქვიშებს შორის.

პოემა მკითხველის თვალწინ რომ აცოცხლებდა ჩრდილო ამერიკის თვალწარმტაც ბუნებასა და ინდიელთა თავისებურ ეგზოტიკურ ყოფას, ირაკლი კენჭოშვილის მოწმობით:

„ჰაიავათას სიმღერაში“ ცხადლივ გაისმოდა წყალუხვი მდინარეების ხმაური, მოჩანდა მოშრიალე უზარმაზარი ფიჭვის ტყეები, რომელთა პირასაც გაეშალათ ინდიელებს თავიანთი ვიგვამები, ვეცნობოდით უშუალოდ ბუნების წიაღში მცხოვრები ხალხის ქირ-ვარამს, და პოეტს თავისი ეპოსისათვის მიენიჭებინა სრულყოფილი მხატვრული ფორმა, ველური ფერების, ბგერებისა და სურნელების სიმდიდრე.

პოეტური ფორმის ეს სრულყოფილება, ველური ფერების, ბგერებისა და სურნელების ეს სიმდიდრე უნდა გადმოტანილიყო ქართულადაც, თუკი „სიმღერა ჰაიავათაზე“ დიდი პოეზიის მაღლით ამეტყველდებოდა.

პირველად ამას ჯერ კიდევ 30-იან წლებში შეეცდებოდნენ – თანაც მთარგმნელობითი ხელოვნების ორი ოსტატი: გივი გაჩეჩილაძე და მიქელ პატარიძე, მაგრამ... ამჯერად არც მათ გაუმართლებდათ და არც ჩვენს ლიტერატურას, და არამცთუ ლონგფელოს პოეტური მაღლი განეცადა მკითხველს, შინაარსის გამოტანაც კი გაუძნელდებოდათ 1938 წელს გამოცემული წიგნიდან.

აუცილებელი რომ გახლდათ ამერიკული ეროვნული ეპოსის ხელმეორე გადმოქართულება, ბედად ეს მოვალეობა თავს უნდა ედო ოთარ ჭილაძეს და 1966 წელს გამოცემული წიგნიდან პოეტური ფორმის სრულყოფილებასთან ერთად მკითხველს სწორედ ის სიმდიდრე უნდა განეცადა ველური ფერების, ბგერებისა და სურნელებისა.

შეგვრძნო წყალუხვ მდინარეთა ხმაური.

მოესმინა უზარმაზარი ფიჭვის ტყეების შრიალი.

და ამ რიტმებისა და მელოდიების ფონზე მიჰყოლოდნენ მითოსში გადასული ისტორიული პირის თავგადასავალს – გამირობასა და თავდადებას სათნოებისა და მშვიდობის დასამკვიდრებლად, ამჟამინდელი ნიუ იორკის შტატის მიდამოებში მცხოვრებ ძველ იროკუზთა ხუთის ტომის შესაკავშირებლად და ურთიერთშუღლის მოსასპობად.

თუ ლონგფელოს ჰკითხავდნენ: საიდან მოდიოდა ეს ლეგენდები და სიმღერები, გაჟღენთილები ტყეთა სურნელით და მდინარეთა სინოტივეთი, წყნარი სოფლების ცახცახა კვამლით და ჩანჩქერების აურზაურით?

მიუგებდათ, რომ:

ტყეებიდან, პრერიებიდან და მინდვრებიდან, ოჯიბუების თბილი მიწიდან და ჩრდილოეთის დიდი ტბებიდან, ჭაობებიდან და ტუნდრებიდან, – იქ, სადაც ყანჩა და ყანჩის ჩრდილი გარინდებულებიყვნენ ლერწამთა შორის.

ლონგფელო ამ სიმღერებს ისევე მღეროდა, ვით ნავადაჰა მღეროდა ადრე.

და ნავადაჰას სადღა ეპოვნა ეს სიმღერები, ასე თავნება და მშვენიერნი?

ისინი ენახა ჩიტის ბუდეში, ისინი ენახა დათვის ბუნაგსა და ბიზონების ნაფხუხურებში.

და ლონგფელო მთელი არსებით რომ მიიკვლევდა გზაბილიკებს თავისი ქვეყნის იდუმალებით შებურვილ წარსულში, ეიმედებოდა, რომ მისი ეპოსი მახლობელი იქნებოდა არამარტო თვისტომთათვის, არამედ ყველა ერისათვის, ყველა ენაზე მოლაპარაკე ადამიანისათვის, რომელნიც კი ეს-წრაფოდნენ ფესვების შენარჩუნებას.

და თუ თქვენ გიყვართ თქვენი წარსული,  
 თქვენი ზღაპრები და ლეგენდები,  
 რომლებიც ხავსით დაფარულ ხელებს  
 თქვენკენ იწვდიან და გაჩერებენ,  
 და გახსენებენ გარდასულ ამბებს  
 ამღერებული და ტკბილი ენით...  
 ყური დაუგდეთ ამ ძველ ლეგენდას,  
 ჰაიავათაზე გიამბობთ იგი.

წარსულზე არ უნდა გეგლოვა, რადგანაც ის აღარ დაგიბრუნდებოდა, – ეს იქნებოდა ჰენრი ლონგფელოს მხატვრულ-იდეური მრწამსი, – ბრძნულად უნდა გეზრუნა ანმყოზე, რადგან ის შენი იყო, და წასწრაფებულიყო ბუნდოვან მომავალთან შესახვედრად – უშიშრად და ვაჟკაცურად.

შორეული წარსულიც მომავლისათვის ესაჭიროებოდა პოეტს, სულიერი სისალის გადასარჩენად და გზამკვლევად დასახვისათვის ბუნდოვანებასთან შეხვედრისას.

ისე უპირველეს პოეტად რომ აღიარებდნენ, ამიტომაც წაედავებოდნენ ტახტიდან ჩამოსაგდებად: ერთი მხრივ ედგარ პო და მეორე მხრივ უოლტ უიტმენი.

ედგარ პო სულაც პლაგიატობაში დასდებდა ბრალს 1845 წელს; ეს გაქუცული რედაქტორი, რომელსაც ორიოდე ლექსი და მოთხრობა გამოექვეყნებინა, აუხირდებოდა სახელგანთქმულ ავტორს, მდიდარსა და ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორს:

არც საქება რ ეპითეტს დაიშურებდა „მანანალას“ მიმართ – მშვენიერიო, – მაგრამ მიადევნებდა, რომ: ეს ლექსი დასწებოვნებულიყო მორალური ლაქით, საერთოდ კი ლონგფელო ყველა ამერიკელ პოეტს ბაძავდა, მაგრამ მათდამი კეთილი სიტყვა არ ემეტებოდა.

ლონგფელოს თაყვანისმცემლები არ მოითმენდნენ მის აუგს და არაერთი გაზეთი გამოესარჩლებოდა, თვითონ პოეტი კი თავს შეიკავებდა, თუმც დღიურში ჩაინიშნავდა გართიმულ სტრიქონებს: ჰარვარდის პროფესორი ჰეგზამეტრით მღერის, პენტამეტრით კი – წყეული შარიანი პოო.

ნიუ იორკის ისტორიული საზოგადოება ლექციას რომ წააკითხებდა ედგარ პოს ამერიკელ პოეტებზე, ის დაუნდობლად მისდგებოდა თანამოკალმეებს და ერთი გაზეთი ამ ლექციას „თავების დაყრევინებადაც“ მოიხსენიებდა ანუ პოპულარული კერპების შემუსვრად, მათ შორის ლონგფელოსიც.

ისე მოხდებოდა, რომ გამოჩნდებოდა კრიტიკოსი, რომელიც პოს „ყორანსა“ და ლონგფელოს „სიზმრის ჩიტს“ შეადარებდა, 18 მსგავსებას აღმოაჩენდა და პოს პლაგიატობაში დაადანაშაულებდა. პო გამოეპასუხებოდა და დაიცავდა „ყორანს“, თუმც ლონგფელოზე თავდასხმებს კი შეწყვეტდა.

ხოლო 1846 წელს უოლტ უიტმენი რომ გამოეხმაურებოდა ლონგფელოს პოეტურ კრებულს, სადაც შევიდოდა ლექსი „Excelsior“ (სულ ზევით – ნიუ იორკის დევიზი), აღნიშნავდა:

– ეს ლაზათიანი ორმოცდაათცენტნიანი გამოცემა შეიცავს მშვენიერ აზრებს, გადმოცემულს მშვენიერი სიტყვებით.

და ლონგფელოს ლექსებს რომანტიკული პოეზიის მწვერვალად მოიხსენიებდა.

1860 წლისათვის კი უიტმენს ცოტა არ იყოს გული გაუცივდებოდა ლონგფელოზე, რომელიც სანტიმენტალური ლექსების წერას აგრძელებდა, მაშინ როცა უიტმენი ამერიკელ ჯარისკაცთა თავგანწირვას განადიდებდა.

1867 წელს ლონგფელოს იმ ლექსის – „Excelsior“ – სათაურს ისესხებდა და ამ სახელწოდების პოეტურ ნიმუშს შეიტანდა „ბალახის ფოთლებში“ და მოიარებით გაკენწლავდა თანამოკალმეს გაბრაზებული, რომ ლონგფელოს ლამაზი სიტყვები ომს სრულიად არ ითვალისწინებდნენ.

და ვინ წარმოთქვამდა ლამაზ სიტყვებს დიდხანს? ღმერთმანი მე დაჯვარბნი მას. ისეთ სიტყვებს ვიტყვი, უფრო მეტხანს გაძლებსო!

თუმც მოგვიანებით ისინი შერიგდებოდნენ და უიტმენი ამ სტრიქონებს ამოშლიდა „ბალახის ფოთლებიდან“.

ევროპაში ედგარ პოც და უოლტ უიტმენიც უფრო დიდ სახელს მოიხვეჭდნენ, ვიდრე ჰენრი ლონგფელო, მაგრამ იგი ყოველთვისაც დარჩებოდა ერთ თვალსაჩინო, კაშკაშა სახელად ამერიკულ ლიტერატურაში, „სიმღერა ჰაიავათაზე“ კი – ეროვნულ ეპოსად, და ყველასთვისაც მახლობელად, ვინც მიელტვოდა თავ-თავისი ქვეყნის წარსულს, ზღაპრებსა და ლეგენდებში გახვეულებს, და საერთოდ – წარსულს კაცობრიობისა, ძველი და ახალი დროის ეპიკური ქმნილებანი რომ განგვაცდევინებდნენ იმ დროების სულს – გადასარჩენს მომავლისათვის.

ოთარ ჭილაძისათვისაც სულიერად მეტად მახლობელი აღმოჩნდებოდა ინდიელთა მითოსში ჩადირული ჟამის შეგრძნება, ამირანის მითოსიდან რომ მოდიოდა მისი მსოფლგანცდაც, და ასე მიეხლებოდა გილგამეშის ეპოსს, „თიხის სამ ფირფიტას“ ამ ძველთაძველი შუამდინარული ქმნილების ახლებურ პოეტურ გააზრებად რომ განიზრახავდა; და პირველივე რომანში „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“ არგონავტების თქმულების სიღრმეში შეღწევისას რომ მოინდომებდა, მერე კვლავ შუამდინარული ლანდები უნდა შემოჯარვოდნენ და მეორე რომანში „ყოველმან ჩემმან მპოვნელმან...“ ურუქი დაესახა საქართველოს მეტაფორულ სახედ; მოგვიანებით კი თავი კვლავ იმ სამყაროში დაენახა, ავტობიოგრაფიული ყაიდის რომანს „აველუმად“ რომ დაასათაურებდა – ამ შუმერულ სიტყვას შეარჩევდა თავის თიკუნად.

ლონგფელოს სწამდა, რომ მის ეპიკურ ქმნილებასა და მთავარ გმირს გაუგებდა ყველა, თუ მათი გული ისევ წრფელი იქნებოდა და შერჩებოდათ რწმენა ღვთისა და ბუნების, და თუ კვლავ სჯეროდათ, რომ უსასრულოდ ერთნაირი გახლდათ ადამიანი, რომ საცოდავი ველურის გულიც სავსე იყო ლტოლვითა და სურვილებით, და რომ მისი ხელიც, მხდალი და სუსტი, ღმერთის მარჯვენას დაეძებდა ბნელში.

თავის ქვეყნიურ ვალს რომ მოიხდიდა ჰაიავათა, თავის ღვანლს პირნათლად რომ აღასრულებდა, დადგებოდა დრო, ჩამავალი და დაქანცული მზის ფონზე გაეცურა ნავით საიქიოსაკენ, მის შემხედვარე ხალხს ცრემლი რომ უბრწყინავდა თვალებზე, და დაბურული ტყეებიც ტბისაკენ მიფათურობდნენ გრძელი ხელებით და მოისმოდა ხეების მოთქმაც: ჰაიავათავ, ძმაო, მშვიდობითო, – ნაპირთან კვნესოდა ტალღაც და საბრალო ყანჩაც მიაცილებდა ძმობილს ცრემლებით და ნისლმოხვეული ჭაობებიდან ზეცას სწვდებოდა მისი ქვითინი.

...ინდიელებს მე შევუქმენი თავიანთი ედაო, – ეამაყებოდა ჰენრი ლონგფელოს, მის ეპიკურ გმირს ქართულ სივრცეშიც რომ შემოეღწია უკვე თავისი ახოვანებით და თან მოეტანა სიმდიდრე სიმღერათა ველურ ფერების, ბგერებისა და სურნელების.

### მარკესი ფოლკნერის ზურგზე

თუ ვინმე შეხვდებოდა სრულიად გულგრილად და აღუშფოთებლად დაჯილდოებას, მათ შორის – ამ თითზე ჩამოსათვლელ ადამიანებში – უილიამ ფოლკნერიც, არც მანამდე რომ არ ეფიქრა არანაირ, და მითუმეტეს – ნობელის, პრემიაზე, და არც მერე ჩააგდებდა რაიმედ, და ველარც ის გაეგო, რას აღეფრთოვანებინა ასე ამერიკელები, თავსაც რომ ინონებდნენ იოკნაპატოფას საგის შემოქმედის ამ მსოფლიო წარმატებით.

ჟან-პოლ სარტრის თავგამოდება რომ არა – ფრანგულად თარგმნასაც რომ შეუნყოფდა ხელს და უმაღლეს შეფასებასაც არ დაინანებდა, ნობელის კომიტეტი არც გაიხედავდა იმ ლიტერატურული



განძისაკენ, უილიამ ფოლკნერს რაც უკვე შეექმნა, და არც ამერიკელებს ეცოდინებოდათ, ამხელა მწერალი თუ ჰყავდათ.

თითქოსდა მხოლოდ დროის ფენომენს უკვირდებოდა სარტრი ამერიკელი თანამოკალმის ბელეტრისტულ ქმნილებებში, მაგრამ მისი გონება და ინტუიცია შორს გასცილდებოდა ერთ პრობლემას, თავისთავად მრავალმხრივ მნიშვნელოვანს, და ზოგადად მოხაზავდა უილიამ ფოლკნერის მხატვრული სამყაროს თავისებურებებს, საკვლევად უხვი მასალის არსებობას რომ მიანიშნებდათ კრიტიკოსებსაც და ლიტერატურისმცოდნეებსაც.

კვლავინდებურად განდეგილივით იცხოვრებდა ფოლკნერი, სამწერლო წრეებს სრულიად გარიდებული, ოდნავადაც რომ არ დაინტერესდებოდა ამ წრეების ყოფით, უმეტესწილად სნობური გარემოთი, და გამომცემლობებთანაც მხოლოდ მიმონერით თუ ექნებოდა ურთიერთობა. სავსებით იკმარებდა ორ-სამ ახლობელს – ისიც ფერმერთა და მონადირეთა წრიდან.

ეგ არის, როდესაც ამერიკის შეერთებულ შტატებს დასჭირდებოდათ კეთილი ურთიერთობის გაბმა იაპონიასთან, ხიროსიმაში ატომური ბომბის ჩაგდების შემდეგ იაპონელებს ამერიკელთა ხსენებაც რომ აღარ ენდომებოდათ, გადამწვარი, ჩანგრეული სულიერი ხიდების აღსადგენად უილიამ ფოლკნერს სთხოვდა ხელისუფლება ამ ქვეყანაში მოგზაურობას გარეგნულად ლიტერატურული, სინამდვილეში კი პოლიტიკური მიზნით.

არც თავის მთავრობას აგდებდა რაიმედ ფოლკნერი, მაგრამ ეს უკვე სახელმწიფოებრივი ინტერესი გახლდათ და... კიდევ გადასდებდა თავს და გაიხსენებდა ჭაბუკურ სიყვარულს მოგზაურობისა და ფათერაკებისადმი, და კიდევ ეწვეოდა იაპონიას და იმ სულიერ ხიდებსაც აღადგენდა, რასაც ზედ მოჰყვებოდა სახელმწიფოებრივი ურთიერთობის მოგვარებაც.

სიამაყით ეამაყებოდათ ფოლკნერის არსებობა მის თვისტომთ, მაგრამ ცოტა არ იყოს გაუძნელებოდათ მის მხატვრულ სამყაროში შეღწევა, რასაც სტილურ სირთულეს დააბრალებდნენ. ადვილი აღსაქმელი, ადვილი მოსაშინაურებელი მართლაც არ გახლავთ ეს სტილი, მაგრამ განა რატომ უნდა იყოს?! ამ სამყაროს სწორედ ამგვარი მანერა ესაჭიროებოდა წერისა თავის ბოლომდე გამოსავლენად და ფოლკნერიც გულის კარნახს მისდევდა და არა მკითხველის ბუზღუნს: გვირთულებს კითხვასო.

არადა:

კითხვას კი არ ურთულებდათ, მორევივით ლამობდა მათ ჩათრევას, იმ ფარული რიტმიკის, იმ იდუმალი მუსიკის ტყვეობაში მოქცევას, საიდანაც გამოსვლაც აღარ ენდომებოდათ, თუკი ხუთეჭვს გვერდს გაუძლებდნენ კითხვას; და იმიტომ კი არ გასულიყვნენ რომანების ბოლოში, მოვალედ რომ მიიჩნევდნენ თავს, არამედ მთელი არსებით მინდობოდნენ მწერალს და იმ მხატვრული სამყაროს უშუალო მონაწილედ ეგრძნოთ თავი.

მაშინ აღარც გაღიზიანებით გაღიზიანდებოდნენ: რა დიდებული ხასიათებია გამოკვეთილი, რა მღელვარე ამბებია და კიდევ მეტად შევიგრძნობდით, რთული სტილი რომ არ გვიშლიდეს ხელსო.

როგორ გინდა ჩამოუარო ყველას და აუხსნა და დაუბეჯითო სათითაოდ, რომ:

მწერლობა სწორედ სტილია.

ის, რაც ასერიგად მოგწონს, იმ სტილის ნაყოფია, რთული რომ გეჩვენება, და როდესაც შეეჩვევი და გაუშინაურდები, საერთოდაც ვეღარ იგრძნობ მის სირთულეს რიტმიკასა და მუსიკალობაში ერთიანად ჩაძირული და მთელი იმ სიმძლავრისა და სილამაზის შემგრძნობი, რისთვისაც შექმნილა ეს თხზულებანი, სულაც საგადაც რომ გამთლიანებულა.

გაბრიელ გარსია მარკესი მოევიწიებოდა სულიერ შეგირდად უილიამ ფოლკნერს, მის სტილისტიკას რომ გადმოიღებდა, შეინოვდა, შეითვისებდა და ცოტა თავისებურადაც გარდაქმნიდა

– როგორც საერთოდაც ნიშანდობლივია მიმდევართათვის, გაამარტივებდა თავისდაუნებურად და გაცილებით იოლსაკითხავადაც აქცევდა ფოლკნერის თარგზე მოჭრილ ამ თავის თხზულებებს, მკითხველს ერთბაშად რომ მიიტაცებდა, კრიტიკოსებსაც აიყოლიებდა და – სიმარჯვისა და შოუ-მენური ალლოს წყალობით – უზომო პოპულარობასაც მოიხვეჭდა და ნობელის პრემიასაც გამოჰკრავდა ხელს.

მოთავსდებოდა უილიამ ფოლკნერის ზურგზე და დატკბებოდა იმ დიდებით, რაც სწორედ ფოლკნერს ეკუთვნოდა, მაგრამ „ასწლიანი სიმარტოვის“ ავტორი ისარგებლებდა და რას ისარგებლებდა!..

განა ყველას აუხვევდა თვალს – გამორჩეუბოდნენ ისეთებიც, რომელნიც თვალნათლივ დაინახავდნენ, ლიტერატურშინას რომ ვერ გაცვილებოდა მარკესი – საკმაოდ მაღალი დონის ლიტერატურშინას ქმნიდა, ლევ ტოლსტოისა არ იყოს, მაგრამ მეორეული მაინც მეორეულია და პირველწყაროს, თავწყაროს არ უნდა დაამჯობინო – და დროდადრო ფოლკნერის გავლენასაც აღნიშნავდნენ და პირადადაც შეჰბედავდნენ ამქვეყნიური დიდებით მორჭმულს:

რალაც ძალიან ჰგავს ერთმანეთს თქვენი და ფოლკნერის სტილიც, ხედავაც, მხატვრული აზროვნების თავისებურებაცო.

არ უარყოფდა ამ გავლენის არსებობას მარკესი, ეგაა მონყალედ გაუღიმებდათ და აუხსნიდათ:

ეს იმიტომ, რომ ძალიან ჰგავს ერთიმეორეს ის გარემო, ის პეიზაჟი, სადაც გვინევდა ცხოვრებაც მეც და ფოლკნერსაცო.

გარემო ჰგავსო, პეიზაჟი ჰგავსო განა?

გარემო და პეიზაჟი კი არა, ერთ ოთახში რომ დასხა სხვადასხვა სტილისტიკის მწერალი და ასაუბრო ერთმანეთთან, იმ საუბარს თვითეული თავისებურად გაიხსენებს და აღწერს, სრულიად განსხვავებულად... ან კი გარემოს, პეიზაჟის გარეგნულ მსგავსებას რა საერთო შეიძლება ჰქონდეს სტილურ, მხატვრულ თავისებურებასთან?


მაგრამ მარკესსაც რა ელონა, ადვილად ვერ აღიარებდა, ფოლკნერის ჩრდილს რომ შეფარებოდა, მის ზურგზე რომ მოკალათებულიყო დამპატიყესავით და ნთქავდა და ნთქავდა, რისი ამონუნუნაც მოხერხდებოდა.

თუმც ამჯერად ისე მოხდებოდა, რომ ვერ გადაყლაპავდა მარკესი ფოლკნერს – თავის მშობელს ვერ შეჭამდა კანიბალივით, ის კი არა, მარკესის სტილისტიკას ადვილად რომ შეეგუებოდა მკითხველი და გაითავისებდა, ეს გაუადვილებდათ გზის გაგნებას ფოლკნერისაკენ, ისეთი რთულიც აღარ მოეჩვენებოდათ იოკნაპატოფას საგის ირგვლივ შემოქსოვილი ბადე და სტილური ფოიერვერკის მორევშიც უკვე თამამად გადაეშვებოდნენ.

რა უცნაურია გზანი ლიტერატურისანი.

ასე უნდა გამხდარიყო უილიამ ფოლკნერიც მოდური მწერალი, ასე ძალიან რომ არ მოსწონდა ეს მოდურობა და სნობურ წრეებში გათქვეფა – განსხვავებით ონორე დე ბალზაკისაგან, რომლის „ადამიანური კომედიის“ შთაგონებითაც შექმნიდა თავის მონუმენტურ საგას – მაგრამ დღესდღეობით ძალიან მომატებია მკითხველი მთელს მსოფლიოში და კიდევ და კიდევ იზრდება მისი პოპულარობა, მარკესს რომ ვერასოდეს გადააჭარბებს, როგორც გაცილებით მარტივს, მაგრამ რა გინდა – მარკესმა კი გაუჭრა გზა ფართო მკითხველს ფოლკნერისაკენ და გაადებინა ის სულიერი ხიდი, იოკნაპატოფას საგის სიდიადესა და შთამბეჭდაობას ბევრ ისეთ ადამიანსაც რომ შეაგრძნობინებს, უმარკესოდ ვერასოდეს რომ ვერ მიუახლოვდებოდნენ.

ამ დღეებს რომ მოსწრებოდა უილიამ ფოლკნერი, არას იტყოდა, ერთი კუნთიც არ შეერხეოდა სახეზე, თოფს აიღებდა და სანადიროდ წავიდოდა.



# გაღზაზ როზარაძე

## „...გირილი იყო გაყოლა და გიროდნენ გაღაას“

(პოეტური ემოცია სახელმწიფო საზღვრით გაყოფილი სოფლებისთვის)

მხატვრული ლიტერატურა მრავალს და მრავალგზის მიუჩნევია ცხოვრების სარკედ. ეს მეტაფორა (ლიტერატურა//სარკე) პირდაპირ მიუთითებს, რომ კაზმულსიტყვაობის არსებითი ფუნქცია ცხოვრების ასახვაა, საზოგადოების, ხალხის გულისთქმის, იმედებისა თუ იმედგაცრუებების გამოხატვაა. ამ თვალსაზრისით, ლიტერატურა ყოველთვის არის დავალებული ყოველდღიური ყოფის წვრილმანებით თუ ეპოქალური მოვლენებით და შესაბამისად, იმავე საზოგადოების, ხალხის მეხსიერების ერთგვარი მხატვრული ინტერპრეტაციაა.

ყველაზე სუბიექტური მხატვრული ნაწარმოებიც კი ეპოქის სპეციფიკურ ნიშანთა მთელ სისტემას ატარებს, გამოხატავს საზოგადოების ცნობიერების გარკვეულ თავისებურებას და, ამავე დროს, მეხსიერებაზე დაკვირვების ერთ-ერთ საშუალებადაც გვევლინება.

მხატვრული ლიტერატურა ეპოქის კვალს მრავალი კომპონენტით აღბეჭდავს, მათ შორის, ნარატივით, განწყობითა და ემოციით, მხატვრული სახეებით და ა. შ. სხვადასხვა ეპოქის ტექსტებზე დაკვირვება გვაძლევს წარსულთან მიმართების რავგარობაზე მსჯელობის შესაძლებლობას, ფაქტებისა თუ მოვლენებისათვის ისტორიული, იდეოლოგიური თუ მორალურ-ზნეობრივი პრიორიტეტების განსაზღვრას. ხოლო როცა საქმე ეხება ისეთ ფაქტებსა და მოვლენებს, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში არ კარგავს აქტუალობას, მაგალითად, სახელმწიფო საზღვარს – ბუნებრივია ასეთი პრობლემის (ამ შემთხვევაში – სახელმწიფო საზღვრით გაყოფილი სოფლების) მიმართ მწერლების ინტერესი და არც ისაა გასაკვირი, რომ კაზმულსიტყვაობის, როგორც მეხსიერების მხატვრული ინტერპრეტაციის, ემოციური შრე უკვალოდ არ ქრება.

სასაზღვრო მოტივი სამხრეთ საქართველოს რთული ისტორიის ახალ და კიდევ ერთ ტკივილიან რეალობას წარმოადგენდა მე-20 საუკუნეშიც: 10-იანი წლების მიწურულის და 20-იანი წლების დასაწყისის პოლიტიკურმა რეალობამ, ბოლშევიკური რუსეთის და ქემალისტური თურქეთის ურთიერთობის ახალმა ეტაპმა, ამ ორი სახელმწიფოს მოლაპარაკებათა პოლიტიკურმა შედეგებმა, საქართველოსა და თურქეთს შორის ჩამოაყალიბა ახალი სასაზღვრო სივრცე. საქართველოს ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი თურქეთის შემადგენლობაში მოექცა. ქართველებით დასახლებულ სხვა ტერიტორიებთან ერთად სახელმწიფო საზღვარმა შუაზე გაყო ორი კონკრეტული სოფელი – მარადიდი და სარფი. შესაბამისად, სხვადასხვა სახელმწიფოს ფარგლებში მოქცეული თანასოფლების, ნათესავების, მეზობლების – ერთი კულტურისა და ცნობიერების ადამიანების – ცხოვრება

ორი, ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული გზით წარიმართა. 20-იანი წლებიდან საქართველო საბჭოთა კავშირის შემადგენელი ნაწილი იყო, ხოლო საბჭოთა კავშირ-თურქეთის სასაზღვრო მონაკვეთი დიდი ხნის განმავლობაში განსაკუთრებით მკაცრი რეჟიმით გამოირჩეოდა. შესაბამისად, ასეთ პირობებში, დასახლებული სოფლების მოსახლეობა მრავალი წლის განმავლობაში მოკლებული იყო ელემენტარული კომუნიკაციის შესაძლებლობასაც კი.

ერთი კონკრეტული დასახლებული პუნქტის, სოფლის, ხეობის სახელმწიფო საზღვრით გაყოფა იმპერიათა სასაზღვრო პოლიტიკის გამოცდილი და ვერაგი სტრატეგიაა – ასე უფრო მძაფრად შეიგრძნობა მარცხის ტკივილი, უფრო ღრმად უმწეობის განცდა და ხაზგასმულია მორჩილების იძულება... ყოველ შემთხვევაში, რუსეთი ხშირად მიმართავდა აღნიშნულ სტრატეგიას მეცხრამეტე საუკუნეშიც, მეოცეშიც და ოცდამეერთეშიც:

1877-78 წლების ომის შემდგომ რუსეთ-ოსმალეთის საზღვრის ერთი მონაკვეთი გადიოდა კლარჯეთის სოფელ ხოდში: ქვედა ხოდში უძველესი, 1848 წელს აგებული, ჯამეა, რომელსაც დღემდე შერჩენია ჩუქურთმებით შემკული კარი. ჯამე ოსმალეთში იყო. ჯამისწინა მდინარის მიღმა სივრცე – რუსეთს ეკუთვნოდა. რუსეთის ხელში აღმოჩნდა სპილენძის მადანიც, რომელიც სიმდიდრით მურღულისას ვერ შეედრებოდა, მაგრამ ხარისხით სჯობდა თურმე და ამიტომ რუსების სპილენძის ქარხანაც მთელი დატვირთვით მუშაობდა. რუსეთის გამგებლობაში დარჩენილა ხოდის ოსმალური ნაწილის საზაფხულო საძოვრებიც, ამიტომ სოფლელები იძულებული იყვნენ, სპეციალური ნებართვა აეღოთ და ისე ესარგებლათ საძოვრებით;

მე-20 საუკუნის 20-იან წლებში, როგორც აღვნიშნეთ, სახელმწიფო საზღვარმა გაყო სოფლები სარფი და მარადიდი. ასევე, მაჭახლის ხეობა და ამ ხეობის ზედანელის ექვსი სოფელი (ხერთვისი, მინდიეთი, აკრია, ზედვაკე, ქვაბითავი, ეფრავი) თურქეთის შემადგენლობაში მოექცა;

ოცდამეერთე საუკუნეში რუსეთმა საქართველოს ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილის ოკუპაციის შემდეგ მავთულხლართებით გაყო შიდა ქართლის სოფელი გუგუთიანთკარი, ხოლო აფხაზეთში, ოკუპაციის შემდეგ, სოფელ აიბლას მდინარე ფსოუს გაღმა ნაპირზე მდებარე უბანი რუსეთის შემადგენლობაში მოაქცია...

ნაშრომში სწორედ სასაზღვრო მოტივს ვეხებით, მაგრამ მხოლოდ სამხრეთის საზღვარს, უფრო ზუსტად, საქართველო-თურქეთის საზღვრით გაყოფილი სოფლების თემას, რომელიც მრავალი თვალსაზრისით არის საინტერესო... თუმცა ჩვენი ინტერესის საგანი ამჯერად მხოლოდ ადამიანური ემოციებია, რომელსაც ვერ შლიდა მკაცრად დაგმანული სახელმწიფო საზღვრებიც კი. ამასთან, ძირითადად, განვიხილავთ მკაცრი სასაზღვრო რეჟიმის ეპოქის მხატვრულ ტექსტებს, მათ შორის, ხსენებული დასახლებებიდან გამოსულ ავტორთა შემოქმედებას, ოღონდ ამჯერად პოლიტიკური და იდეოლოგიური დისკურსის გარეშე. ნაშრომში წარმოდგენილია როგორც საქართველოში, ასევე თურქეთში შექმნილი ლიტერატურული პროდუქცია (ამ უკანასკნელ შემთხვევაში ტექსტშივე მივუთითებთ ავტორის მოქალაქეობრივ კუთვნილებას).

საზღვრით გაყოფილი სოფლები ერთმანეთისგან ოცდაათიოდე კილომეტრით არიან დაშორებული. სარფი ზღვისპირზეა, მარადიდი – სიღრმეში. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ გაყოფილი სოფლების გეოგრაფიის სპეციფიკა გარკვეული საკითხების გათვალისწინებას საჭიროებს: სარფი ერთი პატარა მდინარის ხეობაშია. სწორედ ამ მდინარეზე გადის საზღვრის ერთი მონაკვეთი. მარცხენა ფერდობი თურქეთისაა, მარჯვენა – საქართველოს. ფერდობები ერთმანეთის პირისპირაა და ხელისგულივით ჩანს ყველაფერი.

მარადიდი მდინარე ქოროხის მარცხენა ნაპირზეა. გამყოფი საზღვარი ქედია. მთის ერთ მხარეს ქვედა მარადიდი (საქართველოში), მეორე მხარეს – ზედა მარადიდი (თურქეთში). შესაბამისად,

ზედა და ქვედა მარადიდის მოსახლეობას ვიზუალური კონტაქტი თითქმის არ აქვს, თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზედა მარადიდის მოპირდაპირე მხარეს, მდინარე ჭოროხის მარჯვენა ნაპირზე, საქართველოს ნაწილში, არის სოფელი კირნათი. ამდენად, კირნათსა და ზედა მარადიდს შორის დაახლოებით იგივე მდგომარეობაა, რაც სარფის ორ ნაწილს შორის. შესაბამისად, პოეტური ემოცია ხშირად კირნათსაც წვდება... მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ ჭოროხი დიდი მდინარეა და ტიბაში – სოფლის პატარა ღელე, შესაბამისად, ჭოროხის აუზი ვრცელ ტერიტორიას მოიცავს, ამასთან, ჭოროხთან საზღვარი მხოლოდ მცირე მონაკვეთზე გასდევს მდინარეს, და იქვე გადაჰკვეთს მას: ზემონელი თურქეთში რჩება, ქვემონელი – საქართველოში.

სოფელ სარფში, როგორც აღვნიშნეთ, სასაზღვრო ზოლი, მდინარე ტიბაშს (იგივე „სინორიშლალი“ – საზღვრისღელე) მიჰყვება. ამიტომ ბუნებრივია, რომ იგი გაყოფილი სოფლის ერთ-ერთ ტკივილიან სიმბოლოდ იქცა. ტრაგიკული განცდა გულწრფელი ემოციით გამოიხატა ხასან ჰელიმიშის ლექსშიც („სინორიშ ღალი“), რომელიც სწორედ საზღვრად დადებულ პატარა მდინარეს ეძღვნება:

„სი სინორიში ჟინ ღალი ჩქა მუ რე, სი ჟურ ჯუმაშ არას ჩელამურე რე.

...ჟურ ჯუმიშ ოკონკუ მიქ დოგოგურუ?..“

(„შენ საზღვრის ზემოთ ღელე ხარ, შენ ორ ძმას შუა ცრემლი ხარ...“

...ორი ძმის გაყოფა ვინ გასწავლა?..“)

მიმართავს პოეტი საზღვრის ღელეს და მაშინვე საკუთარ ბედისწერაზე მიუთითებს:

„სითი ჩქიმისთერი გური ჭვერი რე დო გულურ ზოლაშა ჰაშო უგურე“.

(„შენც ჩემსავით გულდამწვარი ხარ ჩადიხარ (ჩადინები) ზღვაში ასე უგულოდ“...“

– პნკარედი – ლილე თანდილაგასი)

მარადიდთან პოეტური მეტყველების მხატვრულ-სახეობრივ სისტემაში უკვე ჭოროხი ჩნდება. როგორც აღვნიშნეთ, ამ მონაკვეთზე საზღვრის სტრუქტურა განსხვავებულია, მაგრამ სოფლები ზედა მარადიდი (თურქეთი) და კირნათი (საქართველო) გაღმა-გამოღმა რჩებიან, ერთმანეთის მოპირდაპირედ. ამ შემთხვევაშიც, მდინარე წარმოდგენილია, როგორც სიმბოლო, როგორც უტყვი მონმე მრავალი თაობის ტკივილისა საუკუნეების განმავლობაში:

„მოდის და ამბობს ჭოროხი

როგორ გაჩნდა და ინვალა,

მოაქვს შლამი და გოროხი

ესეც ხომ ჩვენი მიწაა“. (ფ. ხალვაში)

სასაზღვრო ურთიერთობის სპეციფიკური თემაა გაღმა-გამოღმა დარჩენილი მოსახლეობის კომუნიკაციის შესაძლებლობა. საზღვრის დემარკაციის შემდეგ, გარკვეული პერიოდის განმავლობაში, სოფლებს არ ეკრძალებოდათ ურთიერთობა და ნებადართული იყო მიმოსვლა. მაგრამ თანდათან, მე-20 საუკუნის 30-იანი წლებიდან, მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირი და თურქეთი მტრულ სახელმწიფოებად ჩამოყალიბდნენ, სასაზღვრო რეჟიმი გამკაცრდა და არათუ მიმოსვლა, არამედ გახედვაც კი სასტიკად იკრძალებოდა...

მაშინ ჯერ კიდევ ჭირდა იმის გაცნობიერება, რომ ძალიან დიდი ხნით შეწყდებოდა ყოველგვარი კავშირი, დაშორდებოდნენ ერთმანეთს ოჯახის წევრები, ნათესავები, ორ სახელმწიფოში მოქცეული სოფლების ორ ნაწილს შორის რკინის ფარდა დაეშვებოდა და მიმოსვლა კი არა, თითის გაშვე-რაც სახიფათო გახდებოდა... მრავალი წელი გაივლიდა, სანამ ნათესავების ახალი თაობა, საბჭოთა კავშირის დაშლის და მიმოსვლის განახლების შემდეგ, ხელახლა აღმოაჩენდა ერთმანეთს, თავიდან გაიცნობდა, დაკარგული წლებით შობილ გაუცხოების ხარისხს მისხალ-მისხალ აწონიდა.

იმ დროში კი, „გალმა გახედვა“ თუ „გამომღმა გამომხედვა“ ცოდვად ითვლებოდა ორივე სახელმწიფოში და ისჯებოდა კიდევ. მესაზღვრეები და უშიშროების სამსახურები მკაცრად აკონტროლებდნენ ვითარებას და ჩანასახშივე სპობდნენ კომუნიკაციის ყოველგვარ შესაძლებლობას. ამ რეალობას ხატოვნად წარმოადგენს იაშა თანდილავა:

„დაგიღებო თითი, თუ გაღმა  
გაიშვერ და ეს იხილა ხალხმა.  
მას შემდეგ ბევრი ვენახი გახმა,  
ვაიმ ვერ უშველა და ველარც ახმა“.

შენწყვეტილი კომუნიკაციის გამო ტკივილი გამოსჭვივის სიმონ ჩიქოვანის მარადიდთან დაკავშირებულ პოეტურ სტრიქონებშიც (1950 წ.):

„მინდა დარდი აგარიდო  
მღერით გავჭრა ღამე გიშრის,  
გალმა მდგარო მარადიდო,  
ჩემკენ მზერას ვინ დაგიშლის...“

გაყოფილი სოფლის ზემოხსენებული პრობლემის გამოძახილი საგრძნობია თურქეთის სარფში მცხოვრები პოეტის შერეფეთთინ ოზმაჰინის პოეზიაშიც. იგი შთაბეჭდილების გაძლიერებას სუბიექტური ლირიკული განცდების წარმოჩენითაც ცდილობს:

„ახლა მარტო ვარ; მარტო ცხოვრება ძნელია,  
დარდით და წუხილით სავსე...  
შერეფ, ნულარ იყურები ფანჯრიდან,  
დარდს ნულარ იმატებ!  
არ იდარდო, დახურე ფანჯარა და კარი...“

*(ლილე თანდილავას თარგმანი თურქულიდან)*

ფანჯარა, ყოველგვარი ინტერპრეტაციების გარეშე, არის ერთი ტრაგიკული თემა, განსაკუთრებით სარფული ყოფისთვის: ფანჯრიდან სოფლის მეორე ნაწილი ჩანს, ფანჯრების დაგმანვა („ნუ იყურები ფანჯრიდან“) ორივე ქვეყნის სასაზღვრო რეჟიმის მეტისმეტად მკაფიოდ გამოკვეთილი ტენდენცია იყო. მით უმეტეს, რომ იქვე თითქოს კიდევ ერთი მკრთალი მიწისმწებაც გამოიკვეთება:

მოსალამოვდა და სინყნარე დარდს ჩამოყრის იმამის ადგილებში,  
მყუდროებას ჩქამიც არ არღვევს, მხოლოდ ღელის ხმა მოდის სახლამდე...“

ისლა დაგვრჩენია, დავამატოთ, რომ ეს სწორედ ის ღელეა, საზღვრად რომ ჩამოდის და ორ სახელმწიფოდ ჰყოფს პატარა სოფელს.

მატერიალიზებული შედეგი ხსენებული ვითარებისა კი ის იყო, რომ ბოლოს და ბოლოს ერთ-ერთმა სარფელმა, რომელიც საზღვართან ახლოს ცხოვრობდა, გაღმა სარფის მხარეს არსებული ფანჯრები საერთოდ ამოქოლა თურმე... ამ ქმედებაზე საუბრისას მაინცდამაინც შიშის ფაქტორზე კი არ უნდა გავამახვილოთ ყურადღება, არამედ, მკაცრი სასაზღვრო რეჟიმის პირობებში, მუდმივად თანამდევნი და მომაბეზრებელი ეჭვისგან თავის დაღწევის მცდელობაზე.

ეს თემა მითუმეტეს აქტუალურად უნდა მივიჩნიოთ, თუ გავითვალისწინებთ, რომ, გაღმა თუ გამომღმა სარფს ერთი მხრივ და ზედა მარადიდსა და კირნათს შორის, მეორე მხრივ, გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ადგილი ჰქონდა მკაცრი სასაზღვრო რეჟიმებისთვის დამახასიათებელი კომუნიკაციის სპეციფიკურ სახეს, ე.წ. სიმღერით გადაძახილს. მაგალითად, თუ ვინმე გარდაიცვლებოდა, ან დაიბადებოდა, თანაც საზღვრის ახლო-მახლო უბნებში, ხმამაღალი მოთქმატირილით აგებინებდნენ გარდაცვლილის ვინაობას. საზღვრისგან მოშორებით ასეთი კომუნიკაცია მოუხე-

რხებელი იყო, მაგრამ ისევ სარფელები გადასცახებდნენ ხოლმე ერთი სახლიდან მეორეში და ეს გადაცახილი გაღმაც ესმოდათ.

ფოლკლორმა ე.წ. სასაზღვრო ურთიერთობის არაერთი შემთხვევა შემოინახა. ერთი ნარატივი, მაგალითად, მე-20 საუკუნის 50-იანი წლების მიწურულს ეხება. ა. ჯევაიშის (საქართველოს სარფი) დედის ახლო ნათესავი ქალი თურქეთის სარფში იყო გათხოვილი, დიდხანს არ ჰყავდა შვილი და ამის გამო გამოღმელი ნათესავებიც წუხდნენ. როცა ბიჭი შეეძინა, სიმღერით მიაწვდინეს ხმა საზღვარს მიღმელ ახლობლებს:

„ანდლა ესმეს ნოდია, ემუში ყონ ფხაჭკუფთა, ემუს ბიჭი აყუა, ვიტოვრო წანას კულეა“.

(„დღეს ესმესთან ნადია, მის ყანას ვთოხნით, იმას ბიჭი შეეძინა თვრამეტი წლის შემდეგ“.

– *ქნკარედი ლილე თანდილავასი*)

დაგმანული საზღვრების პირობებში მსგავსი ისტორიები ლამის საზღაპრო სიუჟეტებად აღიქმებოდა. ამ „ზღაპრებმა“ საოცრად რეალისტური სახე შეიძინა საზღვრის გახსნის შემდეგ: 50-იანი წლების ბოლოს დაბადებული ის ნატრული ვაჟი მე-20 საუკუნის მიწურულიდან საკმაოდ ხშირად სტუმრობს თავის ნათესავებს საქართველოს სარფში და თავის ოჯახშიც ღებულობს ხოლმე აქაურებს.

მე-20 საუკუნის 50-60-იან წლებში არაერთი შემთხვევა დასტურდება კომუნიკაციის ხალხური ფორმებისა. მკვლევარი ზურაბ თანდილავა თავის „ლაზურ ხალხურ პოეზიაში“ როგორც თვითმხილველი, აღწერს, თუ როგორ გამოხატეს სამიძმარი გაღმასარფელებმა ნადურით.

კომუნიკაციის ეს ფორმა, სახელმწიფოთა შესაბამისი ორგანოების აქტიური ჩარევით, თანდათან შეიზღუდა და მერე სრულიად მოიშო. ეგ კი არა, სარფელები (ორივე ქვეყანაში) თუ კირნათ-მარადიდელები იმასაც ამბობდნენ, ხმამაღლა მოთქმა-ტირილი გვეკრძალებოდაო. სახელმწიფო სისტემამ სოფლები ნელ-ნელა დაუმორჩილა მკაცრ სასაზღვრო რეჟიმს.

ამ სპეციფიკური ვითარების გამოცახილია სწორედ დავით თედორაძის ლექსი („ტირილი იყო სარფში“), რომელშიც თვალსაჩინოა თანადგომა-თანაგრძნობის ან უკვე ამბად დარჩენილი მოტივი:

„ხანდახან საქმე არ წაუვა

კაცს ხოლმე ნაღმა,

ტირილი იყო გამოღმა და

ტიროდნენ გაღმაც“.

საზღვარს მიღმა „გადახედვისთვის“ შემოქმედებით ფანტაზიას ხშირად სიყვარულის მოტივიც კვებავს. ფრიდონ ხალვაშის ლექსში „ორი და ჭოროხგაღმელი“ გადმოცემულია კირნათში გაჩენილი სიყვარულის ემოცია. როგორც ვთქვით, კირნათს მდინარე ჭოროხი ჩამოუდის, გაღმა კი თურქეთია – ზედა მარადიდი. ახლო ურთიერთობის შესაძლებლობას მოკლებული ქალ-ვაჟისთვის შორით მზერაც საკმარისი აღმოჩნდა, რათა სიყვარულის გრძნობა გაჩენილიყო. ამ გრძნობამ კიდევ უფრო მკაფიოდ დაანახა მათ სასაზღვრო რეალობა:

„თითქოს რაღაცას ორივე ვმაღავდით

ყოველ მოხედვით მთხოვდა – „ამოდი“

მაგრამ ჩვენს შუა, როგორც ლალატი,

იდგა საზღვარი რკინის პალოთი“.

ამდენად, მდგომარეობის ტრაგიზმს ამჯერადაც ამძაფრებს ის, რომ გაღმა-გამოღმა გაჩენილი სიყვარულის ბედნიერი დასასრული შეუძლებელია. მართლაც, ერთხელაც ვაჟი გამოღმიდან იხილავს ქალის ქორწილს, მაგრამ მოკლებულია შესაძლებლობას, თავისი სიყვარულისთვის იბრძოლოს:

„ტკივილმა დიდხანს არ გამიარა,  
ხევში ეყარა მზე დამსხვრეული  
და მე მეგონა, მინა კი არა,  
გადაეკვეთათ ჩემი სხეული“.

სასაზღვრო ემოციის ნაწილია თურქეთში მცხოვრები ქართველის, მაჭახლელ მუჰაჯირთა შთამომავლის, ფარნა ჭილაშვილის (ფაჰრეთინ ჩილოღლუს) პატარა მოთხრობა „გადაღმა მცხოვრები გოგონა“. მოთხრობის მთავარი პერსონაჟის, ჯემალის, წინაპრები სახელმწიფო საზღვრის გავლენის შემდეგ თურქეთში აღმოჩნდნენ. ამიტომ გასაგებია საზღვართან დაკავშირებული ემოციაც: „ომის შემდეგ სოფლის შუაში გამდინარე ღელე საზღვრად გამოაცხადეს. ამ ახალი საზღვრის გამოისობით ძმა ძმას, დედა შვილს, დანიშნული დანიშნულს მოსწყდა. სოფლელებს ადრე არ სჯეროდათ, რომ ღელე საზღვრად იქცეოდა და მასზე აგებულ ხიდს დაანგრევდნენ მაგრამ ეს ღლეც დამდგარიყო და სამხედროებს ხიდი დაენგრიათ...“

ჯემალი ჯარისკაცია, მესაზღვრე. იგი თურქეთის საზღვარს იცავს, ოღონდ არა თავისი წინაპრების სოფელთან. გაღმა ამ მონაკვეთშიც საქართველოა, რომელიც საბჭოთა კავშირის ნაწილია. იქ პატარა დასახლება ჩანს. მესაზღვრის საგუშაგოდან ჯემალი ჭოგრიტით ზვერავს სოფელს და მისი მხედველობის არეში ხშირად ხდება ლამაზი გოგო, რომელსაც „გრძელი, თითქმის წელამდე ჩამოშვებული თმა ჰქონდა. კანი სიზმარში ნანახი ყვავილებით თეთრი ჰქონდა. თეთრკოპლებიანი მწვანე ტანსაცმელი ეცვა. თმა წითელში გადაუდიოდა. სახეს თხელი ჭორფლი უფარავდა“.

ერთ ღამეს ჯემალი მავთულხლართების ქვეშ გაძვრა და გოგონასთან მივიდა. ცხადია, იგი მაშინვე დააპატიმრეს საბჭოთა ჯარისკაცებმა, მაგრამ მისი სიტყვებიც, რომლის თქმაც (მამაპაპათა ენაზე, ანუ ქართულად) მოასწრო გოგოსთვის, სასაზღვრო ემოციის ნაწილია: „შენს გამო მოვედი. ცოტაც დედაჩემისთვის“.

კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ მსგავს თემატიკას მუდამ ახლავს ხოლმე ტკივილი – ერთი მხრივ კერძო – ოჯახის ან სოფლის ფარგლებში ჩატეული, მეორე მხრივ, ტკივილი საზოგადო, საქვეყნო. ხასან ჰელიმიშის ერთსტროფიანი ლექსის ამონაკვეთსი სწორედ ამ ტკივილს ეხმიანება და სასაზღვრო მოტივის მთელ სპეციფიკას გამოხატავს:

„სო მწკუფს დო სო მიზარ, სი ე ჰექიმი, ჰა ტანის ვა რენ ჩქვა გური ჩქიმი“...

(„სად მტკივა და სად მიბერავ, შენ ხარ ექიმი, ამ სხეულში არ არის სხვა გული ჩემი“...

– პნკარედი ლილე თანდილაგასი)

მხატვრულ ლიტერატურაში სასაზღვრო მოტივის სპეციფიკას განაპირობებს, უპირველეს ყოვლისა, ისტორიული რეალობა. სახელმწიფო საზღვრით გაყოფილი სოფლებისადმი მიძღვნილ ლიტერატურულ პროდუქციაში, მკაფიოდ გამოკვეთილ პატრიოტულ მოტივთან ერთად, ჩანს ტკივილი მსოფლიო პოლიტიკის ტალღებში მოყოლილი უბრალო ადამიანების ბედის გამო. ფიქრი და დარდი „გაღმა დარჩენილ ბიძებზე, ბიძაშვილებზე, მშობლების საფლავებზე და ძვლებზე“ (ნოდარ დუმბაძე)... ეს ყველაზე სუბიექტური განცდაა, სოფლების გაყოფის შემდეგ მუდმივად თანამდევნი, ყველა თაობაში თავისებურად, განსხვავებულად რომ გამოვლინდება ხოლმე – ეპოქის შესაბამისად და შესაფერად.





# პარინა ჩხიკვაძე

## დედაბუნებას ხლს ალაგებს

(სტივენ კინგის „ნისლი“)

„ახლა მთაში გაზაფხული ფაფხურობს, ხუნდებს ლენავს და ძველ ბოძებს ალხოზს“, ნერდა მართლაც სახალხო პოეტი ზურაბ გორგილაძე წლების წინათ. მან „გაზაფხულის ფაფხურით“ დაწყებულ ლექსში მნიშვნელოვანი პრობლემა დაანახა მშობლიური კუთხის მკვიდრთ. ჩემი წერილი არ ეხება ამ პრობლემას (მართლაც, მტკივნეულს), უბრალოდ, წლევანდელი გაზაფხულის შემხედვარეს უნებლიეთ ამომიტივტივდა ეს ფრაზა. სწორედ „ფაფხური“ თუ მიესადაგება ახლანდელ მარტს, აპრილის დასაწყისს, უღიმღამო, უსიხარულო დღეებს... ვიღას ახსოვს აფეთქებული ატმისა და ნუშის ხეები, ყვითლად გადაპენტილი მიმოზები, გაზაფხულის მახარობელ მგოსანთა საამო ჭიკჭიკი. მთა და ბარი, ქალაქი და სოფელი, ჩემი ქვეყანა და სრულიად სამყარო უთანასწორო ბრძოლაშია ჩაბმული უჩინარ მტერთან და ეს მტერია Covid 19.

მრავალი საიმედო ინფორმაციის გვერდით დამაფიქრებელი და სულისშემძვრელი სტატისტიკაცაა გარდაცვლილთა შესახებ. ვერაგია და უჩინარია მკვლელი, რომელიც არ სცნობს ადამიანთა ასაკს, სქესს, სარწმუნოებას, ეროვნებასა და რასას... და თანაც ვერ ხედავ, იქნებ გვერდითაა!

სტატისტიკა-ინფორმაციის პარალელურად მარტის პირველივე დღეებიდან სხვადასხვა ცნობა ვრცელდებოდა (განსაკუთრებით სოცქსელებში) ვირუსის წარმომავლობაზე. მავანთა აზრით, ეს იყო ერთ-ერთი ზესახელმწიფოს მიერ დაგებული მახე მეტოქე სახელმწიფოთა

დასასუსტებლად და მსოფლიო ჰეგემონიის მოსაპოვებლად; ან იქნებ, მსოფლიოს უჩინარი მმართველი ჯგუფის ერთ-ერთი მცდელობაა თავისი გეგმის განსახორციელებლად; უფლის განსაცდელია თუ ეშმაკის ფანდი? შეიძლება, მართლაც სწორია მოარული ხმები უჰანის ლაბორატორიიდან დასნეულებული ლამურას გამოფრენის შესახებ. ეს ლამურა ჭამა გველმა, გველი – ჩინელმა... და მსოფლიო განსაცდელიც დაიწყო.

სწორედ ამ ფაქტმა გამახსენა ცნობილი ამერიკელი მწერლის სტივენ კინგის მოზრდილი მოთხრობა „ნისლი“ და მსურს მის შესახებ მოგიტხროთ. ამ ნაწარმოებში მოსახლეობას არნახული განსაცდელი ატყდება თავს და ეს უბედურება მავთულხლართებით შემოსაზღვრული სამეცნიერო პროექტ „ეროუჰედის“ შტაბიდან მოდის.

მისტიკური თრილერის მოქმედების ადგილია ამერიკის ტბისპირა კურორტი, ლონგ-ლეიკის სანაპიროზე, მეინის შტატის დასავლეთით. მოქმედების ზუსტ დროს (წლებს) ავტორი არ ასახელებს. სავარაუდოდ, ეს არის XX საუკუნის 60-იანი წლები. დრო, როცა მობილური ტელეფონი ჯერ კიდევ გამოგონებული არ იყო და პერსონაჟები ერთმანეთს ტაქსაფონითა და სახლის ტელეფონით უკავშირდებოდნენ.

მოთხრობის მთავარი მოქმედი პირი მხატვარი დევიდ დრეიტონია, მხატვრის ოჯახიდან. იგი დასახელებულ ტბისპირა სოფელში ცხოვრობს მეუღლესა და შვილთან – ხუთი წლის ბილისთან ერთად.

ივლისის დღეებია, საშინელი სიცხეები დაიჭირა. აქაურებიც ბუნების ცვლილებებს ისევე შიშით უცქერიან, როგორც ყველგან: „სამი კვირის განმავლობაში ტემპერატურა 30 გრადუსს აჭარბებდა, ხოლო იმ ოცდაერთი დღიდან ექვს დღეს, პორტლენდის მეტეოროლოგიური ცენტრის ცნობით, სიცხემ 40 გრადუსამდე მიაღწია. უჩვეულო ამინდი იდგა. მკაცრი ზამთრისა და დაგვიანებული გაზაფხულის შემდეგ ასეთმა ცხელმა ზაფხულმა ხალხი კვლავ აალაპარაკა, კლიმატის ცვლილება ორმოცდაათიან წლებში ატომური ბომბების გამოცდის ბრალიაო. რასაკვირველია, ზოგი ქვეყნიერების აღსასრულსაც წინასწარმეტყველებდა“.

საშინელი სიცხით შეწუხებული დრეიტონების ოჯახი მოსალოდნელი ქარიშხლის შიშით ტოვებს პლაჟს და სახლში შედის. გრიგალი, ქარიშხალი, ტაიფონი, ტორნადო და სხვა ბუნებრივი კატაკლიზმები უცხო არაა ორი ოკეანის შუა მოქცეული სახელმწიფოს მცხოვრებთათვის. მაგრამ მშობლიური ტბის პეიზაჟებს შეჩვეული მხატვრის თვალი რაღაც უცნაურს ხედავდა ტბაზე: „ტბის გადაღმა მდგარი მარადმწვანე ხეები მტვრიანი და დაძაბუნებული ჩანდა. დასავლეთით საავდრო ღრუბლები წამოშლილიყო და თითქოს სალაშქროდ გროვდებოდა. იმ მხარეს ხანდახან იელვებდა ხოლმე. საავდრო ღრუბლები სახლებისკენ მოინევიდა და ლურჯ ცას თანდათან ფარავდა. დაიქუხა. ქუხილის ექო ტბას გადაევიდა და დაბრუნდა. ღრუბლები ერთმანეთს ერწყმოდა და ფორმებს იცვლიდა, ხან გაშავდებოდა, ხანაც იისფრად შეიფერებოდა და მერე ისევ გაშავდებოდა. ბოლოს, ღრუბლებმა ტბა მთლიანად დააბნელა და წვიმის წვეთები დაუშინა. მერე ტბაზე ვერცხლისფერი ფარდა დაეშვა და ქალაქ ჰარისონის ხედი რამდენიმე წამში გაქრა. ვერცხლისფერ ფარდას ტბის სამი მეოთხედი უკვე გადმოეღება. წყალს ტყვიისფერი ედო, ცა გაშავებულიყო და ქარბორბალა თავბრუდამხვევად ტრიალებდა. ტბა ოკეანესავით ბორგავდა, მისი ტალღები ნავმისადგომებსა და ჯებირებს ეხეთქებოდა“.

დევიდი მთელი ღამე მოუსვენრად იყო. ქარიშხალი საშიში იყო, მაგრამ უფრო საშიში

უცნაური შეფერილობის ნისლი ეჩვენებოდა, რომელიც მისგან არც ისე შორიდან, „ეროუჰედის“ შტაბის ტერიტორიიდან მოდიოდა. ეს იყო გარეშე თვალთათვის შეუღწეველი ადგილი, რომელიც სამხედროებს მავთულხლართით შემოელობათ. იქაურობა გუშაგებისა და ვიდეოკამერების მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ იყო.

არავინ იცოდა, რას ნიშნავდა „ეროუჰედი“, ანუ „ისრის წვერი“. ზოგის აზრით, იქ ატომურ კვლევებს ანარმოებდნენ, ვილაცები თვლიდნენ, რომ იგი სასოფლო-სამეურნეო პროექტი იყო – დიდი და უფრო სწრაფად დამნიფებული პამიდურები. მავანნი ფიქრობდნენ, რომ იქ გეოლოგიური კვლევები ტარდებოდა, რალაცნაირად თიხა-ფიქალის ნავთობთან დაკავშირებული.

ქარიშხალი ღამით მძვინვარებდა. დილიდანვე სოფლელები, მათ შორის დევიდი, სახლ-კარს ანესრიგებდნენ, როცა მან შეამჩნია ბალახებში მოშიშინე, ერთმანეთში გადახლართული გველების მსგავსი რალაც, რომელიც განყვეტილ და ჩამოვარდნილ ელოქტროსადენებად ჩათვალა. თუმცა ეჭვით უყურებდა ამ სადენებს შტეფი, დევიდის ცოლი...

„ერთი წვიმა და ნებისმიერი ქალი ციყვივით სურსათ-სანოვავის მომარაგებას იწყებს“ და შტეფის თხოვნით დევიდი შვილთან და უახლოეს მეზობელთან ერთად მახლობელი ქალაქის სუპერმარკეტისკენ მიემართება თავისი „სკაუტი“.

ნასვლის წინ კიდევ ერთხელ აოცებს ტბაზე ჩამონოლილი ნისლი: „ეს ნისლი უფრო და უფრო არ მომწონდა. მსგავსი არასდროს არაფერი მენახა. ყველაზე მეტად ის მაშფოთებდა, რომ ნისლის კიდე არაბუნებრივად სწორი, თან თვალისმომჭრელად თეთრი იყო“.

ქალაქისკენ მიმავალი გზები კი გაენმინდათ, მაგრამ ელექტრობოძებისა და სადენების დაზიანების გამო სავაჭრო ცენტრები დაკეტილი იყო. მხოლოდ ბრიჯტონის აფთიაქი და სუპერმარკეტი „ფედერალ ფუდსი“ მუშაობდა.

სწორედ ამ მარკეტში მიმდინარეობს მოთხრობაში აღწერილი დრამა, უძიმესი ყოფა ოთხმოცდაათამდე ადამიანისა, რომლებიც გარესამყაროსგან მოწყვეტილები აღმოჩნდნენ უზარმაზარი განსაცდელის წინაშე.

საფრთხე კი მაშინ შენიშნეს, როცა გარედან შემოჭრილმა ბიჭმა უცნაური ნისლის შესახებ ამბავი მოიტანა. ზოგი ვიტრინასთან მიიჭრა, ზოგი გარეთ გავარდა. ვისაც ფოტოაპარატი აღმოაჩნდა, უცნაური მოვლენის აღბეჭდვა მოისურვა.

ინტერესი პანიკაში მაშინ გადაიზარდა, როცა სუპერმარკეტში გასისხლიანებული კაცი შემოვარდა საზარელი ამბით: „ნისლში რაღაცაა, იმ რაღაცამ ჯონ ლი გაიტაცა. მისი ყვირილი მესმოდა!“

პანიკა გააძლიერა პოლიციის მანქანების სირენების ხმამ, სახანძრო განგაშმა. თუმცა გარეთ გასვლა არავის უფიქრია, რადგან ასფალტზე ნისლი იწვა და შენობები მთლად შთაენთქა სითეთრეში“.

განსაცდელის მიუხედავად რამდენიმე ნისლში მაინც შევარდა, რომ დროულად მიეხედათ შინ დარჩენილი ახლობლებისათვის. ნისლმა ყველანი შთაენთქა და გააქრო.

ამის შემხედვარე ადამიანები მარკეტში რჩებიან გაურკვეველი მომავლის, საშინელი აღსასრულის მოლოდინში. საფრთხის წინაშე პირველად დევიდი აღმოჩნდება.

რას წარმოადგენს საფრთხე? ალბათ, ყველას გვინახავს ჰოლივუდის არაერთ ფილმში უცნაური არსებები, გიგანტური კალმარები, ბუზები და ობობები. სწორედ ისინი გამახსენდა, როცა მწერალი აღწერს ნისლში მყოფ საშინელებებს. საინტერესოა, მწერლის გავლენაა ამ ფილმების ავტორებზე, თუ პირიქით; მწერალია დავალებული მათგან ამ უსაშინელესი მონსტრების მოფიქრება-აღწერისას.

საიდან გაჩნდნენ ისინი? პერსონაჟთა უმეტესობა ამას პროექტ „ეროუჰედს“ მიაწერს, თუმცა ზოგიერთი მათგანი თვლის, რომ „ეს დასასრულია, ყველაფრის დასასრული. ეს განკითხვის დღეა. ნისლი ღვთის სასჯელია. დედამინა გაიხსნა და სისაძაგლეები ამოანთხია“.

რა არის ჩემთვის, მკითხველისათვის, ამ ნაწარმოებში მნიშვნელოვანი? ესაა პერსონაჟთა ხასიათების გაცნობა, მათში წვდომა. ვინ როგორ აფასებს საერთო საფრთხეს? სჯერათ თუ არა საშიშროების, გაითავისეს და გაიაზრეს თუ არა,

რაც ელოდებოდა? რას აკეთებენ იმისთვის, რომ გადარჩნენ? ერთსულოვნები არიან, თუ – დაქსაქსულები? სწორედ ამას გვიჩვენებს მწერალი დეტალურად, როცა აღწერს იმ ორმოცდარვა საათს, რომელიც გარე სამყაროსგან მოწყვეტილმა ადამიანებმა, საერთო მტრის წინააღმდეგ პირისპირ მყოფებმა, გაატარეს „ფედერალ ფუდსში“.

სწორედ ესაა, ჩემი აზრით, ნაწარმოების ერთ-ერთი ღირსება. მწერალი წარმოგვიდგენს ფართო სპექტრს პერსონაჟებისა განსხვავებული ფსიქიკით, აზროვნებით, განათლებით, სოციალური მდგომარეობით, გადანყვეტილების მიღების უნარითა და სხვა.

ამ ეპიზოდიდან წიგნის ფინალამდე მისტიკური თრილერის მოყვარული მკითხველი ბევრი დაძაბული მომენტის მოწმე იქნება; როგორ მოახერხებს დევიდი შვილთან და რამდენიმე თანამოაზრესთან ერთად სამშვიდობოზე გასვლას და იქნება კი ის მოშორებული ადგილი მშვიდობიანი? როგორც თავად ავტორი შენიშნავს: „უნდა გაგაფრთხილოთ, კეთილ დასასრულს ნუ დაელოდებით, ანუ „ჰიჩკოკისეული დასასრული“ არ იქნება“.

ოთხი დღის განცდილისა და უმძიმესი თავგადასავლის შემდეგ დევიდი თანამგზავრებთან ერთად საშინელი ურჩხულებისაგან გაპარტახებული რომელიღაც ქალაქის უკაცრიელ სასტუმროში აღმოჩნდება. მან არაფერი იცის: სიცოცხლე სადმე გადარჩა, თუ ის და მისი თანამგზავრები არიან ისინი, რომლებმაც აპოკალიფსს გაუძლეს. სასტუმროს რადიომიმღები სხვადასხვა სიხშირეზე მომართა, მაგრამ არსაიდან არანაირი სიტყვა, მხოლოდ დუმილი ან შიშინი... ბოლოს AM სიხშირის ბოლო სადგურიდან მოესმა ან მოეჩვენა, რომ ერთი სიტყვა გაიგონა და ეს სიტყვა აღმოჩნდა იმედი, ცხოვრების გაგრძელების იმედი...

ასეთ სიტუაციაში ასრულებს ავტორი ნაწარმოებს. ვფიქრობ, რომ მან ათწლეულების წინათ გაგვაფრთხილა: დედამინა არ გვაპატიებს დაუსრულებელი ექსპერიმენტებით მისი ერთიანობის ხელყოფას და ოდესმე მკაცრად გვაზღვევინებს ამისთვის.



### შამილი – კავკასიის გმირი

იმამი შამილი ჩრდილო კავკასიის ხალხთა მეთაური, პოლიტიკური და რელიგიური მოღვაწე, იმამად აღიარებული, დაღესტანის, ჩეჩნეთის, ჩერქეზეთის ხალხთა გამაერთიანებელი, ახალი ტიპის დემოკრატიული სახელმწიფო იმამატის დამაარსებელი. იგი შეუპოვარ წინააღმდეგობას უწევდა რუს დამპყრობლებს მეოთხედ საუკუნეზე მეტი ხნის მანძილზე. შეიარაღებისა და ცოცხალი ძალის ასტრონომიულმა რიცხოზრევმა უპირატესობამ თავისი გაიტანა, რუსებმა თანდათან შეავინროვეს შამილი. ბოლოს იგი ალყაშემორტყმული აღმოჩნდა სოფელ ლუნიბში და უიმედო წინააღმდეგობის გათვალისწინებით ბრძნული გადანყვეტილება მიიღო, ღირსეულ პირობებზე დანებდა.

შამილის დატყვევების შემდეგ ევროპელი დიპლომატები – „შემფოთდნენ“ – ახლა რუსეთს გზა ხსნილი აქვს აზიისაკენ, რაც სიმართლე აღმოჩნდა (სტალინი ამბობდა: „ვინც კავკასიას ფლობს – ის ფლობს აზიას, ხოლო ვინც ფლობს აზიას – მართავს მთელ მსოფლიოს“!).

შამილი შემორჩა ისტორიას, როგორც თავისუფლების, დამოუკიდებლობისათვის ბრძენი და მამაცი მებრძოლი, დაუმორჩილებელი გმირი, მკაცრი, მაგრამ სამართლიანი მმართველი. მო-



კლე დროში მან შექმნა ახალი ტიპის სამხედრო-რელიგიური, თეოკრატიული სახელმწიფო იმამატი, რომელსაც ერთპიროვნულად თვითონ მართავდა მტკიცე ხელით. უმაღლესი სასულიერო პირი იყო მუფთი, ხოლო სასამართლო ხელისუფლებას ყადი ხელმძღვანელობდა, მთის ხალხების კანონის (ადათის) ნაცვლად ახალ სახელმწიფოში უპირატესობა შარიათის კანონებს მიენიჭა (ყურანის მიხედვით).

იმამატის სახელმწიფოს ყავდა ჯარი, რომელიც არასოდეს ყოფილა 30000 ჯარისკაცზე უფრო მრავალრიცხოვანი. არმია მრავალეროვანი იყო, მასში ნებაყოფილობით იყვნენ გაერთიანებული მოხალისეები, ყოფილი ტყვეები, ეროვნებით რუსები, პოლონელები, უკრაინელები, აზეიბარჯანელები, ქართველები, სომხები.

არმიას ჰქონდა არტილერია, ქვემეხები, ნადავლის სახით მოპოვებული – 50 ადგილზე ჩამოუსხამთ, მაგრამ მათგან მხოლოდ მეოთხედი აღმოჩნდა გამოსადეგი. ადგილზე ამზადებდნენ აგრეთვე დენტსა და სხვა საბრძოლო მასალებს.

სახელმწიფო დაყოფილი იყო ოლქებად, რომლებსაც ნაიბები მართავდნენ, ნაიბები იმამს ემორჩილებოდნენ.

მთიელ ხალხთა ბრძოლა რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ იყო უპრეცედენტოდ სასტიკი, თავგანწირული, ვაჟკაცური. აი რას წერს თავის რაპორტში რუსეთის არმიის გენერალი გრაბე სოფელ ახულგოს შტურმით ალების შემდეგ: „ბრძოლა იყო საშინელი, მთიელი ქალები მასში ქმედით მონაწილეობას იღებდნენ იარაღით ხელში. ბავშვები ქვებს ესროდნენ მოიერიშე რუს ჯარისკაცებს. მთელი ოჯახები ეკვეთებოდნენ მონინააღმდეგეს, ხშირად ჯგუფურად და ცოცხლად იმარხებოდნენ ნაქცეული შენობების ნანგრევებში, მაგრამ არ ნებდებოდნენ. ფიქრიც არ იყო შეწყალებაზე, 1500-მდე კაცმა გადაწყვიტა სიკვდილი შეთავაზებული კაპიტულაციის საპასუხოდ, ისინი ისროდნენ და ხანჯლებს გულში ირტყამდნენ“.

ახულგოს ბრძოლიდან მძიმედ დაჭრილმა შამილმა ალყიდან გამოაღწია 20-მდე მეზობლის თანხლებით. დაიღუპა შამილის ცოლი ჯავარაგი და შვილი – ძუძუთა ბავშვი საიდი, დამ თავი მოიკლა – გადახტა ხრამში (უფსკრულში). უფროსი ვაჟი ჯამალ უდდინი შამილმა ზავის სანაცვლოდ გენერალ გრაბეს მძევლად გადასცა. ვარაუდობენ, რომ ამ ბრძოლაში რუსეთის არმიამ 30 000 ჯარისკაცი დაკარგა. მსხვერპლი იყო მიურიდების მხრიდანაც, 300 მეზობლის სახელოვანი, შესაშური სიკვდილი ეწვია.

შამილი დაიბადა 1797 (ან 1799) წელს. ჩრდილოეთ კავკასიის მთიანეთში, სოფელ გიმრში. ახალშობილს ბაბუას სახელი – ალი დაარქვეს. ბავშვის მამა დენგავ მუჰამმადი საკმაოდ ცნობილი გვარის წარმომადგენელი და სახელგანთქმული მჭედელი ყოფილა (ამ პროფესიას მთიელები განსაკუთრებით აფასებდნენ). დედა აგრეთვე დაღესტანში ცნობილი გვარიდან ყოფილა.

პატარა ალი სუსტი და ავადმყოფი ბავშვი გამოდგა. მთის ტრადიციის მიხედვით მოზარდს ჯანმრთელობის გაუმჯობესების მიზნით სახელი შეუცვალეს და შამილი დაარქვეს. შამილის შესახებ უამრავი ლეგენდაა შემორჩენილი. ერთ-ერთი ლეგენდის მიხედვით, სახლთან სად-

აც შამილი იზრდებოდა გველი გამოჩნდა, რომელიც სოფლის თავზე მონავარდე არწივს დაუნახავს. ქვასავით დაშვებულა მინაზე, გველი აუტაცნია და მოუკლავს.

პატარა შამილი სახელის გამოცვლის შემდეგ, თანდათან გამოჯანმრთელებულა, იმდენად, რომ ფიზიკური ძალით და სიჩაუქით ბევრად ჯობდა თანატოლებს. ნებისმიერ საქმეს მათზე უკეთესად აკეთებდა. გამოცდილ მეომრებსაც ჯაბნიდა ტყვიის სროლაში, ცივი იარაღის ხმარებაში, ფარიკაობაში, ცხენოსნობაში. ამასთან გამოეკვეთა შეუვალი ლიდერის ხასიათი, მახვილი ჭკუა-გონება, ნებისყოფის სიმტკიცე, სხვა აღმატებული კაცური თვისებები, რის შესახებაც აღფრთოვანებით იგონებს ყველა, მოყვარე და მტერიც კი. ვინც თუნდაც ერთხელ შეხვედრია შამილს.

შამილი ბუნებრივი ნიჭით უხვად დაჯილდოებული ყოფილა. უყვარდა წიგნების კითხვა, სწავლა, 10 წლის ასაკში ზეპირად იცოდა ყურანი, თაყვანს სცემდა მის სიბრძნეს და მთელი სიცოცხლე არ განშორებია – ცალ ხელში იარაღი ეჭირა, მეორეში ყურანი. მის ხასიათში უმთავრესი ცოდნის შეძენის წყურვილი და სულიერი სრულყოფისაკენ სწრაფვა იყო.

შამილის პირველი მასწავლებლები იყვნენ, მისი წინამორბედი იმამები – ყაზი მუჰამადი და გამზათ-ბეგი. იგი გაიტაცა ყაზი მულას მოძღვრებამ – „ჰაზავათმა“ (წმინდა საღვთო ომი) რუსეთის დაპყრობითი პოლიტიკის წინააღმდეგ, ბევრი რამ ისწავლა მათგან, ორივე იმამის მიმდევარი და თავგამოდებული მომხრე გახდა. იზიარებდა აგრეთვე მუსლიმანური სწავლების – მიურიდიზმის იდეებს (მიურიდი ნიშნავს გადარჩენის გზის მძებნელს და არ განსხვავდება კლასიკური ისლამისაგან).

ბიოგრაფები ერთხმად ხაზს უსვამენ შამილის დიდ ორგანიზატორულ ნიჭს, სამხედრო ტალანტს, მოთმინებას, მყარ და უდრეკ ნებისყოფას, ხალხის ენერჯის მართვის უნარს.

12 წლის ასაკიდან შამილი სერიოზულად მოკიდებია სწავლას. დამრიგებლის – შეიხ ჯამა-

ლედდინ ყაზიკუმურსკის ხელმძღვანელობით, 20 წლის ასაკში დაუმთავრებია გრამატიკის, ლოგიკის, რიტორიკის, არაბული ენის კურსები და დაუწყია უმაღლესი ფილოსოფიისა და სამართალმცოდნეობის შესწავლა. გადმოცემით შამილს ჩვეულებად ჰქონდა აულებში ბრძენი კაცების მოძებნა და საათობით მათთან საუბარი.

მის მიერ გაერთიანებულ სახელმწიფოს დედაქალაქ სოფელ ვედონაში შამილს 4 სალოცავი აუშენებია: მეჩეთი, მართლმადიდებლური ეკლესია, კათოლიკური ტაძარი და სინაგოგა. შეკითხვაზე, რატომ ააგო მუსლიმანმა კაცმა სხვა რელიგიის სალოცავები შამილი პასუხობდა: „ჩემთან ხშირად მოდიან სხვადასხვა აღმსარებლობის ადამიანები – დიპლომატები, ელჩები, ლტოლვილები, ავაზაკები, ქურდები, ადამიანი არც ერთი დღე არ უნდა დარჩეს სალოცავის გარეშე“. ამას ამბობდა უმნიშვნელო ორთოდოქსი მუსლიმანი და გაუგებარია ზოგიერთი ჩვენებური მუსლიმანის ქმედება, თავის სოფელში ქრისტიანული ეკლესიის აშენებას რომ ეწინააღმდეგება. საკითხავია ვინაა შამილზე უფრო ღრმად მორწმუნე, ჭეშმარიტი მუსლიმანი?

შამილი თავის მასწავლებლებს ახლდა ყველა ბრძოლაში. 1832 წელს შამილის მშობლიურ სოფელ გიმრისთან ბარონ როზენის მეთაურობით რუსეთის ჯართან შეტაკების დროს ყაზი-მულა დაიღუპა, ხოლო მძიმედ დაჭრილმა შამილმა მოახერხა ალყის გარღვევა, გადარჩა და დაღუპული იმამის ნეშტიც გამოიტანა. მთიელთა წინამძღოლი იმამი გახდა გამზათ-ბეგი, ხოლო შამილი, რომელიც ყველა ბრძოლაში მათთან ერთად იბრძოდა, იყო მათი მთავარი დამხმარე, აგროვებდა ჯარს, მატერიალურ საშუალებებს, მეთაურობდა რუსი ოკუპანტების სანინააღმდეგო ექსპედიციებს. მალე რუსეთის ჯართან ბრძოლაში დაიღუპა იმამი გამზათ-ბეგიც. იმამად დაინიშნა შამილი (1834 წ.).

ჩეჩენ ხალხთა ყრილობაზე 1840 წლის 8 მარტს შამილი უკვე ლეგიტიმურად იქნა არჩეული გაერთიანებული სახელმწიფოს იმამად. შამილი 25 წლის მანძილზე მეთაურობდა გაერთიანე-

ბულ დაღესტანსა და ჩეჩნეთს, წარმატებით იგერიებდა რუს დამპყრობელთა უზარმაზარ ძალებს. იგი დაჯილდოებული იყო სამხედრო ტალანტით, დიდი ორგანიზატორული ნიჭით, მოთმინებით, მონინააღმდეგეზე დარტყმის დროის შერჩევით, გამოირჩეოდა მყარი და უდრეკი ნებისყოფით, მთიელთა თავგანწირული ალტკინების მართვის უნარით. 1840-იან წლებში შამილმა რუსეთის ჯარებთან ბრძოლებში რამდენიმე დიდი გამარჯვება მოიპოვა.

მე-19 საუკუნის 50-იანი წლებიდან ყირიმის ომის წინ, დიდი ბრიტანეთის და თურქეთის მხარდაჭერის იმედით შამილმა გააქტიურა ბრძოლები რუსეთის არმიასთან, მაგრამ მარცხი განიცადა.

რუსეთმა თურქეთთან გამარჯვებით დაამთავრა ყირიმის ომი, გამოთავისუფლებული სამხედრო შენაერთებით გააძლიერა ფრონტი – კავკასიის კორპუსი გარდაიქმნა არმიად 200000 ჯარისკაცით, რომელსაც უნარიანი გენერლები მეთაურობდნენ.

1859 წელს დაეცა შამილის რეზიდენცია – ვედენო. შამილმა 400 ფანატიკოსი მიურიდის თანხლებით სოფელ გუნიბს შეაფარა თავი. რუსეთთან ომი კიდევ დიდხანს გაგრძელდა. 1859 წლის 26 აგვისტოს სოფელ გუნიბში 400 მიურიდთან ერთად რუსეთის ჯარებით ალყაშემორტყმული შამილი მონინააღმდეგეს ტყვედ დანებდა საპატიო, ღირსეული პირობებით, კერძოდ გენერალ ბარიატინსკისთვის მიუმართავს: „მე წავალ პეტერბურგში არა, როგორც ტყვე, არამედ, როგორც მართლმორწმუნეთა მხედართმთავარი, მათთვის მე ყოველთვის იმამი ვიქნები.“

ეს არის ალლაჰის ნება და არა ჩემი, ბრძოლა უზენაესის კარნახით შევაჩერე... მშვიდობიანი ჰაზავათი თოფით და ტყვიით მოპოვებულზე გაცილებით უკეთესია!“

აღსანიშნავია, რომ ყველა, ვინც შეხვედრია ან ურთიერთობა ჰქონდა შამილთან, ერთხმად აღიარებს მის პიროვნულ ღირსებებს, სიმამაცეს, ჭკუა-გონებას, ხასიათის სიმტკიცეს, სამართლიანობას. დიდ პატივს სცემდნენ მის წინა-

აღმდეგ მებრძოლი გენერლები, თვით რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე II, რომელმაც დიდი პატივით მიიღო და არ აკადრა იარაღის აყრა. თავის მხრივ, როცა იმპერატორს რევოლუციონერებმა ესროლეს გულწრფელად დაგმო ეს ქმედება და თანაგრძნობა გამოუცხადა მეფეს.

შვილებთან ერთად ფიცი დადო რუსეთის ერთგულებაზე. შამილს მიენიჭა მემკვიდრეობითი აზნაურის წოდება. რუსეთთან ჩაბარებით შამილი გახდა თავისი ხალხის მძევალი. ეს იყო ბრძნული გადაწყვეტილება – ხანგრძლივი ომის შედეგად მოსახლეობა უკიდურესად გაღარიბდა, მამაკაცთა რაოდენობა მკვეთრად შემცირდა. ასეთ პირობებში სხვა გამოსავალი არ იყო, ამასთან, ზავის პირობები შამილის მიერ მიწოდებული სქემით იყო შედგენილი, სადაც პირველ პუნქტად ჩანერილი იყო მთის მოსახლეობისადმი გულისხმიერი მოპყრობა. გათვალისწინებული იყო აგრეთვე შამილის და მისი ოჯახის წევრების ღირსების შენახვა. იგი გახდა რუსეთის საპატიო ტყვე, იმამის მომხრეებს მიენიჭათ თავისუფლება. იგი დიდძალმა ხალხმა გადაცილა დიდი პატივით, გზაზე ხალიჩები დაუგეს, ჩოხის კალთებს უკოცნიდნენ.

მოსკოვისაკენ მიმავალ გზაზე მას ხალხი მოწინებით და პატივისცემით ხვდებოდა, როგორც გმირს. ამბობენ უკვირდნენ შამილს რამოდენა ტერიტორია, მოსავლიანი მიწები ჰქონია რუსეთს და ჩემი მთიანი კავკასია რაში სჭირდებოდაო. ხარკოვის ახლოს ჩუგოვევაში იგი შეხვდა იმპერატორ ალექსანდრე II-ს. იმპერატორმა უთხრა: მოხარული ვარ რუსეთში ჩვენი შეხვედრისა, დასანანი რომ ეს უფრო ადრე არ მოხდა. შენ არ მოინანიებ, ჩვენ მეგობრები გავხდებითო. შამილი მოიხიბლა მოსკოვით. ილოცა მეჩეთში. მოსკოვში იგი შეხვდა გენერალ ერმოლოვს, რომელიც რუსეთის ჯარის მთავარსარდალი იყო და უსაყვედურა: შენ დაინყე ომი კავკასიის მთის ხალხთან, როცა ჩვენი ხალხები შეიძლებოდა მეგობრები ყოფილიყვნენო. შამილმა მოინახულა გიმნაზია, სადაც სწავლობდა მისი შვილი ჯამალედდინი, რომელიც მამამ 10

წლისა მძევლად მისცა რუსეთს ომის შეწყვეტის იმედით, ახულგოს ბრძოლის შემდეგ. მაგრამ რუსეთი შამილთან ყველა შეთანხმებას, ზავის პირობებს არღვევდა, ამიტომ ომი კიდევ 20 წლით გაგრძელდა.

მძევლად გადაცემული შვილის ჯამალედდინის დასაბრუნებლად შამილი ცდილობდა გაეცვალა ქართველი ტყვეები – ალექსანდრე ჭავჭავაძის და გრიგოლ ორბელიანის ოჯახის წევრები. დიდი ხნის მცდელობის შემდეგ გაცვლა მაინც მოხდა. ამასობაში ჯამალედდინმა რუსეთში კარგი განათლება მიიღო, გახდა ოფიცერი, კარგად ეპყრობოდნენ და მიეჩვია ურბანული ცხოვრების სიკეთეს. სამშობლოში დაბრუნებულმა ველარ აიტანა მთაში ცხოვრების მკაცრი პირობები, ტუბერკულოზით დაავადდა და 3 წლის შემდეგ გარდაიცვალა.

იმპერატორმა შამილი პეტერბურგში მიიპატიჟა და დიდი პატივით მიიღო, იარაღასხმული – მთიელისათვის იარაღის აყრა დიდი შეურაცხყოფა იქნებოდა.

შამილს დაათვალიერებინეს პეტერბურგი, ჰყავდათ თეატრში. მოგვიტხოვრებენ ასეთ ეპიზოდს: სალამოს ადრე დაძინებას შეჩვეულ შამილს სპექტაკლის მსვლელობისას ძილი მოერია და დაამთქნარა, წინა რიგში მჯდომი ბატონი მობრუნდა და თარჯიმანს ეუბნება: „ამ ველურს უთხარით არ შემჭამოსო“. შამილს უპასუხებია; „ბატონს გადაეცით, არ შეშინდეს, მე მუსლიმანი ვარ და ღორის ხორცს არ მივირთმევ“-ო. ბალეტის ნახვის შემდეგ თავისი შთაბეჭდილება ასე გამოუხატავს; „წინასწარმეტყველი მუჰამმედი გვპირდებოდა მსგავსი სანახაობა ერგენებინა სამოთხეში, მადლიერი ვარ მასპინძლებისა, სიცოცხლეში რომ მანახეთ ეს საოცრებაო“.

საჩუქრებით დატვირთული შამილი პეტერბურგიდან კალუგაში გაგზავნეს, მუდმივ საცხოვრებლად ოჯახის სრული შემადგენლობით, დაუნიშნეს სახელმწიფოს ხარჯზე სოლიდური პენსია.

კალუგაში გულთბილად მიიღეს საპატიო სტუმარი. ოკრუგის თავადაზნაურთა წინამძღ-

ოლი ფიოდორ შუკინი დახვდა მას ქალაქის შესასვლელთან და მიმართა: „ოოო, აღმატებულო და სრულყოფილო იმამო! გილოცავთ თქვენ და თქვენს ოჯახს მშვიდობით ჩამობრძანებას, ყველა სიკეთეს გისურვებთ უზენაესისა და ადამიანებისაგან! ჩვენ გვთლით თქვენ გმირად, გვიხარია თქვენი აქ მოსვლა იმიტომ, რომ საშუალება გაქვთ გაგვიცნოთ და შეგვიყვაროთ, მიუხედავად იმისა, რომ ცოტა ხნის წინ ჩვენში ხედავდით მტერს!“

შამილს დიდი პატივით ეგებებოდა უბრალო ხალხიც, როცა იგი ფანჯარასთან მივიდოდა, ხალხი ტაშით და ვაშას ძახილით გამოხატავდა სიმპათიას მის მიმართ. კავკასიის ომის მონაწილე ვეტერანები, რომლებიც ტყვედ იყვნენ შამილთან, ტანსაცმლის კალთებს უკოცნიდნენ და თაყვანისცემას გამოხატავდნენ. აღნიშნავდნენ სამხედრო ტყვეებისადმი მის ადამიანურ, გულმონყალე დამოკიდებულებას.

კალუგის ნესტიანმა კლიმატმა უარყოფითად იმოქმედა შამილის ჯანმრთელობაზე, მან თხოვნით მიმართა იმპერატორს, რომელმაც დააკმაყოფილა მისი თხოვნა და ამჯერად კიევი მიუჩინა საცხოვრებლად.

შამილს, როგორც ჭეშმარიტ მუსლიმანს დიდი სურვილი ქონდა მოელოცა წმინდა მუჰამედის საფლავი მექაში. განმეორებითი თხოვნის შემდეგ რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე II-მ დააკმაყოფილა მისი თხოვნა. 1869 წელს მიიღო მექაში მოსალოცად გამგზავრების ნებართვა. ოჯახთან ერთად ჯერ ჩავიდნენ სტამბოლში, შემდეგ გემით იმგზავრეს სუეცის არხით, ნოემბერში უკვე იყვნენ მექაში, აქედან შამილმა მოისურვა მუსლიმანთა მეორე წმინდა ქალაქის – მედინას მონახულება. 1870 წელს იგი ოჯახთან ერთად ჩავიდა მედინაში, სადაც რამდენიმე დღის შემდეგ გარდაიცვალა. შამილი დიდი პატივით დაასაფლავეს მედინაში, ალ-ბაქის სასაფლაოზე.

ბიზლის, ქართლის ცხოვრების და სხვა წყაროების მიხედვით კავკასიის ხალხები გენეტიკურად ახლო ნათესავეები არიან. ნოეს შვილის

– იაფეტის შვილიშვილები ან შვილთაშვილები, თარგამოსის ძენი: ჰაოსი, ქართლოსი, ჰეროსი, ეგროსი, ბარდოსი, მოვაკანი, ლეკოსი და კავკაზოსი, სულ 8 ძმა კავკასიის ხალხთა წინაპრებად (ეთნარქებად) მოიაზრებიან. მათგან ქართველები – ქართლოსის, ეგროსის და ჰეროსისაგან გამრავლებულან, სომხები – ჰაოსისაგან, ალბანელები – ბარდოსისა და მოვაკანოსისაგან, ჩრდილოკავკასიელები – ლეკანოსისა და კავკაზოსისაგან.

კავკასიის ხალხებს ბევრი საერთო აქვთ – ტრადიციები, ადათ-წესები, ეთნოგრაფიისა და ერთმანეთთან კულტურის ელემენტები, ანთროპოლოგიური და გენეტიკური ნიშნები. პატრიოტი ბრძენკაცები სხვადასხვა ეპოქაში კავკასიელ ხალხთა გაერთიანებაზე, ერთიან კავკასიურ სახლზე ოცნებობდნენ. ამ გაერთიანების ერთი ნიმუში იყო ჩრდილოკავკასიური სახელმწიფო იმამატი, რომელიც ნახევარი საუკუნე ებრძოდა დიდ ვეშაპს – რუსეთს, დამოუკიდებლობისათვის, თავისუფლებისათვის, ღირსებისათვის.

ჩრდილოკავკასიელ შამილის და საქართველოს ურთიერთობა ისტორიულად წინააღმდეგობრივი და რთულია. ერთის მხრივ შამილი რუსეთის იმპერიასთან ხანგრძლივი წინააღმდეგობით სამართლიანი და ვაჟკაცური ბრძოლით მისაბაძი მაგალითი იყო სხვა ხალხებისათვის. ამიტომაც მოსახლეობის ფართო ფენები უდიდეს პატივს მიაგებდნენ მას, როგორც ჩაგრული ხალხის გამათავისუფლებელ გმირს. ვაჟკაცობის, სიბრძნის, პატრიოტული შემართებისათვის მას პატივს სცემდა მტერიცა და მოყვარეც. შამილს ბევრი მომხრე და დამფასებელი ყავდა ქართველებს შორისაც.

მეორეს მხრივ კავკასიის მთიელები საუკუნეების მანძილზე ავიწროვებდნენ მოსაზღვრე ქართულ სოფლებს ყაჩაღური თავდასხმებით, იტაცებდნენ ადამიანებს, პირუტყვს, სურსათსანოვავებს, ძვირფას ნივთებს და სხვა. ეს მოვლენა ლეკიანობის სახელითაა ცნობილი. თავდასხმები უხშირესად პატარა მობილური ჯგუფებით ხორციელდებოდა, თუმცა ზოგჯერ



მრავალათასიანი ჯარითაც გაულაშქრებიათ საქართველოზე. ფეოდალურ საქართველოს არ ქონდა საშუალება სოფლებთან დამაკავშირებელ უამრავ ბილიკზე მცველები დაეყენებინა. დაუცველი გზებით წელიწადის ყველა დროს შეეძლოთ ლეკებს მცირე ჯგუფებით თავდასხმა.

ქართველ ერს ლეკებისაგან სისხლი ჰქონდა გამშრალი და ფიზიკური გადაშენების საფრთხე ემუქრებოდა. ერთ-ერთი მიზეზი ესეც იყო, რომ საქართველოს მეფე ერეკლემ რუსეთს დახმარება თხოვა.

მეფე ერეკლემ რამდენჯერმე დაამარცხა კახეთის ასაოხრებლად შემოჭრილი ჩრდილოკავკასიელთა მრავალათასიანი ლაშქარი, მაგრამ ყაჩაღური თავდასხმები მაინც გრძელდებოდა. მოხუცებულობის პერიოდში კიდევ ერთი მცდელობა ჰქონდა – ერეკლეს ჭარ-ბელაქანის მცხოვრები სხვადასხვა ასაკის კაცები სიღნაღში მოიპატიჟა, კარგად გაუმასპინძლდა, ყველას ხალათი აჩუქა და აუხსნა, რომ მტრობა ორივე მხარისათვის საზიანოა. სტუმრებმა ფიცი დადეს, რომ აღარ განმეორდებოდა ურთიერთმტრობა, მაგრამ ძალიან მალე ფიცი გატეხეს.

ცნობილია, კავკასიის მთიელები შამილის მმართველობის პერიოდშიც ლაშქრობდნენ საქართველოში, ძირითადად ძვირფასი ნივთების, შინაური ცხოველების, საკვების, ფულის ნასაღებად, სახელმწიფო ხაზინის შესავსებად. განსაკუთრებით ხშირად ანიოკებდნენ საქართველოს განაპირა კავკასიის მთიანეთის მეზობელ რეგიონებს. ერთ-ერთი ასეთი თავდასხმის დროს 1854 წლის 1 ივლისს დაუყაჩაღებიათ ცნობილი პოეტის და გენერლის ალექსანდრე ჭავჭავაძის მამული წინანდალში, გაუტაცნიათ დიდძალი ქონება და ოჯახის წევრები, რძალი შვილი და შვილიშვილი, სულ 24 სული. რამდენიმე წლის შემდეგ შამილმა ტყვეები თავის შვილში, ჯამალედინში, გაცვალა.

ხევსურეთზე თავდასხმის დროს სოფელ შატილთან ზურგში მძიმედ დაიჭრა და რამდენიმე დღის შემდეგ გარდაიცვალა ჩეჩნეთის გმირი, ახბერდილი, რომელიც იმამი შამილის შემცვ-

ლელად მოიაზრებოდა. ახბერდილის მეთაურობით ჩეჩნეთის მეომრებმა რამდენიმე ბრძოლა მოუგეს რუსებს 1840 წლის 11 ოქტომბერს მოზდოკზე თავდასხმისას ახბერდილმა ტყვედ წამოიყვანა მოზდოკელი ვაჭარი მილიონერი სომხის ქალიშვილი ანნა ულუხანოვა. მამამ ბევრჯერ სცადა შვილის გამოსყიდვა დიდი თანხის საფასურად, მაგრამ უშედეგოდ. შემდეგში ანნამ მიიღო ისლამი და გახდა შამილის ცოლი, რომელიც ქმრის ერთგული დარჩა ბოლომდე. სულ იმამ შამილს 8 ცოლი ჰყოლია.

შამილთან წინააღმდეგობრივი ურთიერთობა ქონდა მის მიერ დანიშნულ ნაიბს ჰაჯი მურადს, იგი იყო ავარების ბელადი, სამხედრო მეთაური, უშიშარი პიროვნება. მისი პერსონაჟი დახატული აქვს ლევ ტოლსტოის თავის ბრწყინვალე ნაწარმოებში „ჰაჯი მურატი“.

საკვირველია, მაღალი ჰუმანური პრინციპების, თავისუფლების, თანასწორობის, გულმონყალების მქადაგებელმა იმამმა შამილმა როგორ არ შეწყვიტა მეზობელი ქვეყნების ძარცვადანოკება, ადამიანთა დატყვევება?

ალექსანდრე ჭავჭავაძის მამულიდან გატაცებულთა შორის ყოფილა ბავშვების მასწავლებელი ფრანგი ქალი ანნა დრანსე, რომელიც ტყვეობიდან განთავისუფლების შემდეგ სამშობლოში დაბრუნებულა და 1857 წელს პარიზში გამოუცია წიგნი – „შამილის ტყვე ქალები“. წიგნში ავტორი აღფრთოვანებით წერს ქართველთა და კავკასიის მთიელ ხალხთა სილამაზის, სიმამაცის, ღირსებების, რაინდული ბუნების შესახებ. ამ ერებს შორის დაპირისპირებას ცარიზმის იმპერიულ დანაშაულად მიიჩნევს. ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ქართველ ტყვე ქალებს შამილი დიდი პატივისცემით ეპყრობოდა.

ანნა დრანსეს წიგნი ნაუკითხავს ალექსანდრე დიუმას (მამა), დიდად აღფრთოვანებულა და კავკასიის და საქართველოს ნახვის დაუოკებელი სურვილი გასჩენია. ჩანაფიქრი მალე განუხორციელებია და მოგზაურობის შთაბეჭდილებებზე შექმნა შესანიშნავი ნაწარმოები „კავკასია“, სადაც საოცარი ოსტატობით და სიყვარულით აღ-

წერს მოგზაურობის შთაბეჭდილებებს, აღტაცებულია ქართველების სილამაზით, ჭკუა-გონებით, კეთილშობილებით და გულუხვობით. სომეხს არ უნდა ენდო მოგატყუებს, ქართველს არ უნდა უთხრა, რომ მისი რომელიმე ნივთი მოგწონს – მაშინვე გაჩუქებს. საქართველოდან გამგზავრების წინ ერთი ქართველი მხედრის შარვალი მოსწონებია, მხედარს მაშინვე გაუხდია და სტუმრისათვის უჩუქებია, თან უთქვამს – გუშინ ვიყიდე დღეს პირველად ჩავიცვი, გთხოვ არ ითაკილო. შარვლის ქვეშ მეორე თხელი შარვალი სცმია, ცხენზე ამხედრებულა და სწრაფად გაშორებია.

დიუმამ კავკასია მსოფლიოს გააცნო – ქართველები უნაკლო ხალხია, ყველა საუკეთესო თვისებებით – დაასკვნა მწერალმა. სამუდამოდ შემორჩა ისტორიას მის მიერ აღბეჭდილი თბილისის სახე – აღფრთოვანებით აღწერს იგი თბილისის თეატრს, გოგირდის აბანოებს, ღვინის სმის კულტურას – ქართულ ღვინოს შეუძლია მეტოქეობა გაუწიოს ფრანგულსო. აღტაცებულია ქართველი ქალებით, განსაკუთრებით მეგრელების სილამაზით. მოკლედ მოვჭრათ: ალექსანდრე დიუმას „კავკასია“ არაჩვეულებრივი, გაუხუნარი, უკვდავი ძეგლია საქართველოს, ქართველების, ზოგადად კავკასიის ხალხთა სადიდებლად შექმნილი.

შამილის ცხოვრებაში ბევრია გმირული, რომანტიკული, ღირსეული ეპიზოდები. მთავარი იყო მისი მცდელობა ხალხის გაერთიანებისა, ახალი ტიპის დამოუკიდებელი დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნა. თავისი ცხოვრების წესით ის მისაბაძი პიროვნება იყო მოსახლეობისათვის, უდიდეს პატივს სცემდნენ მტერნიც და მოყვარენიც.

შამილის თემაზე უამრავი წიგნი და პუბლიკაციაა გამოქვეყნებული, კინო, ვიდეო და აუდიო მასალები. ამ მასალებში შამილი კარგადაა შეფასებული, ხაზგასმულია მისი აღმატებული, კაცური ღირსებები, თუმცა საკმაოდაა უარყოფითი დახასიათებებიც: 1953 წელს თბილისში შ. ვ. ცაგარეიშვილის რედაქციით გამოიცა სა-

ქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სარქივო, დოკუმენტური მასალების ანალიზის საფუძველზე შექმნილი სქელტანიანი კრებული (500 გვერდი) „Шамиль – ставленник султанской Турции и Английских колонизаторов“. მასალების უმრავლესობას საიდუმლო გრიფი ედო, ხელმისაწვდომი გახდა ვადის ამონაწერის შემდეგ.

წიგნის სახელწოდებიდან ჩანს, რომ მასში იმამი შამილი წარმოდგენილი მარიონეტად, რომელიც თითქოს თურქეთის სულთნისა და ინგლისელი კოლონიზატორების მიერაა დასამული იმამად.

წიგნი აგებულია ძირითადად მსტოვრების მიერ მოწოდებული წერილობით ინფორმაციაზე, ჩვენი აზრით, უმრავლეს შემთხვევაში ეს ინფორმაცია ყალბია, გადაჭარბებული, ან წარმოადგენს შეტყობინებას მოვალეობის მოხდის მიზნით: „თურქეთს განზრახული აქვს 4000 ჯარისკაცით დაეხმაროს შამილს“, „კავკასიის მთიელები აპირებენ სვანეთის მთებიდან თავს დაესხნენ სამეგრელოს და შეუერთონ იგი თურქეთს“ და ა. შ.

შემდეგში ეს განზრახვა არ განხორციელებულა. თურქეთის სულთანი შამილს უხვად აჯილდოვებდა არ არსებული ტიტულებით: მან სულთნისაგან მიიღო ჩერქეზეთის და საქართველოს არმიების გენერალსიმუსის ტიტული, გურჯისტანის ვალის (სულთნის ნაცვალის) წოდება თუ თანამდებობა. შამილი უდავოდ ბრძენი კაცი იყო და არაფრად ჩაუგდია სულთნის ეს მლიქვნელობა. შამილის მიმართ მსგავს ქმედებებს არ თაკილობდნენ საფრანგეთი და ინგლისი. რუსეთის არმია პირველ ხანებში კავკასიის მთიელთა წინააღმდეგ ახორციელებდა კონცენტრირებული დარტყმის ტაქტიკას, რასაც შედეგი არ მოჰყოლია – შამილი უმეტეს შემთხვევებში იმარჯვებდა.

ყირიმის ომის დასრულების შემდეგ გამოთავისუფლებული სამხედრო ძალების ნაწილი შამილის საწინააღმდეგოდ შეკრიბეს. მეომარი კონტინგენტის გაძლიერებასთან ერთად რუსებმა მიმართეს „თანდათანობით შეღწევისა და და-

პერობილ ტერიტორიებზე გამაგრების“ ხერხს. შამილი თანდათანობით მოამწყვდიეს მარნუხებში, ასტრონომიულმა რიცხობრივმა უპირატესობამ თავისი გაიტანა და შამილი ალყაში აღმოჩნდა. მდგომარეობის საფუძვლიანი შეფასების შემდეგ შამილი დანებდა.

ლექიანობის გარდა კავკასიის მთიელ ხალხებსა და საქართველოს შორის მე-19 საუკუნეში სხვა წინააღმდეგობებიც გამოიკვეთა: რუსეთის იმპერიის დამპყრობლური პოლიტიკის შედეგად კავკასიელებმა დაკარგეს დამოუკიდებლობა და ტრადიციული კულტურის თანამედროვე ზოგად კულტურაში მოდერნიზების საშუალება. რუსეთის შემოჭრამ კავკასიაში ადგილობრივი ნიადაგიდან მოწყვიტა ტრადიციული კულტურა და თავად იკისრა მათი კულტურულ-ცივილიზაციური „გათანამედროვება“.

მეორეს მხრივ, ანგარიშგასანევია, რომ საქართველოში და მთლიანად კავკასიაში მოსახლეობა ტრადიციული კულტურის მიმდევარი და დამფასებელია.

ქართული სოციალური ელიტის წარმომადგენლებს კარგად ესმოდათ, რომ იმდროინდელ ევროპაში ქვეყნები აგრარული ცივილიზაციიდან ინდუსტრიულ ცივილიზაციაზე გადავიდნენ, ადამიანები გათავისუფლდნენ კოლექტიური მარნუხებისაგან და მოხდა მათი „გაინდივიდუალება“. ეს უკანასკნელი მიმზიდველი აღმოჩნდა ელიტისათვის.

ამრიგად კავკასიურ სივრცეში განსხვავებული მსოფლმხედველობის მქონე ორი სოციალური ელიტა – ერთნი მომხენი არიან ტრადიციულ კულტურაზე დაყრდნობით თანამედროვე მსოფლიო კულტურაში ტრანსფორმაციისა (მაგ. ალექსანდრე ბატონიშვილი – ერეკლე მეორეს ვაჟი). მათი აზრით, კავკასიის ხალხთა სოლიდარობა აღადგენდა ამ ქვეყნების დამოუკიდებლობას. ამავე იდეოლოგიის მომხრენი იყვნენ ჩრდილოკავკასიელ მთიელთა ლიდერები (იმამები) – ყაზი-მოლა, ჰამზათ ბეგი და შამილი, უფრო გვიან ზვიად გამსახურდია, ჯოხარ დუდაევი და სხვები... ეს იდეა რადიკალურად ეწინააღმდეგებოდა რუსეთის იმპერიის დამპყრობლურ პო-

ლიტიკას, მაგრამ უაღრესად სასარგებლო იქნებოდა კავკასიის ხალხთა განვითარებისათვის.

საწინააღმდეგო აზრისა იყო კავკასიის ელიტის მეორე ნაწილი, რომლებსაც მიაჩნდათ, რომ ევროპიზაციის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ რუსეთის მეშვეობით და იძულებული იყვნენ რუსების მხარდამხარ ეკეთებინათ „რუსული საქმე“. ამისათვის ისინი რუსი ოფიცრის მუნდირს ირგებდნენ და შეუპოვრად იბრძოდნენ მოძმე კავკასიელთა წინააღმდეგ, მაგალითად ქართველი პოეტი და გენერალი გრიგოლ ორბელიანი შამილის დატყვევებაში მონაწილეობდა.

კავკასიის გეოგრაფიულ-კულტურული ცენტრი ყველა ეპოქაში საქართველო იყო, ქართველები იყვნენ კავკასიაში რუსეთისათვის თავიანთი პოლიტიკის როგორც დასაყრდენი, ისე მოწინააღმდეგე ძალა.

მკრეხელობა იქნება საერთო კავკასიურ სახლზე საუბარი ალექსანდრე ბატონიშვილის (ერეკლე II-ის შვილი) ღვანლის აღნიშვნის გარეშე. მისი სახელი საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სიმბოლოდაა აღიარებული. ალექსანდრეს აზრით, კავკასიის ქვეყნები რუსეთის იმპერიული ამბიციების მარნუხებში არიან მომწყვდეული და მიუხედავად იმისა, რომ მათ ხალხებში გენეტიკურად ჩადებულია დაუმორჩილებლობის მუხტი, გათითოკაცებული პროტესტი უძღურია უხეში ძალის წინაშე.

მეხუთე საუკუნიდან აღზევებული ბაგრატიონთა დინასტიის სახელოვანი მეფე – ერეკლე II-ის შვილის ალექსანდრე ბატონიშვილის იდეებს ბევრი მიმდევარი გაუჩნდა საქართველოში. სიბრძნით, განათლებით, პატრიოტიზმით და სხვა „მეფური“ ღირსებებით დაჯილდოებული ალექსანდრე დიახაც იმსახურებდა სამეფო ტახტს ერეკლეს შემდეგ, მაგრამ განგებამ გიორგი XII-ს გამეფება ინება. ალექსანდრემ პირველმა მიულოცა ძმას და ერთგულ მსახურებას შეჰპირდა. სამეფო ტახტის დაკავების შეთავაზება რამდენჯერმე ჰქონდა ალექსანდრეს, მაგრამ ყოველთვის უარს ამბობდა – ის ტახტისთვის კი არა, სამშობლოს თავისუფლებისათვის იბრძოდა.

ალექსანდრე ბატონიშვილი უშუალოდ მონაწილეობდა რუსეთის წინააღმდეგ ყველა შეთქმულებაში თუ გამოსვლაში. იგი ბევრჯერ მიუმწყვდევიანთ მარნუხებში, მაგრამ ყოველთვის ახერხებდა ალყიდან უვნებლად გამოსვლას, ეს გმირობა გახდა საფუძველი კავკასიური ლეგენდისა, თითქოს ბატონიშვილი ალექსანდრეს წარმატების საიდუმლო მისი მფრინავი ცხენია. სიმონ ყაუხჩიშვილის აზრით, ნიკოლოზ ბარათაშვილმა „მერანი“ კუთვნილებსამებრ ალექსანდრეს უძღვნა, მაგრამ როგორც სახელმწიფო მოხელეს, ცენზურის შეეშინდა და ილია ორბელიანზე „გადაამისამართა“.

ალექსანდრეს ღრმად სწამდა, რომ კავკასიაში შეუძლებელია ერთი რომელიმე ქვეყანა იყოს დამოუკიდებელი, მეზობელი ქვეყნის მხარდაჭერის გარეშე. იგი სხვა პატრიოტთა მსგავსად, კავკასიის ხალხთა გაერთიანების, საერთო კავკასიური სახლის იდეოლოგი გახდა.

შამილი და ალექსანდრე ერთი იდეისათვის, ერთი საერთო მტრის წინააღმდეგ მებრძოლ გმირებად უნდა ვაღიაროთ!

ახლა უპრიანია კიდევ ერთი ლეგენდა გავიხსენოთ შამილის წარმომავლობის შესახებ: ალექსანდრე ბატონიშვილი ჩრდილო კავკასიის მთებში იყო გახიზნული და დიდხანს ცხოვრობდა იქ. უცოლო ალექსანდრეს შამილის დედა, ძალიან ლამაზი ქალი შეუყვარდა და ამ სიყვარულის ნაყოფიან შამილი. იმასაც ამბობენ, ეს ლეგენდა თვითონ შამილის შეთხზულია ან ამ ვერსიის გავრცელებას თვითონ უწყობდა ხელს. ამით ქართველების გულის მოგება, მათი დახმარებით კავკასიის ხალხთა გაერთიანება სურდაო.

დიდი ხანია ვიცნობ ბათუმში მცხოვრებ, განათლებულ, შესანიშნავ ქალბატონ ფატმან შამილს. რამდენიმე დღის წინ სახლში ვესტუმრე და ვკითხე, საიდან გაქვს-მეთქი შამილის გვარი. მან მიპასუხა: მუსლიმანური ტრადიციის მი-

ხედვით, შვილს შეუძლია მამის სახელი გვარად დაირქვას, ეს გვარი მის მემკვიდრეებზე, შემდგომ თაობებზე ავტომატურად ვრცელდება. ქალბატონი ფატის ბაბუა, ჯამალედდინი იმამი შამილის მეხუთე თაობის შვილთაშვილი – ბოლშევიკების წინააღმდეგ მებრძოლი თეთრგვარდიელი გენერალი ყოფილა, შემდეგ ქალაქ მახაჩკალას სამხედრო კომენდანტი. 1940 წელს კომუნისტებს ჯამალედდინი დაუპატიმრებიათ და დაუხვრეციათ.

ჯამალედდინის მეუღლე, ქალბატონი თამარი გურული თავადის, ნაკაშიძის ქალი ყოფილა, უმაღლესი განათლება საზღვარგარეთ მიუღია. ცხადია ბოლშევიკებს თამარი მათთვის არასაიმედო პიროვნებად მიუჩნევიათ და ჩრდილოაღმოსავლეთ ციმბირში გაუსახლებიათ. სასჯელის მოხდის შემდეგ დარჩენილი სიცოცხლე ბათუმში გაუტარებია.

ფატიმას მამა იური ჯამალედდინისძე შამილი 1907 წელს დაბადებული, პროფესიით მეღვინე ყოფილა, უმაღლესი განათლებით. ბოლოს მუშაობდა სამტრესტის სამმართველოს უფროსის მოადგილედ. დედა ღია პოპოვა, აჭარაში დასახლებული მემამულის – პოპოვის ძმისშვილი, დიდი ხნის მანძილზე ასწავლიდა რუსულ ენას და ლიტერატურას ადლიის საშუალო სკოლაში. თვითონ ქალბატონი ფატი ნავთობგადამამუშავებელ სადგურში მუშაობდა, ქალაქ ბათუმში. ამჟამად პენსიონერია. ჰყავს ვაჟი, რძალი და შვილიშვილები (შამილები!).

ერთიანი კავკასიის იდეა მარად იცოცხლებს პატრიოტ კავკასიელთა ხსოვნაში. ასევე დაუვინყარი იქნება ამ იდეის თავგამოდებული აპოლოგეტი, ბრძენი და მამაცი, სამშობლოს ერთიანობის, დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის თავდაუზოგავი მებრძოლის – იმამი შამილის სახელი.

# ეპოქარ მაქარაძე ოთარ გობოდრიშვილი

## ლაო ჯინ ჯაოს მოღვაწეობა საქართველოში

XIX საუკუნის მეორე ნახევარში აჭარის შავი ზღვისპირეთი, მთელი სანაპირო ზოლი ხშირი, გაუვალი ტყით, ბუჩქნარითა და გვირა-ეკალბარდით დაფარულ ადგილს წარმოადგენდა. ამ ზოლში მოსახლეობაც ნაკლებად გახლდათ დასახლებული და აქა-იქ, შორი-შორს, ერთმანეთისაგან საკმაოდ დაშორებული პატარ-პატარა, სულ რამდენიმე კომლისაგან შემდგარი სოფლები ერთმანეთს მხოლოდ საცალფეხო ბილიკებით უკავშირდებოდა.

სანაპირო ზოლი, რომელიც ძირითადად ნახევრად დაჭაობებულ და ჭაობიან ადგილს წარმოადგენდა, მალარიის ბუდედ ითვლებოდა და აქ ძნელად თუ გაძლებდა ადამიანი. ამ ადგილებში, სადაც კი ოდნავ ტიალი, ტყისა და ბუჩქნარისაგან გამოთავისუფლებული ადგილები არსებობდა, უმთავრესად ბრინჯი ითესებოდა და აქაურ მშრომელებს სწორედ ამ ბრინჯით გაჭკონდა თავი დიდი გაჭირვებით წლიდან წლამდე, მოსავლიდან მოსავლამდე.

რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის შემდეგ, აჭარის დედა-სამშობლოსთან – საქართველოსთან დაბრუნების შემდეგ მკვეთრად შეიცვალა ვითარება.

XIX საუკუნის 90-იან წლებში ბათუმის ოლქში დიდძალი ადგილ-მამული შეიძინა საუფლისწულო უწყებამ და ამ მიწებზე მსხვილი სუბტროპიკული მეურნეობის მოწყობას შეუდგა.



განსაკუთრებული ინტერესი გამოიჩინა ჩაქვის ხეობისადმი.

ჩაქვის საუფლისწულო მამულის კეთილმონცობა 1895 წლიდან იწყება. სადაც მთავარი დარგი ჩაისა და სხვა სუბტროპიკული კულტურების გაშენება იყო.

მკვლევარები მიიჩნევენ, რომ პირველად ჩაი საქართველოში 1770 წელს გამოჩნდა, როცა რუსეთის იმპერატორმა ეკატერინე II-მ ერეკლე II-ს სამოვარი და ჩაის სერვიზი აჩუქა. უფრო კონკრეტულად საქართველოში ჩაის კულტურის შემოტანის თარიღად XIX საუკუნის 30-იან წლებს ასახელებენ, თუმცა იმ პერიოდისათვის მეჩაიეობას მხოლოდ მოყვარულები და ენთუზიასტები მისდევდნენ. ჩაის კულტურა საქართველოში ჩინეთიდან შემოიტანეს. XIX საუკუნის საქართველოში ჩაის გავრცელებით დი-

დად ყოფილა დაინტერესებულ მამია გურიელი (1803-1826 წწ.).

საქართველოში ჩაის და სუბტროპიკული კულტურების სამრეწველო-ეკონომიკური პერსპექტივა სწორად შეაფასეს რუსეთის იმპერიის ცენტრშიც, რაც სოხუმის, ქუთაისის და სალხინოს ბაღების გაშენების საფუძველი გახდა.

ჩაქვის საუფლისწულო მამული კარგად ორგანიზებული და რენტაბელური მეურნეობა იყო. რომლის განხორციელებაში დიდი როლი ითამაშა მსხვილმა მინისმფლობელმა, კომერსანტმა და ვაჭარმა კონსტანტინე პოპოვმა.

გაზეთ „ივერიის“ 1893 წლის 243-ე ნომრიდან ჩანს, რომ პოპოვმა ჩინეთიდან გემით შემოიტანა 10 ათასი ძირი ჩაის ნერგი ჩაქვის საუფლისწულო მამულში დასარგველად, რომელსაც თან ჩამოჰყვა ჩინელი სპეციალისტები ლაო ჯინ ჯაოს თავკაცობით, რომელსაც პოპოვი შეხვდა ჩინეთში ყოფნის დროს.

კ. პოპოვმა, ბათუმის ოლქში ჩაის კულტურის გაშენება და მოვლა-პატრონობა დაავალა ცნობილ ჩაის სპეციალისტს ლაო ჯინ ჯაოს, რომელიც სპეციალურად ჩამოვიდა ჩინეთიდან ბათუმში და დაიწყო ამ უძვირფასესი კულტურის გაშენება ჩაქვის საუფლისწულო მამულში.

ლაო ჯინ ჯაო დიბადა 1870 წელს ქალაქ კანტონში. 18 წლის ასაკში მას მიენიჭა კაპიტნის სამხედრო წოდება, მაგრამ სამხედრო განხრით მისი სამსახური დიდხანს არ გაგრძელებულა. იგი მუშაობას იწყებს ჩაის ფაბრიკაში, ჯერ პრაქტიკანტად, ხოლო 1893 წლიდან დირექტორის თანაშემწედ. შემდეგ, კონსტანტინე პოპოვის თხოვნით სამუშაოდ ჩამოდის ბათუმში, სადაც 30 წელი იმოღვაწა.

მოკლე დროში ლაო ჯინ ჯაომ ჩაქვის საუფლისწულო მამულში მოაწყო დიდი მოცულობის სადგური ჩაის ბუჩქის ნერგების გამოსაყვანად. გააშენა ჩაის პლანტაციები, ააშენდა მცირე მოცულობის ჩაის ფაბრიკა, სადაც მესამე წელს დამზადდა ჩაის პირველი პროდუქცია.

ხელშეკრულებით სამი წლის გასვლის შემდეგ ლაო ჯინ ჯაომ პოპოვთან გააგრძელა ხელშე-

კრულება და მიიღო დავალება, რათა ნახევარი წლით ჩასულიყო მივლინებით ჩინეთში ჩაის ნერგებისა და თესლების ჩამოსატანად. ლაომ დავალება პირნათლად შეასრულა და 1897 წლის მაისში ბათუმში დაბრუნდა. მან თან ჩამოიყვანა დედა, მეუღლე, ვაჟიშვილი, ქალიშვილი და 12 ჩინელი სპეციალისტი ოჯახის წევრებთან ერთად. ამ დროის მანძილზე იგი ხელმძღვანელობდა საუფლისწულო მამულსა და ჩაის ფაბრიკას. ყოველივე ამას ლაო ჯინ ჯაო ბრწყინვალედ ართმევდა თავს. ეს შეუმჩნევლად არ დარჩენია რუსეთის ხელისუფალთ, 1901 წელს ლაო ჯინ ჯაო დაინიშნა ჩაქვის საუფლისწულო მამულის ჩაის ფაბრიკის დირექტორად.

ბათუმის ბოტანიკური ბაღის ფუძემდებელი ანდრია კრასნოვი დიდად აფასებდა ლაო ჯინ ჯაოს მოღვაწეობას და მის საქმიანობას ასეთ შეფასებას აძლევდა: „ვლავარაკობთ რა ჩაქვზე, მე არ შემიძლია არ ვთქვა რამდენიმე სიტყვა მის ღირშესანიშნაობაზე – ჩაის ფაქტორიის გამგეზე ჩინელ ლაო ჯინ ჯაოზე, რომელსაც ბათუმელები იცნობენ ივან ივანის-ძის სახელით. ეს პიროვნება ბათუმელებში სარგებლობს დიდი სიყვარულითა და პოპულარობით. მე კარგად ვიცნობ ჩინელს, რომელიც თავიდან მსახურობდა პოპოვთან და შემდეგ გადავიდა საუფლისწულო უწყებაში, რომელსაც გაუწია დიდი სამსახური, დააყენა რა ჩაის მოყვანა შესაბამის სიმაღლეზე.

ამჟამად იგი ცხოვრობს სპეციალურად მისთვის აშენებულ სახლში, ჰყავს საკუთარი ცხენები და მოსამსახურე. მან დიდი ხნის წინათ ჩამოიყვანა მეუღლე ჩინეთიდან და ზრდის მრავალრიცხოვანი ოჯახის წევრებს ბათუმის სასწავლო დაწესებულებებში. დღემდე იგი ატარებს ეროვნულ ტანსაცმელს. გააერთიანა რა თავის თავში ლაპარაკის სიმკვირცხლე, თავაზიანობა, ფხიანობა, ენერგია და ზეციური იმპერიის დაუცხრომელი შვილის თვისებები. მან ამავედროულად აითვისა განათლებული და საქმიანი კაცის მეთოდები და ქმედითი პრინციპები. მისი ქცევა ჰუმანურია, განკარგულება-საქმიანი და მოფიქრებული. მისი ბინა მოწყობილია გემო-

ვნებით, ევროპული კომფორტის შერწყმით თავისებური შორეული აღმოსავლეთის დეკორაციასთან. ეს გულთბილი მასპინძელი, როცა უმასპინძლდება მრავალრიცხოვან სტუმარს, იგი ყოველთვის ინარჩუნებს სალაპარაკო თემას. მისი ცოლი, რომელიც ასევე შემოსილია ჩინური ტანსაცმლით, ბრწყინვალედ ლაპარაკობს რუსულად. რაც შეეხება შვილებს, მათ ქცევას და საუბარს ვერ განასხვავებთ ბათუმის მცხოვრებლებისაგან. ქარხნის საქმიანი ადმინისტრატორი ლაო ჯინ ჯაუ ბათუმის მხარის მხურვალე პატრიოტია, ბრწყინვალედ შეეთვისა მოსახლეობას“ (ანდრია კრასნოვი, სამხრეთი კოლხეთი, ბათ., 1915, ფურც. 104-109).

ლაო ჯინ ჯაო იცნობდა და ურთიერთობა ჰქონდა ბათუმის ქალაქის თავთან ივანე ანდრონიკაშვილთან. ყველა ქართული საარქივო მასალა მას დადებით პიროვნებად ახასიათებს და ერთხმად აღნიშნავს, რომ ლაო ჯინ ჯაო არის მაღალი კვალიფიკაციის ადამიანი და ბათუმის ოლქში სუბტროპიკული და ჩაის კულტურის შემომტანი და ამყვავებელი.

1911 წელს სოფელ ჩელტაში მან შეიძინა 25 ჰექტარი მიწის ნაკვეთი, სადაც მოაშენა ჩაისა და მანდარინის პლანტაციები და მოაწყო სანერგე, სადაც დიდი რაოდენობით გამოჰყავდა მანდარინის ნერგები, რომელსაც დაბალ ფასებში ჰყიდდა ადგილობრივ მოსახლეობაში, რაც ხელს უწყობდა ბათუმის ოლქში ციტრუსების გავრცელებას.

1918 წელს ლაო ჯინ ჯაომ საკუთარი ჩაის პლანტაციაში მოკრეფილი ნედლეულით გამოუშვა ჩაის პროდუქცია, რომელმაც დიდი მონონება დაიმსახურა.

საქართველოში ჩაის კულტურის განვითარების საქმეში განეული დიდი შრომისა და ღვაწლისათვის, დიდი დამსახურებისათვის, 1909 წელს ლაო ჯინ ჯაო დააჯილდოვეს სტანისლავსკის ორდენით. ლაო ჯინ ჯაუსთვის გადაცემულ ამ ორდენზე ვკითხულობთ შემდეგ წარწერას: „ხელმწიფე იმპერატორმა გამოთქვა სურვილი, რათა ჩაქვის ჩაის ფაბრიკის დირექტორი, ჩინე-

თის მოქალაქე ლაო ჯინ ჯაუ დააჯილდოვოს სტანისლავსკის მესამე ხარისხის ორდენით“.

ეს გახლავთ პირველი შემთხვევა, როდესაც ჩინელი ეროვნების ადამიანი დაჯილდოებულ იქნა მეფის რუსეთის ორდენით, ეს კი თავისთავად მიანიშნებს ლაო ჯინ ჯაოს დიდ დამსახურებაზე, ღვაწლსა და ავტორიტეტზე.

1921 წელს აჭარის გასაბჭოების შემდეგაც, ლაო ჯინ ჯაო აჭარის ხელისუფლების თხოვნის საფუძველზე 1926 წლამდე, სამუშაოდ დარჩა ჩაქვის ჩაის ფაბრიკის დირექტორად, ხოლო მისი ოჯახის წევრები ჩინეთში დაბრუნდნენ.

1924 წელს აჭარაში ჩაის კულტურის დაფუძნებისა და განვითარების საქმეში უდიდესი ღვაწლისათვის აჭარის მთავრობამ წარადგინა შუამდგომლობა საქართველოს მთავრობის წინაშე, რათა ლაო ჯინ ჯაო დაჯილდოებულიყო შრომის წითელი ორდენით. მიმართვაში ვკითხულობთ: „მოქალაქე ლაო ჯინ ჯაუს მიუძღვის დიდი დამსახურება აჭარაში ჩაის კულტურის გავრცელების საქმეში და დღევანდელ მდგომარეობამდე მიღწეული ჩაის კულტურა მოქალაქე ლაო ჯინ ჯაუს თავგამოდებული ღვაწლის, ცოდნისა და დაუშრეტელი ენერჯის ნაყოფია. აჭარის რესპუბლიკის ფარგლებში არსებული ჩაის პლანტაციები, შეიძლება ითქვას პირმშო შვილია უცხოეთიდან ჩამოსული ჩვენი ქვეყნის გულშემამტკივრი უმაღლესი სპეციალისტის, მოქალაქე ლაო ჯინ ჯაუსი“.

საქართველოს სახლკომსაბჭომ დააკმაყოფილა აჭარის სახლკომსაბჭოს შუამდგომლობა და 1924 წლის 13 ნოემბერს ლაო ჯინ ჯაო დააჯილდოვა შრომის წითელი ორდენით.

ლაო ჯინ ჯაომ პირადი დაკვირვების საფუძველზე, ხელნაწერის სახით, დაგვიტოვა თავისი შეხედულება ჩაის პლანტაციების დამუშავებისა და მზა პროდუქციის მიღების ტექნოლოგიური პროცესის შესახებ. იგი წერდა: „ბათუმში მე 30 წელი მივუძღვენი ჩაის საქმეს და მრავალწლიანი გამოცდილების შედეგად მინდა აღვნიშნო, რომ ბათუმის ოლქში შეიძლება დამზადდეს ჩაი საშუალო და მაღალი ხარისხის, ვიდრე

ჩინეთსა და ცვილონში. კერძოდ, შეიძლება დიდი წარმატებების მიღწევა, რისთვისაც ჩაის პლანტაცია საჭიროებს სწორ გასხვლას, გადამზადებასა და რაც მთავარია, ფოთლის სწორად კრეფას. ორწლიანი ჩაის ბუჩქი მოითხოვს ზედაპირის გაფორმებასა და შესწორებას, ხუთი წლის შემდეგ საჭიროა ზემო უვარგისი ტოტებისა და ჩაის ბუჩქის სიღრმეში გამხმარი ტოტების შეჭრა. ათი წლის ჩაის ბუჩქი საჭიროებს ყველა ხმელი ტოტის ძირში მოჭრას. რაც შეეხება ახალგაზრდა ამონაყარს, მისი შეჭრა საჭიროა ყოველწლიურად. დიდი შეჭრა კი სამწელიწადში ერთხელ. მოსავლის გაზრდა და მაღალხარისხიანი პროდუქციის დამზადება დამოკიდებულია უშუალოდ სწორ და თავის დროზე ფოთლის კრეფაზე და სხვა“ (აცსა, ფ. ი-25, აღწერა 1, საქმე 28, ფურც. 10-16).

ლაო ჯინ ჯაო გამოქვეყნებული აქვს მრავალი სამეცნიერო ნაშრომი სხვა სუბტროპიკული კულტურების შესახებაც. მისი სამეცნიერო ნაშრომებიდან განსაკუთრებული ყურადღება ენიჭება დებულებას – ჩაის პროდუქციიდან კოფეინისა და ტანიინის მიღების თაობაზე, რაც პირველად მის მიერ იქნა შესწავლილი. სტატიაში აღნიშნულია, რომ: „კოფეინისა და ტანიინის მიღება შეიძლება ზამთრის დროს ჩაის ბუჩქების გასხვლის შედეგად მიღებული ჩაის ფოთლიდან, რომელთა რაოდენობაც უდრის გაზაფხულ-ზაფხულში მოკრეფილი ჩაის ფოთლის რაოდენობის ნახევარს“. ამავე დროს ლაოს ჩამოყალიბებული აქვს ჩაის ფოთლიდან კოფეინისა და ტანიინის მიღების ტექნოლოგია. მოგვიანებით ლაო ჯინ ჯაოს წინადადებას პრაქტიკული განხორციელება ჰპოვა და ბათუმში გაიხსნა კოფეინის ქარხანა, ხოლო ზამთრის პერიოდში მოკრეფილ ჩაის ფოთოლს, ლაოს საპატივცემულოთ, მისი სახელით მოიხსენიებენ.

ლაო ჯინ ჯაოს მრავალმხრივი განათლება ჰქონდა მიღებული, გახლდათ დიდად ნაკითხი და მეტად ერუდირებული პიროვნება. მან ზედმინევენით იცოდა, თუ რისგან რისი, რა სასარგებლო პროდუქციის დამზადება იყო შესაძლე-

ბელი საჭირო ტექნოლოგიის ზუსტი დაცვით და სწორედ ასეთი პირობით მოქმედებდა და იქცეოდა იგი. ლაო ჯინ ჯაოს მეთოდით დამზადებული ციტროს მურაბა მართლაც რომ შესანიშნავია და მას დღესაც ამზადებენ მისი მეთოდით.

ლაო ჯინ ჯაოს მეთოდთა შორის ყურადღებას იპყრობს აგრეთვე ჩაის მწვანე ფოთლის ელექტროგახურებით გახმობის მეთოდი, რაც იმ დროისათვის ჩაის ფოთლის მოცულობის თანმიმდევრული გაზრდის საფუძველზე ერთ-ერთ გამოსავალ საშუალებას წარმოადგენდა.

უნდა აღინიშნოს, რომ ლაოს მიერ ასეთი საშუალების გამოგონებამდე ჩაის მწვანე ფოთლის გახმობა წარმოებდა ავტომატიზირებულ საშრობ ქურებში, რომლებიც ცხელდებოდა შემის საშუალებით. ამ ქურების გახურება შესაძლებელი ხდებოდა 105-110 გრადუს ტემპერატურაზე. ამ მეთოდით დამზადებული ჩაის პროდუქციის არომატი შესამჩნევად ქვეითდებოდა და იკარგებოდა ხარისხი.

ლაო ჯინ ჯაოს მეთოდით ელექტროგახურებით მოქმედ დანადგარებში ტემპერატურა მერყეობდა 40-50 გრადუსის ფარგლებში, რაც საგრძნობლად ამალღებდა მზა ჩაის ხარისხს და ამავდროულად არ იკარგებოდა ჩაის არომატი და სურნელება. მოგვიანებით ლაოს ეს მეთოდი მთლიანად დაინერგა ჩაის მრეწველობაში და ამის შემდეგ კარგა ხანს ჩაის მზა პროდუქცია სწორედ მისი მეთოდით მზადდებოდა.

ლაო ჯინ ჯაომ, 1926 წელს, სამშობლოში, ჩინეთში გამგზავრებამდე გამოსამშვიდობებელი წერილით მიმართა აჭარასა და მის მშრომელებს: „30 წლის წინ გამოჩენილმა რუსმა ვაჭარმა კონსტანტინე პოპოვმა გადამწყვიტა განევრცო აქ ჩაის კულტურა, ამ ჩანაფიქრის განხორციელებისათვის, როგორც ამ საქმის სპეციალისტი, მომიწვია მე. მივდივარ რა აქედან, მივმგზავრები რა ჩემს სამშობლოში, ჩინეთში, მე არასოდეს არ დავივინწყებ ჩემთვის ამ უსაყვარლეს კუთხეს, ვუსურვებ მას აყვავებას, სიმდიდრეს, დიდ წარმატებას მრეწველობასა და ტექნიკაში, მაღალ კულტურასა და მშვიდობას.



არასოდეს დავივიწყებ კეთილ დამოკიდებულებას ჩემდამი, რისთვისაც მოგიძღვნით სულიერ მადლობას.

მიუხედავად იმისა, რომ მე ჩემს ღვიძლად მიმაჩნია ამ კუთხეში ჩემს მიერ დარგული მილიონობით ბუჩქი, პალმები, ციტრუსები, ბამბუკები, აკაციები და სხვები, ყოველივე ესენი მაინც ვერ გამაჩერებენ აქ, რამდენადაც დიდი სურვილი მაქვს დავბრუნდე ჩემს სამშობლოში და იქ გავატარო სიცოცხლის დარჩენილი დღეები“.

ლაო ჯინ ჯაო სამშობლოში დაბრუნების დღიდანვე ოჯახის წევრებთან ერთად დასახლდა ქალაქ ხაბინში, სადაც ძირითადად დაკავებული იყო საცხენოსნო სპორტით. იგი 1939 წელს გარდაიცვალა ფილტვების ანთებით 69 წლის ასაკში. დასაფლავებულია ქალაქ პეკინში.

ლაოს დაბა ჩაქვში, ზღვის სანაპიროზე აუშენეს რვაოთახიანი საცხოვრებელი სახლი. აღნიშნული საცხოვრებელი სახლი დღესაც ფუნქციონირებს. კარგი იქნება თუ იქ მოეწყობა ლაო ჯინ ჯაოს სახელობის მუზეუმი (აცსა, ფ. ი-25, აღწერა 1, საქმე 9, ფურც. 15-34).

დაბა ჩაქვში, რკინიგზის სადგურის მახლობლად, ზღვის პირას, ორსართულიანი სახლი დგას. სახლს არც კარი აქვს, არც ფანჯრები და არც მეორე სართულზე ასასვლელი კიბე. გარედან თანამედროვე სამშენებლო მასალებითაა მოპირკეთებული, თუმცა სიძველის კვალი მაინც ეტყობა. ამ სახლში, ნინოშვილის №12-ში, XX საუკუნის 10-20-იან წლებში ცხოვრობდა. აქ მუზეუმის გახსნის იდეა წლების წინ განიხილებოდა, თუმცა სახლი უკაცრიელი და გაძარცვულია:



ლაო ჯინ ჯაოს სახლი ჩაქვში

მხოლოდ საქონლის კვალსა და კედელზე ბავშვების მიერ გაკეთებულ წარწერებს თუ ნახავთ.

1926 წელს ლაო ჯინ ჯაო ჩინეთში დაბრუნდა. სახლი, რომელშიც იგი მრავალსულიან ოჯახთან ერთად ცხოვრობდა, საბჭოთა ხელისუფლებას დარჩა. მიუხედავად იდეისა, რომ აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზე არსებულ სახლში ლაო ჯინ ჯაოს მუზეუმი, ან მისი სახელობის ჩაის მუზეუმი უნდა გახსნილიყო, სახლი ახლაც მიტოვებულია.

ლაო ჯინ ჯაოს პირადი ნივთების ნაწილი აჭარის ხარიტონ ახვლედიანის სახელწიფო მუზეუმის ფონდებშია დაცული, ნაწილი კი გამოფენილია: „ეს არის მისი წყვილი ქოში, ქუდი, რომელსაც ჩაიში მუშაობისას იყენებდა, ჩაის სხვადასხვა ნიმუში, ვაზები... ყველაზე ძვირფასია ის, რასთანაც მას ჰქონდა უშუალო შეხება, მისი პირადი ნივთები, რომლებიც ოჯახში ინახებოდა“. ლაოს ნივთები შენახულია აგრეთვე საქართველოს სხვადასხვა მუზეუმში.

სახლის მახლობლად მცხოვრებნი ამბობენ, რომ სახლი წლების მანძილზე იძარცვებოდა, ისე, რომ საბოლოოდ, კარის, ფანჯრის ჩარჩობისა და კიბის გარეშეც კი დარჩა.

დაბა ჩაქვის გამგებელი, გიორგი ქებულაძე ამბობს, რომ შენობა წლებია უპატრონოდაა მიტოვებული, მუნიციპალიტეტის ბალანსზე არ აღირიცხება და, შესაბამისად, მისი მოვლა-პატრონობისთვის არც თანხაა გათვალისწინებული.

„წლების წინ საუბარი იყო, რომ ამ შენობაში ჩაის მუზეუმი გაიხსნებოდა. აქ რამდენიმე ოჯახი იყო შესახლებული და ამის გამო გამოასახლეს. შენობა ძალიან შეიცვალა. ადრე, კრამიტის სახურავი ჰქონდა, გარედან ახლა ბათქაში აქვს, ადრე სხვანაირი იყო“.

ვფიქრობთ, საჭიროა და აუცილებელიც ჩაქვში მის საცხოვრებელ სახლში გაიხსნას მისი სახლ-მუზეუმი, რადგან ამ ადამიანმა ჩაუყარა საფუძველი ჩაის კულტურის განვითარებას აჭარაში და პირველი გადამამუშავებელი ფაბრიკების შექმნას, სადაც გამოდიოდა ხარისხიანი ჩაი, რომელმაც ბევრი პრიზი აიღო საერთაშორისო გამოფენებზე. თანაც ეს სახლ-მუზეუმი, სათა-

ნადო მონყობით გახდება ტურისტების მოზიდვის დიდებული ადგილი.

ლაო ჯინ ჯაოს შვილიშვილს, ლიუ ყანდარელს, მედიის საშუალებით არა ერთხელ გამოუთქვამს სურვილი, რომ ჩაქვში გახსნილიყო ლაო ჯინ ჯაოს მუზეუმი.

ჩაქვში მუზეუმის გახსნის იდეის მომხრე ვართ ჩვენც, პროექტის მონაწილეებიც. ამ იდეის განხორციელების შემთხვევაში აჭარას კიდევ ერთი საინტერესო ტურისტული ადგილი და მუზეუმი შეემატება.

მსგავსი მუზეუმი ტურისტული კუთხით საინტერესო იქნება: „შენობას გააჩნია საინტერესო ისტორია, წარმოადგენს ჩინელი მეწარმის სახლს, რომლის სახელსაც უკავშირდება აჭარაში ჩაის წარმოების განვითარება. შენობას გააჩნია კარგი მდებარეობა – ზღვის სანაპირო, ცენტრალურ გზისპირას, სადაც სეზონის დროს მრავალი ტურისტი გაივლის. აუცილებელია, მუზეუმში იყოს ჩაის სახლი – სადაც მოხდება როგორც ადგილობრივი, ისე უცხოური ჩაის დეგუსტაცია ან ჩაის მომზადების ტრადიციული რიტუალის ორგანიზება.

ჩაქვში ჩაის მუზეუმი შესაძლოა სახელმწიფო ან კერძო ინვესტიციით გაკეთდეს და შესაბამისი მოლაპარაკებების შემთხვევაში, შესაძლებელია ჩინური მხარეც (საელჩოს მეშვეობით) დაინტერესდეს შენობის აღდგენით: „სხვა ქვეყნებში ისტორიულ, სხვადასხვა ცნობილ პირო-

ვნებასთან ან ამბავთან დაკავშირებულ შენობებს, ტურისტული კუთხით ხშირად იყენებენ“ (<http://batumelebi.netgazeti.ge/news/9206/>).

ლაო ჯინ ჯაოს თემიდან გამომდინარე, გვაქვს ჩვენეული მოსაზრებები გარკვეულ საკითხებთან მიმართებაში და გვჯერა, რომ ლაოების დიდი ოჯახიც ამ პოზიციაზე იქნება.

აუცილებლობა მოითხოვს დაგუბრუნოთ სიცოცხლე ჩაქვში ლაო ჯინ ჯაოს სახლს და მიენიჭოს მას მუზეუმის სტატუსი. სახლთან ახლოს განთავსებულია აგრეთვე ფაბრიკები, სადაც მზადდებოდა ჩაი, ასევე, ადმინისტრაციული შენობაც. სწორედ ამ კომპლექსის აღდგენა სრულყოფილ წარმოდგენას შეუქმნის აქ მოსულ სტუმარს და ტურისტს ლაოს მოღვაწეობის პერიოდზე. აღნიშნული სახლი კულტურის ძეგლის სტატუსს ატარებს, მაგრამ ღმერთის ანაბარადაა დარჩენილი. ვფიქრობთ, აღნიშნული საკითხი მალე მოგვარდება და იქ განთავსდება ლაო ჯინ ჯაოს ნივთები, ფოტო მასალა და სხვა. ასევე ლაოს საჩუქრები, საქართველოს სხვადასხვა მუზეუმებში და კერძო კოლექციებშია დაცული.

ლაო ჯინ ჯაოს შვილიშვილის, ლიუ ყანდარელ-გუანგვენის საცხოვრებელი სახლიც თბილისში სახლ-მუზეუმის სტატუსს იმსახურებს. ფაქტობრივად სახლი ჩაქვში და თბილისში, ორივე ქვეყნის 127 წლიან ისტორიას ინახავს და მეტ გულისხმიერებას იმსახურებს.



# ადექსანდრა ჩხაიძე

## სახალხო-განმათავისუფლებელი მოძრაობა აჭარაში XIX ს. 50-იან წლებსა და 60-იანი წლების დასაწყისში

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის ანტიოსმალური ბრძოლის მნიშვნელოვანი პერიოდია XIX ს. 50-იანი წლები და 60-იანი წლების დასაწყისი. სამწუხაროდ ჩვენს ისტორიოგრაფიაში მასზე თარიღებითა და ძუნწი ინფორმაციებით იფარგლებიან. ეს კი, უპირველეს ყოვლისა, საბუთების სიმწირით აიხსნება. შესაძლოა სადღაც თურქეთის სიძველთსაცავებში მოიპოვებოდეს უფრო დანვრილებითი მონაცემები იმ ამბებზე. ჩვენთან კი კარგა ხანია საჭიროება მოითხოვს მისაწვდომი საბუთებითა და გადმოცემებით, ისტორიკოსთა ნააზრევით, მათი კრიტიკული ანალიზით უფრო მეტად გავერკვეთ იმ მოვლენებში, რომლებიც გამორჩეულად გილს იკავებს აჭარელი მოსახლეობის „ოსმალობის“<sup>\*</sup> წინააღმდეგ ბრძოლაში.

XIX ს. აჭარის ისტორიაში ყველაზე ბედკრული გამოდგა 50-იანი წლები. იმ დროს დაემთხვა ყველა უბედურება, რაც პერიოდულად ტანჯავდა ამ მხარეს.

ჩვენი კუთხის ისტორიის ფუნდამენტური ნაშრომი: „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევი“ (1) საერთოდ დუმს XIX ს. შუა ხანების სახალხო-განმათავისუფლებელი მოძრაობის შესახებ აჭარაში.

იმდროინდელი მეტადრე მღელვარე მოვლენების სათავე ოსმალეთის იმპერიაში გატარებულ რეფორმებში დევს, ხოლო ყირიმის ომის (1853-1856 წწ.) მსვლელობის და შედეგების მძიმე პირობებმა მდგომარეობა უფრო გაართულა.

ოსმალეთის იმპერია XIX ს. პირველ ნახევარში მონინავე ევროპასთან შედარებით ჩამორჩენილ ქვეყანას წარმოადგენდა. ჩამორჩენილობის ერთ-ერთ ნიშანს იმპერიის სუსტ ცენტრალიზაციაში ვხედავთ. ეს მდგომარეობა დადებითად აისახებოდა თურქთა მიერ დაპყრობილ ისტორიული საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ტერიტორიებზე, მათ შორის აჭარაზეც, რადგან დამპყრობელი მთელი ძალით ვერ ახორციელებდა ასიმილაციურ პოლიტიკას, ამიტომ აქაური მოსახლეობა ჯერ კიდევ შესაბამის დონეზე ინარჩუნებდა თვითმყოფადობას, ენას, კულტურას, ისტორიულ მეხსიერებას, ნაწილობრივ მართლმადიდებლურ რელიგიასაც.

1839 წ. პორტამ<sup>\*\*</sup> ზომიერი პროგრესული რეფორმები წამოიწყო. მის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიზანს ქვეყნის ცენტრალიზაციის განმტკიცება წარმოადგენდა. რეფორმები, ანუ როგორც მას უწოდებდნენ, თანზიმათი ნელ-ნელა

\* „ოსმალობა“ – ოსმალური სოციალურ-პოლიტიკური სისტემა.

\*\* პორტა – ოსმალეთის იმპერიის მთავრობა.

ნლების განმავლობაში მიმდინარეობდა და იგი ქვეყნის გაძლიერებას ემსახურებოდა. ამას კი ჩვენის მხარის იმპერიაში ინტეგრაცია, მოსახლეობის თავისთავადობის შეზღუდვა და აღმოფხვრა უნდა მოჰყოლოდა. თანზიმათი ნორმალურად ვერ ვითარდებოდა, ჯერ ერთი მას ხელს უშლიდნენ კონსერვატორები და რეაქციონერები, ასევე მაჰმადიანური სასულიერო ფენაც, რადგან ოსმალეთი თეოკრატიული სახელმწიფო იყო, ხოლო ეხლა ძლიერდებოდა საერო ელემენტები, სუსტდებოდა ყურანის და შარიათის გავლენა (2.297). გარდა ამისა, ცვლილებებს მოსახლეობაც წინააღმდეგობას უწევდა. ასეთი მოვლენა იყო 1844 წლის აჯანყება აჭარაში (3), ასევე, ქორ ჰუსეინ ხიმშიაშვილის მომხრეთა ბრძოლა იმავე 40-იან წლებში. ჩვენს ისტორიოგრაფიაში, ძირითადად ეყრდნობიან რა გიორგი ყაზბეგს (4.69) მიჩნეულია, რომ ხსენებული აჯანყების და ქორ ჰუსეინის მომხრეთა ანტისახელმწიფოებრივ ქმედებათა ნეიტრალიზაციის შემდეგ, 40-იანი წლების ბოლოს და 50-იანი წლების დასაწყისში აჭარაში ენერგიულად დაიწყო თანზიმათის გატარება (5.79, 6.118, და სხვ.); ეს კი, როგორც საერთოდ იმპერიის მასშტაბით, მეტ ინტეგრაციას, გაოსმალებას გულისხმობდა. წინასწარ ვიტყვი, რომ ცვლილებების პირველი ეტაპი ოსმალეთის იმპერიაში ყირიმის ომის დროს (1853-1856 წწ.) შეჩერდა.

ფეოდალური წყობის შეცვლის და მმართველობის თანამედროვე ფორმებზე გადასვლის უმნიშვნელოვანესი მომენტი ოსმალეთის იმპერიაში იყო სამხედრო-ლენური სისტემის გაუქმება და ახალი ადმინისტრაციული აპარატის შექმნა. იგი აქ 1834 წელს გაუქმდა, მაგრამ გაუქმების პროცესი სხვადასხვა მხარეში გაჭიანურდა, კერძოდ ჩვენთან აჭარაში. „სამხედრო-ლენური სისტემის ლიკვიდაცია ჩვენთვის საინტერესო მხარეში პრაქტიკულად დაიწყო 1851-1852 წლებში და როგორც საბუთებიდან ირკვევა მისი სრული გატარება 10 წელს გაგრძელდა“ (7.51). როგორც აღვნიშნეთ, აჭარაში 40-იან წლებში დაწყებული ცვლილებები მოსა-

ხლეობის უკმაყოფილებას იწვევდა. მტკივნეულად მიმდინარეობდა საგადასახადო სისტემის რეორგანიზაცია, რომელიც 50-იან წლებში უკვე განახლებულად მოქმედებდა. განსაკუთრებით უსიამოვნო იყო ჯარში განწვევის ახალი სისტემის დანერგვა. ზაქარია ჭიჭინაძე წერდა: „1850 წელს კი მთავრობამ განუცხადა მკაცრი ბრძანება ჯარში გაყვანის გამო. 1851წ. აჭარელნი ამ ბრძანების წინააღმდეგ მკაცრად აჯანყდნენ მაგრამ დადინჯებულ იქმნენ იმ გარემოებისაგან, რომ ამ დროს რუსთა და ოსმალთა ომის ხმები ისმოდა“ (8.207).

თანზიმათი განათლების სფეროში სკოლების გახსნას, ჩამორჩენილი მოსახლეობის ინტელექტუალური დონის ამაღლებასაც გულისხმობდა. აჭარაში მან თავისებური ფორმა მიიღო. აქ გახშირდა ჯამეების და მეჩეთების მშენებლობები. ამათ გვერდით იხსნებოდა სასულიერო სკოლები. ისინი განათლებულ მაჰმადიანებს და თურქეთის ერთგულ ქვემოდომებს ზრდიდნენ. ეს ჩვენს რეგიონში, სადაც ჯერ კიდევ შემორჩენილი იყო მამა-პაპათა წეს-ჩვეულებები, უკმაყოფილებას იწვევდა.

ხდებოდა სახელისუფლებო სტრუქტურული ცვლილებები და საერთოდ XIX ს. 50-იან წლებში დამპყრობლის რეჟიმი ცდილობს აქ სერიოზულად მოიკიდოს ფეხი. „1851 წ. აჭარა ახლად შექმნილ ლაზისტანის სანჯაყში შევიდა (ჭანეთსა და ქვემო გურიასთან ერთად) და ბათუმის კანიკამს დაექვემდებარება. აჭარა შეადგენდა ამ სანჯაყის 2 კაზას (ნაჰიეს): ზემო აჭარას და ქვემო აჭარას. ამის შემდეგ აჭარაში დამყარდა თურქთა ფაქტობრივი ბატონობა და დაიწყო ეროვნული კულტურის (დედა-ენის, ზნე-ჩვეულებებისა და სხვ.) დევნა“ (9.327).

იმდროინდელ ამბებთან დაკავშირებით საინტერესოა თანამედროვეთა მოგონებები. მოვიყვანთ ერთ-ერთ მათგანს: „ჩვენში თათრობა უფრო გამრავლდა სულთან მაჰმუდ II-ს (მაჰმუდ II-ის სულთნობის პერიოდი 1808-1839 წწ.-ა.ჩ.) მერმეთ, ე.ი. თენზიმატის შემოტანით, რომლითაც გამოგვეცხადა ნიზამის გამოყვანა და

უშურის გადახდა, მაგრამ ჩვენ არ ვიყაბულეთ და არც მივეციოთ, რომლის მიზეზით ჯარები გამოგვისიეს, აგვიკლეს, ძალით ფორმანები გამოგვართვეს, ბათუმში გუბერნატორები და-გვიჯინეს, კაიმაკამები და მუდირები დაგვინიშნეს, თავდგირიძეებს ჯამაგირი დაუბეს, ძველი ჩვეულება მოგვიშალეს“ (10.61). ცხადია ეს არ ნიშნავდა, რომ მოსახლეობა ერთგვაროვნად აზროვნებდა, და მოქმედებდა. იყვნენ ისეთებიც რომლებიც მორჩილებას მიეჩვიენ, და დამპყრობთა სამსახურშიც იდგნენ. თუმცა შემთხვევითი არ არის სიტყვები, რომლებსაც ვკითხულობთ თავად ვორონცოვის 1853 წ. 31 ივლისით დათარიღებულ წერილში თავად დოლოგორუკის მიმართ: „აჭარლები და მოსაზღვრე ტერიტორიაზე მცხოვრებთა დიდი ნაწილი ომის შემთხვევაში გვეყოლება მეგზურებად და გვთავაზობენ ჩვენს ავანგარდში სამსახურს“ (11.756).

აჭარის ისტორიის მკვლევარი შამშე მეგრელიძე აჭარაში ანტიოსმალური აჯანყების მნიშვნელოვან თარიღად ასახელებს 1852 წელს (12.11). შესაძლოა ის ეყრდნობა ზ.ჭიჭინაძის ზემოდ მოყვანილ ციტატას, რომელიც ეხება 50-იანი წლების დასაწყისში აჭარელთა აჯანყებას ჯარში გაყვანის ბრძანების გამო; ან კიდევ რომელიმე მოვლენას ასევე ზ. ჭიჭინაძის გადმოცემებიდან რომელთაც ქვემოდ მოვიყვანთ და ეს გადმოცემები ეხება 50-იან წლებში აჭარლების წინააღმდეგობის გამო მიმართულ მასობრივ სადამსჯელო ღონისძიებებს. აჯანყების თარიღად იგივე 1852 წელს გვთავაზობს ზ. ჩიტაძეც (13.64). მისი ნაშრომის ერთ მონაკვეთზე ღირს შეჩერება. იგი წერს: „XIX საუკუნის 50-იან წლებში აჭარა გაეხვია აჯანყების ცეცხლში. აჯანყებას მხარი დაუჭირა აჭარის მთელმა მოსახლეობამ. თავისი მიზნებითა და ამოცანებით აჯანყება ეროვნულ-განმათავისუფლებელ ხასიათს ატარებდა. აჯანყებულ ხალხს ზემო აჭარაში ხელმძღვანელობდა სელიმ ხიმშიაშვილის შვილიშვილი შერიფ ახმედის-ძე ხიმშიაშვილი, ხოლო ქვედა აჭარაში, სელიმის შვილი ქორ-ხუსეინ ხიმშიაშვილი. მათ მხარდამხარ იბრძოდნენ

ხულოელი გაბაიძე და ბერიძე, ქედელი ლორთქიფანიძე და სხვ“. (იქვე, გვ.71). ჩვენ ვიზიარებთ აზრს, რომ XIX ს. 50-იან წლებში აჭარის მოსახლეობა დამპყრობელს მედგარ წინააღმდეგობას უწევდა და ის ეროვნულ-განმათავისუფლებელ ხასიათს ატარებდა. ამავე დროს გამოვეყოფთ სოციალურ ფაქტორსაც და რელიგიის როლსაც. თუმცა ჩვენს ეჭვს იწვევს დასახელებულ პიროვნებათა როლი. შერიფ ხიმშიაშვილს, როგორც აჯანყებულთა ხელმძღვანელს, ვერ ვხედავთ, ხოლო ქორ ჰუსეინ ხიმშიაშვილი იმ დროს გარდაცვლილი იყო. აჭარის იმდროინდელი გაბატონებული კლასის როლის შესახებ ვიზიარებთ ასლან ინაიშვილის აზრს, რომლის მიხედვით თანზიმათის გატარებაში ოსმალეთის ხელისუფლებას დაეხმარნენ აჭარელი ბეგები. იგი წერს: „ხელისუფლებამ მხარის საბოლოოდ დამორჩილების მიზნით აჭარელ, ბათუმელ და ჩურუქ-სუელ სანჯაყ-ბეგებს დიდი შეღავათები მისცა სახელმწიფოს წინაშე ვალდებულების შესრულებაში, აგრეთვე ეს ბეგები მოკლებულნი არ იყვნენ სულთნის წყალობებს, სიგელებს და ფორმანებს. ამ წყალობით აღზევებული აჭარის მაღალი ფენები თურქეთის სახელმწიფოს უფლებათა გამტარებლები გახდნენ“ (14.14). დიახ, თითქოსდა ერთი მხრივ თანზიმათმა შეზღუდა გაბატონებული კლასი, მაგრამ მეორე მხრივ კვლავ ისინი აღმოჩნდნენ ახალ სახელისუფლებო სტრუქტურებში და პრივილიგიურებულ მდგომარეობაში მყოფნი ახორციელებდნენ პორტას პოლიტიკას. რაც შეეხება ზ. ჩიტაძის მიერ გადმოცემულ დანარჩენ სამ პირს (გაბაიძე, ბერიძე, ლორთქიფანიძე), სასურველი იყო ავტორს მიეთითებინა რომელი წყაროდან სარგებლობდა მათი დასახლებისას.

1853-1856 წლებში მიმდინარეობდა ე.წ. ყირიმის ომი. რუსეთი ეომებოდა ინგლისის, საფრანგეთის, ოსმალეთის და სარდინიის კოალიციას. საბრძოლო ოპერაციები სხვადასხვა, საკმაოდ დაშორებულ ტერიტორიებზე მიმდინარეობდა. მათ შორის კავკასიაშიც. აქ კი აჭარას ბათუმითურთ განსაკუთრებით მნიშვნელობა

ენიჭებოდა. ოსმალეთის ხელისუფლებამ გამოიყენა ადმინისტრაციული რესურსი და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს, მათ შორის, აჭარის მოსახლეობას მობილიზაცია გაუკეთა რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ საომრად. ძალაუნებურად ქართველები ორივე მხარეს იბრძოდნენ. შეიარაღებულ დაპირისპირებას ადგილი ჰქონდა როგორც ჩრდილოეთით ქობულეთ-ოზურგეთის, ისე აღმოსავლეთით ზემო აჭარა-ახალციხის საზღვრებზე. საბრძოლო მოქმედებები იწირავდა ადამიანებს და მოჰქონდა მატერიალური ზარალი. მაგალითად, თავდასხმების საპასუხოდ, 1854 წლის მაისის მიწურულს რუსეთის გენერალი კოვალევსკი ახალციხის მხრიდან ზემო აჭარაში შეიჭრა. მან ააოხრა ფაქტიურად დაუცველი სოფლები და აჭარელთა მეურნეობა (11.802-803). საბრძოლო ოპერაციების მიერ აჭარის ეკონომიკაზე მიყენებულმა ზარალმა ცხადია გაზარდა მოსახლეობის უკმაყოფილება. ხელისუფლება სულ უფრო კარგავდა კონტროლს, შეიარაღებულ, მებრძოლ აჭარლებზე.

ყრდნობოდა რა ამ ომის მონაწილის, კავკასიის მეფისნაცვლის, იგივე კავკასიის მოქმედი კორპუსის მთავარსარდლის, გენერალ ადიუტანტ ნიკოლოზ მურავიოვის ნაშრომს, შამშუ მერელიძე წერს, რომ 1855 წელს „ზემო აჭარაში საკმაოდ ძლიერი მღელვარება იყო, მოსახლეობა ოსმალთა მოხელეებს სოფლებში არ ემორჩილებოდა და დევნიდა მათ. აქ ისეთი მდგომარეობა შეიქმნა, რომ ოსმალებმა რეგულარული ჯარის ნაწილებიც კი გაგზავნეს. ისინი მოსახლეობას აიძულებდნენ გაეცათ ჯარიდან გაპარული მეომარი, გადაეხადათ მთავრობისათვის გადასახადი და ლაშქარში ჩაწერილიყვნენ. ოსმალეთის ჯარმა მთელი აჭარა გაიარა, და ყველგან წინააღმდეგობას წააწყდა, „ხალხი ხელისუფლებას არ ემორჩილებოდა“ (5.104). იგივე მურავიოვი 1855 წ. 21 აპრილს წერდა: „გურულების მონათესავე ქობულეთლებს, ეხლა მაჰმადიანებს, გურიასთან შეერთება სურთ და ეს შესაძლებელია. მაგრამ ეხლა ქობულეთლების დაცვისთვის საჭიროა ჯარი. იქ კი ჯარების ყოლა ბათუმის

დაკავებამდე მოუხერხებელია“ (15.331). 1855 წ. სექტემბერში კი გენერალი ნ. მურავიოვი გენერალ ბებუთოვს წერდა, რომ ანტირუსული კოალიციის იმედი „ომერ ფაშა შეუდგა ქედასა და ხულოს შორის გზების დამუშავებას, რადგან თოვლმა დაფარა ის, მაგრამ როგორ შესძლებს ის ამას იმ მხარეში სადაც ბატონობს სრული არეულობა“ (15.124). მართლაც, ომერ ფაშამ ვერ შესძლო აქედან რუსების წინააღმდეგ მოქმედება და მალევე დაბრუნდა უკან. ყოველივე ეს მეტყველებს იმაზე, რომ მიუხედავად აჭარელთა ნაწილის ოსმალთა მხარეს იძულებით ბროლისა, 1855 წელს აჭარაში სერიოზულ ანტიოსმალურ მოძრაობას ჰქონდა ადგილი. ეტყობა ეს მოძრაობა 1856 წელსაც გაგრძელდა (9.327).

ჩვენს ყურადღებას იპყრობს საზოგადო მოღვაწე, ლიტერატურისა და ისტორიის მკვლევარი ზაქარია ჭიჭინაძე (1854-1931 წწ), რომელსაც დიდი დამსახურება აქვს ქართულ ხელწერთა შეგროვებისა და წიგნების გავრცელებაში, განსაკუთრებით აჭარაში, საერთოდ, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში. მან რამდენჯერმე მოიარა ჩვენი რეგიონი ფეხით, სოფლებში აკეთებდა ეთნოგრაფულ და ისტორიულ ჩანაწერებს. თავის ნაშრომში: „მუსულმან ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში“, რომელიც ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს, ის გადმოგვცემს ჩვენთვის საინტერესო პერიოდში ხელისუფლების მიერ ჩატარებულ სადამსჯელო ღონისძიებათა და მის შედეგად ანიოკებული აჭარის სოფლების შესახებ. თარიღებად კი მითითებული აქვს: „1850“ და „1850 წლებში“ ეს სოფლებია: გარეტყე, „1850წ. ამათგან ბევრი გამწყდარან ოსმალთა წინააღმდეგ ომში. ამაების შესახებ ამბებიც ბევრია დაშთენილი“ (16.111). სოფლებს ორთასა და ხოხნასაც 1850-იან წლებში შეუტიეს, აქ, ეტყობა ძირითადად რელიგიური მოტივით, ქრისტიანობის წინააღმდეგ (16.115). ცხემლანა „აქ მოსახლენი შემცირებულ იქმნენ 1850 წლებში, რადგანაც ესენი შენიშნულ იქმნენ ოსმალთაგან მოლაღატედ და ამის გამო მთელი სოფელი გადასწვეს და ხალხიც ოსმალში

ტყვედ ნაიყვანეს“ (16.122). დოლოგანი, „1850 წლებში დოლოგნელებმა ოსმალებს დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს. ესენი არავის ემორჩილებოდნენ, არც ხარჯის მიცემა უნდოდათ, არც ჯარის გაყვანა. პირველად ამათ ასტეხეს ბრძოლა და ოსმალებს დიდი ძალი ჯარიც გაუწყვიტეს, ესენი ვინრო გზებში უსაფრთებოდნენ და იქიდგან უხოცდნენ ხალხს. ბევრის მეცადინეობით ოსმალთ ხალხი დაიმორჩილეს. დამორჩილების შემდეგ ესენი პირველად ეცნენ დოლოგანს და გადასწვეს 75 კომლი. მაშინ აქ 80 კომლიო იყო და მხოლოდ 5 კომლი გადარჩაო“ (16.124). ხერთვისი, „ხერთვისელებმა 1850 წლებში ოსმალთა წინააღმდეგ ისე სასტიკად და გამირულად იომებს, რომ ყველანი გააკვრივესო. დამორჩილების შემდეგ ოსმალთ მთლად გადაუნვათ ეს სოფელი“ (16.126). მალაკონი, „1850 წლებში ამათაც დიდის გამირობის შემდეგ ეს სოფელი მთლად დაუნვეს ოსმალებმა“ (იქვე). ქალახმელა, „ეს სოფელიც ოსმალთ გადასწვეს მთლად 1850წ. რადგანაც სოფელნი მალაკონელებთან შეერთებულნი გამირულად იბრძოდნენ ოსმალთა წინააღმდეგ“ (იქვე). უჩხითი, „1850წ. აქ იყო 40 კომლი, მაგრამ ყველა ესენი დასწვეს ოსმალთ, რადგანაც ესენიც მათ წინააღმდეგ იბრძოდნენ, სხვებთან შეერთებულნი“ (16.127). კირნათი, „1850 წ. ეს სოფელიც დამწვარ იქმნა ოსმალთაგან. მაშინ ამ სოფელში 60 კომლი ყოფილა“ (იქვე). მილისი, „ეს სოფელიც დამწვარ იქმნა ოსმალთაგან 1850წ. და მეტად უწყალოდ, სხვა სოფლებზედ ბევრად უარესად, შიგ ხალხიც ამომწვარა“ (იქვე). „ჯუმუშაური, 10 კომლი. 1855წ. აქედან რამდენიმე კომლი ოსმალმა გადასახლა წინააღმდეგობის გამო“ (16.180).

1856 წლის თებერვალში გაფორმებული დროებითი ხელშეკრულებით დასრულდა ყირიმის ომი (საზავო ხელშეკრულება გაფორმდა სამი თვის შემდეგ). იმავე თებერვალში გამოქვეყნდა სულთნის ახალი რესკრიპტი, რითაც დაიწყო თანზიმათის მეორე პერიოდი, იგი ფაქტიურად 1877 წლამდე, რუსეთ-ოსმალეთის ომის დაწყებამდე გაგრძელდა. რეფორმები ით-

ვალისწინებდა ეკონომიკის განვითარებას, სახელმწიფოს მმართველობის, სასამართლოს და ადმინისტრაციული სისტემის გაუმჯობესებას.

პორტას მიერ არჩეულმა ქვეყნის განვითარების გზამ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში მოსახლეობის ძლიერი უკმაყოფილება გამოიწვია.

1857 წლის 20 დეკემბერს კავკასიის მეფისნაცვლის სამმართველოდან ქუთაისის სამხედრო გუბერნატორს საიდუმლოდ წერდნენ, რომ ბათუმში რუსეთის ვიცე-კონსულის ჯიუდიჩის ცნობით, ლაზისტანის მუთესარიფი საიდ ფაშა ვერაფრით აწყნარებს აჭარლებსა და ქობულეთლებს და აპირებს მიიღოს მკაცრი ზომები: კერძოდ, ათასკაციანი რაზმით და არარეგულარული ჯარით. გაემგზავრება ამბოხებულთა დასასჯელად, აგრეთვე გაათავისუფლებს ჩვენ გოგო-ბიჭებსო (17.ფურც.144).

1858 წლის 25 აპრილს ჯიუდიჩმა რუსეთის ხელისუფლებას აცნობა, რომ საიდ ფაშას ექსპედიციას აჭარაში მოჰყვა 60-მდე ამბოხებულის დაკავება, რომლებიც კონსტანტინეპოლში გააგზავნა (17.ფურც.184).

უკვე ზემოდ აღვნიშნეთ, რომ „ყირიმის ომის“ სამხედრო ოპერაციებმა აჭარის მოსახლეობას მნიშვნელოვანი მატერიალური ზარალი მიაყენა. ნათქვამია, გაჭირვებულ კაცს ქვა აღმართში მიენევაო, თითქოსდა ეს ზარალი საკმარისი არ იყო. რუსეთის კონსული ტრაპიზონში მაშინი 1858 წელს წერდა, რომ „სიმინდის აღება ტრაპიზონის საფაშოში ისევე, როგორც ლაზისტანში უმნიშვნელო იყო, მარცვლეულის, პარკოსნების, კარტოფილის აღება ჩვეულებრივზე ორჯერ უარესი. ამის მიზეზი გამუდმებული გვალვები იყო“ (18.566). იმავე პერიოდში ლაზისტანის სანჯაყის ცენტრში, ბათუმში, ხელსაყრელი ვაჭრობის განვითარების პერსპექტივები ისახებოდა, რისთვისაც რეგიონის სტაბილურობა აუცილებლობას წარმოადგენდა. იგივე მაშინი 1859 წელს წერდა: „...ბათუმის პორტი წარმატებით მიიზიდავს ჩვენს კავკასიურ ტრანზიტს თუკი თურქეთის მთავრობა შესძლებს საბოლოოდ დააწყნაროს აჭარა“ (18.575).

ზ. ჭინჭაძე წერდა: „1859 წელს... ოსმალოს სულთანმა ირადე გამოსცა და ასევე იმ დროს შეიხულ ისლამმა, რომლის ძალით მთელ სამუსლიმანო საქართველოში დასწვეს და დახიეს სამი ათასი მეტი ქართული წიგნი ოსმალური ასოებით დაწერილი, ხოლო ქართული სიტყვებით“ (19. ფურც. 37).

XIX ს. 50-იან წლებში ხელისუფლების პოლიტიკის, ომის, ნგრევის, ეკონომიკური გაჭირვების, მოსახლეობის უკმაყოფილებისა და მის წინააღმდეგ მიმართული სადამსჯელო ღონისძიებათა შედეგად შექმნილ დესტაბილიზაციას თან ახლდა საზოგადოების გადაგვარებული ნაწილის გააქტიურება. ქურდობა, ძარცვა, ყაჩაღობა, ადამიანების გატაცება ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენდა. შესაბამის ფაქტებს მრავლად ვნახულობთ რუსეთის ხელისუფლების საბუთებში. რუს ჩინოვნიკებს უპირველეს ყოვლისა აინტერესებდათ საკუთარი ქვეშევრდომების საკითხი და საგანგაშო ვითარება საზღვარზე. მაგრამ ამ მხრივ შედგენილი საბუთების გაცნობაც საკმარისია, რომ წარმოვადგინოთ კრიმინოგენური მდგომარეობის სირთულე.

ყირიმის ომი ახალ დამთავრებული იყო, ქვეყანა მოუნესრიგებელი და არეული. იმ დროს, 1856წ. აგვისტოში ტრაპიზონის ვალი (გუბერნატორი) რუს კონსულს წერდა, რომ ამავე თვეში ხალხისა და საქონლის მოტაცებაზე, ქურდობაში ჩარეული აღმოჩნდა 12 გურული და 16 ჩურუქ-სუელი, ე. ი. ქობულეთელი (17.ფურც.15). საინტერესოა აგრეთვე ზემოთ წარმოდგენილი 1857 წ. 20 დეკემბრის საბუთი, სადაც გარდა ოსმალეთის ხელისუფლების მიერ მოთმინებიდან გამოსული მოსახლეობის დაწყნარების მცდელობისა, აღნიშნულია გატაცებულ რუსეთის ქვეშევრდომთა განთავისუფლების შესაძლებლობის შესახებ. 50-იანი წლების მეორე ნახევრის საბუთების მიმოხილვა, რომლებიც გადმოგვცემენ კრიმინალური ელემენტების მიერ საზღვარზე ჩადენილ ბოროტმოქმედებებს; შორის ნაგვიყვანს. ამ მხრივ მდგომარეობა სახარბიელო არც რეგიონის შიგნით იქნებოდა.

მიუხედავად ხელისუფლების მიერ გატარებული უმკაცრესი ზომებისა, მშრომელი მოსახლეობის უკმაყოფილების გამოვლენას 60-იანი წლების დასაწყისშიც ვხედავთ. 1862 წ. გაზაფხულზე ზღვისპირა აჭარაში, ეკონომიკურ ნიადაგზე ადგილი ჰქონდა გლეხთა მღელვარებას. ბათუმის რაიონში შეკრებილა 500-600 გლეხი, რომლებიც უკმაყოფილონი იყვნენ გადასახადებითა და ქალაქის ფულის ლითონის ფულზე გადაცვლით. კაიამაკამს შეიარაღებული ძალებისთვის მოუხმია. გამოსვლები ეტყობა ერთ თვემდე გაგრძელდა (20). მღელვარება მაჭახელშიც გადასულა (21.79). ბათუმის რაიონში შეკრებილი გლეხები ხელისუფლებისადმი გაგზავნილი პეტიციის შემდეგ მშვიდობიანად დაშლილან (იქვე). იმავე დროს მღელვარებას ადგილი ჰქონია ქობულეთში. ამის შესახებ ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი აღნიშნული წლის 1 აპრილს სახელმწიფო მდივანს აცნობებდა, რომ ქობულეთლები აღდგნენ ადმინისტრაციის შემავინრობელი და ფინანსური ზომების წინააღმდეგ, შესაბამისად მთავრობას ჯარისთვის მოუყრია თავი (22.1). ეტყობა ამ გამოსვლებმა დიდი გართულებების გარეშე ჩაიარა.

XIXს. 50-იანი წლების აჭარაში განვითარებული უმძიმესი მოვლენების გამოძახილს წარმოადგენდა ქუთაისის საგენერალ-გუბერნატორის ჯარების შტაბის უფროსის პოლკოვნიკ კუზმინსკის 1862წ. 15 ივნისს შედგენილი საბუთი. მასში ვკითხულობთ, რომ თურქეთის ხელისუფლება ქობულეთისა და აჭარის სანჯაყებში დევნიდა დამნაშავეებს და მძარცველებს, რომელნიც სამ ნაწილად არის გაყოფილი: ქობულეთში 15, ხინოში 25 და აჭარაში 200 კაცი. ისინი იმალეებიან აჭარის და ხინოს მთებში და გეგმავენ ძარცვონ ახალციხის და გურიის სასაზღვრო სოფლები (18.580-581). პოლკოვნიკი კუზმინსკი არ უღრმავდება აჭარაში მომხდარ მოვლენებს. მას აწუხებს ამ ჯგუფების მიერ რუსეთის იმპერიის საზღვრებში შეჭრის შესაძლებლობა. ამ საბუთში ვხედავთ ჩვენს რეგიონში 50-იან წლებში ხელისუფლების მიერ გატარ-



რებული ანტიხალხური პოლიტიკის შედეგებს, მოსახლეობის ნაწილის განწყობას და მათ უკიდურეს ზომებს. ცხადია მათ შორის იქნებოდნენ კრიმინალებიცა და ყაჩაღებიც, რომელთაგან მოსალოდნელი იყო ნორმალური საზოგადოებისათვის მიუღებელი საქციელიც.

ნათქვამია, ძალა აღმართს ხნავსო. XIX ს. შუა ხანებში გატარებული პოლიტიკის შედეგად მდგომარეობა ჩვენს რეგიონში თანდათან დამპყრობლის სასარგებლოდ შეიცვალა. შ. მეგრელიძე წერდა: „XIX საუკუნის მეორე ნახევარში ფეოდალურმა თურქეთმა გააძლიერა ძალაუფლება აჭარაში“ (12.12). ცვლილებები მოხდა ადმინისტრაციულ, სასამართლო, საგადასახადო სფეროებში, არმიაში, ყურადღება მიაქციეს განათლებას და სხვ. რაც გლეხებისათვის მნიშვნელოვანი იყო შეიცვალა მიწისმფლობელობისა და მიწათსარგებლობის წესები. „რეფორმების შემდეგ შედგენილ იქნა ოსმალეთისათვის ახალი მოქმედი კოდექსი – დუსტური. იგი გამოცემულ იქნა 5 ტომად... დუსტური აწესებდა სამამულო დავთრებს, რაც შემოღებულ იქნა აჭარაში 1860 წლიდან და ვრცელდებოდა თანდათან სამამულო აღწერასთან დაკავშირებით“ (23.66). ზ. ჭიჭინაძე წერდა: „1850 წ. (ავტორს მისივე ნაშრომებიდან გამომდინარე უდაოდ მხედველობაში აქვს საერთოდ 50-იანი წლები-ა.ჩ.) შემდეგ ქართველი მაჰმადიანი თვით სჭამდა თავის თავს, თავის ვინაობას, მშობლიურ ენას, მწიგნობრობას და თავის თავის ისტორიას, იგი ყველაფერს ივიწყებდა, ყველაფერს კარგავდა“ (8.222). უპრინაია მოცემულ საკითხზე თვით იმ ამბების მომსწრე აჭარლების გადმოცემას მივმართოთ, რომელიც სიმბოლურად ჟღერს: „1860 წლამდე ოსმალეთის მმართველობა მამულში არ შემოგვიშვია“ (24.21).

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ XIX ს. 50-იანი წლები უმძიმესი პერიოდია აჭარის ისტორიაში. იმპერიის მასშტაბით, აჭარაშიც პორტა აგრძელებდა რეფორმებს (რომლის გატარება 1853-1856 წლებში ყირიმის ომთან დაკავშირებით დროებით შეჩერდა), მის მიზანს ჩამორჩენილი ქვეყნის

განვითარების დაჩქარება წარმოადგენდა. ეს რეფორმები ისტორიული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს, იმპერიაში მეტ ინტეგრირებას, გაოსმალებას გულისხმობდა.

ყირიმის ომის სამხედრო მოქმედებებმა უარყოფითი გავლენა მოახდინა ჩვენი რეგიონის ეკონომიკაზე. აჭარელთა ნაწილი მონაწილეობდა ბრძოლებში, იხოცებოდნენ და სახიზრდებოდნენ. მათმა საოჯახო მეურნეობამ კი მნიშვნელოვანი ზარალი განიცადა. როგორც მოუწესრიგებელ ქვეყანას შეესაბამება, ჩვენს რეგიონშიც სახელმწიფო მოხელეები თვითნებობდნენ, ბოროტად იყენებდნენ უფლებებს. ხელი ეწყობოდა ისლამის გავრცელებას. იგი მჭიდროდ დაუკავშირეს განათლების სისტემას, ანუ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში გახშირდა ჯამეებისა და მედრესეების მშენებლობა, ამათ გვერდით კი იხსნებოდა სასულიერო სკოლები. ეს სკოლები წარმოადგენდნენ აქაური განათლების სისტემის ერთადერთ საშუალებას. ისინიც ცდილობდნენ მომავალი თაობა აღეზარდათ ისლამის და იმპერიის ერთგულებად. შესაბამისად, ქრებოდა ქრისტიანობის ნაშთები, საერთოდ ხდებოდა წინაპართა ტრადიციებისა და ზნე-ჩვეულებების იგნორირება. მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა ომის შემდეგაც გაგრძელდა. შექმნილი მდგომარეობით სარგებლობდნენ კრიმინალები.

მოთმინებიდან გამოსული მოსახლეობა წინა აღმდეგობის სხვადასხვა საშუალებას მიმართავდა, ხელისუფლებამ მათ დასაშოშმინებლად უმკაცრესი სადამსჯელო ღონისძიებები გამოიყენა. დაპირისპირება წლების განმავლობაში გრძელდებოდა. ხელისუფლების მიერ გატარებულიმა ზომებმა ნაწილობრივ მიზანს მიაღწია. XIX ს. 60-იანი წლებიდან ხდებოდა ისტორიული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ოსმალეთის იმპერიაში გაძლიერებული ინტეგრაცია, მიმდინარეობდა მოსახლეობის ასიმილაციის პროცესი. 1877-1878 წლების ომის წინ მოსახლეობის ერთმა ნაწილმა ისარგებლა რა სასაზღვრო ზონაში ცხოვრებითა და მოსალოდნელი ომით, შეეცადა


ანტისამთავრობო პროტესტი გამოეთქვა. თუმცა ოსმალეთის ხელისუფლებისათვის ეს დიდ პრობლემას არ წარმოადგენდა. მას უკვე საერთო ჯაშში შეეძლო აქ, მდგომარეობის კონტროლი.

მხოლოდ 1877-1878 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომმა შესძლო აჭარა დედა სამშობლოსათვის

დაებრუნებია. მართალია თურქთა ინკორპორაციის პოლიტიკას ამოდ არ ჩაუვლია და მან გამოიწვია მაჰმადიან და ქრისტიან ძმებს შორის რამდენამდე გაუცხოება. მაგრამ დროთა განმავლობაში ერთ საზღვრებში მყოფ ძმებს შორის მთლიანად აღდგა სულიერი იდენტურობა.

### წყაროები და ლიტერატურა:

1. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, აჭარა, II, გამომცემლობა „შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, ბათუმი, 2009 წ.
2. მ. სვანიძე, თურქეთის ისტორია, გამომცემლობა არტანუჯი, თბილისი, 2007 წ.
3. საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური საისტორიო არქივი (სსცსა), ფონდი 16, საქმე 8085.
4. გ. ყაზბეგი, სამი თვე თურქეთის საქართველოში, გამომცემლობა „აჭარა“, ბათუმი 1995 წ.
5. შ. მეგრელიძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1963 წ.
6. ხ. ახვლედიანი, ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, გამომცემლობა „საბჭოთა აჭარა“, ბათუმი, 1978 წ.
7. ა. ავალიანი, მიწისმფლობელობის ფორმები აჭარაში, სახელმწიფო გამომცემლობა, ბათუმი, 1960 წ.
8. ზ. ჭიჭინაძე, ისტორია ოსმალეთის ყოფილ მუსულმან ქართველთ საქართველოსი, სტამბა ვ. ჩანტლაძისა და ხვინგიას, ბათუმი, 1911 წ.
9. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, თბილისი, 1981 წ.
10. ა. ახვლედიანი, აჭარის საგმირო-საისტორიო სიტყვიერება, ბათუმი, 1970 წ.
11. Акты т. X. 1845-1854 Гг., Изданы под редакцією председателя комиссии д. С.С. А.Д. Берже, Тифлиси, типография, канцелярии главноначальствующаго гражданскою частью на кавказѣ, 1885 г.
12. შ. მეგრელიძე, აჭარის განთავისუფლება თურქთა ბატონობისაგან, სახელმწიფო გამომცემლობა, ბათუმი, 1956 წ.
13. ზ. ჩიჭინაძე, დამყრობთა წინააღმდეგ აჭარის მოსახლეობის ბრძოლის ისტორიიდან, გამომცემლობა „საბჭოთა აჭარა“, ბათუმი, 1974 წ.
14. ა. ინაიშვილი, აჭარის გლეხობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, 1964 წ.
15. Акты, т. XI., 1854-1856 гг., Изданы под редакцією председателя комиссии Н. С. Кобякова, Тифлиси, типография, канцелярии канцелярии главноначальствующаго гражданскою частью на кавказѣ, 1888 г.
16. ზ. ჭიჭინაძე, მუსულმან ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში, გამოცემული ი.ა. მანსვეტაშვილის საფარით, ტფილისი, სტამბა „შრომა“ მუხრანის ქ. №12, 1913 წ.
17. სსცსა, ფონდი 11, საქმე 3022.
18. Акты, т. XII, 1856-1862 г.г. (გამომცემლობა არაა მითითებული, კატალოგში მითითებულია: 1904).
19. აჭარის ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი №303.
20. სსცსა, ფონდი 11, საქმე 3638.
21. შ. მეგრელიძე, ა. სურგულაძე, ახალი საბუთები 1862 წლის მღელვარების შესახებ აჭარაში, ჟურნალი „ლიტერატურული აჭარა“, №4, 1962 წ.
22. სსცსა, ფონდი 8, საქმე 2617.
23. ვ. იაშვილი, აჭარა ოსმალთა ბატონობის პერიოდში, აჭარის ასსრ სახელმწიფო გამომცემლობა, ბათუმი, 1948 წ.
24. ი. ბარამიძე, საადგილმამულო ურთიერთობათა ისტორიიდან სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, გამომცემლობა „ბათუმის უნივერსიტეტი“, 1999 წ.



## რამაზ სურმაანიძე

### ლევილის ბინალარი სამოლეთიდან

2002 წელს, ქართველი ემიგრანტი ქალის, მწერლისა და ქველმოქმედის **თამარ გოგოლიშვილი-პაპავას** (1988-1976 წწ) წიგნში, „გაბნეული საფლავეები“ ლევილში დაკრძალულთა სიაში იხსენიება აჭარის ერთადერთი მკვიდრის, შერიფ ბერიძის (1887-1971) სახელ-გვარი, რომელიც სხვა ქართველ ემიგრანტებთან ერთად პანთეონში განისვენებს. ამ დროისთვის კარგად იყო ცნობილი მეორე მსოფლიო ომში დაღუპულ და უგზო-უკვლოდ დაკარგულ ქართველ მეომართა გვარები. მათ შორისაა ხიხაძირის სასოფლო საბჭოს მკვიდრი შერიფ ბერიძე (1918-?). ამ ორი პიროვნების ასაკობრივი სხვაობის მიუხედავად, დამებადა კითხვა, ხიხაძირელი ჭაბუკი და ლევილში დაკრძალული მებრძოლი ერთი და იგივე პიროვნება ხომ არაა? ამის გასარკვევად 2002 წლის 24 აპრილს გაზეთ „აჭარაში“ გამოვაქვეყნე წერილი „იქნებ თქვენი შვილია, ხიხანელებო?!“

წერილს გამოეხმაურნენ ხიხანის ხეობის მკვიდრნი (**ჯემალ ბერიძე, გურამ ბარათაშვილი**), აგრეთვე აჭარის შრომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ევარსლან ლომაძე**, გაირკვა, რომ ხიხანის ხეობის სოფელ რაქეთის მკვიდრი შერიფ ბერიძე 1939 წელს რუსეთ-ფინეთის ომში დაიღუპა და საერთო არაფერი აქვს ლევილში

დაკრძალულ შერიფ ბერიძესთან. ამგვარად შერიფ ბერიძის ვინაობა კვლავ იდუმალად დარჩა.

გაზეთ „აჭარის“ ფურცლებზე მოგვიანებით გამოგვეხმაურა შუახვევის რაიონის სოფელ სამოლეთის მკვიდრი, **ამირან ბერიძე**, რომელმაც ერთგვარად ნათელი მოჰფინა შერიფ ბერიძის ვინაობას. ბატონი ამირანი აღნიშნავდა: „შერიფ ბერიძე შუახვევის რაიონის სოფელ სამოლეთში ცხოვრობდა. დედა ადრე გარდაეცვალა. დარჩა მამა **ოსმან ბერიძე**, ძმები **ქემალ და სიმონ ბერიძეები**. აგრეთვე ორი და. და-ძმებს (გარდა სიმონისა, რომელიც ოსმანს მეორე ცოლისგან შეეძინა) შერიფი კარგად ახსოვდათ და მისი ცხოვრებიდან ჩვენს დრომდე არაერთ ეპიზოდს იგონებდნენ.

1918 წელს უცოლშვილო შერიფ ბერიძე სოფლიდან ქალაქ ბათუმში წავიდა. აქ ის დაუმეგობრდა ერთ ვაჭარს, ეროვნებით სომეხს, მასთან ერთად გახსნა მაღაზია, სადაც ისინი საკმაოდ წარმატებულად საქმიანობდნენ, ჰქონდათ მოგება და შერიფიც ოჯახს დიდ დახმარებას უწევდა. მის მოვალეობას შეადგენდა მეზობელი ქვეყნებიდან დეფიციტური და იაფი საქონელი ფარულად შემოეტანა, რომლის გასაღებას მისი პარტნიორი სომეხი კისრულობდა. სამწუხაროდ, ერთ ღამეს მაღაზია გაქურდეს, წაიღეს ყველაფერი, რის გამოც თანამოსაქმე-

ები გაკოტრდნენ და შერიფი იძულებული გახდა სოფელში დაბრუნებულიყო.

შერიფ ბერიძის თანასოფლელი **მემედ-ალი ბერიძე** მოგვიყვას, – ამბობს ამირან ბერიძე, რომ 1921 წლის დასაწყისში, ღამით, შერიფს უცნობი კაცი ესტუმრა, სახლიდან გაიყვანა და სოფლის განაპირას დიდხანს ელაპარაკებოდა. ამ საუბრის შინაარსი არავინ იცის. მაგრამ ფაქტია, რომ შერიფ ბერიძემ სახლიდან პირადი ნივთები აიღო და ამ კაცთან ერთად ბათუმში წავიდა. მას შემდეგ იგი სახლში აღარ დაბრუნებულა. ამ დროს საზღვარზე გადასვლა-გადმოსვლა არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენდა. ამიტომ ადამიანის დაკარგვა, მით უმეტეს საზღვრისპირა სოფლიდან, ჩვეულებრივი ამბავი იყო. შერიფ ბერიძეც საზღვარზე გადასულად და დაკარგულად ჩათვალეს.

ამ დროს არავინ იცოდა, რომ შერიფი ქართულ გვარდიაში ირიცხებოდა (იხ. ქვემოთ). „უცნობი კაცი“, რომელიც 1921 წლის დასაწყისში შერიფს სამოლეთში ესტუმრა, ჩვენი აზრით იყო **გიორგი მაზნიაშვილის** სწრაფმრბოლი შიკრიკი, რომელიც 1921 წლის მარტში საქართველოს მთავრობის დავალებით დაფანტულ გვარდიელებს აგროვებდა. სახელოვან გენერალთან ერთად შერიფ ბერიძე მონაწილეობდა 21-23 მარტის ბრძოლებში, რომელსაც ოკუპანტთაგან ბათუმის გათავისუფლება მოჰყვა.

1930 წელს ოჯახმა შერიფისგან პირველი წერილი მიიღო. ავტორი იტყობინებოდა, რომ ცოცხალია და კარგადაა. თუმცა ცხოვრება უჭირს, რადგანაც თვეში 40 ფრანკს იღებს. აქედან ნახევარი პროდუქტებში ეხარჯება, ნახევარს ბინის ქირად იხდის. ეს იყო და ეს. ამის შემდეგ დიდხანს მისგან აღარაფერი მიუღიათ. შესაძლოა წერილებს გზავნიდა კიდეც, მაგრამ იმ დროს ემიგრანტთა ოჯახებს საბჭოთა ხელისუფლება მტრულად უყურებდა და ყოველგვარი კავშირი სახიფათო იყო. ამიტომ 1948 წელს მოსული ერთადერთი წერილი ოჯახის წევრებს არც კი წაუკითხავთ, ისე გაანადგურეს.

**თამარ პაპავას** წიგნში დასახელებული და ლევილში დაკრძალული შერიფ ბერიძის და-

ბადების თარიღი (1887 წ.) ზუსტად ემთხვევა მის ასაკს. შერიფის თანატოლი **ომერ ბერიძე**, რომელიც 1990 წელს 103 წლის ასაკში გარდაიცვალა, გვიყვებოდაო – ამბობს ამირანი, რომ მე და შერიფი ერთ თვეში დავიბადეთ და ბავშვობაც, როგორც ტოლ-სწორებს, ერთად გვაქვს გატარებულიო.

**ამირან ბერიძის** გამობმარებას გვიბიძგავს გაგვეგრძელებინა კვლევა-ძიება. წერილით მივმართეთ საქართველოს დესპანს პარიზში, ქალბატონ **ნათელა ლალიძეს**, რომელსაც საქმის გასარკვევად შუამდგომლობას ვთხოვდით ქართულ სათვისტომოსთან, კერძოდ, ბატონ **მამია ბერიშვილთან**, მაგრამ, სამწუხაროდ, იგი გარდაცვლილი აღმოჩნდა. თუმცა ქალბატონმა ნათელამ ჩვენი თხოვნა უყურადღებოდ არ დატოვა და გადასცა ქართული სათვისტომოს ერთ-ერთ უხუცეს წევრს, ქალბატონ **თამარ პატარიძეს**. მან მოგვანოდა მოკლე, მაგრამ ჩვენთვის საინტერესო ცნობა: „საფრანგეთში ქართულ სათვისტომოში ბატონი შერიფ ბერიძე გამოირჩეოდა არაჩვეულებრივი შრომისმოყვარეობით, რითაც თანამემამულეების პატივისცემა დაიმსახურა. საფრანგეთში ცხოვრების დროსაც შერიფ ბერიძეს ოჯახი არ შეუქმნია. დაკრძალულია ლევილში, ქართველთა სასაფლაოზე (1887-1971). დიდი და პატიოსანი შრომით მოპოვებული მცირე დანაზოგი მან დაუტოვა იმ თანამემამულეებს, ვისაც თავისი დასამარხი ფული არ გააჩნდა.“

ამგვარად, საფრანგეთის ქართულ სოფელში მრავალ „სად წაყვანილ სადაურთა“ შორის განისვენებს ჩვენი ქვეყნის ოკუპაციისა და ძალმომრეობის კიდევ ერთი მსხვერპლი, მთიანი აჭარის ერთადერთი მკვიდრი, ბათუმის გათავისუფლებისთვის მებრძოლი, შერიფ ოსმანის ძე ბერიძე, რომლის შესახებ ქართველმა საზოგადოებამ არაფერი იცოდა.

ბურუსით იყო მოცული მისი მოღვაწეობა ბათუმში 1920-1921 წლებში, აგრეთვე უცხოეთში წასვლის დრო, მიზეზები და წინაპირობები. ადრე ჩვენ ვფიქრობდით, რომ შერიფ ბე-

რიცხე უცხოეთში 1921 წელს გაჰყვა ქართულ ემიგრაციას, მაგრამ ჩვენს მიერ ბოლო დროს მიკვლეული მასალებით დადასტურდა, რომ იგი 1921 წელს საქართველოდან არ წასულა, მონაწილეობდა 1924 წლის აჯანყების მოწყობაში და სახელმწიფოებრივად და ფარულად მცხოვრებმა აჯანყების ჩახშობიდან მხოლოდ ორი წლის შემდეგ შეძლო საქართველოდან წასვლა აჯანყების სხვა მონაწილეებთან ერთად.

სანამ უშუალოდ ამ თემაზე ვისაუბრებდეთ, აუცილებელია აღვნიშნოთ, რომ შერიფ ბერიძე ბათუმში მოღვაწეობდა არა ოდენ რიგითი ვაჭარი და კონტრაბანდისტი, არამედ დამოუკიდებელი საქართველოს სტრუქტურების ჩამოყალიბების აქტიური მონაწილე. როგორც ცნობილია, ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ, აჭარა ოკუპანტთა ხელიდან ხელში გადადიოდა. აქ დამოუკიდებლობამ გვიან, 1920 წლის 7 ივლისს ჩამოაღწია, რადგანაც მხარეში ხან ინგლისელები, ხანაც თურქები და თეთრგვარდიელები ბატონობდნენ.

ქართველი საზოგადოებრიობა აჭარაში რაზმავდა მონინავე ძალებს მხარის დეოკუპაციის და დამოუკიდებლობის გამოცხადებისთვის. ჯერ კიდევ 1920 წლის თებერვლიდან მზადდებოდა თავისუფალი საქართველოს ერთიან ოჯახში აჭარის დაბრუნებისთვის საჭირო პირობები. როგორც აჭარის სახ. მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში (№4) დაცულ საბუთშია ნათქვამი, ამ მიზნით აჭარის მაზრებში ტარდებოდა ხალხმრავალი კრებები, რომლებზეც მოსახლეობას განუმარტავდნენ დედა-საქართველოსთან მხარის გაერთიანების დიდ ისტორიულ მნიშვნელობას. შეიქმნა ქართული გვარდიის აჭარის განყოფილება, რომლის წევრებად აირჩიეს მაზრების წარმომადგენლები: ახმედ ქიქავა, (ბათუმის მაზრა), აბდულ თხილაიშვილი (ქობულეთი), ოსმან მიქელაძე და შერიფ ბერიძე (ხულოს მაზრა) და სხვ.

ჩამოთვლილთაგან ყველა მონაწილეობდა 1921 წლის 21-23 მარტში ბათუმის ოკუპანტთაგან გათავისუფლებისთვის ბრძოლებში, რომელსაც გენერალი გიორგი მაზნიაშვილი სარდლობდა. ამ დოკუმენტით ნათელი ხდება, რომ

შერიფ ბერიძე იმდროინდელ საზოგადოებაში, განსაკუთრებით ბათუმში მოღვაწეობის პერიოდში, დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა და მას ვხედავთ სიაში განსაკუთრებული დამსახურების მქონე მამულიშვილთა გვერდით.

დავუბრუნდეთ შერიფ ბერიძის ცხოვრებას 1921 წლიდან, საქართველოს ანექსიის დღეებიდან. როგორც ირკვევა, შერიფ ბერიძე, რომელსაც პროტესტით გამსჭვალული ქართული ძალებისთვის მრავალი სარგებლის მოტანა შეძლო, იმთავითვე მოხვდა ამ ძალების ყურადღების ცენტრში. ეს იყო ადამიანი, რომელიც კარგად იცნობდა აჭარას, მის საზღვრებთან მისასვლელ გზებს (ხშირად გადადიოდა კონტრაბანდის გადმოსატანად), იცოდა თურქული ენა და როგორც მუსლიმანი, ნდობით სარგებლობდა აჭარის მოსახლეობაში.

კონსპირაციის მიზნით 1921 წლიდან შ. ბერიძემ შეიცვალა მხოლოდ სახელი და შერიფის ნაცვლად დაირქვა ივანე, თუმცა აჭარის მოსახლეობასთან ნდობის შესანარჩუნებლად, კვლავ მუსლიმან ქართველად დარჩა. ასე იხსენებენ მას თანამებრძოლები და მეთაურები. ანტისაბჭოთა აჯანყების მეთაურებთან ახლო ურთიერთობაში შერიფ ბერიძეს 1922 წლიდან ვხედავთ. იგი თან ახლდა ყოფილ ბოლშევიკს ცნობილ ვლასა მანწკავას და მონაწილეობდა მრავალ თავზეხელაღებულ ოპერაციებში.

თემას გადავუხვევ და მოკლედ მოგიტხრობთ ვლასა მანწკავას ვინაობაზე; მის შესახებ მასალები აღმოჩნდა პროფ. შუშანა ფუტკარაძის რედაქტორობით გამოცემულ წიგნში „წერილები სტამბოლის ქართული საგანიდან“ (ბათუმი. 2017 წ. გვ. 849, 850). ავთანდილ არსენის ძე ურუშაძის ვრცელ მოგონებაში საუბარია ვ. მანწკავაზეც, რომელიც გურიაში „ნესრიგის დამცველად“ დანიშნულ ცნობილი ჯალათის ობოლადის სისხლიანი მოქმედებების გამო ყაჩაღად გავარდნილა. ობოლადეს სოფელ ჯურუყვეთში დაურბევია ავთანდილ ურუშაძის სახლი, ხოლო ახალგაზრდა მანწკავას (ალბათ ვლასას ნათესავის) სახლი გადაუნვაგს. იქვე შეხვედრია მონაფე

და როცა გაიგო მანწკავას ძმა იყო აბრიალებულ ცეცხლში შეუგდია და ცოცხლად დაუნვაკს.\*

გასაგებია რაოდენ დიდი იქნებოდა საბჭოთა ხელისუფლებისადმი მანწკავას პირადი სიძულვილი. ბოლშევიკებმა მზაკვრული ხერხით ვლ. მანწკავა მიიტყუეს, ზესტაფონის სამხედრო კომისრად დანიშნეს და ჩააყენეს შუამავლად იარაღის მოყვარულებთან და ყაჩაღებთან შესარიგებლად; იგი მოელაპარაკა 60-მდე კაცს და თითქოს შერიგებაც შორს აღარ იყო, მაგრამ ვლასამ ადრევე გაიგო, რომ მთავრობას გადაწყვეტილი ჰქონდა დაეხოცა ყველა მათგანი. ამიტომ მანწკავა თავადაც შეუერთდა თავზეხელაღებულ ყაჩაღებს, შეუდგნენ იარაღის შეგროვებას და გადავიდნენ გურიაში.

1922 წლის 24 ნოემბერს ვ. მანწკავამ თავის რაზმელებთან ერთად გაძარცვა ზესტაფონის სამილიციო დაწესებულება. მიზანი იყო იარაღის გატაცება, საკუთარი რაზმის შეიარაღება და მილიციის განიარაღება, რაც მომავალი ანტისაბჭოთა აჯანყების განხორციელებისთვის აუცილებლობას წარმოადგენდა. ამ ოპერაციის შემდეგ ვლასა მანწკავა და ივანე (შერიფ) ბერიძე დაესწრნენ ჩიხორის ეკლესიაში გამართულ საიდუმლო კრებას. ამ შეხვედრის შესახებ, საინტერესო ცნობას ვკითხულობთ ვალიკო ჩუბინიძის მოგონებებში: „ჩვენი კრების დასასრულს მოვიდა ერთი ჩვენი რაზმელი აბესალომ ურიათმყოფელი, გრიგოლ აბაშიძის (ნაც. დემოკრატი, ერთ-ერთი რაზმის უფროსი, რ.ს.) მოადგილე რაზმში და გადმოგვცა, რომ ხვალ 10 გიორგობისთვის 1922 წ. მე დავუნიშნე პაემანი ვ. მანწკავას და თქვენც ინახულეთო. ილიკო ჯუღელი, ბიძინა მდივანი, გოგიტა აბდუშელი და მე წავედით ქვედა საზანოში. ჭუმბურიძის ბინაზე მოვიდა ვ. მანწკავა და ივანე ბერიძე (მუსლიმანი)“, – წერს თავის „მოგონებებში“ (პარიზი. 1953 წ.) ვალიკო ჩუბინიძე.

იმავე 24 ნოემბერს საიდუმლო კრება გაუმართავთ სვირში ალექსანდრე მდივნის მარაზში, აქ საუბარი იყო იმაზე, რომ უარი ეთქვათ

აჯანყებაზე და იარაღი დაეყარათ, მაგრამ რაზმელთა შორის მრავალი ტერორისტი და დეზერტირი იყო; მათ თავის გადარჩენის სურვილი ამოძრავებდათ და აჯანყებაზე უარის თქმას ემხრობოდნენ, მაგრამ იარაღის ჩაბარებაზე არ თანხმდებოდნენ. ამ აზრის ყოფილან ვლასა მანწკავა და ივანე ბერიძე. ამ მოვლენების შემდეგ, იკარგება ივანე (შერიფ) ბერიძის კვალი და იგი მხოლოდ 1924 წელს, აჯანყების დაწყების წინა დღეებში ჩნდება. თანაც, როგორც აჯანყების ერთ-ერთი აქტიური წევრი.

27 აგვისტოს საღამოს რვა საათზე, სოფელ დიდი რგანის ეკლესიის ეზოში „დამხვდა მოსული ორი კაცი: კალისტე სარალიძე და ივანე ბერიძე (მუსლიმანი), ცოტა ხნის შემდეგ მოვიდნენ: ს. ხვედელიძე, ი. სამხარაძე, ედუარდო: ი. ციმაკურიძე, ვ. გველესიანი და ი. ყიფშიძე (მღვდელი)“. აქ მათ კიდევ შეემატათ ქვაცხიდან და კაცხიდან 32 კაცი. ეკლესიაში ხანმოკლე საუბრის შემდეგ ვალიკო ჩუბინიძეს ისინი დაუნიშნეს სამ ჯგუფად: „პირველი ჯგუფის უფროსად დავნიშნე პარმენ ქველიძე. მის ჯგუფში შედიოდა 12 კაცი: ი. ბერიძე, კ. სარალიძე, შ. კუპატაძე, უგრეხელიძე და სხვ. რომლის ამოცანა იყო ჭიათურის სამაზრო ჩეკას აღება“.

ნათელი ხდება, რომ ადრე ვ. მანწკავასთან ერთად აჯანყებაზე განრიდებული ი. ბერიძე კვლავ ჩადგა აჯანყებულთა რიგებში და მონაწილეობს ისეთ სახიფათო ოპერაციაში, როგორც ბოლშევიკთა საგანგებო კომისიის შენობის აღება. ეს ოპერაცია, ისე როგორც საერთოდ აჯანყება, მარცხით დამთავრდა. ამის შემდეგ შერიფ (ივანე) ბერიძე მიეკედლა ვალიკო ჩუბინიძის რაზმს, რომელმაც დაგეგმა თურქეთში გაქცევა მაჭახლის ხეობის გზით. თურქეთში გადასასვლელი გზები შერიფ ბერიძისთვის უცხო არ იყო. იგი ძირითადად გადადიოდა უჩამბის და სხალთა-ხიხანის ხეობიდან, მაგრამ მაჭახლის ხეობის გზებს არ იცნობდა, ამიტომ საჭირო გახდა სხვა გამყოლების მონახვა. 1926 წლის 25 ოქტომბერს, ლტოლვილები, რომელთაც აცი-

\* ობოლადე მოკლეს ბოლშევიკებმა და გაავრცელეს ხმა, რომ ეს მენშევიკებმა ჩაიდინესო, რის გამო ამ ბრალდებით ოზურგეთში მათთვის არასასურველი 92 კაცი დახვრიტეს.

ლებდნენ ძმები დურსუნ და ხასან ჯინჭარაძეები, ბათუმში ჩამოვიდნენ. სხვათაშორის, ამ გვარიდან გამოსული ერთი პიროვნების, მემედ ჭინჭარაძის შესახებ ცნობას წავაწყდი ექვითმე თაყაიშვილის საზღვარგარეთულ ჩანაწერებში. მეცნიერს მზად ჰქონდა სამშობლოდან წაღებული ვრცელი ნაშრომი, „არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმსა და სვანეთში“, მაგრამ უსახსრობის გამო ვერ გამოსცა. პარიზში მცხოვრებმა ემიგრანტებმა წიგნის დასაბეჭდად შეაგროვეს შემოწირულობები. შემომწირველთა შორისაა მემედ ჭინჭარაძე. რომელსაც გაუღია 40 ფრანკი (გურამ შარაძე, დაბრუნება, I, თბილისი, 1991 წ., გვ. 173-175). ამ საკითხზე ჩემი წერილი გამოქვეყნდა გაზეთ „აჭარაში“ (№35, 30-31 მარტი, 2010 წ. გვ. 3), ახლობლებს ვთხოვდი გამომხმაურებოდნენ, რასაც სამწუხაროდ შედეგი არ მოჰყვა და მემედ ჭინჭარაძის ვინაობაც დღემდე უცნობია.

**ვალეკო ჩუბინიძის** დღიურში ნათქვამია: „აჭარის წყალზე ფეხით გადავედით. მდინარე მაჭახელაზე ვილაც ორმა კაცმა გადაგვიყვანა. სამი დღე და ღამე ვიარეთ ტყეზე... მივუახლოვდით საზღვარს დილით. გავუსწორდით საბჭოთა ბოძს, მე მივაფურთხე მას და ტყვიებიც მივაცარე. მშვიდობიანად ჩავედით ზედა მაჭახელაში“. შემდეგ ლტოლვილები ბორჩხა-ართვინხოფას გავლით, გემში ჩასხდნენ და სტამბოლისკენ გასწიეს.

ჩვენთვის უცნობია აქედან როდის და რა გზებით ჩააღწიეს ვალეკო ჩუბინიძემ და ივანე ბერიძემ პარიზში, შერიფის პარიზული ცხოვრების შესახებ კი ვიცით მხოლოდ ქალბატონ თამარ პატარაძის მოკლე წერილით, რომელიც ზემოთ მოვიტანეთ.

ამ წერილით გაირკვა, რომ ნახევარი საუკუნის წინ პარიზში გარდაიცვალა ერთი მიუსაფარი, ახლობლებს დანატრებული მთიანი აჭარის ერთადერთი მკვიდრი, სამოლეთელი შერიფ ბერიძე. ამ ხნის მანძილზე მის საფლავს არ ღირსებია ჭირისუფალთა მოყრილი მუხლი; საფრანგეთის დედაქალაქში საქართველოდან წასულ თითქმის ყველა მოგზაურს ვთხოვდით



**შერიფ ბერიძის საფლავი ლევილში**

მოეხილათ შერიფის მარადიული სამყოფელი და სურათიც გადაეღოთ, შედეგს ვერ მივალწიეთ.

ამ დღეებში პარიზს ესტუმრა ბათუმის დელეგაცია, რომელმაც მონაწილეობა მიიღო ქართველ მხატვართა გამოფენაში. დელეგაციის შემადგენლობაში იყო ქალთა მოძრაობის ცნობილი მოღვაწე, მაია სურმანიძე. მან საგანგებოდ მოინახულა ლევილის ქართველთა ნეკროპოლი, ივანე (შერიფ) ბერიძის განსასვენებელი (ქვაზე ვილაც მადლიანს „გული“ ამოუძერწია), ფოტო-სურათი გადაიღო, ყვავილებით შეამკო, სანთელიც აუნთო და ჩვენი ქვეყნიდან ალბათ პირველმა ჭირისუფალმა მოიხადა ადამიანური ვალი ასი წლის წინ უცხოეთში გადაკარგული ერთი ქართველი თანამემამულის სულის წინაშე.

19 თებერვალი, 2020 წ.



# ავთანდილ დიასაშიძე

## „სოღვაე მოგვიცვა, ნათელსა გარს მოხვიე ბნელია“

(ტყვეთა და ყრმათა სყიდვა საქართველოში)

ტყვეთა და ყრმათა სყიდვა ფეოდალური საქართველოს მძიმე სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობის შედეგი იყო. ადამიანებით ვაჭრობა, ტყვეების და ყრმების სყიდვა ქართველი ერის განვითარებას, მის დამოუკიდებლობას დიდ საფრთხეს უქმნიდა, უდიდესი ზიანი ადგებოდა საქართველოს მოსახლეობის ზრდის საქმეს და ქვეყნის ძლიერებას, რადგან ქართველთა საუკეთესო ნაწილი, მისი ჯანსაღი ახალგაზრდობა განუწყვეტლივ მიედინებოდა უცხოეთში და სამშობლოს სამუდამოდ ეკარგებოდა. **„არც ერთ ომს, არც ერთ უცხოელ დამპყრობელს ხმლით იმდენი ზარალი არ მიუყენებია საქართველოსთვის, რამდენიც ამ „მშვიდობიანმა“ ტყვეთა სყიდვამ მიაყენა მას“**, – სამართლიანად აღნიშნავდა აკადემიკოსი ნიკო ბერძენიშვილი.

ეს მძიმე სენი – ტყვე ადამიანებით ვაჭრობა მოიცავდა ევროპის, აზიის და აფრიკის კონტინენტებს. ტყვის სყიდვის ისტორიაში გამოყოფენ ორ პერიოდს: XIV-XV საუკუნეები და XVI-XIX საუკუნეები (გ. იოზაშვილი, ჟამი ცოდვისა უმძიმესისა, ბათუმი, 1997 წ. გვ. 7).

საქართველოში ტყვეთა სყიდვა XVI-XIX საუკუნეებში მძლავრობდა ოსმალეთ-ირანის მოძალეთ-ბით და ქართველ ფეოდალთა ხელშეწყობით.

საქართველო მთელი სამი საუკუნის (XVI-XIX) განმავლობაში ამ ორი დამპყრობელი სახელმწიფოს – ოსმალეთისა და ირანის საცილო ობიექტი იყო და მის დასაპყრობ-დასამორჩილებლად ფართოდ იყენებდა ყველა ფორმას: ბრძოლას, ადგილობრივი მოსახლეობის წარტყვევნასა და გადასახლებას, ტყვეთა სყიდვას, „ოსმალობისა“ და „ყიზილბაშობის“ დამკვიდრებას. ისინი ბოროტად სარგებლობდნენ ჯარის სიმრავლით, თავიანთი ქვეყნის სიდიდით და ხშირად ესხმოდნენ საქართველოს დასაპყრობად. სისტემატურად აიძულებდნენ მეფე-მთავრებს და მათ გადასახადის სახით უნესებდნენ ქალ-ვაჟების მირთმევას. ამასთან ტყვეთა და ადამიანთა ვაჭრობისათვის სტამბოლში, ახალციხეში, ტრაპიზონში და სხვაგან სპეციალური ბაზრობები ჰქონდა მოწყობილი. ისინი ქართული მხარეების ქართული წარმომავლობის ფაშებს, ბეგებს, ალებს აიძულებდნენ და ავალდებულებდნენ ხშირად დასხმოდნენ თავს მეზობელ ქართულ მხარეთა მოსახლეობას, დაეტყვევებინათ ისინი და მიერთვად მათთვის. ამ გზით ისინი ცდილობდნენ საქართველოს კიდევ უფრო დასუსტებას, დათრგუნვას, მოსახლეობის რაოდენობის შემცირებას და მის ბრძოლისუნარიანობის დაქვეითებას, ქართველი ქალებით და გოგოებით ამდიდრებდნენ თავიანთ ჰარამხანებს, მათ ათხოვებდნენ და აუმჯობესებ-



დნენ ოსმალთა, ირანელთა თუ სხვათა ჯიშს, სისხლს, ხოლო ვაჟები სჭირდებოდათ მოსამსახურეებად, თავიანთი ჯარის მებრძოლეებად, რადგან კარგად იცოდნენ რომ ქართველი უფრო მედგარი მებრძოლი იყო.

ქართველი მეფე-მთავრები ყოველნაირად ცდილობდნენ მოეშორებინათ ეს მძიმე ვალდებულება, მაგრამ ყოველ ასეთ ცდაზე ოსმალეთი სჯიდა მონინალმდეგეებს და მათ წინააღმდეგ გამანადგურებელ ექსპედიციებს აგზავნიდა (გ. იობაშვილი). ჟან შარდენს აღწერილი აქვს ერთი ასეთი ეპიზოდი: 1672 წლის სექტემბერში მისი ყოფნა სამეგრელოში დაემთხვა ოსმალთა ერთ-ერთ შემოჭრასა და თარეშს. მან თავი შეაფარა ერთი აზნაურის ციხეში. „ეს აზნაური არ ჩანდა ისეთი გაიძვერა აზნაური, როგორც სხვები“. 30 სექტემბერს ამ აზნაურთან თურქი სამხედრო მოხელე გამოცხადებულა და მოუთხოვია მორჩილების ნიშნად ფაშას ხლებოდა. ეს აზნაური სახელად საბახტარი, ეახლა ფაშას და თან 4 ტყვე მიართვა მას საჩუქრად. ფაშამ ამავე დროს მას მოსთხოვა ერთგულების ფიცი, დამატებით ერთი შვილის მძევლად მიცემა და ქალ-ვაჟი ძღვნად. საბახტარი დათანხმდა ფაშასთვის ძღვნად ორივე სქესის 10 ახალგაზრდა, 300 ეკუის ვერცხლი ან აბრეშუმი მიერთმია... ეს ხარკი მან შეკრიბა ყველასაგან, ვინც მასთან იყო თავშეფარებული. ყველა ოჯახიდან, სადაც 4 ბავშვი ყავდათ ერთი მას მიჰყავდა. ეს იყო მეტად გულსაკრავი სანახაობა, როგორ გლეჯდნენ დედებს მკლავებიდან საბრალო ბავშვებს, ჰკრავდნენ ორ-ორად და მიჰყავდათ თურქებთან“, – აღნიშნავს შარდენი. ასეთი ფაქტები კი უამრავი იყო. დადიანი ხვანთქარს ხარკს გარდა ტილოს გარკვეული რაოდენობისა, აგრეთვე ადამიანებითაც უხდიდა: 30-100 კაცამდე ყოველწლიურად (პ. გუგუშვილი).

როგორც ევროპელი მისიონერების დაკვირვება-გადმოცემით და ქართველ ისტორიკოსთა გამოკვლევებით დგინდება, ტყვეებითა და ყმებით ვაჭრობა სავსებით ჩვეულებრივი მოვლენა იყო ფეოდალურ საქართველოს თავადაზნაურებისათვის. ეს საზიზღარი ჩვეულება იმიტომ გავრცელდა ასე ადვილად, რომ საქართველოში ბატონები უღვრთონი და მრავლად იყვნენ. საქართველო სავსე იყო თავადებით, რომელთაც განუზომელი უფლება ჰქონდათ. თავიანთ ქვემეგრდომებს, განსაკუთრებით ყმებს, როგორც უნდოდათ ისე ეპყრობოდნენ, ბატონების ხელში იყო ყრმები, ყრმათა ქონება, სინდისი და ნამუსი, როგორც უნდოდათ ისე მოეპყრობოდნენ. ხელის შემშლელი არავინ ჰყავდათ, ამიტომ სიადვილით, როგორც უბრალო რამე ნივთს, ოსმალებზე ჰყიდნენ. თითოეულის ჩვეულებრივი ფასი იყო 25 ან 30 რომაული სკუდი. ვინც მეტს გადაიხდიდა ყმასაც იმას მიჰყიდდნენ, ოსმალთს, ბერძენს, ევროპელს თუ სხვას (პატრი იოსებ რომაელი, მიხეილ თამარაშვილი, პაატა გუგუშვილი). 1640 წლის 20 სექტემბერს რომში გაგზავნილ წერილში იტალიელი მისიონერი ჯუზეპე ჯუდიჩე წერდა: „ამ თვეში სამეგრელოდან კონსტანტინოპოლში გადის თურქთა გემები, დატვირთული აქაური საქონლით და განსაკუთრებით, სამეგრელოში, იმერეთსა და ქართლში თურქებზე გაყიდული ქრისტიანი ყმანვილებით, ყოველ წელს გაყიდულთა რიცხვი არანაკლებ ორი ათას აღწევს“. კათოლიკე მისიონერებს დიდ ცოდვად და მიუტყვევებელ ბოროტებად მიაჩნდათ ბავშვების, ყმანვილების და საერთოდ, ადამიანთა თურქებისათვის მიყიდვა.

საქართველოს XVII-XIX საუკუნეებში ასევე დიდი ზიანი მიაყენა ლეკიანობამ. დაღესტნის ფეოდალები და ტომთა ბელადები მოსვენებას არ აძლევდნენ ქართველ მოსახლეობას, განსაკუთრებით კახელებს. ლეკების თავდასხმების ძირითადი მიზანი ტყვეების გატაცება იყო. ტყვეები მიჰყავდათ იმ მიზნით, რომ პატრონებს, ოჯახის წევრებს ტყვე გამოესყიდათ ან ბაზარზე გაეყიდათ. საქართველოდან გატაცებულ ტყვეებს ისინი ყირიმის, ოსმალეთის და სპარსეთის ბაზრებზე ასაღებდნენ. მოტაცებული ტყვეები ოსმალეთის ბაზარზე ლეკებს ორი გზით მიჰყავდათ: პირველი გზა ქარ-ბელაქანიდან დაღესტანში გადიოდა, დაღესტნიდან კი ყირიმში. მეორე ახალციხიდან პირდაპირ ოს-

მალეთისაკენ, საიდანაც ტყვეები გაჰყავდათ ეგვიპტეში, ალჟირში, არაბეთსა და სხვა ქვეყნებში (ლექიანობა, თბ., 2012 წ. გვ. 10-11).

ლექიანობის მსხვერპლი არაერთი ქართველი გამხდარა, მათ შორის დიდი ქართველი პოეტი დავით გურამიშვილიც გახლავთ. 1729 წლის ზაფხულში იგი 15 კაცისაგან შემდგარ ლექთა რაზმს ტყვეთ გაუტაციათ. ლექებმა ის მიიყვანეს ოსოქოლას, სადაც ჯერ მოიმსახურეს და მერე გაყიდვა დაუბირეს. როდესაც დავითმა გაიგო ეს, გაიპარა, მაგრამ დაიჭირეს და „დააპანლურეს“ კარგად, რაზეც იგი ამბობს:

„შემიპყრეს, წამომიყვანეს, ხელ-მომიდევს გენია,  
გარდმომატარეს ასი მთა, მინდორი ცხრა იმდენია;  
მუდამად თვალთა ნაკადი მდულარე ცრემლი მდენია,  
მაჭამეს დუმა და ხალი, მახვრიტეს ხინკლის წვენია.

მიმიყვანეს, არა ღირსთა ღირსეულად მამსახურეს,  
არც მასვეს არც მაჭამეს, არც ჩამაცვეს არც დამახურეს.  
უსასყიდლოდ მიღებული გასასყიდლად დამაშურეს.  
გავეპარე, დამიჭირეს, რად წახველო, დამაპანლურეს“.

ლექები 1827 წელს თავს დაესხნენ გარეჯის უდაბნოს. გაძარცვეს მონასტერი და თან წაიღეს დიდძალი განძეულობა; გარდა ამისა ტყვედ წაიყვანეს ბერი მიტროფანე, მორჩილი მიხეილ სერგიაშვილი, ორი კაცი ყარაული და ერთი რუსის ყმანვილი. ლექების გარდა ადამიანთა მოსატაცებლად თარეშებს ოსებიც აწყობდნენ (გ. იობაშვილი).

სამწუხაროდ ამ დიდ ცოდვა-საქმეს საქართველოში ცალკეული ოჯახებიც მისდევდნენ, რაც უპირველესად ზნე-დაცემულობით და მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობით იყო გამოწვეული. ასე იყო მაგალითად, 1810-12 წლებში კავკასიაში და კერძოდ საქართველოში. თვით ხელისუფლების ამაზრზენი სიტყვებით რომ ვთქვათ, „მამები პურის ნატეხისათვის სამუდამო მონობაში ჰყიდდნენ თავიანთ შვილებს, ხოლო სასონარკვეთილი დედები ტყეებსა და გზებზე აგდებდნენ შიმშილისაგან არაქათ გამოცლილ თავიანთ ძუძუმწოვარ ბავშვებს“. იყო შემთხვევები, როცა მშობლები შვილებს ჰყიდდნენ, შვილები კი მშობლებს. ამიტომაც გერმანელი განმანათლებელი და მოაზროვნე ი. გ. ჰერდერი სამართლიანად წერდა: „მძიმე იყო ქრისტიანული საქართველოს ბედი და ისტორიული ყოფა. მასში არის ეკლესიები და მონასტრები, არიან პატრიარქები, ეპისკოპოსები და ბერები; ქალები-ლამაზები, მამაკაცები-გულადნი და მაინც მშობლები ჰყიდნიან შვილებს, ქმრები ცოლებს, თავადები ყმებს, მორწმუნენი მღვდლებს“.

ასე, რომ ადამიანებით ვაჭრობა, ტყვის და ყრმის სყიდვა ფეოდალური საქართველოს საშინელი დაცემის ნიშანი იყო და ხელს უწყობდა ქვეყნის დაუძღურება-დასუსტებას.

ადამიანთა ვაჭრობით, მოსახლეობის საუკეთესო ნაწილის ქვეყნიდან გაყვანით ზიანდებოდა საქართველოს სამეფო-სამთავროების სამხედრო, პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული მომავალი, ქვეყანას ხელიდან ეცლებოდა მწარმოებელი და მებრძოლი ძალა. ამიტომ ამ მძიმე სენის აღსაკვეთად უპირველესად საჭირო იყო სამეფო კარის პრინციპული ქმედება. საამისოდ შეუძლებელია არ გავიხსენოთ პატრიოტი მეფეების სოლომონ I-ის, ერეკლე II-ის და სოლომონ II-ის ღვაწლი და ძალისხმევა.

როგორც ისტორიული წყაროები, ისე ხალხური სიტყვიერება ცხადყოფს, ტყვეთა სყიდვის დაუნდობელ მებრძოლად მოგვევლინა იმერეთის მეფე სოლომონ პირველი (1752-1784). მან თავისი

პოლიტიკური მოღვაწეობა სწორედ ტყვეთა სყიდვის წინააღმდეგ ბრძოლით დაიწყო. „სოლომონ მეფემ, გარდაიცვალა თუ არა მამამისი, ქართველი ტყვეების თურქებისათვის მიყიდვა ყველა თავის ქვეშევრდომებს მკაცრი ჯარიმითა და თვით სიკვდილის სასჯელით აუკრძალა“, – აღნიშნულია რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს კოლეგიის ერთ-ერთ ჩანაწერში (1761 წ.).

ვახტანგ ერეკლე მეორეს ძე ბატონიშვილი წერდა: „სოლომონმა სძლია სერასკერსა ხონთქრისასა, აგრეთვე, ლეკთა დიდთა მხედრობათა შთასრულსა იმერეთად... განყარნა მუნ მყოფნი თურქნი, აღმოკვეთა კნინლა ორნი დიდი ბოროტმოქმედებანი სრულიად იმერეთსა შინა, ე. ი. კაცთა კვლა და მპარაობა. გარნა მესამე უბორეტესი ე.ი. ტყვის სყიდვა დროსა თავისსა სრულიად უჩინო ჰყო“. თვით სოლომონ მეფეც მიუთითებდა, რომ ტყვეებით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლამ მართლაც გამოიღო გარკვეული შედეგი. 1769 წლის 23 ივნისის თარიღით რუსეთის იმპერატორ ეკატერინესადმი გაგზავნილ მიმართვაში იგი აღნიშნავდა: „ხვანთქრის სერასკირებსა და ფაშებს ჩემგან მრავალგზის ტყვეს ხარჯვა და ტყვე უთხოვიათ, და რომ არ მიმიცია ზამთარ და ზაფხულ ომი გვექონებია ძლიერიო. თექვსმეტი წელი სრულ იქნა, რომ ოსმანთ ბრძოლაში ჩემი ხალხის გაუსყიდველობისათვის ვიჭირვი და ვშურებო“. ხალხიც დიდი მეფის ამ ღვაწლს ხედავდა და თვით მეფეს ათქმევინებდა:

„ამის ავი კაცი ვიყავ, ტყვე არვის ვაყიდვინეო,  
გლეხი ვასუქე, ვადიდე, ჩეროს ქვეშ დავაძინეო“.

ადამიანებით ვაჭრობის წინააღმდეგ მიზანმიმართულად იბრძოდა ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II (1762-1798). სწორედ ერეკლეს მიერ მოსახლეობის მატებისათვის გატარებულ მნიშვნელოვან ღონისძიებებში უნდა დასახელდეს ოსმალთა-ყიზილბაშობის დროს განახლებული ყრმათა უმამულოდ გაყიდვისა და ტყვეებით ვაჭრობის აკრძალვა (1772 წ.). მეფემ პირდაპირ მოუწოდა თანამემამულეებს, რომ ადგილზე გაენადგურებინათ ყველა ვინც მათი ცოლის და შვილის დატყვევებას განიზრახავდა. მანვე მიღო ქმედითი ზომები ომებში ტყვედ ჩავარდნილთა თუ უცხოეთში ღალატით გაყიდულთა დასაბრუნებლად. თვითონ ათი ათასამდე ტყვე დაიხსნა, რაც 400 000 მანეთი დაუჯდა (ა. გელაშვილი, ერეკლე II, თბ., 2018 წ. გვ. 74). ერეკლე მეფე თვითონ ხელმძღვანელობდა არაერთ ბრძოლას ლეკების განუწყვეტელი თავდასხმების წინააღმდეგ, ლეკთა მიერ ქართველ ტყვეთა გატაცებების აღსაკვეთად...

დასავლეთ საქართველოში მე-19 საუკუნის დასაწყისიდანვე ტყვეებით ვაჭრობის აღკვეთისათვის მედგრად იღვწოდა იმერეთის მეფე სოლომონ II (1789-1810), მაგრამ ტყვეებით ვაჭრობა იმდენად მომგებიანი და სარფიანი ყოფილა მოღალატე თავადაზნაურებისათვის, რომ მეფის მუქარა მათ ამ ჩვეებისაგან ხელს ვერ ალებინებდა.

ქართველ მეფეთა მიერ ტყვეთა და ყრმათა სყიდვის აკრძალვისათვის სამეფო ხელისუფლებისათვის გატარებული ღონისძიებები ბოლომდე ვერ იქნა მიყვანილი, რადგან ამ მავნე სენის აკრძალვას საქართველოს დაუძინებელი მტერი ოსმალეთი რადიკალურად ეწინააღმდეგებოდა. მაგალითისათვის ისიც კმარა, რომ 1766 წლის თებერვალში ოსმალეთის სულთნის მიერ ფაშებს ებრძანათ შევიდნენ საქართველოში მთელი თავისი ჯარით, რადგან ეს პროვინცია არ იხდის იმ წლიურ გადასახადს, რომელიც დაადო მისმა უმაღლესობამ“ (ე. ი. სულთანმა – ა. დ.). დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის ძლიერი წინააღმდეგობის მიუხედავად, ამ ომში ოსმალებს მაინც გაუმარჯვიათ და კიდევაც 800 ქართველი ტყვე წაუყვანიათ.

ამ საშინელი ცოდვის და ბოროტების შემყურე, ცხადია, ეკლესია ვერ იქნებოდა, მითუმეტეს, რომ ადამიანებით ვაჭრობით მას ქრისტიანი მრევლი აკლდებოდა და ეს პროცესი ქრისტიანობის

დასუსტებისთვისაც იყო მიმართული და მართული ოსმალეთისა და სპარსეთისაგან. „წარმოდგენაც კი ძნელია“, – წერს დონ ჯუსტი პრატო, – თუ რამდენად დიდია სპარსეთისა და კონსტანტინეპოლის თურქების სიხარბე ყმანვილი ქრისტიანებისადმი. ამ მხარეში ვერავინ ბედავს გადაიყვანოს ბიჭები ერთი ადგილიდან მეორეში, მაშინაც კი, როდესაც კი მას მიჰყვება საკუთარი მამა, მცირე მონყალების ფასად (სპარსელები და თურქები) ართმევენ მათ ბავშვებს, არა მარტო იმიტომ, რომ იყოლიონ ბავშვები, არამედ იმ მიზნით, რომ აიძულონ ისინი უარი თქვან ქრისტიანულ სარწმუნოებაზე, რომელიც მეტად სძულთ“ (ა. ჯაფარიძე, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, ტ. 4, 2012 წ., გვ. 51).

ევროპელი მისიონერების დაკვირვებითაც ჩანს რომ ოსმალებსა და სპარსელებს საქართველოდან ტყვეთა და ყრმათა გაყიდვა უპირველესად ქრისტიანობისა და ქართველობის აღმოსაფხვრელად უნდოდათ.

ამიტომაც იყო, რომ წმინდა ეკლესიას ამ უსაშინლესი ცოდვის აღმოსაფხვრელად თავიდანვე განგაში აუტეხავს. XVI საუკუნის შუა წლებში (1543-1549) შედგა საეკლესიო კრება, რომელსაც საგანგებოდ უმსჯელია კაცის სყიდვის შესახებ და სჯულის კანონის შესაბამისად კაცის სყიდვის შესახებ შემდეგი განჩინება გამოუტანია:

„1. ქ. რამან კაცმან გაყიდოს, ანუ დიდმან, ანუ მცირემან, ანუ თავადმან, ანუ აზნაურმან და ან გლეხმან, წმინდათა კრებულთაგან შეჩვენებული იყოს და განხდელი“ (ქართული სამართლის ძეგლები, I, 1963 წ., გვ. 393).

დასავლეთ საქართველოში დამლუპველი სენის – „ტყვეთა სყიდვის“ გახშირების გამო 1759 წლის 4-5 დეკემბერს მეფე სოლომონ I-ის ინიციატივით გაიმართა დასავლეთ საქართველოს საეკლესიო კრება, რომელმაც ტყვის გამყიდველნი შეაჩვენა. კრების საგანგებო დადგენილებაში ნათქვამი იყო: „ახალციხის ფაშამ ასეთი საშინელი და საზარელი სიტყვა შემოგვითვალა... ტყვეს თუ არ გაყიდით არ იქნებაო... ღვთის შუამდგომლობით, რომ სანამდის სული გვედგას ეს საქმე ჩვენგან არ იქნეს... ამ საქმეზე ჩვენი თავი არ დავიშუროთ“.

აღსანიშნავია ისიც, რომ ტყვეთა გამოსყიდვისთვის სოლიდური თანხა საქართველოს ეკლესიამაც გაიღო (ა. გელაშვილი, ერეკლე II, თბ., 2012 წ., გვ. 74). რა თქმა უნდა, ეკლესიის ერთობლივი ძალისხმევით ტყვეთა და ყმებით ვაჭრობა რამდენადმე შემცირდა, თუმცა მძლავრად მოდებული ეს მძიმე სენი სრულად ვერ აღიკვეთა და შემდგომში მეტ-ნაკლებად კვლავ გრძელდებოდა.

და, მაინც საბოლოოდ რამ და ვინ იხსნა საქართველო ამ ე. წ. „ჭირისაგან“? – ეს კითხვა პასუხს ითხოვს.

– ისტორიულ წყაროებზე, სამეცნიერო ლიტერატურაზე და პუბლიცისტურ წერილებზე დაყრდნობით დგინდება ის ჭეშმარიტება, რომ ამ სამარცხვინო და ქართველი ერის გამანადგურებელ სენს და ამ მიმართებით თავადაზნაურთა თვითნებობას, ოსმალთა და ირანელთა პარპაშს საბოლოოდ წერტილი დაუსვა რუსეთის იმპერიის ხელისუფლებამ.

ტყვეებით და ყრმებით ვაჭრობა XIX საუკუნის I ნახევრის საქართველოში კვლავ მაინც გრძელდებოდა. ამ მრავალსაუკუნოვანი პრობლემის მოსაგვარებლად რუსეთს საკმაოდ მასშტაბური და პრინციპული ღონისძიებების გატარება დასჭირდა.

რუსეთის ხელისუფალნი და საქართველოში მოღვაწე რუსი მოხელეები საქართველოს ანექსიიდანვე (1801 წ.) არაერთგზის მიმართავდნენ პროტესტით ოსმალეთის ხელისუფლებას, რომ ხელი აეღო საქართველოში ადამიანებით ვაჭრობაზე და არაერთხელ ჰქონია მასთან კონფლიქტი.

რუსეთის საიმპერატორო კარის, კერძოდ, იმპერატორ ალექსანდრე I-ის ძალისხმევით 1801 წელს თურქეთისაგან გამოსხნილ და დაბრუნებულ იქნენ თურქეთში წარტყვევნილი ქართველები.

1804 წლის 16 ივნისს რუსეთის წარმომადგენელმა სამეგრელოში ლიტვინოვმა გამოაქვეყნა ბრძანება და მოწოდება ადამიანების გატაცებისა და ტყვეებით ვაჭრობის წინააღმდეგ. ამ ბრძანებით ლიტვინოვი აცხადებდა, რომ ტყვეთა გამყიდველები დაისჯებიან რუსეთის კანონთა მიხედვით, ე. ი. მთელი ოჯახის წევრებთან ერთად სიკვდილით დასჯით.

1809 წელს გენერალმა ორბელიანმა სამეგრელოს, გურიის და აფხაზეთის მთავრების დახმარებით ფოთი აიღო. საქართველოს მთავარმმართველი ტორმასოვი პეტერბურგში გრაფ რუმინცევს წერდა: „ფოთის აღებით აღიკვეთა ყოველგვარი ბოროტებანი, რომლებიც აქამდე არსებობდნენ ქრისტიანი ტყვეების გაყიდვის სახით, რომელთა წარტყვევნა ხდებოდა იმერეთიდან, გურიიდან და სამეგრელოდან და რომელნიც მიჰყავდათ ირანს, თურქეთსა და ეგვიპტეში“. პოლკოვნიკი ბებუთობი 1819 წელს მოითხოვდა, რომ „სამურზაყანოში სწრაფად იქნას შეყვანილი რუსთა ჯარი, რასაც შეუძლია დაბადოს შიში და შექმნას მყუდროება, რის შედეგადაც დასჯის მოშიშარნი ხელს აიღებდნენ ტყვეებით ვაჭრობაზე და ყაჩაღობა-მტაცებლობაზე“ (გ. იობაშვილი, ჟამი ცოდვისა უმძიმესისა, ბათუმი, 1997 წ., გვ. 72-73).

1846 წელს გურიაში გამოავლინეს დამნაშავეთა ორგანიზებული ბანდა, რომელიც სხვა დანაშაულებრივ ქმედებებთან ერთად საქართველოდან ახალგაზრდა გოგო-ბიჭებს იტაცებდა და თურქეთში ჰყიდდა. ასეთი დანაშაულებრივი ქმედებისათვის 18 კაცი დაუსჯიათ.

1847 წელს გატარდა ღონისძიებანი სამურზაყანოში ტყვეებით მოვაჭრეთა ლიკვიდაციისათვის (ლეკიანობა, თბ., 20012 წ., გვ. 156-157). ანალოგიური ღონისძიებანი გაატარეს საქართველოს სხვა კუთხეებშიც. 1850-იანი წლების ბოლოსათვის საქართველოში ლეკიანობას ბოლო მოეღო. საქართველოში ბატონყმობის გადავარდნის (1864 წ.) შემდგომ, განსაკუთრებით 1877-1878 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომში რუსეთის გამარჯვების შემდეგ, 1870-იანი წლების ბოლოსათვის ფაქტობრივად სრულად აღიკვეთა და დასრულდა საქართველოში ტყვეთა და ყრმათა ვაჭრობა, რაშიც განუზომელი იყო რუსეთის როლი, – ასეთია ფაქტები და ჭეშმარიტება.



# ჭორბი 2

2020

მალხაზ ფალავას  
პირადი ციფრული  
ბიბლიოთეკა

2020 [malkhaz.pagava@mail.ru](mailto:malkhaz.pagava@mail.ru)